ფრანსის ბარლოუ

ლუტოლოვილი დედამიწა

www.PDF.ChiaturaINFO.GE



წიგნის ელექტრონული ვერსია მოამზადა
საიტმა: www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფრანსის კარსაკი

ლტოლვილი დედამიწა

სარჩევი

მიძღვნა
თავფურცელი

ნაწილი პირველი — დროში გადარჩენილი

- თავი პირველი — უცნაური შემთხვევა
- თავი მეორე — მომავლის მონახაზები
- თავი მესამე — მზე მალე აფეთქდება!
- თავი მეოთხე — დიდი წამოწყება

ნაწილი მეორე — კატაკლიზმი

- თავი პირველი — ვენერული ჯუნგლი
- თავი მეორე — ბედისწერელები
- თავი მესამე — ოტება
- თავი მეოთხე — ახალი მზე

ნაწილი მესამე — დიადი მწუხრი

- თავი პირველი — პოტიკები
- თავი მეორე — ბრძოლა თხევად ჰაერში
- თავი მესამე — ძალაუფლება
- თავი მეოთხე — მოგზაურობა

ნაწილი მეოთხე — დედამიწის ოდისეა

- თავი პირველი — ადგილი დაკავებულია!
- თავი მეორე — მეორე მოგზაურობა
- თავი მესამე — ტელბირელნი
- თავი მეოთხე — ფსიქოტექნიკური ომი

ბოლოსიტყვაობა
ქრონოლოგია

ვუძღვნი

დელპ ჰირ ორიკანსა

და

ნიკოლას ფან რაინს

ნაწილი პირველი

დროში გადარჩენილი

თავი პირველი

უცნაური შემთხვევა

ვიცი, არავინ დამიჯერებს და მაინც, დღეს მხოლოდ მე თუ ძალმიძს, გარკვეულწილად მაინც მოვფინო ნათელი ჰაურკის, უფრო სწორედ კი, ამქვეყნად ყველაზე უფრო ცნობილი ფიზიკოსის პოლ დიუპონის არაჩვეულებრივ პიროვნებასთან დაკაშირებულ მოვლენებს. როგორც მოგეხსენებათ, იგი თავის ახალგაზრდა მეუღლესთან ერთად დაიღუპა თერთმეტი წლის წინ ლაბორატორიაში აფეთქების დროს. მას ნათესავები არ ჰყოლია და ამიტომ ანდერძის თანახმად, ჟანის, მისი ვაჟის მეურვე და მთელი მისი ქონების განმკარგველი მე გავხდი. ამგვარად აღმოჩნდა ჩემს განკარგულებაში მთელი მისი ქაღალდები და გამოუცემელი ჩანაწერები. სამწუხაროდ, მათი გამოყენება ვერასოდეს მოხერხდება, თუკი არ გამოჩნდება ვინმე, აინშტაინისა და შამპოლიონის ნაჯვარი. თუმც, მისგან დამრჩა ერთი ფრანგულად დაწერილი ხელნაწერი, რომლის წაკითხვასაც აქ გთავაზობთ.

შეიძლება ითქვას, რომ პოლ დიუპონს დაბადებიდანვე ვიცნობდი, რადგანაც პერიგეში, ემილ ზოლას ქუჩაზე ერთ სახლში ვცხოვრობდით და მასზე ოდნავ უფროსი ვარ. ჩვენ ოჯახებით ვმეგობრობდით და, რამდენადაც მახსოვს, მე და პოლი ყოველთვის ერთად ვთამაშობდით პატარა ბაღში, რომელიც ჩვენს ბინებს ეკუთვნოდა. სკოლაშიც ერთად დავიწყეთ სიარული ერთსა და იმავე კლასში და ერთ მერხთანაც ვისხედით. სკოლის დამთავრების შემდეგ მე საბუნებისმეტყველო მეცნიერებები ავირჩიე, პოლი კი მამამისის სურვილისამებრ ელემენტარულ მათემატიკას გაჰყვა. მამამისის, ინჟინერ-ელექტრიკოსის, სურვილისამებრ-მეთქი, რამეთუ რაც არ უნდა საოცარი იყოს იმ ადამიანის მხრიდან, ვინც თანამედროვე ფიზიკაში ნამდვილი რევოლუცია მოახდინა, პოლი მათემატიკაში მაინცდამაინც არ ბრწყინავდა და ბევრი ოფლიც დაუღვრია თავისი ატესტატის მოსაპოვებლად.

პოლს მშობლები თითქმის ერთდროულად დაეღუპნენ, ჩვენ მაშინ ბორდოში ვიყავით: მე ჩემს რეფერატს ვამზადებდი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, ის კი — ელექტრომექანიკაში. შემდეგ პოლი უმაღლეს ელექტროტექნიკურ სკოლაში შევიდა და ინჟინრად მოეწყო ერთ-ერთ ალპურ ჰიდროელექტროსადგურში, რომლის უფროსიც მამამისის მეგობარი იყო. მე ჩემს სადოქტოროზე მუშაობას ვაგრძელებდი. უნდა აღვნიშნო, რომ პოლი საკმაოდ მალე დაწინაურდა და როდესაც ეს უცნაური ამბავი შეემთხვა, იგი უკვე დირექტორის მოადგილე იყო. ერთმანეთს დროგამოშვებით ვწერდით. ტულუზის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის განყოფილების გამგის თანამდებობა არ მაძლევდა ალპებში ხშირად წასვლის შესაძლებლობას, ხოლო არდადეგების გატარება კი ჩრდილოეთ აფრიკაში მიწევდა. ასე რომ, ამ ამბის მოწმე სრულიად შემთხვევით შევიქენი. ალპებში მორიგი კაშხლის აგების პროექტის გეოლოგიური შესწავლის მიზნით პროფესორ მაროსთან ერთად ალპებს მივაშურე. ვინაიდან პოლის ჰიდროელექტროსადგურიდან ორმოციოდე კილომეტრში აღმოვჩნდი, შემთხვევით ვისარგებლე და პოლი მოვინახულე. გულწრფელი სიხარულით მიმიღო, გვიანობამდე შევრჩით სკოლისა

და უნივერსიტეტის დღეების გახსენებაში. ბევრი მელაპარაკა თავის სამსახურზე, რომელიც ძალიან აინტერესებდა, მომავალ ჰიდროსადგურსა და თავისი ცოტახნისწინანდელი რომანის შესახებაც კი მომიყვა, რომელიც, სამწუხაროდ, მალე დამთავრებულა. სიტყვა არ დასცდენია თეორიული ფიზიკის შესახებ, კრინტიც არ დაუძრავს. ერთი შეხედვით პოლი ცივი და ფრთხილი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა, მაგრამ მასთან ურთიერთობა სასიამოვნო იყო თუკი გენდობოდათ. არ უნდა ვცდებოდე თუკი ვიტყვი, რომ მისი ერთადერთი ახლო მეგობარი ვიყავი. დარწმუნებული ვარ, იმ დროს თუ უკვე აწარმოებდა იმ კვლევებს, რომელთაც მისი სახელი უკვდავჰყვეს, აუცილებლად მიამბობდა ან მიმანიშნებდა მაინც მათ შესახებ. მეორე დილით საშუალება მომეცა მენახა პოლის ჩანაწერები; მათემატიკოსი არ ვარ, მაგრამ დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ მათი დონე კარგი ინჟინერ-ელექტრიკოსის ჩანაწერების დონეს არ აღემატებოდა.

პოლს 12 აგვისტოს, ორშაბათ დღეს, ვეწვიე და წამოსვლას ორი დღის შემდეგ ვაპირებდი, მაგრამ მან ძალიან მთხოვა, რომ კვირის ბოლომდე მასთან დავრჩენილიყავი. კატასტროფა პარასკევიდან შაბათის ღამეს მოხდა, ზუსტად ოცდასამ საათსა და ორმოცდახუთ წუთზე.

ცხელი და ჩახუთული დღე იყო. ნაშუადღევს ნორჩი თელის ქვეშ, რომელიც პატარა ბაღს ჩრდილავდა, ჩემი გეოლოგიური ჩანაწერები მომყავდა წესრიგში. ხუთი საათი იქნებოდა, როცა შორს აღმოსავლეთით დაიგრგვინა. ღრუბლებმა ცა მალიად დაფარეს, ასე შვიდი საათისათვის უკვე სრული სიბნელე იყო, მთების თავზე ქუხდა. პოლი დაახლოებით ნახევარი საათის მერე დაბრუნდა კოკისპირულ წვიმაში და, როგორც მივხვდი, მეხამრიდს რაღაც სჭირდა. თითქმის უჩუმრად ვისადილეთ, ბოდიში მომიხადა და მითხრა, რომ ღამე ჰიდროელექტროსადგურში უნდა ემორიგევა. დაახლოებით ცხრის ნახევარზე გალუმპული ლაბადის ჩაცმაში მივეხმარე და ჩემს ოთახში ავედი. გავიგონე, როგორ წავიდა სახლიდან მანქანით.

ათ საათზე დავიძინე. ცუდად მეძინა. მიუხედავად თავსხმისა, მაინც ცხელოდა და ღია ფანჯრიდან შემოსული ჰაერი სენეგალს მაგონებდა. მეხის გავარდნის საშინელმა ხმამ გამაღვიძა. ოცდასამი საათი და ოცდაათი წუთი იყო, ჯერ არ წვიმდა, მაგრამ გამუდმებული ელვა ქარის მიერ აწეწილ, სწრაფად მიმცურავ შავ ღრუბლებს აციაგებდა. პოლის სახლი ზეგნის თავზე იდგა და ზემოდან კარგად დავინახე, თუ როგორ დაეცა სამჯერ მეხი ბოძებს ზედ ელექტროსადგურის შესასვლელის წინ. შეშფოთებულმა გადავწყვიტე სადგურზე დამერეკა — მინდოდა გამეგო, ყველაფერი წესრიგში თუ იყო, მაგრამ გადავიფიქრე, საზრუნავი პოლს უჩემოდაც საკმარისად ექნებოდა. ფანჯრიდან დიდებული სანახობის ცქერით ვტკბებოდი. თავისი ძალით ეს ავდარი ჩემს მიერ საფრანგეთში ნანახ ნებისმიერ ავდარს აღემატებოდა და ტროპიკულებსაც არ ჩამოუვარდებოდა.

უცებ, ზედ ელექტროსადგურის თავზე ციდან იისფერი ცეცხლოვანი სოლი დაეშვა. ეს ელვა აღარ იყო. გაუხშოებული აირით სავსე მილაკში ხანგრძლივ, ათასჯერად გადიდებულ ელექტრულ განმუხტვას ჰგავდა. ეს ზღაპრული ცეცხლოვანი სვეტი ცისკენ აჭიმულიყო, თითქოს ფეთქავსო, ისე დაჰყვებოდა ცვალებადი სინათლე და ღრუბლებში იკარგებოდა. სანახაობა ათიოდე წამი გაგრძელდა და ამასობაში აბრეშუმის დაკუჭვისას შარი-შური რომ იცის, ის ისმოდა ქუხილის ძლიერი და მშრალი ხმის ნაცვლად. მონუსხულივით შევცქეროდი. სვეტის ელექტროსადგურის სახურავზე შეხებისთანავე ყველგან შუქი ჩაქრა, ზეგანი მკვდარ თეთრ შუქში ჩაიძირა და მოძრავი ჩრდილებით გაივსო. ყველაფერი დამთავრდა.

წყვდიადი ჩამოწვა და მას მხოლოდ ჩვეულებრივი ელვაღა ჰკვეთდა დროდადრო. კოკისპირულმა წვიმამაც დასცხო და ყველანაირი ხმაური ჩაახშო. მე კი გაშტერებული ვიდექი, ბარე თხუთმეტი წუთი.

ქვემოდან მომავალმა ტელეფონის ზარმა გამომაფხიზლა. პოლის კაბინეტში შევვარდი და ყურმილს დავწვდი. ელექტროსადგურიდან რეკავდნენ. მაშინათვე ვიცანი ახალგაზრდა ინჟინერ-სტაჟიორის ხმა. პოლს „რაღაც შეემთხვა“ და მთხოვდნენ, რომ დაუყოვნებლივ ელექტროსაგურში მივსულიყავი, გზად კი ექიმ პრუნიერისათვის გამევლო, რომელთან დაკავშირებაც ვერ მოხერხდა ჩვეულებრივი სატელეფონო ხაზის მწყობრიდან გამოსვლის გამო. — პოლის სახლი ელექტროსადგურთან საგანგებო კაბელით იყო დაკავშირებული.

სასწრაფოდ ჩავიცვი, ლაბადა მოვისხი. რამდენიმე წამი გარაჟის გასაღების ძებნაში დამეკარგა. მოტოციკლი ამძრავის პირველივე ამოკვრაზე დაიქოქა და უკუნ სიბნელეში, რომელსაც იშვიათი ელვაღა არღვევდა, გავწიე. ექიმი გავაღვიძე და რამდენიმე წუთის შემდეგ მისი მანქანით უკვე ადგილზე ვიყავით.

მთელს ჰიდროელექტროსადგურს მხოლოდ აკუმულატორებთან მიერთებული საავარიო ნათურები აშუქებდა. იქაურობა აშლილი ჭიანჭველების ბუდესა ჰგავდა. ახალგაზრდა სტაჟიორი პირდაპირ სამედიცინო პუნქტისაკენ წაგვიძღვა. პოლი მისთვის ძალიან მოკლე ფიცარნაგზე იწვა — იმის თქმა დამავიწყდა, რომ იგი ძალიან მაღალი, ორი მეტრი და ოთხი სანტიმეტრის სიმაღლის იყო! გაფითრებული და უგონო.

— ელდის ბრალი იქნება,— იმედით თქვა სტაჟიორმა. — გენერატორის გვერდით იდგა იმ უცნაური მეხის დაცემისას. მომიტევეთ, უნდა გავიქცე. მთელი სადგური მწყობრიდანაა გამოსული. არ ვიცი, რა ვქნა — არც დირექტორია, არც ინჟინრები არიან, არავინაა! ვერც ვერავის ვურეკავ, ტელეფონი არ მუშაობს...

ექიმი პრუნიერი უკვე დახრილიყო ჩემი მეგობრის თავზე. ხუთიოდე წუთის მერე თავდაჯერებულმა განაცხადა:

— უბრალო გულყრაა. თუმცა მაინც საჭიროა საავადმყოფოში მისი საწრაფოდ გადაყვანა. უეჭველად ელდაა, მაჯა აქვს სუსტი და ვშიშობ, რომ...

ფეხზე წამოვიჭერი, ორ მუშას მოვუხმე და პოლი საბარგო მანქანაში გადავიყვანეთ, სადაც მისთვის სახელდახელო საკაცე მოვაწყვეთ. პრუნიერი მათ გაჰყვა და შემპირდა, რომ საქმის კურსში ვეყოლებოდი.

უკვე სადგურიდან წამოსვლას ვაპირებდი, როცა კვლავ გამოჩნდა ინჟინერ-სტაჟიორი.

— ბატონო პერიზაკ, — მე მომმართა, — თქვენ ტროპიკებში ხართ ნამყოფი; ოდესმე რამე მსგავსი გინახავთ? ამბობენ, იქ გაცილებით უფრო ძლიერი ჭექა-ქუხილი იცისო.

— არა, ასეთი რამ არასდროს მინახავს!. არც კი გამიგია მსგავსი რამის არსებობის შესახებ. ჩემი ფანჯრიდან დავინახე, როგორ ეშვებოდა ცეცხლოვანი სვეტი სადგურზე — ამაზე უფრო გამაოგნებელ სანახაობას არასოდეს შევსწრებივარ!

— იმაზე უფრო უცნაურია, ვიდრე გგონიათ. ეს წუთია გენერატორები შევამოწმე. ხელუხლები არიან. მაგრამ...

— ორჭოფობდა, ხმას დაუწია თითქოს რცხვენიაო და გაუბედავად თქვა:

— უბრალოდ, ინდუქცია აღარ ხდება!

— რა?

— ხომ სისულელეა, მაგრამ ასეა!

— რა ვითარებაში შეემთხვა უბედურება ბატონ დიუპონს?

— მაგას მაშინ გავიგებთ, როცა მექანიკოსი, ერთადერთი მოწმე, შესძლებს ლაპარაკს.

— მასაც შეეხო?

— არა, მაგრამ შიშისაგან შეიშალა. რაღაც სისულეებსა როშავს. ისე, რაც მართალია მართალია — მისი მონაროში გენერატორების ამბავზე უფრო სულელური ნამდვილად არაა.

— რას ჰყვება?

— მობძანდით, თავადვე გამოჰკითხეთ.— სამედიცინო პუნქტში დავბრუნდით. ფიცარნაგზე ორმოციოდე წლის კაცი იჯდა, გადმოკარკლულ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. ინჟინერმა მას მიმართა:

— მალტო, მოუყევით ბატონ დიუპონის მეგობარს ყველაფერი, რაც მოხდა.

მექანიკოსმა ამღვრეული თვალებით შემომხედა.

— ძალიან კარგად ვიცი, რაც გინდათ! თქვენ გინდათ, რომ მოწმის თანდასწრებით ვილაპარაკო და მერე საგიჟეთში გამომკეტოთ! მაგრამ სულ ერთია, ვფიცავ, სიმართლეა! ჩემი თვალით ვნახე, საკუთარი თვალით! —თითქმის ყვიროდა.

— დაწყნარდით! გამომწყვდევას არავინ გიპირებთ. თქვენი ჩვენება მოხსენებისათვის გვჭირდება. შესაძლოა აგრეთვე ბატონ დიუპონის მკურნალობაში იყოს გამოსადეგი.

მექანიკოსმა ორჭოფობა დაიწყო.

— ჰო, თუ ექიმისთვის... ეჰ, მიმიფურთხებია ყველაფრისთვის! დამიჯერებთ თუ არა, თქვენი საქმეა. თანაც მეც აღარ ვიცი, იქნებ მართლა გავგიჟდი.

ღრმად ამოისუნთქა.

— მაშ ასე. ბატონმა დიუპონმა მთხოვა, დავხმარებოდი მეათე გენერატორის შემოწმებაში. მის ხელმარცხნივ ერთ მეტრში ვიდექი. უცებ მომეჩვენა, რომ ჰაერი ელექტროობით გაჯერდა. მთაში ხომ ხართ ნამყოფი? ჰოდა გეცოდინებათ — როცა წერაყინები ისე იწყებენ ჟღერას თითქოს სიმები იყვნენ. ბატონმა დიუპონმა დამიყვირა: „მალტო, თავს უშველე!“. სამანქანო დარბაზის შორეულ კუთხეს მივაშურე. კარი დაკეტილი დამხვდა და მოვტრიალდი. ბატონი დიუპონი ისევ გენერატორის გვერდით იდგა და მთელს მის სხეულზე ლურჯი ნაპერწკლები დარბოდა. დავუძახე; „ჩქარა, აქეთ!“. სწორედ ამ დროს დარბაზში მთელი ჰაერი იისფრად განათდა. ნეონის მილაკს ჰგავდა, მაგრამ შუქი იყო იისფერი... ნათება ჩემგან სადღაც ერთ მეტრში წყდებოდა!

— დიუპონი? — ვიკითხე.

— ჩემსკენ გამოიქცა და უცებ გაშეშდა. სადღაც ზემოთ იყურებოდა და სრულიად დაბნეული, გაოგნებული გამომტყველება ჰქონდა. მანათობელი სვეტის შიგ შუაგულში იდგა, მაგრამ ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ეს მას არ აშფოთებდა. სწორედ მაშინ...

მექანიკოსი გაჩუმდა, ცოტა ხანი იყოყმანა და ბოლოს, ამოთქვა, თითქოს წყალში გადაეშვაო.

— ამ დროს რაღაც დავინახე, ლანდს ჰგავდა! ჰაერში მიცურავდა პირდაპირ მისკენ და თითქმის იმავე სიმაღლისა იყო, რაც ბატონი დიუპონი. ალბათ თვითონაც დაინახა, რადგანაც ხელები გაიშვირა, გეგონება ლანდის უკუგდება უნდაო და იყვირა: „არა! არა!“. ლანდის შეხებისთანავე დაეცა. სულ ესაა.

— მერე?

— მერე რა მოხდა, არ ვიცი. შიშისაგან გული წამივიდა.

მალტო იქვე დავტოვეთ. ინჟინერმა მკითხა:

— რას იტყვით?

— მართალი უნდა იყოთ, თქვენი მექანიკოსი შიშისაგან უბრალოდ ჭკუიდან გადავიდა. არ მჯერა მოლანდებების. თუ დიუპონი მომჯობინდება, თავად მოგვიყვება, რაც მოხდა.

— არც მე მჯერა მოლანდებების. არც ხელუხლები გენერატორისა მჯერა. გეყურებათ? ხელუხლებისა! რომელიც დენს აღარ გამოიმუშავებს. ჰო, თქვენი არ იყოს, დიუპონი ალბათ თავად აგვიხსნის...

უკვე დილის ხუთი საათი იყო, ამიტომ შინ დაბრუნების ნაცვლად ექიმს გავუარე, ჩემი მოტოციკლი ავიღე და საავადმყოფოში წავედი. პოლი უკეთ იყო, მაგრამ ჯერ ეძინა. გათენებამდე ექიმთან დავყავი, მალტოს ფანტასტიკური მონათხრობი მოვუყევი.

— მალტოს კარგად ვიცნობ. მამა ორი წლის წინ მოუკვდა თეთრი ცხელებისაგან, მაგრამ რამდენადაც მე ვიცი, შვილს ალკოჰოლისთვის პირი არასოდეს დაუკარებია! თუმცა...

გარიჟრაჟიდან ცოტა ხანში ადრე ექთანმა გაგვაფრთხილა, რომ პოლი, როგორც ჩანს, მალე გაიღვიძებდა. დაუყოვნებლივ მასთან გავწიეთ. უკვე ისეთი გაფითრებული აღარ იყო. ძილი მშფოთვარე ჰქონდა და გამუდმებით ბორგავდა. მისკენ დავიხარე და მის მზერას წავწყდი.

— ექიმო, გაიღვიძა!

პოლის თვალები უსაზღვრო გაკვირვებას გამოხატავდა. ჯერ ჭერი მოათვალიერა, შემდეგ ცარიელი თეთრი კედლები და ბოლოს ჩვენ მოგვაჩერდა დაჟინებით.

— ჰა, როგორ ხარ?— მხნედ შევეკითხე.— ხომ ხარ უკეთ?

თავიდან არ უპასუხია, შემდეგ ტუჩები აუმოძრავდა, მაგრამ სიტყვები ვერ გავარჩიე.

— რა თქვი?

— ანაკ ოე ნა? — მკაფიოდ წარმოთქვა კითხვითი კილოთი.

— რა?

— ანაკ ოე ნა? ერტო სინ ბალურემ ეკონ?

— რას ამბობ?

თავს ძლივს ვიკავებდი, რომ არ გამცინებოდა და იმავდროულად შფოთი მიპყრობდა.

დაჟინებით მომაცქერდა და მის თვალებში გაურკვეველი შიში აისახა. თითქოს თავს არნახულ ძალას ატანსო, როგორც იქნა წარმოთქვა:

— სად ვარ? რა მომივიდა?

—აჰ! ასე ბევრად უკეთესია! დოქტორ პრუნიერის კლინიკაში ხარ და იგი ჩემს გვერდით დგას. წუხელ მეხი დაგეცა, მაგრამ, როგორც ჩანს, ყველაფერი კარგად დამთავრდა. მალე გამოკეთდები.

— მეორე სადაა?

— ვინ მეორე? მექანიკოსი? მას არაფერი მოსვლია.

— არა, მექანიკოსი არა. მეორე, რომელიც ჩემთან ერთად...

ნელა ლაპარაკობდა, თითქოს ბურანშიაო. სიტყვების შერჩევა უჭირდა.

— შენთან ერთად სხვა არავინ ყოფილა!

— არ ვიცი... დავიღალე.

— მეტს ნუღარ ესაუბრებით, ბატონო პერიზაკ, — ჩაერია ექიმი. — დასვენება სჭირდება. ხვალ ან ზეგ, ვფიქრობ, შესძლებს შინ დაბრუნებას.

— მაშინ მე წავალ, — ვუთხარი პოლს. — შენთან დაგელოდები.

— ჰო, ეგრე ჰქენ. დამელოდე. ნახვამდის, კელბიკ.

— როდიდან გავხდი კელბიკი?! — აღვშფოთდი.

— ჰო, მართალი ხარ. მაპატიე, ძალიან დაღლილი ვარ!

მეორე დღეს ექიმმა შემომიარა.

— უკეთესი იქნებოდა, შინ თუ გადმოვიყვანდით. ღამემ წყნარად ჩაიარა, მაგრამ სულ თქვენ გეძახოდათ. ბოდავდა, რაღაც გაუგებარ სიტყვებს ურთავდა ფრანგულს. ამტკიცებდა, რომ საავადმყოფოს თეთრი კედლები მორგისაა. აქ, თავის სახლში, ჩვეულ გარემოში, უფრო სწრაფად მომჯობინდება.

ხანში შესულმა მოსამსახურემ საძინებელი ოთახი დაულაგა, პოლი უზარმაზარ, საგანგებოდ მის ზომაზე გათვლილ საწოლზე დავაწვინეთ. მასთან დავრჩი. დაბნელებამდე ეძინა. როდესაც გამოეღვიძა, სასთუმალთან ვეჯექი. დიდხანს მათვალიერა, შემდეგ მითხრა:

— ვიცი, რომ გინდა გაიგო რაც მოხდა. მოგიყვები. მოგვიანებით... იმდენად დაუჯერებელია, რომ ჯერ მეც ვერ ვიჯერებ, გესმის? შესანიშნავია! თავიდან შემეშინდა. მაგრამ, ახლა!.. ხმამაღლა გადაიხარხარა.

— მოკლედ, თვითონ ნახავ ყველაფერს. მადლობელი ვარ ყველაფრისათვის, რაც ჩემთვის გაგიკეთებია. ვალში არ დაგრჩები! ჩვენ კიდევ ვიმხიარულებთ, შენც და მეც! ძალიან ბევრი ჩანაფიქრი მაქვს და ალბათ შენი დახმარება დამჭირდება.

შემდეგ საუბრის თემა შეცვალა და გამომკითხა, როგორ მიდიოდა საქმეები ჰიდროელექტროსადგურზე, როდესაც ვუთხარი, რომ გენერატორები მწყობრიდან იყო გამოსული, კიდევ ერთხელ გადაიხარხარა. მეორე დილით ჩემზე ადრე ადგა. ვინაიდან დრო ცოტა მქონდა, ორი დღის შემდეგ ტულუზაში წავედი, იქიდან კი აფრიკისაკენ გავემართე.

ცოტა ხანში პოლისაგან მოკლე წერილი მივიღე. მატყობინებდა, რომ გენერატორები ისევე უცნაურად ჩადგნენ მწყობრში, როგორც გამოვიდნენ. მატყობინებდა აგრეთვე, რომ სამსახურისათვის თავის დანებებას აპირებდა, რადგან კლერმონ-ფერანის უნივერსიტეტში ნობელის პრემიის ლაურეატ, სახელგანთქმულ პროფესორ ტიებოდართან „სწავლის“ (ეს სიტყვა ბრჭყალებში ჰქონდა მოქცეული) გაგრძელება უნდოდა.

დისერტაცია ახალი დაცული მქონდა, უცნაური დამთხვევის წყალობით იმავე უნივერსიტეტში ლექციათა კურსის წაკითხვა შემომთავაზეს. ჩასვლისთანავე პოლის სანახავად გავეშურე. ვერც ფაკულტეტზე მივაგენი და ვერც თავისთან სახლში. კლერმონიდან რამდენიმე კილომეტრში მდებარე ატომური კვლევების ცენტრში ვიპოვე, რომელსაც თვითონ ტიებოდარი ხელმძღვანელობდა.

თვით უნივერსიტეტის წევრთათვისაც კი ძნელი იყო ცენტრში შეღწევა და ამიტომ წერილობითი თხოვნის გაგზავნა მომიხდა ცენტრის დირექტორის სახელზე. კომენდანტს არ დაუმალავს, რომ წარმატების შანსები ძალიან ცოტა იყო. მისდა გასაოცრად, ცენტრის დირექტორმა დაუყოვნებლივ მიმიღო. ტიებოდარი თავის კაბინეტში იყო, წესრიგში ჩინებულად მოყვანილი ქაღალდებით დაფარულ სამუშაო მაგიდასთან იჯდა. მიკიბ-მოკიბვის გარეშე, პირდაპირ პოლის შესახებ გამოკითხვა

დამიწყო.

— დიდი ხანია, რაც მას იცნობთ?

— დაბადებიდანვე. სკოლაშიც ერთად ვსწავლობდით.

— ლიცეუმშივე ძლიერი იყო მათემატიკაში?

— უფრო საშუალო.

— რატომ?— იბღავლასავით.

— რატომ?

— იმიტომ, რომ იგი თანამედროვე მათემატიკოსთა შორის უძლიერესია და მალე ყველაზე დიდი ფიზიკოსი გახდება! მაოგნებს. დიახ, უბრალოდ მაოგნებს! ვიღაცა მოკრძალებული ინჟინერი მეცხადება, რომელიც მთხოვს, ჩემი ხელმძღვანელობით მუშაობის საშუალება მივცე და ნახევარ წელიწადში უფრო მეტ აღმოჩენას აკეთებს, ვიდრე მე მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე. თანაც უმნიშვნელოვანეს აღმოჩენებს! და ამ ყველაფერს რაღაცნაირი სიადვილით აკეთებს! თითქოსდა ამით ერთობოდეს! როდესაც რაიმე ურთულეს პრობლემას აწყდება, ჩაიღიმილებს ხოლმე, თავის სოროში გამოიკეტება და მეორე დღეს მზა ამონახსნით მეცხადება!

ტიებოდარი ცოტა დაწყნარდა.

– ყველა გამოთვლას თავისთან აკეთებს, სახლში. მხოლოდ ერთხელ მოვახერხე, რომ თავის მაგიდასთან ემუშავა, ჩემს თვალწინ. ამონახსნი ნახევარ საათში იპოვა! და რაც ყველაზე უფრო საინტერესოა, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს მან უკვე იცოდა პასუხი და მხოლოდ მის გახსენებას ცდილობდა. და საერთოდ, ნემსის ყუნწში ძვრება თავისი გამოთვლების შეძლებისდაგვარად გასამარტივებლად, რათა მე შევძლო მათი გაგება, მე, ტიებოდარმა! მის ადრინდელ დირექტორს გამოვკითხე მის შესახებ. დიუპონი, ცხადია, კარგი ინჟინერია, მაგრამ ციდან ვარსკვლავებს არ წყვეტსო. თუ იმ მეხმა აქცია გენიოსად, მაშინ მე ახლავე წავალ იმ სადგურზე და გენერატორის გვერდზე ვიყურყუტებ ყოველი ჭექა-ქუხილის დროს! თუმც კმარა ამაზე! ბევატრონის კორპუსში, მეოთხეში შესძლებთ მის ნახვას. მაგრამ თქვენ ნუ შეხვალთ! გამოიძახონ. აი, თქვენი საშვი.

პოლს გაუხარდა, როცა გაიგო, რომ ამიერიდან მეც კლერმონში ვიცხოვრებდი. მალე ჩვევად გვექცა ერთმანეთის ნახვა ლაბორატორიაში და ვინაიდან ორივე მარტოხელები ვიყავით, რესტორანშიც ერთად ვსადილობდით. კვირაობით ხშირად დავდიოდით გასართობად, ხოლო ერთხელ მთელი კვირითაც კი წავედით პუის ქედზე. სწორედ მაშინ დამტოვა პირღია, რადგან იქ განავითარა ბირთვულ ფიზიკაზე დამყარებული ვულკანიზმის თეორია, რომელიც № 17-ია მის ნაშრომთა სიაში.

ხასიათი შეეცვალა. ადრე ცივი იყო და შეუმჩნეველი, ახლა კი აშკარად ემჩნეოდა ძალაუფლება და მართვის სურვილი. მისი ბობოქარი შეტაკებები ტიებოდართან, რომელიც შესანიშნავი და იმავდროულად ფიცხი ადამიანი იყო, სულ უფრო და უფრო ხშირი ხდებოდა; მიუხედავად ამისა, ტიებოდარი მას მაინც თავის შემცვლელად მიიჩნევდა ატომური ცენტრის ხელმძღვანელის თანამდებობაზე. ერთი ასეთი შეტაკების დროს საიდუმლოებამ გაფანტვა დაიწყო.

ცენტრში უკვე კარგად მიცნობდნენ და ტერიტორიაზე მუდმივი საშვიც მქონდა. ერთხელ, ტიებოდარის კაბინეტის წინ გავლისას, მათი ხმები შემომესმა. პროფესორი ყვიროდა:

— არა, დიუპონ, არა და არა! ეს სუფთა წყლის იდიოტობაა! ენერგიის მუდმივობის კანონს ეწინააღმდეგება და მათემატიკურად, გესმით? მა-თე-მატი-კურა-და-ა შეუძლებელი!

პოლმა წყნარად მიუგო:

— თქვენი მათემატიკის თანახმად, ჰო.

— ჩემი მათემატიკის თანახმად, ეს როგორ? თქვენ რა სხვანაირი გაქვთ? მაშ, ნება იბოძეთ და ამიხსენით მისი პრინციპები, დალახვროს ეშმაკმა! ამიხსენით!

— დიახაც, აგიხსნით! — წამოენთო პოლი. — და ვერაფერსაც ვერ გაიგებთ! რამეთუ ამ მათემატიკამ თქვენსას რამდენიმე ათასი წლით გაუსწრო!

— მაშ ათასწლეულებით გაუსწრო არა?— დათაფლული ხმით ჩაილაპარაკა პროფესორმა. — ნება მიბოძეთ, გავიგო, სახელდობრ რამდენი ათასი წლით?

— ეჰ, ეგ რომ ვიცოდე!

კარი გაიღო და ჯახუნით მიიხურა — პოლი დერეფანში გამოვარდა.

— აჰ! აქ ხარ? გესმოდა? — ძალიან აღგზნებული ჩანდა. — დიახ, მე განსაკუთრებული მათემატიკა მაქვს. დიახ, ჩემმა მათემატიკამ მისას ათასწლეულებით გაუსწრო! დიახ, მეცოდინება რამდენით. და მაშინ კი...

უცებ შეწყვიტა ლაპარაკი.

— ძალიან ბევრს ვლაპარაკობ.— დასძინა. — იქაც ეს ნაკლი მქონდა...

გაოცებული ვუყურებდი. ელექროსადგურზე სიტყვაძუნწად იცნობდნენ, რომელიც ერთ ზედმეტ სიტყვას არ იტყოდა. თვითონაც შემომხედა და გაიცინა:

— არა, ელექტრსადგურზე არ ვლაპარაკობ! ოდესმე ყველაფერს გაიგებ. ოდესმე...

ერთი წელი გამოხდა. იანვარში სამეცნიერო ჟურნალებში პოლ დიუპონის მიერ ხელმოწერილ მოკლე სტატიათა წყება გამოჩნდა. მათ, სპეციალისტების აზრით, ფიზიკაში ნამდვილი, იმაზე უფრო მნიშვნელოვანი გადატრიალება მოახდინეს, ვიდრე კვანტურმა თეორიამ. შემდეგ, ივნისში, მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნასავით გამოჩნდა პოლის ძირითადი ნაშრომი, რომელიც ეჭვქვეშ აყენებდა ენერგიის მუდმივობის კანონსა და ფარდობითობის თეორიას, კერძოსაც და ზოგადსაც, და იმავდროულად აუქმებდა ჰაიზენბერგის განუსაზღვრელობისა და პაულის აკრძალვის პრინციპებს. ამ ნაშრომში პოლმა ცხადყო ელემენტარულ ნაწილაკთა სირთულე და წამოაყენა ჰიპოთეზა ჯერ არაღმოჩენილი გამოსხივებების შესახებ, რომლებიც სინათლის სიჩქარეზე გაცილებით უფრო სწრაფად ვრცელდებიან. მთელი სამეცნიერო სამყარო მის წინააღმდეგ ამხედრდა. მთელი მსოფლიოს ნობელის პრემიის ლაურეატები პოლის გასაცამტვერებლად გაერთიანდნენ. მაგრამ პოლმა მათ შესთავაზა ბოლომდე გადამწყვეტი ცდების წყება და თვით ყველაზე უფრო შეურიგებელი მოწინააღმდეგეებიც კი იძულებულნი გახდნენ, ეღიარებინათ მისი სიმართლე. თეორიულად იგი ისევ კლერმონის ახალგაზრდა მეცნიერად ითვლებოდა, პრაქტიკულად კი მთელი დედამიწის ნომერი პირველი ფიზიკოსი იყო.

კვლავინდებურად ძალიან მოკრძალებულად ცხოვრობდა თავის პატარა ბინაში და ყოველ კვირადღეს მთას ერთად მივაშურებდით ხოლმე. ერთ-ერთი ასეთი გასეირნებიდან ვბრუნდებოდით, როდესაც პოლი, როგორც იქნა, ალაპარაკდა. თავისთან მიმიწვია. საწერი მაგიდა ნაბეჭდი ქაღალდებით ჰქონდა სავსე. როდესაც დაინახა, რომ მათ ვუახლოვდებოდი, ჩემი შეჩერება დააპირა, მაგრამ შემდეგ მხიარულად გაიცინა.

— აჰა, წაიკითხე!— მითხრა და რაღაც ფურცელი გამომიწოდა.

ფურცელი გაუგებარი კაბალისტური ნიშნებით იყო აჭრელებული. ეს არ იყო მათემატიკური ფორმულები, არამედ გაურკვეველი, უცნაური ანბანი.

— დიახ, საგანგებო შრიფტი შევუკვეთე. მათი ხმარება ბევრად უფრო

მეადვილება ვიდრე თქვენი ასოებისა. მათ ბოლომდე ვერაფრით შევეჩვიე.

შევყურებდი და ვერაფერს ვხვდებოდი. მაშინ ძალიან ფრთხილად და რბილად მითხრა:

— დიახ, მე პოლ დიუპონი ვარ, შენი ძველი მეგობარი პოლი, რომელსაც დაბადებიდან იცნობ. ისევ ძველებურად პოლ დიუპონი ვარ, მაგრამ იმავდროულად ჰაურკ აკერანიც ვარ, დიადი მწუხრის ხანის უზენაესი გამრიგე.

— არა, არ გავგიჟებულვარ, — განაგრძო მან. — თუმცაღა კარგად მესმის, რომ შეიძლება ასეთი აზრი გაგიჩნდეს. ჯერ მომისმინე, მინდა რომ ბოლოსდაბოლოს ყველაფერი აგიხსნა.

ერთი წამით ჩაფიქრდა.

— არც კი ვიცი, საიდან დავიწყო. — ჰო! მაშ ასე, ჰაურკის ამბავს დიუპონთან შეხვედრამდე ოდესმე ამ ხელნაწერებში იპოვი ფრანგულად დაბეჭდილს. პოლ დიუპონის ამბავი, აგვისტოს იმ ცნობილ ღამემდე, ჩემზე უკეთ მოგეხსენება. ამიტომ იქიდან დავიწყებ, როცა ჭექა-ქუხილის დროს გენერატორის გვერდზე ვიდექი.

— მე და ის ჯიგარი, მალტო, მანქანის ახლოს ვიყავით. კარგად მახსოვს, თუ როგორ დაიწყო ჰაერმა ელექტროობით გაჯერება, როგორ ვუბრძანე მას, თავისთვის ეშველა. რომ არ დაეჯერებინა, შეიძლება ის ახლა დიდი ფიზიკოსი ყოფილიყო, მე კი ისევ რიგით ინჟინრად დავრჩენილიყავი. მეორე მხრივ, არ ვიცი, საკმარისადაა თუ არა განვითარებული მისი ტვინი ჰაურკის ცნობიერების ჩასატევად. როგორც გითხარი, გენერატორის ახლოს ვიყავი. მოულოდნელად ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს კაშკაშა სინათლეში ვიძირებოდი. შენ იგი შორიდან დაინახე და იისფრად მოგეჩვენა. მალტოსაც ეგრე მოეჩვენა, მაგრამ ჩემთვის ლურჯი იყო. გაოცებული შევდექი. ნელა ციმციმებდა. თავბრუ მეხვეოდა, მეჩვენებოდა, რომ აღარაფერს ვიწონიდი და შემეძლო მიწას მოვწყვეტოდი და ჰაერში მეფარფატა. და, უცებ, შეძრწუნებულმა, ჩემს წინ დავინახე ადამიანის მერწევი, მკრთალი, მოლანდების მსგავსი ფიგურა. ლანდი შემეხო. ოჰ! რაღაც უცნაური შეხება იყო შიგნიდან! სწორედ მაშინ დავიყვირე: „არა! არა!“. შემდეგ ჩემში ყველაფერი აფეთქდასავით, თითქოს ვკვდებოდი და გაშმაგებული ვებრძოდი სიკვდილს, მახსოვს, როგორ გაიღვიძა ჩემში სიცოცხლის დაუოკებელმა სურვილმა, შემდეგ კი წყვდიადმა დაისადგურა.

როდესაც გამომეღვიძა, შენ ჩემს გვერდით იყავი. უცნაური შეგრძნება დამეუფლა, თითქოს გცნობდი და ვერც გცნობდი. უფრო სწორად, ვიცოდი, რომ პერიზაკი იყავი, მაგრამ იმავდროულად ვიცოდი, რომ შენ კელბიკი უნდა ყოფილიყავი, არადა მას სრულებით არ ჰგავხარ. ჩემს მეხსიერებაში ორი მოგონება ებრძოდა ერთურთს, ერთი ჭექა-ქუხილიან ღამეზე, მეორე — დიდი ცდის შესახებ რომელსაც მე ვატარებდი, როცა... როცა ჰაურკს ეს, ჩემთვის დღემდე აუხსნელი ამბავი შეემთხვა. ალბათ გინახავს ძალიან მკაფიო სიზმრები, რომელთა შემდეგაც შენს თავს ეკითხები, ცხადი ხომ არაა სიზმარი და სიზმარი კი — ცხადი? ამის მგავსი რაღაცა მჭირდა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ეს გრძნობა არ ქრებოდა! ვიცოდი, რომ პოლ დიუპონი ვიყავი და იმავდროულადვე ვიცოდი, რომ ვიყავი ჰაურკი. შენ დამელაპარაკე, და, მეც, ცხადია, გკითხე: „ანაკ ოე ნა“ ანუ „სად ვარ?“, როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე. ძალიან გამიკვირდა, რომ ვერ გამიგე. არადა პოლ დიუპონი კი უნდა მიმხვდარიყო, რომ შენ არ შეგეძლო გაგება. ხვდები, რასაც გეუბნები? გაორებული ადამიანი ვარ. ჰაურკ-დიუპონი ან დიუპონ-ჰაურკი, როგორც გენებოს. ერთი ცნობიერება მაქვს, ერთი ცხოვრება, მაგრამ ორი განსხვავებული მეხსიერება. შენი მეგობრის პოლის, ინჟინერ-

ელექტრიკოსის, მეხსიერება შეხვდა ჰაურკის, უზენაესი გამრიგის მეხსიერებას. პოლისათვის 1972 წელი იდგა, ჰაურკისათვის კი... ყველაფერს გავიღებდი, ოღონდ კი ეს ვიცოდე დაზუსტებით. დიუპონის მეხსიერება მეუბნება, რომ დავიბადე პერიგეში იმავე სახლში რომელშიც შენ ცხოვრობდი და რომ ამქვეყნად მარტო ვარ. ჰაურკის მეხსიერება კი მეუბნება, რომ დავიბადე ვეება ქალაქ ჰური-ჰოლდეში და რომ მყავს ძმა და ცოლი. მაგრამ აგვისტოს იმ ღამის მერე მხოლოდ ერთი პიროვნება და ერთი მეხსიერებაა.

ვაღიარებ, თავიდან შემეშინდა. ჩემი ორი მე ჯერ არ იყო შერწყმული, მეგონა რომ გავგიჟდი. მაგრამ რომელი იყო გიჟი? დიუპონი თუ ჰაურკი? ჩემს ორ პიროვნებას ჯერ კიდევ არ ჰქონდათ საერთო მოგონებები. ნელ-ნელა შევეჩვიე ორი მეხსიერების ქონას. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ორჯერ მეცხოვროს.

ძალიან მალე მივხვდი, რომ ჰაურკის პიროვნება უნდა დამემალა, თორემ საგიჟეთში გამომკეტავდნენ. დასაფიქრებლად დრო მჭირდებოდა, ამიტომაც თავი მოვიკატუნე, თითქოს გადაღლილი ვიყავი და შვებულება ავიღე. გადავწყვიტე, გამეგრძელებინა ფიზიკის კურსი, რათა შემდეგ ნელ-ნელა გამემხილა ხალხისათვის ჩემი ცოდნა — ჰაურკის ცოდნა! ცხადია, თქვენთვის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილის გაზიარება შემიძლია: ყველაფერი რომ გაგიმხილოთ, თქვენი ცივილიზაცია ვერ გაუძლებს დარტყმას.

თავიდან ეჭვი მღრღნიდა. კაცობრიობის წინსვლის დაჩქარებით, მის მომავალს ხომ არ შევცვლიდი? ამიტომ გულმოდგინედ შევისწავლე თქვენი ისტორია იმ განსაკუთრებული მეთოდის გამოყენებით, რომელსაც ჩვენი სოციოლოგები უხსოვარი დროიდან იყენებენ და რომელიც ჩვენთან ყველა უნივერსიტეტში ისწავლება, როგორც ზოგადი კულტურის აუცილებელი ნაწილი. დავასკვენი, რომ იმ აღმოჩენათა დიდ ნაწილს, რომელთა გამოქვეყნებასაც ვაპირებდი, თქვენი თეორეტიკოსები და ექსპერიმენტატორები მაინც მიაკვლევდნენ უახლოესი ათწლეულების მანძილზე. მაშასადამე ოდნავ დავაჩქარე წინსვლა, გეზის შეცვლა არ მიიძულებია. ცოდნის დანარჩენი ნაწილი ჩემში დარჩება და მევე გამყვება. თანაც მათ ვერც გაიგებდით. არა იმიტომ, რომ ჭკუა არ გეყოფოდათ, არამედ იმიტომ არ გაქვთ შესაბამისი საფუძვლები. ამგვარად, მე არსებითად არ შევცვლი თქვენს მომავალს, რომელიც ჩემთვის ძალიან შორეული წარსულია. შესაძლოა ეს ბედისწერის ნება იყოს, ისტორიკოსი არ ვარ და წარსულის ანუ თქვენი მომავლის შესახებ ძალიან ზოგადი ცოდნა მაქვს, არცერთი სახელი არ მახსოვს.

— დიახ, ჩემი ცოდნა ჩემთან ერთად მოკვდება,— წყნარად გაიმეორა. — გარდა იმ შემთხვევისა...

— გარდა იმ შემთხვევისა... — ჩავეძიე.

თუკი შევძლებ ჩემს დროში დაბრუნებას.

* * *

შემდეგ რამდენჯერმე მომიხდა აფრიკაში მივლინებით გამგზავრება. დაბრუნებისას ყოველთვის ვნახულობდი პოლს. აღარაფერს აქვეყნებდა, მაგრამ გამალებული მუშაობდა მისი მითითებებით აგებულ კერძო ლაბორატორიაში. ჩემი მეორე მოგზაურობის დროს მან ცოლად შეირთო ანი, ფიზიკის ფაკულტეტის

სტუდენტი, ხოლო მესამე მოგზაურობის დროს კი შეეძინათ ვაჟი. კატასტროფა ჩემი მეოთხედ დაბრუნებისას მოხდა.

კლერმონში გვიანი ღამით ჩავედი და დილაადრიან გავეშურე პოლის ლაბორატორიაში. ლაბორატორია განმარტოებულ ადგილას პატარა ბორცვზე იდგა, ქალაქიდან რამდენიმე კილომეტრში. გზატკეცილიდან გვერდითა გზაზე რომ ვუხვევდი თვალში მეცა აბრა:

ნუ შემოხვალთ! საშიშია სიცოცხლისათვის!

ჩავთვალე, რომ ეს გაფრთხილება მე არ მეხებოდა და არ გავჩერებულვარ. სახლის წინ მდელოზე არც კი ვიყავი მისული, რომ თმები ყალყზე დამიდგა, აბრეშუმის შარი-შურის ხმა გავიგე და გრძელმა იისფერმა ნაპერწკალმა გაიელვა საჭესა და ხელსაწყოთა დაფას შორის. მკვეთრად დავამუხრუჭე. ლაბორატორიის ირგვლივ ჩემთვის უკვე ნაცნობი იისფერი შუქი ციმციმებდა. დიდი ფანჯრის მიღმა პოლის მაღალი სილუეტი დავლანდე. ხელი ამიწია. არ ვიცი, მემშვიდობებოდა თუ მიბრძანებდა, გავჩერებულიყავი. იისფერი ნათება უეცრად დამაბრმავებელი გახდა და თვალები დავხუჭე. თვალები რომ გავახილე, ყველაფერი უკვე წესრიგში იყო, მაგრამ ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ რაღაც გამოუსწორებელი მოხდა. მანქანიდან სწრაფად გადმოვედი, გასაღებით ჩაკეტილი კარი მხარით ჩამოვიღე. შიგნიდან ბოლქვებად გამოდიოდა სქელი კვამლი და უღრუბლო ცაში ადიოდა. ლაბორატორიას ცეცხლი ეკიდა. ძლივს ვიპოვე პოლი: რაღაც უცნაური ხელსაწყოს გვერდით იწვა. მის თავზე დავიხარე. მკვდარი იყო და სახეზე ღიმილი შეჰყინვოდა. მის გვერდით უძრავად იწვა ანი.

ანი გარეთ გამოვიყვანე, პოლის გამოსაყვანად შევბრუნდი და დიდი ძალისხმევით, როგორც იქნა გარეთ გამოვათრიე გრძელი მძიმე ცხედარი. როგორც კი იგი ანის გვერდით მივაწვინე, შენობაში ყრუ აფეთქების ხმა გაისმა და ცეცხლმა მთელი ლაბორატორია შთანთქა. ცხედრები მანქანაში მოვათავსე და, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ სასწაულის იმედი შეიძლებოდა მქონოდა, დიდი სისწრაფით ქალაქის საავადმყოფოს მივაშურე. ვაგლახ, რომ სასწაულები არ ხდება. ორივე მკვდარი იყო.

სულ ესაა. სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფლებამ საგულდაგულოდ გამოიკვლია იქაურობა, ნახანძრალი გადაქექა და მთელი ნაცარი გაცრა, მაგრამ ვერაფერი იპოვეს. ჩემთან ლაბორატორიაში დალუქული კონვერტი დამხვდა, მასში სქელი ხელნაწერი იდო. წინა დღით პოლს თავად მოეტანა იგი და ჩემი თანაშემწისათვის გადაეცა. ამ ფურცლებს ახლა წაიკითხავთ. როგორც უკვე მოგახსენეთ, პოლმა თავისი ქონების ნაწილი დამიტოვა, ნაწილი იმისა, რასაც „გასართობს“ ეძახდა, რელიეფური ტელევიზორი. ანდერძის თანახმად მისი ვაჟის მეურვედ დავინიშნე. ჟანი ახლა 12 წლისაა, ამდენი ხანი ვორჭოფობდი, პოლის, უფრო სწორედ კი ჰაურკის ხელნაწერის გამოქვეყნების თაობაზე. შესანიშნავად ვიცი, რომ მემკვიდრეობითობა ქრომოსომებშია ჩაბუდებული, რომ პოლ დიუპონს თავისი ძისათვის მხოლოდ იმ თვისებების გადაცემა შეეძლო, რომელიც მას თავად

ჰქონდა და არა ჰაურკისა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩემს თავს ხანდახან გამოვიჭერ ხოლმე ამაზე ეჭვებში. ჟანი თორმეტი წლისაა, თავის ბიბლიოთეკაში საყმაწვილო წიგნებს შორის ფიზიკის სხვადასხვა საერთაშორისო კვლევითი ცენტრების გამოცემები უდევს, რომელთაც აშიებზე თვითონვე აწერს შენიშვნებს.

ამ ხელნაწერის გამოსაქვეყნებლად გადაცემის მომენტში, მსურს დავამატო ორიოდ სიტყვა. წუხელ უცნაური რამ მეზმანა, რაც მაფიქრებინებს რომ ჰაურკმა წარმატებას მიაღწია, თუნდაც ნაწილობრივს. წარმატება სრული არ ყოფილა, რამეთუ პოლ და ან დიუპონების ცხედრები კლერმონის სასაფლაოზე განისვენებენ. მომეჩვენა, თითქოს ჩემი საძინებელი ოთახი იისფერი შუქით იყო გაჩახჩახებული. მას მილის ფორმა ჰქონდა და მის შუაგულში მე ვიდექი. მეორე ბოლოში მაღალი, შავთმიანი მამაკაცი მიღიმოდა; უცნობი მაგრამ იმავდროულად რაღაცნაირად ნაცნობი. მას გვერდით ედგა ქერა ქალი, ისიც უცნობი, მაგრამ მის ღიმილში რაღაც ანასეული გამოსჭვიოდა. დღეს დილით კი ჩემ ღამის მაგიდაზე დამხვდა ძალიან ლამაზი ქაღალდის ნაგლეჯი, რომელზეც ეწერა: უთხარი ჟანს, რომ იმედი გვაქვს, რამდენიმე წელში შევძლებთ მის წასაყვანად მოსვლას.

სიზმარი იყო. არ მეღვიძა, მაგრამ ქაღალდის ამ ნაგლეჯს რა ვუყო?

თავი მეორე

მომავლის მონახაზები

ეს მე — ჰაურკი, ჰაურკ აკერანი, გელაპარაკებით, დიადი მწუხრის ხანის უზენაესი გამრიგე, რომელიც ჯერ კიდევ აუხსნელი გზით მოვხვდი ისეთ შორეულ წარსულში, რომ ჩვენ — ჰელერის ხალხმა, თქვენებურად დედამიწელებმა, ამ დროის შესახებ თითქმის არა ვიცით რა.

ხანდახან როცა თვალებს ვხუჭავ, ეს ყველაფერი სიზმარი მგონია. უცებ მიწისქვეშ ექვსას მეტრზე ჰური-ჰოლდეს ცენტრში, სოლოდინში აღმოვჩნდები ხოლმე, ჩემს კაბინეტში. დიდი მეტროპოლის გუგუნი შემომესმება ხოლმე... გუგუნი რომელიც საიზოლაციო ტიხრებს ლახავს და ჩემამდე მოაქვს ოდესმე არსებულ ქალაქთაგან ყველაზე დიდის გულისცემა — გულისცემა შემდგარი სხვადასხვა ხმაურისაგან, ვიბრაციებისაგან და სიჩუმისაგან. მეჩვენება ხოლმე, რომ საკმარისია ხელის გაწვდენა, მარცხნიდან მესამე, ჩემთვის კარგად ნაცნობ ღილაკზე დაჭერა, რომ ჩემს წინაშე ეკრანზე გამოისახოს ჩემი გუნების თანახმად ქალაქის ქუჩები ან დიადი მწუხრის შავი ცა.

მეჩვენება ხოლმე (ო! რაოდენ მტკივნეულია ეს განცდა), რომ რენიას მსუბუქი ნაბიჯების ხმა შემომესმება, ჩემსკენ დაიხრება და დამელაპარაკება იმ ტკბილი ხმით, რომელიც ყოველთვის მამხნევებდა, როცა ორი მსოფლიოს ბედ-იღბალი მხრებზე მაწვა.

კიდევ უფრო მტკივნეულია, როცა მეჩვენება ხოლმე არელი, ჩვენი მხოლოდშობილი ძე. ბოლოს მაშინ ვნახე, როცა იმ საბედისწერო ცდის ჩასატარებლად მივეშურებოდი ლაბორატორიაში, რომელმაც თქვენს დროში გადმომისროლა. ანტიგრავიტაციულ პარკში თავის მეგობრებთან ერთად ტელბირელმეკობრეობანას თამაშობდა. ბავშვების თამაშებია ის ერთადერთი რაც არ შეცვლილა ან თითქმის არ შეცვლილა და რომელიც თითქმის ისეთივე დამხვდა თქვენს დროში, როგორიც ჩვენსაში იყო. უცნაურია! მღვიმის წინ მოთამაშე კრომანიონელი ბავშვის თამაშობებს, ალბათ, ადვილად გაიგებდნენ და სიამოვნებით ითამაშებდნენ როგორც დღევანდელი, ისე დიადი მწუხრის ხანის ბავშვები.

ვინაიდან გადავწყვიტე, ჩემი დღევანდელი თანამედროვეებისათვის ამეწია ის ფარდა, რომელიც მათგან დედამიწის მომავალს ფარავს, ალბათ უკვე დროა, რომ დავიწყო. დასაწყისისთვის მოგაწვდით რამდენიმე ისტორიული ცნობას. ბევრი არა ვიცი რა, რამეთუ წარსულის შესასწავლად დრო არ მქონდა. როგორც უკვე ვუთხარი ჩემ მეგობარს, პერიზაკს, ეს ცნობები ვერ შესძლებენ მომავლის შეცვლას, თუკი მსგავსი რამ საერთოდ შესაძლებელია.

გეოლოგიური თვალსაზრისით თქვენი ხანა თავის დასასრულს უახლოვდება. არ ვიცი გემუქრებათ თუ არა ახალი ომი, რომელიც როგორც შიშობთ ბოლოს მოუღებს თქვენს ცივილიზაციას. ასეთ წვრილმანებს ჩვენამდე არ მოუღწევია. სამაგიეროდ შემიძლია გითხრათ, რომ თქვენ მთვარის გარდა კიდევ რამდენიმე პლანეტას აითვისებთ. თქვენი ნაკვალევი აღმოვაჩინეთ მარსსა და ვენერაზე. თუმცაღა

მეეჭვება, რომ იქ საფუძვლიანად მოგეკიდოთ ფეხი, ვინაიდან თქვენი ნაკვალევი ცოტაა, თავად ვნახე ისინი ვენერაზე. ვენერა პირვანდელ მდგომარეობაშივე დატოვეთ, ისე რომ არც კი გიცდიათ მისი ადამიანისათვის მისადაგება. შესაძლებელია, ეს მოგზაურობები ომის გამო შეგეწყვიტათ, მაგრამ უფრო სავარაუდოა, რომ ამის მიზეზი მეხუთე გამყინვარება გამხდარიყო, რომელიც სრულიად მოულოდნელად და უეცრად მოხდა. ადვილი წარმოსადგენია, რაც მაშინ შეიძლებოდა მომხდარიყო. თქვენი ტექნიკა ძალზე სუსტი იქნებოდა გამყინვარებასთან საბრძოლველად, მიუხედავად იმისა, რომ ატომური ენერგია უკვე თქვენს განკარგულებაში იყო და რომ ჩემს მიერ დათესილი იდეებიც მალე გამოიღებდნენ ნაყოფს. მინდა გაგაფრთხილოთ, რომ გამყინვარების წინაღმდეგ ატომური ენერგიის გამოყენება ამინდზე ეფექტური კონტროლის გარეშე, საბოლოო ჯამში, უფრო აჩქარებს ამ პროცესს. გამყინვარება ყინულისაგან თავისუფალი სამხრეთის მიწების დასაუფლებლად გაჩაღებულ სასტიკ ომებს, საბოლოო ჯამში კი, ცივილიზაციის დაცემას გამოიწვევს. სწორედ მაშინ დაიწყო კაცობრიობის პირველი მწუხრი, წინამორბედი ჩვენი მემატიანეთათვის ცნობილი სხვა მწუხრებისა.

მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე გამყინვარების ხანები, როგორც ჩანს, ერთმანეთის მიყოლებით მოხდა, რამდენადაც მიწათმცოდნეობის ლექციებიდან მახსოვს, ძალიან მოკლე ინტერვალებით. მეეჭვება, რომ ადამიანებს ამ მოკლე ინტერვალებში ერთხელ მაინც მიეღწიოთ თქვენი ცივილიზაციის დონისათვის. ყოველ შემთხვევაში ჩვენამდე ამის დამადასტურებელ კვალს არ მოუღწევია. სამაგიეროდ მეშვიდე გამყინვარების შემდეგ დაიწყება ხანგრძლივი ციკლი, ამის მიზეზები არ ვიცი, ჩვენი გეოლოგები კი შესძლებდნენ ახსნას,.. ციკლი რომელიც გაგრძელდებოდა მილიონობით წლები, რომ არა. მოდით, ძალიან ნუ გავუსწრებთ მოვლენებს.

მეშვიდე გამყინვარების შემდეგ კაცობრიობამ თითქმის ნულიდან დაიწყო თავისი არსებობა, ცივილიზაციის დაახლოებით ისეთი დონიდან, რომელიც თქვენს ზედა პალეოლითს შეესაბამება, ცხადია, მცირედი განსხვავებებით. ჩვენი გეოლოგები თვლიან, რომ ყველა ეს გამყინვარება თავისი ხანმოკლე პერიოდული დათბობებით გრძელდებოდა 200 000 წელი და კიდევ 10 000 წელი დასჭირდა კაცობრიობას მღვიმეებში ცხოვრებიდან პირველ დასახლებებში ცხოვრების დასაწყებად და შემდეგ ნამდვილი ცივილიზაციის მისაღწევად. მე დავიბადე ამ ახალი ხანის 4575 წელს. მაშასადამე მე თქვენს მომავალში დაახლოებით 210 000 წელს უნდა მეცხოვრა.

ვინ ვართ ჩვენ, თქვენი შორეული შთამომავლები? ბევრი თქვენი წინასწარმეტყველი გაწბილდება, ჩვენ თითქმის არ შევცვლილვართ. ჩვენი თავის ქალის ზომას არ მიუღწევია გიგანტურ ზომებამდე, არ გავმელოტებულვართ და არც კბილები და ფრჩხილები დაგვიკარგავს, მეტსაც გეტყვით — პირველიც, მეორეც და მესამეც თქვენზე გაცილებით უკეთესი ხარისხის გვაქვს. არც კაფანდარა ჯუჯებად გადავქცეულვართ და არც ნახევრად ღმერთებად, თუმცაღა ჩვენი საშუალო სიმაღლე თქვენსას აღემატება. ფეხებსა და ხელებზე ისევ ხუთ-ხუთი თითი გვაქვს, მაგრამ ფეხის ნეკი უფრო გადმონაშთური გახდა. არც ტელეპათები გავმხდარვართ, არც ნათელმხილველები და არც ტელეკინეზს დავუფლებივართ. რაღაც ცვლილებები, ცხადია, მაინც მოხდა: სხვადასხვა რასები ერთ რასად შეირწყა, ჩვენი კანი თქვენსაზე უფრო მუქია, მუქი კი არა ხორბლისფრის თქმა უფრო სწორი იქნებოდა. უმრავლესობას შავი თმები და თაფლისფერი თვალები გვაქვს. მიუხედავად ამისა, მაინც გვხვდება ქერათმიანი ხალხი ღია ფერის თვალებით, სხვათაშორის მე

ნაცრისფერი თვალები მქონდა. ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი შინაგანი ცვლილებები იყო, ჩვენი ტვინის უჯრედები და სიმკვრივე თქვენთან შედარებით გაიზარდა და ხალხი უფრო ჭკვიანი გახდა, მაგრამ გენიოსების რასად არ გადავქცეულვართ. უბრალოდ გაქრნენ დაბალი ინტელექტის მქონე ადამიანები. ხოლო რაც შეეხება გენიოსებს, ისინი ჩვენთანაც ისეთივე იშვიათობაა, როგორც თქვენთან. თუ მეხსიერება არ მღალატობს, თავისი განვითარების გზაზე ჩვენმა ცივილიზაციამ შემდეგი საფეხურები გაიარა: ახალი პალეოლითისა და ნეოლითის მერე, მეშვიდე გამყინვარების დასასრულს თქვენსავით ლითონის ხანაში გადავედით. თქვენზე უფრო მეტად გაგვიმართლა და დაახლოებით თქვენი კლასიკური ანტიკურობის შესატყვის ხანაშივე დამთავრდა ნაციონალისტური საფეხური, თუკი ეს ცნება შეიძლება მოერგოს ქალაქებს შორის შუღლს. კაცობრიობა, მხოლოდ ერთ დიდ კუნძულზე, კიობუზე შემორჩა, რომელიც მალე ერთიანი სახელმწიფო გახდა. შემდეგ ხალხი კვლავ განსახლდა დედამიწის სხვა ადგილებზეც, მაგრამ ჩვენ მუდამ ვინარჩუნებდით ერთ, დიდ ცივილიზაციას, უმნიშვნელო ადგილობრივი ცვლილებებით. ამგვარად კონფლიქტის მრავალი საბაბი აღმოიფხვრა.

თუმცაღა ცივილიზაციის ერთფეროვნება აფერხებდა განვითარებას, რაც იწვევდა სტაგნაციის გრძელ პერიოდებს, ხანდახან უკუსვლასაც, რომელსაც ჩვენი ისტორიკოსები მწუხრს უწოდებენ.

დაახლოებით 1810 წელს კუნძულ კიობუს გაერთიანების დღიდან დაიწყო ჩვენი პირველი დიდი აღმოჩენების პერიოდი. ხელახლა გამოვიგონეთ პირველი მანქანა, შემდეგ ელექტროენერგია და ბოლოს დაახლოებით 1923 წელს (ჩვენი და თქვენი ხანების თარიღების დამთხვევას იმ აზრამდე მივყავარ, რომ არსებობს კაცობრიობის განვითარების ბუნებრივი რიტმი!) ატომური ენერგიის გამოყენებაც დავიწყეთ. 20 წლის მერე — ჩვენ არ გვქონია სამხედრო საიდუმლოების მუხრუჭი — პირველი ექსპედიცია მთვარეზე გაფრინდა და ჩვენდა გასაოცრად ადამიანის ნაკვალევი აღმოაჩინა. მაგრამ გარწმუნებთ თქვენ იქ პირველები იყავით! მოგვიანებით, სადღაც 1950 წელს მარსზეც გავფრინდით, იქაც თქვენი ნაკვალევი დაგვხვდა, ხოლო 1956 წელს ვენერასაც მივაღწიეთ. თავიდან, ვიდრე მე თვითონ არ გავაკეთებდი სენსაციურ აღმოჩენას, გვეგონა, რომ პირველები იქ ჩვენ მივედით.

როგორც მოგეხსენებათ, მთვარე უნაყოფოა. მასზე ჰაერი არ არის და სიცოცხლე იქ არასოდეს არსებულა. მთვარისაგან განსხვავებით, მარსზე კი არსებობდა გონიერი არსებების რასა, მაგრამ მათი ცივილიზაციის მნიშვნელოვანი ნაკვალევის აღმოჩენა დიდ ხანს ვერ ხერხდებოდა. ამ ვითარებას წერტილი დაუსვა არქეოლოგმა კლობორმა. რაც შეეხება ვენერას, ფორმალდეჰიდის ღრუბლით მოცული დაგვხვდა, უსიცოცხლო და სიცოცხლისათვის გამოუსადეგარი.

ამას დიდად არ დავუნაღვლიანებივართ. ჩვენი მეცნიერება წინ ვეება ნაბიჯებით მიიწევდა, და ძალიან მოკლე დროში შევძელით ვენერის ატმოსფეროს სრული შეცვლა. ამ საქმის მოთავის სახელი მახსოვს და ვინაიდან იგი ჩვენს ხანას ეკუთვნოდა და არა თქვენსას, მისი სახელის დამალვას აზრი არ აქვს. ჩემი ხელნაწერი მაშინ უკვე დიდი ხნის დავიწყებული იქნება. მას პოულ ანდრ'სონი ერქვა და მის კალამს ეკუთვნის დიადი ნაშრომი, რომელსაც სათაურად „დიდი წვიმა“ უწოდა.

როცა ვენერა სიცოცხლისთვის ვარგისად ვაქციეთ, იგი მალევე ავითვისეთ. ვენერისაგან განსხვავებით, მარსი ძირითადად გამოკვლევებისა და წიაღისეულთა

მოპოვება-გადამუშავების პლანეტად დარჩა და იქცა კოსმოდრომად სხვა, შორეულ პლანეტებზე გადასაფრენად. იქიდანვე ვცდილობდით ვარსკვლავებამდე მიღწევას. მაგრამ ამაზე მოგვიანებით მოგახსენებთ.. დიდი წვიმა 1988 წელს დაიწყო და 2225 წლამდე გაგრძელდა, მაგრამ მოახალშენეთა დასახლება გუმბათებს ქვეშ წვიმის დამთავრებამდე ბევრად ადრე დაიწყო.

2245-3295 პერიოდს დიდი ხნის მანძილზე „დიად მწუხრს“ ვეძახდით მაგრამ ახლა მას „წყვდიადის ათასწლეულს” ვეძახით.

ერთ მშვენიერ დღეს, ყოველგვარი მომასწავებელი ნიშნების გარეშე, დედამიწას თავს დაესხნენ. ამის წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელი იყო. კბილებამდე შეიარაღებული არსებები კოსმოსიდან გამოჩნდნენ, რამდენიმე კვირის განმავლობაში მიმდინარე გამთანგველი ბრძოლების შემდეგ გატეხეს კაცობრიობის წინააღმდეგობა, დაიმონეს იგი და ჩვენს პლანეტაზე ბატონობდნენ ათას წელზე მეტ ხანს. არ ვიცოდით, საიდან მოდიოდნენ. არც ის ვიცოდით, საით გაეშურნენ სიკვდილს გადარჩენილნი. იქნებ ერთ დღეს ხელახლა შევხვდეთ კიდეც მათ, მაგრამ, ამჯერად, უკვე საკმაოდ ძლიერნი ვართ მათ წინაღსადგომად. ადამიანის არაფერი ეცხოთ: რვა თათზე შეყენებულ კასრებს ჰგავდნენ, ამ კასრებს ზემოდან შვიდი საცეცი ება. მათი უღლის ქვეშ კაცობრიობა დიდი ხნის მანძილზე იტანჯებოდა უდრტვინველად, მაგრამ საწყალობელ მიწისქვეშა ლაბორატორიებში თითო-ოროლა ადამიანი მაინც ინარჩუნებოდა ჩვენი მეცნიერების მთრთოლვარე ალს, დღე და ღამე ეძებდა განმათავისუფლებელ იარაღს. როგორც იქნა ვიპოვეთ ასეთი იარაღი — დამპყრობლებისთვის მომაკვდინებელი ვირუსის შტამი, რომელიც უსაფრთხო იყო ადამიანისთვის. მტერი ვერც კი მიხვდა, რომ სენი რომელიც მუსრს ავლებდა, ჩვენი ნახელავი იყო. ბოლოს და ბოლოს დანებდნენ და ერთ მშვენიერ დღეს გუდა-ნაბადი აიკრიფეს და მათმა ყველა კოსმომფრენმა დატოვა დედამიწა, ვარსკვლათმფრენებმა თან წაიყოლეს გადარჩენილი მომხდურები, ერთი მილიონიღა თუ იქნებოდა, მათი საწყისი რაოდენობის ერთი მეათასედი. გაფრენის წინ გაანადგურეს ყველაფერი, რაც ააშენეს და, რომ არა მომხდურების მიერ დატოვებული ერთი ფასდაუდებელი რამ — კოსმომაგნეტიზმის ცნება, შეიძლებოდა გვეთქვა, რომ კაცობრიობამ ამაოდ დაჰკარგა ათასწლეული. კოსმომაგნეტიზმი ჩვენი ძლევამოსილების საფუძველი გახდა. ამის შესახებ მოგვიანებით მოგახსენებთ. დრუმების (გავოცდი როცა გავიგე, რომ თქვენ ინგლისურ ენაზე ეს სიტყვა „დოლს” ნიშნავს, რომელიც საკმაოდ ზუსტად გადმოგვცემს ამ უცხოპლანეტელთა გარეგნობას) გაფრენიდან 3600 წლამდე აღშენების ხანა იყო. კაცობრიობას ძალიან დიდი ზარალი მიაყენა დრუმების მიერ გამოწვეულმა ნგრევამ, ადამიანთა უმეტესობა საშინლად გაუნათლებელი იყო. მეცნიერები თითქმის აღარ იყვნენ, ენერგიის წყარო — კიდევ უფრო ნაკლები. მაგრამ ჩვენი ცივილიზაცია ვენერელი მოახალშენეების დახმარებით, რომელთაც დრუმებმა ყურადღება არ მიაქციეს, კვლავ წინ გაიჭრა და 4102 წელს ჩვენს აღმოჩენებს შორის უდიდესი აღმოჩენა გავაკეთეთ — აღმოვაჩინეთ ზესივრცე. მიგვაჩნდა, რომ ჩვენთვის მთელი სამყარო აწ ხელის ერთ გაწვდენაზე იყო!

თავიდან რეაქტიული და შემდეგ უკვე კოსმომაგნიტური ხომალდების მეშვეობით შევძელით მთელი მზის სისტემის გამოკვლევა, მერკურიდან... რა ვუწოდო პლუტონის ორბიტის მიღმა მდებარე თქვენთვის ჯერ უცნობ პლანეტას? დავარქვათ ჰადესი. იგი უმნიშვნელო პლანეტუკაა, მაგრამ საყეა რომელიც მზის სიტემის საზღვრებს აღნიშნავს. რეაქტიულ ხომალდებზე ბევრად უფრო მძლავრ

კოსმომაგნიტურ ხომალდებსაც კი არ შეუძლიათ სინათლის სიჩქარის არათუ აღმატება არამედ მიღწევაც კი. და მიუხედავად იმისა, რომ არსებობს უფრო სწრაფი გამოსხივებები ვიდრე სინათლე, იგი მაინც გადაულახავ ბარიერად რჩება ყველა კოსმომაგნიტური თვისებების მქონე სხეულისთვის. ეს უფრო ჩქარი გამოსხივებები ელექტრომაგნიტური ბუნებისა არ არიან და მათ რა სახის ნივთიერება შეესაბამება, ჩვენთვის უცნობია. მათი გამოყენება მხოლოდ უკიდურესად რთულ ხელსაწყოებშია შესაძლებელი, სადაც კოსმომაგნეტიზმის დახმარებით ხდება სივრცე-დრო-ნივთიერების ურთიერთქმედება. ამაზე მეტს ვერ გეტყვით. თქვენს შორის რამდენიმე დიადი ჭკუაა და ვერ გავრისკავ მომავლის შეცვლას. ისიც საკმარისია, რომ რამდენიმე თვის წინ დავყევი სხვათა ნებას და დავამტკიცე ასეთი გამოსხივებების თეორიული შესაძლებლობა.

უკვე გადაწყვეტილი იყო უახლოეს ვარსკვლავზე კოსმომაგნიტური ხომალდის გაგზავნა, როცა სნიკალმა ზესივრცე აღმოაჩინა. უღრუბლო ცაზე მეხის გავარდნასავით იყო. დრუმებიც კი არ იყენებდნენ ზესივრცეს, არადა მათი მეცნიერება ჩვენსაზე ბევრად უფრო წინ იყო წასული. სნიკალმა ჯერ მისი თეორიული არსებობა აჩვენა, შემდეგ კი — მისი გამოყენების შესაძლებლობა. ფიზიკის ყველა ლაბორტორიამ ამ პრობლემაზე მუშაობა დაიწყო და სამი წლის შემდეგ პირველი ზესივრცემფრენის აგებას შევუდექით.

ხომალდმა დედამიწა 4107 წლის ოცდამეათე დღეს დატოვა. ეკიპაჟი თერთმეტი მამაკაცისა და ოცდაცამეტი ქალისაგან შედგებოდა. იგი უკან აღარ დაბრუნებულა. მეორე გაფრინდა 4109 წელს, მესამე 4120-ში, ხოლო შემდეგ ყოველწლიურად თითო ზესივრცემფრენი მიფრინავდა და ასე გრძელდებოდა 4125 წლამდე. მხოლოდ 4113 წელს გაფრენილი ზესივრცემფრენი დაბრუნდა, 4132 წელს.

და სამწუხარო ჭეშმარიტება გავიგეთ. დიახ, ზესივრცის გავლით ჩვენ შეგვიძლია გალაქტიკის ნებისმიერ წერტილში მოხვედრა, მეტიც შეგვიძლია გავცდეთ კიდეც მის საზღვრებს, მაგრამ შეუძლებელია ვიცოდეთ, თუ სად მიგვიყვანს მორიგი ნახტომი და პრაქტიკულად არ გვაქვს დედამიწაზე დაბრუნების შანსი.

„თიუსის", დედამიწაზე დაბრუნებული ერთადერთი ზესივრცემფრენის, ოდისეა ოცი წელი გრძელდებოდა. ზესივრციდან მან ერთ-ერთი საპლანეტო სისტემის ახლოს ამოყვინთა, რომელიც ჩვენთვის სამუდამოდ უცნობი იქნება. G2 ტიპის ვარსკვლავის სისტემა იყო. ვარსკვლავს 11 პლანეტა ერტყა გარს, მათგან ორი ადამიანის სიცოცხლისთვის ვარგისი იყო, მაგრამ, ცხოველების გარდა, იქ ვერავინ იპოვეს. დედამიწის ცისაგან ძალიან განსხვავებული ცა ღამღამობით გიგანტური ვარსკვლავებით იყო მჭიდროდ მოოჭვილი. ამ სისტემას 5 წლის მანძილზე აკვირდებოდნენ, შემდეგ კი უკან დასაბრუნებლად მოემზადნენ. გულდასმით გადაამოწმეს ყველა გამოთვლა და ზესივრცეში გავიდნენ.

თავი თითქმის სრულ წკვარამში ამოყვეს, სადღაც ირმის ნახტომსა და ანდრომედას ნისლეულს შორის. როგორც ჩანდა, რაღაც არ გამოდიოდა. ხელახლა აიღეს გეზი ჩვენი გალაქტიკისკენ და ახალი „ნახტომი" გააკეთეს. ამჯერად ისე ახლოს აღმოჩნდნენ გიგანტურ ვარსკვლავთან, რომ იმწამსვე ზესივრცეში დაბრუნდნენ. ასე გრძელდებოდა რამდენიმე წელი. ძალების აღსადგენად ალაგ-ალაგ შემოხვედრილ სტუმართმოყვარე პლანეტებზე ჩერდებოდნენ. უცხო საკვების მიღებითა და უცნობი დაავადებების გამო „თიუსის" მუსრგავლებული ეკიპაჟი შემთხვევის წყალობით დედამიწაზე დაბრუნდა. მათ მიერ შეგროვებული მონაცემები გაანალიზებულ იქნა და, შედეგად, მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე,

რომ ზესივრცეში ირღვევა მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, რომ მიმართულების ცნება იქ, ფაქტობრივ, ჰკარგავს აზრს. ამგვარად დიდი ხნით იქნა მივიწყებული კაცობრიობის უდიდესი ოცნება — ვარსკვლავებამდე მიღწევა! არა, არ იფიქროთ, რომ იმედი გადაგვეწურა, ჩვენ ვაგრძელებდით ამ ამოცანაზე მუშაობას, მაგრამ ამოცანა ჯერ გადაჭრილი არ გვქონდა, როცა „დიადი მწუხრი" დადგა.

დანარჩენ ზესივრცემფრენთა შესახებ არაფერი გაგვიგია. რომელიმე ჩვენთვის უცნობ მსოფლიოში გაანადგურეს? ან იქნებ ხეტიალისა და შინ დაბრუნების გზის მონახვის ფუჭი მცდელობებისაგან დამაშვრალმა ეკიპაჟებმა სხვა პლანეტებზე მოიკიდეს ფეხი? პასუხი მოგვიანებით მივიღეთ, ისიც არასრული.

მაინც არ დავნებებულვართ და ძალის დაუშურებლად კვლავ შევუდექით კოსმომაგნიტურ ძრავებზე მუშაობას. კოსმომაგნიტური ძრავები გამოგონილი იქნა, უფრო სწორად კი, ხელახლა იქნა აღმოჩენილი ადამიანების მიერ, რადგან დრუმებს ისინი ჯერ კიდევ 3910 წელს ჰქონდათ. უფრო ზუსტი ტერმინის არქონის გამო მათ მკვებავ ენერგიას კოსმოსური მაგნეტიზმი ვუწოდეთ, რადგანაც მისი ზოგიერთი ეფექტი მაგნეტიზმს ჰგავდა. კოსმომაგნეტიზმი არის ის ძირითადი ძალა, რომელიც ყველაფერს აკავშირებს ერთმანეთთან, ატომებიდან გალაქტიკებამდე. ამ სახის ძალური ველები განჭოლავს მთელ ჩვენ სამყაროს და, მისი დახმარებით, ხომალდს შეუძლია განავითაროს სინათლის სიჩქარის რვა მეათედამდე. ამისათვის საჭიროა ცალპოლუსიანი კოსმომაგნიტის მსგავსი რამის შექმნა (ძალიან უხეში მაგალითია, მაგრამ ესეც კმარა) და ამგავრად...

მაშ ასე, ბრამუგის ძველ პროექტს დავუბრუნდით. 4153 წელს კოსმომაგნიტურმა ხომალდმა მზის სისტემაში დაიწყო აჩქარება და ჰადესის ორბიტას რომ გასცდა მისმა სიჩქარემ სინათლის სიჩქარის ნახევარს მიაღწია. უახლოესი ვარსკვლავისაკენ ჰქონდა გეზი აღებული, რომელიც, თქვენი დროისგან განსხვავებით, ჩვენს დროში კენტავრის პროქსიმა აღარ იყო. აჩქარებისა და დამუხრუჭებისათვის საჭირო დროის გათვალისწინებით ხომალდი თორმეტ წელიწადში უნდა დაბრუნებულიყო. მაგრამ იგი ხუთ წელზე ნაკლებ დროში, 4158 წლის დასაწყისში დაბრუნდა. ჩვენი მარცხის მიზეზს მალევე აეხადა ფარდა. ყოველ ვარსკვლავს გარს კოსმომაგნიტური ველი არტყია, რომელიც მეზობელი ვარსკვლავის ასეთივე ველამდე ვრცელდება. ორი ველის შეხების ადგილას პოტენციალთა თავისებური წინაღობა წარმოიქმნება, რომელიც არ ახდენს გავლენას სხვადასხვა გამოსხივებაზე, მაგრამ მისი გადალახვა შეუძლებელია მატერიალური სხეულებისათვის თუ მათი მასა არ აღემატება გარკვეულ კრიტიკულ მასას. ჩვენი ვარსკვლავთმფრენი ნელ-ნელა დამუხრუჭდა. წინაღობის გადასალახად გაწეული ყოველგვარი ძალისხმევა ამაო აღმოჩნდა.

აშკარა იყო, ამ წინაღობის გადალახვა შესაძლებელია, დრუმების ვარსკვლავთმფრენებმა, რომლებიც ჩვენსაზე ოდნავ დიდები იყვნენ ხომ შესძლეს! მაგრამ ვერც ამ ხერხის აღმოჩენა შევძელით დიად მწუხრამდე და სწორედ ამ საკითხზე ვმუშაობდი, როცა ის ამბავი შემემთხვა, რომელმაც თქვენს დროში გადმომისროლა.

გამოთვლებმა აჩვენეს, რომ წინაღობის გადასალახად ვარსკვლავთმფრენს დაახლოებით ისეთივე მასა უნდა ჰქონდეს რაც მთვარეს! ამ შედეგმა საბოლოოდ გადაწყვიტა ერთი ძველი პრობლემა: კომეტები არ არიან „უსასრულობაში მაწანწალები", როგორც ზოგიერთ მათგანზე ვფიქრობდით. მზის კოსმომაგნიტურ ველს ისინი სამუდამოდ ჰყავდა გამომწყვდეული.

მაშასადამე, დრუმების ან რომელიმე სხვა ხერხის მიგნებამდე შეუძლებელი იყო

ჩვენი კოსმოსური ციხიდან გაღწევა. სინათლის სიჩქარის მიღწევა რომ შეგვეძლოს თითქმის, ვარსკვლავთმფრენის მასის მატება საკმარისი იქნებოდა კოსმომაგნიტური წინაღობის გადასალახად,

მაგრამ ჩვენს მიერ მიღწეულ სიჩქარეებზე ეს მატება საკმარისი არ იყო. მეორე მხრივ კი, სულ მცირე სიჩქარით მოძრავი მთვარის მასის მქონე სხეული მას ადვილად გადალახავდა. მაგრამ ამხელა მანქანის შექმნა და მისი დაძვრა მაშინ ჩვენს ძალებს აღემატებოდა. თანაც იმ დროს კოსმომაგნეტიზმსაც ვერ ვფლობდით სათანადოდ. ამიტომ სამყაროს დაპყრობაზე დროებით უარის თქმა მოგვიხდა. 4602 წელს ჯერ კიდევ არ გვქონია წინსვლა ამ საქმეში.

ახლა კი, რამდენიმე სიტყვით მინდა შევეხო ჩვენს ცხოვრებას, რომელიც ესოდენ განსხვავდება თქვენისაგან. გეოგრაფიული თვალსაზრისით დედამიწის ზედაპირი მთლიანობაში დიდად არ შეცვლილა. კვლავინდებურად არსებობდა ორი დიდი კონტინენტური მასივი — ევრაზია-აფრიკა და ამერიკები, მაგრამ ამერიკები უფრო მეტად შეერწყნენ ერთმანეთს, მექსიკის ყურე გაქრა და ხმელეთად იქცა. ატლანტიკის შუაგულში არსებობდა — იარსებებს — ახალი დიდი კუნძული ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ძლიერ გაწელილი, რომელსაც მთელს გაყოლებაზე პატარა მთების ქედი გასდევს. იგი, როგორც ჩანს, უეცრად გაჩნდა მეშვიდე გამყინვარების ხანაში ატლანტიკის ოკეანეში დღევანდელი წყალქვეშა ქედის ადგილას, იქ სადაც პატარა სიღრმეებია. ჩვენს დროში დედამიწის მოსახლეობა ხუთ მილიარდს აღწევდა, მაგრამ მოსახლეობა დედამიწის ზედაპირზე თქვენგან განსხვავებულად იყო განაწილებული. მოსახლეობა ძირითადად 172 ვეებერთელა ქალაქში იყო თავმოყრილი, მათ შორის უდიდესი იყო ჰური-ჰოლდე, რომელიც დაახლოებით დღევანდელი კასაბლანკას ადგილას მდებარეობდა და 90 მილიონ მოსახლეს ითვლიდა. ამიტომ ძალიან დიდი ფართობები თითქმის უკაცრიელი იყო და იქ ლაღად მრავლდებოდნენ გარეული ცხოველები, რომლებიც კატაკლიზმებსა და გამყინვარებამდელი ადამიანის ხელით სიკვდილს, თქვენი ხელით სიკვდილს, გადაურჩნენ. კვების პროდუქტებს ნაწილობრივ ზღვებიდან, ნაწილობრივ ჩვენი ყანებიდან მოვიპოვებდით, მაგრამ უდიდეს ნაწილს მაინც ხელოვნური ფოტოსინთეზით გამოვიმუშავებდით.

ჰური-ჰოლდეს შენობები ათას მეტრზე იყო აზიდული მიწის ზედაპირიდან და მიწის ქვეშ კი — 450 მეტრზე ჩადიოდა. იგი დაახლოებით 580 დონეს მოიცავდა და 75-კილომეტრიან არასწორ წრედ იყო განლაგებული. შენობები ერთმანეთს არ ებჯინებოდა, ისინი თავისუფლად იდგა სხვადასხვა დონეზე გაშენებული მწვანე პარკების წიაღში. ქალაქის ჩრდილო განაპირას, ზღვის პირას აღმართული იყო დიდი საბჭოს სასახლე, სადაც იმართებოდა მეცნიერების მეუფეთა საბჭოსა და მთავრობის სხდომები, მის ქვედა დონეებზე კი განთავსებული იყო უნივერსიტეტები. სასახლესა და ზღვას შორის გადაჭიმული იყო ვრცელი პარკი, რომელშიც მდებარეობდა ხელოვნების მუზეუმი და მრავალი სტადიონი.

ჩვენი საზოგადოებრივი მოწყობა გაუგებრად, და ალბათ წარმოუდგენლადაც კი, მოგეჩვენებათ. საქმე ისაა რომ, მაშინ დედამიწაზე თითქოსდა ორი ხალხი ცხოვრობდა: ტექნები და ტრილები.

ტექნები მოსახლეობის უმნიშვნელო ნაწილს შეადგენდნენ და მათ მიეკუთვნებოდნენ მეცნიერები, ინჟინრები და მწერალთა ზოგიერთი კატეგორია, ხშირად მიფიქრია ამ დასახელების წარმოშობაზე. ნეტავ, თქვენებური „ტექნიკოსისაგან“ ხომ არ მომდინარეობს? ეს არ იყო ჩაკეტილი და მემკვიდრეობითი

კასტა. თექვსმეტი წლის ასაკში ყველა ბავშვი მისი მიდრეკილებებისა და უნარ-ჩვევების მიხედვით იღებდა ტექნის ან ტრილის წოდებას. ტრილს, რომელსაც მომავლში აღმოაჩნდებოდა მეცნიერული უნარ-ჩვევები, შეეძლო შუამდგომლობა ეთხოვა ტექნების კატეგორიაში თავისი გადაყვანის შესახებ. მაგრამ ეს იაშვიათად თუ ხდებოდა.

ჩვენს ცივილიზაციას საფუძვლად ედო შეხედულება მეცნიერების, როგორც მძლავრი, კეთილისმყოფელი და... ძალიან საშიში იარაღის შესახებ! უმეცრებაში ყოფნა სჯობს ნახევრად განათლებულ დილეტანტობას. ამიტომ მეცნიერების საიდუმლოებათა განდობა საეჭვო ზნეობის ადამიანთათვის ყოვლად დაუშვებელია. ტექნად განწესებულ ყოველ ყმაწვილს მეუფეთა საბჭოს წინაშე საზეიმოდ უნდა დაედო ფიცი, რომ იგი არასდროს არავის გაუმხელდა სამეცნიერო ცოდნას, გარდა იმისა, რომლის გავრცელებაც ნებადართული იყო. სამაგიეროდ ტექნების კლასის წიაღში არანაირი შეზღუდვა არ არსებობდა, ყველას შეეძლო თავისუფლად განესაჯა სხვა ტექნთან ნებისმიერი პრობლემა თუნდაც მათ სხვადასხვა დარგში ემოღვაწევათ. ამ კანონის უმცირესი დარღვევის გამოც კი ტექნს საშინელი სასჯელი ემუქრებოდა — პლუტონზე სამუდამო გადასახლება დაბრუნების ყოველგვარი შანსის გარეშე.

ტექნი მხოლოდ მეუფეთა საბჭოს, უფრო ხშირად კი, ადამიანთა მეუფის წინაშე იყო პასუხისმგებელი. ისიც, ცხადია, მაშინ, თუკი მას დანაშაული, რომელიც თითქმის გამქრალი იყო, ჰქონდა ჩადენილი.

რაც შეეხება ტრილებს, ისინი იყვნენ მექანიკოსები, რომლებიც სხვათა შორის საკმაოდ ხშირად ხდებოდნენ ტექნები, მკვებავნი (ეს კატეგორია მოიცავს თქვენეულ ხაბაზებს, ბაყლებს, ყასბებს და ა.შ.), მსახიობები, მხატვრები, მწერლები. ამ ორ კლასს შორის არ იყო არც მეტოქეობა არც შუღლი, რამეთუ ტექნის წოდება ჩვეულებრივ დროს არანაირ უპირატესობას არ იძლეოდა. ხშირად ისეც ხდებოდა, რომ ერთსა და იმავე ოჯახში იყვნენ ტრილებიც და ტექნებიც, ხაბაზის შვილი შეიძლებოდა გამხდარიყო ცის მეუფე, ხოლო ამ უკანასკნელის შვილისაგან კი კვლავ ხაბაზი დამდგარიყო. იმ მხრივ, რომ ყოველ ბავშვს დაბადებიდანვე ნამდვილად ერთნაირი შანსი ჰქონდა, ჩვენი საზოგადოება ჭეშმარიტად დემოკრატიული იყო.

ტრილებს ჰყავდათ თავისი მთავრობა, რომელსაც გააჩნდა საკუთარი ტექნიკოსები, ზოგი ტექნი, ზოგიც არა. ტრილს და ტექნს შორის დავას იხილავდა დიდი საბჭო, რომელიც მთავრობისა და მეუფეთა საბჭოს წევრებისაგან დგებოდა. თუ საქმე ჩიხში შევიდოდა, დიდი საბჭო მიმართავდა მესამე, ყველაზე მცირერიცხოვან სოციალურ ჯგუფს — უზენაეს სასამართლოს, რომელშიც მხოლოდ 250 წევრი შედიოდა.

ზნეობრივად თქვენგან საკმაოდ განვსხვავდებოდით, თუმცაღა ძირითადი ზნეობრივი ცნებები თითქმის თქვენსას ემთხვეოდა. მას შემდეგ რაც თქვენს დროში გამოვირიყე, საშუალება მომეცა შემესწავლა ჩვენთვის დაკარგული ტექსტები, განსაკუთრებით შევისწავლე ბუდისტური წერილები და დავასკვენი, რომ ცივილიზებული ქვეყნებისათვის მხოლოდ ერთადერთი ზნეობაა შესაძლებელი, ზნეობა რომელიც ბევრჯერ დაგვიკარგავს და ხელახლა აღმოგვიჩენია. სქესობრივ საკითხებში ჩვენ გაცილებით უფრო შემწყნარებლები ვიყავით და ჩვენი ჩვეულება არ კრძალავდა მრავალცოლიანობას და ყველას ჰქონდა საშუალება თავად მისულიყო სტაბილურ მდგომარეობამდე... თუკი ამას შესძლებდა. რამდენიმე სარწმუნოება იყო შემორჩენილი, ერთ მათგანი ძალიან ჰგავს ქრისტიანობას და,

შესაძლოა, მისგანაც მომდინარეობდეს; ჩემს თანამოქალაქეთა დიდი ნაწილი აგნოსტიკოსი იყო და მათი წილი თითქმის ერთნაირი იყო ტექნებსა და ტრილებს შორის. უკვე დიდი ხანი იყო, რაც შობადობას ვაკონტროლებდით და ამისათვის არ ვიყენებდით იძულებით ღონისძიებებს. ტრილთა მთავრობა და მეუფეთა საბჭო აღზრდისა და დარწმუნების ხერხებით მოქმედებდა და ჩვეულებრივ დროს არასდროს იყენებდა ძალას. თქვენ, ფანატიზმისა და შეუწყნარებლობის საუკუნის შვილებს, ალბათ გაგაკვირვებთ ის, რომ ყველაზე დიდ ნაკლად, ტექნებშიც და ტრილებშიც, ითვლებოდა პრეტენზია შეუმცდარობაზე, ჭეშმარიტების, აბსოლუტური ჭეშმარიტების ერთპიროვნულ ფლობაზე. თუმცაღა ეს, ცხადია, არ ეხებოდა სამეცნიერო კამათებს.

ახლა კი გადავდივარ ჩემი და დიადი მწუხრის ამბავზე.

თავი მესამე

მზე მალე აფეთქდება!

დავიბადე ჰური-ჰოლდეში, 4575 წლის ასმეთორმეტე დღეს, თქვენებურად რომ ვთქვათ, საკმაოდ გამწვანებული სტანტინის ქუჩის 7682-ე სახლში. მყავდა უფროსი ძმა სარკი, რომელმაც მიუხედავად იმისა, რომ ტექნად იყო მიჩნეული, ტრილობა ამჯობინა და მალე ჰური-ჰოლდეს ერთ-ერთი ყველაზე უფრო სახელგანთქმული მხატვარი გახდა. მამაჩემიც, რაჰუ, ტრილი იყო და, თუ გენიალური არა, საკმაოდ ცნობილი დრამატურგი მაინც ეთქმოდა; დედაჩემი აფია ტექნი იყო, სამხრეთ ნახევარსფეროში ტეფანტიორის ობსერვატორიაში ასტროფიზიკოსად მუშაობდა.

ჩემმა ბავშვობამ უღრუბლოდ განვლო, განსაკუთრებული არაფერი გადამხდენია თავს. სკოლაში თავი საკმაოდ მალე გამოვიჩინე ნებისმიერი სამეცნიერო ცოდნის სწრაფად და ხარბად ათვისების უნარის წყალობით და როცა თორმეტი წლისა შევიქენ, ცხადი გახდა, რომ ტექნი გამოვიდოდი. კიდევ ერთი გატაცება მქონდა იმ ხანად — რეკინი, თქვენებური რაგბის მსგავსი თამაში, რომელშიც ჩემი დიდი სიმაღლე ერთობ მშველოდა. რეკინი სამ განზომილებაში ითამაშებოდა და ამიტომ მას ანტიგრავიტაციულ პარკებში ვთამაშობდით ხოლმე.

ვადამდე ერთი წლით ადრე, თხუთმეტი წლისამ გავიარე ფსიქოტექნიკური გამოცდა და ტექნის წოდება მივიღე. ამის შემდეგ წამოვედი ზოგადი სკოლიდან და თვრამეტ წლამდე საუნივერსიტეტო მოსამზადებელ კურსებზე ვსწავლობდი. მათი დამთავრების შედეგ უნდა დამედო ტექნის ფიცი. ის დღე არასდროს დამავიწყდება. ორი დღის წინ ძალიან რთული გამოცდა ჩავაბარე, რომელიც ჩემი პატიოსნების გამოცდაც ყოფილა. ოთახში მარტო ვიყავი და თავს ვიტეხდი ამოცანების ამოხსნაზე — როგორც შემდგომში გავიგე მათი დონე განგებ იყო ისე შერჩეული, რომ ბევრად აღემატებოდა ჩემს დონეს — შორიახლოს მაგიდაზე კი შემთხვევით დავიწყებული სახელმძღვანელო იდო ამონახსნებითა და განმარტებებით. ასე გავატარე რამდენიმე საშინელი საათი. გაფრთხილებული ვიყავი, რომ თუ ვერ ამოვხსნიდი ამოცანებს, ჩემი ტექნად კვალიფიცირების საკითხი გადაიხედებოდა. ეჭვი კი მქონდა, რომ დატოვებული სახელმძღვანელო მახე იყო, მაგრამ იმავდროულად მტკიცედ ვიცოდი, რომ არავინ მითვალთვალებდა და ამის შემოწმების საშუალებაც მქონდა. ცდუნებას გავუძელი და გამომცდელს თითქმის სუფთა ქაღალდი ჩავაბარე; ექვსი ამოცანიდან მხოლოდ ერთის ამოხსნა შევძელი და ისიც, როგორც შემდგომში მითხრა რიცხვთა მეუფემ, სრულიად არაჩვეულებრივი გზით. კიდევ კარგი, რომ არ მიცუღლუტია, თორემ ტექნებიდან გამრიცხავდნენ ყოველგვარი სიბრალულის გარეშე.

ფიცის დადების დილას უკანასკნელად ჩავიცვი ჩემი ჩვეულებრივი ნათელი ფერების ტანაცმელი. ამიერიდან სიცოცხლის ბოლომდე ტექნების მუქი რუხი სამოსი უნდა მცმოდა. დიდი საბჭოს სასახლის სულ ზედა დონეზე ამიყვანეს, ზიარებათა დარბაზში — ასე ვეძახდით, და მეუფეთა საბჭოს წინაშე წარვდექი. ყველანი იქ იყვნენ, თვით მარსელი და ვენერელი მეუფეებიც კი, ნახევარმთვარის მოყვანილობის მქონე ნიკელის მაგიდის ირგვლივ ისხდნენ. დარბაზი უზარმაზარი

იყო და ამ კაცობრიობის უდიდესი ტვინების წინაშე დაბნეულობამ მომიცვა.

ტრაჰი, მეუფე-გამრიგე, წამოდგა და ნელა მომმართა:

— ჰაურკ აკერანო, თქვენ ჩაითვალეთ ტექნად შერაცხვის ღირსად. ახლა ფიცს დადებთ. მაგრამ სანამ ამას იზამდეთ, მსურს უკანასკნელად გაგაფრთხილოთ, რომ თქვენი ტექნად შერაცხვა არ მოგცემთ არანაირ უპირატესობას — არც საზოგადოებრივს და არც პირადს. ჯეროვნად დაფიქრდით ამაზე უკანასკნელად. ტექნების კანონი ბევრად უფრო მკაცრი და მომთხოვნია ვიდრე ტრილებისა და ამიერიდან თქვენ მას უნდა დაემორჩილოთ. ისტორიის საგანგებო კურსიდან გეხსომებათ, თუ რა საშინელი უბედურებები დაატყდათ თავს ჩვენს წინაპრებს მეცნიერებისადმი მათი ზერელე დამოკიდებულების გამო. ტექნად გახდომით თქვენ იტვირთებთ მძიმე პასუხისმგებლობას ახლანდელი და მომავლის კაცობრიობის წინაშე. მზად ხართ?

— დიახ, მეუფევ!.

— კეთილი. მაშ დადეთ ფიცი.

— მე, ჰაურკ აკერანი, ტექნი, ვფიცავ სახელს იმათსას ვინც აღარ არის მათ წინაშე ვინც არის და იქნება: მეუფეთა საბჭოს ნებართვის გარეშე არ გავამხილო არანარი სამეცნიერო აღმოჩენა, რომელიც შეიძლება გავაკეთო ჩემს ან ნებისმიერ სხვა დარგში. ვფიცავ, არც მზვაობრობისა და ამაო დიდების გამო, არც ანგარებისა და გაუფრთხილებლობის გამო და მით უმეტეს არც პოლიტიკური მიზნების გამო, მეუფეთა საბჭოს საგანგებო ნებართვის გარეშე, ტექნების გარდა არავის ვაცნობო არც სიტყვა და არც სახელი. ასევე ვფიცავ, არ გავამხილო სხვა ტექნთა აღმოჩენანი და თუ ხალხისა და ჩემდა სავალალოდ დავარღვევ ამ ფიცს, უდრტვინველად მივიღო სამართლიანი სასჯელი. ამ კანონიდან ერთადერთი გამონაკლისი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ჩემს მიერ გამხელილი ცნობა იხსნის ადამიანის სიცოცხლეს და მაშინაც კი ჩემს სვეს მთლიანად მივანდობ მეუფეთა სამართალს, რათა განსაჯონ სწორად მოვიქეცი თუ არა.

ეს იყო და ეს. ტექნის რუხი სამოსი მივიღე და უნივერსიტეტს მივუბრუნდი. ორი წლის შემდეგ ასტროფიზიკა ავირჩიე სპეციალობად. შემდეგ კიდევ წელი ვიმუშავე, თქვენებურად, პლატონის ცირკში მდებარე მთვარის ობსერვატორია ტელენკორში. ბოლოს, როცა მხოლოდ ტექნებისათვის განკუთვნილ საგანგებო გამოცემებში გამოქვეყნდა ჩემი სტატიები, რომლებმაც გარკვეული ინტერესი გამოიწვია, ვითხოვე მერკურიზე ჰერუკოის მზიურ ობსერვატორიაში გადაყვანა. სიმართლე რომ ითქვას, ამ გადაწყვეტილების მიღებისას, მეცნიერებით ჩემი გატაცება არ ყოფილა ერთადერთი მიზეზი. თუმცაღა გადამწყვეტი კი იყო. სტუდენტობისას და ახალგაზრდა ტექნობისას თავგადასავლები არა მქონია. ყველა ტექნის მსგავსად მეც მქონდა პატარა კოსმომაგნიტურა, რომელსაც შეეძლო განეხორციელებინა ფრენა დედამიწა-მთვარე. ეს არ იყო რამე პრივილეგია. საჭიროებით იყო გამოწვეული. ამიტომ ჰური-ჰოლდეში საკმაოდ ხშირად ვბრუნდებოდი ხოლმე. ერთი ასეთი მოგზაურობისას გავიცანი ძალიან ლამაზი გოგონა, ალთია, რომელიც მსახიობი იყო ერთ-ერთ დიდ თეატრში. თავიდან ძალიან ბედნიერები ვიყავით, შემდეგ სხვა ამჯობინა ჩემს თავს და უფრო მის სწრაფად დასავიწყებლად ვითხოვე მერკურიზე მივლინება.

ჰერუკოიში ორწელიწადნახევარი გავატარე. ტერმინატორზე, ჩრდილოეთის მეათე განედზე, ჩრდილოვანი მთის ძირას მთელი სამეცნიერო ქალაქი იყო განთავსებული. ზედაპირზე მხოლოდ თბოწინაღური საფრით გადახურული ოთხი

გუმბათი ამოდიოდა. ორი მათგანი მარადიული ბინდის ზონაში პაპანაქების ზონის საზღვრის მახლობლად მდებარეობდა. დანარჩენი ორი კი — მარადიული ღამის ზონაში. მიწისქვეშა ნაგებობები პაპანაქება ნახევარსფეროს ზედაპირის ქვეშ შორს იყო გადაჭიმული და ალაგ-ალაგ, ზედაპირზე მზის ენერგიის ჩასაჭერად, სარკეები იყო დაყენებული, მათ გვერდზე კი — სხვადასხვაგვარი ავტომატური ობსერვატორია.

მერკურიზე არასოდეს ვყოფილვართ სამასზე მეტნი, სულ ტექნები ვიყავით. იქ ჩემს ოცდამეხუთე დაბადების დღეს ჩავედი. კოსმომფრენმა ღამის ნახევარსფეროს ვარსკვლავთსადგურში ჩამიყვანა. მიწისქვეშეთში ჩასვლამდე ძლივს მოვასწარი პროჟექტორების შუქზე მოციაგე შიშველი გაყინული ნიადაგისათვის თვალის შევლება.

არასდროს დამავიწყდება ზედაპირზე ჩემი პირველი გასვლა. ჩვენი პატარა ჯგუფი ზედაპირზე მეოთხე ბლოკიდან ავიდა. ყინულოვანმა ღამემ გულში ჩაგვიკრა. ცაზე უძრავი ვარსკვლავები კაშკაშებდენ და ნიადაგზე ვენერის თვალისმომჭრელი შუქი ჩვენს მკაფიო ჩრდილებს ჰკვეთდა. სუსტი მიზიდულობის მქონე მცირე პლანეტებისათვის საგანგებოდ შექმნილ მასიურ ეკიპაჟში ჩავსხედით. საჭესთან იჯდა სნი, რომელიც ერუკოიში ჩემს მისვლამდე ნახევარი წლით ადრე ჩავიდა და რომელიც შემდგომში ჩემი თანაშემწე გახდა.

ტერმინატორისკენ გავემართეთ. მასთან მიახლოების კვალდაკვალ, წყვდიადი იფანტებოდა. ღამის ზონის საზღვართან მდებარე ჩრდილოვანი მთების მწვერვალებს მზის ცერა სხივები აბრწყინებდნენ; ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოსდა სიცარიელეში ეკიდნენ უცნაურად მოლივლივე ჩრდილების თავზე. სწორედ ამიტომაც ეწოდათ მათ ჩრდილოვანი. პირველ და მეორე ბლოკებს ჩავუარეთ და პაპანაქების ზონაში შევედით. ეკრან-ფილტრები მეყსეულად მიესადაგნენ დამაბრმავებელ სინათლეს. სიცხით გამოწვეული მანქანის ჯავშნის ტკაცუნი მესმოდა.

— გაფართოება, — მოკლედ აგვიხსნა სნიმ — გარეთა თბოწინაღური ჯავშანი მოძრავი ფილებისაგან შედგება და ისინი გადაადგილდებიან.

მანქანა არ იძლეოდა განათებულ ზონაში ღრმად შესვლის საშუალებას. სკაფანდრებისა და საგანგებო მანქანების გარეშე, რომლებიც უკან ირეკლავდნენ მიღებულ ენერგიას, შეუძლებელი იყო ტერმინატორიდან ღრმად შეღწევა. განათებული ნახევარსფეროს ცენტრში ტემპერატურა აბსოლუტური ნულიდან 700°-ს აღემატებოდა. იქ მხოლოდ ერთხელ ვარ ნამყოფი, მიწისქვეშა გვირაბის საშუალებით მივედი, ზეგნის სიღრმეში მდებარე მზის მთავარი ენერგოსადგურის შესამოწმებლად. მის მძლავრ ტურბინებს ვერცხლისწყლის ორთქლი აბრუნებდა.

მხოლოდ მესამე განედამდე მივედით. მას შემდეგ ზედაპირზე კიდევ ბევრჯერ გავედი. მერკურის ნიადაგი ჯერ კიდევ იმ შორეულ დროს ტემპერატურის უცაბედი ცვლილებით დამსკდარი ლოდების გროვაა, როდესაც პლანეტა თავისი ღერძის ირგვლივ ბრუნავდა. ხან პირქუში შიშველი კლდეები გვხვდებოდა, ხან ზეგნები, რომლებიც იმდენად ფაფუკი ფერფლით იყო დაფარული, რომ მასში ისე ვიძირებოდით, თითქოს წყალი ყოფილიყოს. ვინ იცის რამდენი ადამიანი დაღუპულა მათ უცნობ სიღრმეში დანთქმული. სიტყვები არ მყოფნის ამ დაბლობთა სისხლისგამყინავი საშინელების გადმოსაცემად, რომელთა თავზეც დამაბრმავებელი ცის ფონზე შავი ვულკანები წამოჭიმულიყვნენ და სადაც გადარეული მზე ლაპლაპებდა.

მიწისქვეშა ქალაქის ცხოვრება თქვენს პოლარულ სადგურებში ცხოვრებას ჩამოჰგავდა. საკმარისად ბევრნი ვიყავით საიმისოდ რომ ერთი და იმავე სახეების ყურებას გაღიზიანება არ გამოეწვია, პირიქით, თითოეულ ჩვენგანს ახლო მეგობრობა გვაკავშირებდა ერთმანეთთან. როგორც ვამბობდით „მერკურული სული“ გვაერთიანებდა, იგი დედამიწაზეც კი გამოგვყვა და უცებ აღორძინდებოდა ხოლმე „ყოფილ მერკურელთა“ საღამოებზე. ყველა მოხალისე იყო და ცოტა ვინმე თუ მოითხოვდა ხოლმე ნორმალური სამწლიანი ვადის შემცირებას. უმრავლესობა ადრე თუ გვიან უკან ბრუნდებოდა ხოლმე მერკურიზე. ზოგიერთი იქვე იყო დაბადებული, მაგალითად, მოხუცი ჰორამი, ერთადერთი ადამიანი, რომელიც ნამდვილად იცნობდა მთელ პლანეტას. გატაცებით გვიყვებოდა ხოლმე მისი ყინულოვანი უდაბნოებისა და გავარვარებული ზეგნების შესახებ.

მზის ლაქების შესახებ დაწერილი სტატიის გამოისობით ერთი წლის თავზე ლაბორატორიის დირექტორი გავხდი, თანაშეწედ სნი ავიყვანე. სნი მოღუშული ადამიანი იყო, თუმცა - ბრწყინვალე ფიზიკოსი და ბოლომდე სანდო. იგი ჩემზე ერთი წლით უფროსი იყო და ერთმანეთი უნივერსიტეტში გავიცანით. ძალიან მომწონდა მისი სერიოზულობა და მის განსჯათა სიმყარე, რომლებიც, მიუხედავად ყველაფრისა, ბრწყინვალებით არ გამოირჩეოდნენ. მაშინ მეჩვენებოდა, რომ მხოლოდ ამ თვისებების გამო ავიყვანე იგი თანაშემწედ, მაგრამ ახლა, დროის გადასახედიდან, ვფიქრობ რომ ჩემს გადაწყვეტილებაზე შეიძლება გავლენა მოეხდინა იმას, რომ სნი ალთიას ბიძაშვილი იყო. რაც არ უნდა იყოს, ეს გადაწყვეტილება არასდროს მინანია.

ჩემი გამოკვლევების გამო, დროის უმეტეს ნაწილს №3 ბლოკის ქვეშ ღრმად მოთავსებულ მიწისქვეშა ლაბორატორიაში ვატარებდი. გავარვარებულ ნახევარსფეროზე მდებარე შვიდი ავტომატური სადგურის მიერ მზის ქმედების შესახებ შეგროვებულ მონაცემებს ვამუშავებდი და ჩემთან ერთად სნის გარდა კიდევ ხუთი ახალგაზრდა ფიზიკოსი მუშაობდა.

ყოველ ორ თვეში ერთხელ კოსმომფრენს დედამიწიდან ჩამოჰქონდა მოწყობილობები, ახალი ამბები და სანოვაგე, რომელიც ნაწილობრივ მაინც ამრავალფეროვნებდა ძირითადად ჰიდროპონულ სათბურებში მოწეული მოსავლისაგან შემდგარ ჩვენს ულუფას. მზის სიახლოვე ხელს გვიშლიდა ელექტრომაგნიტური ტალღების გამოყენებაში და ტეკის ტალღებს იმ დროს ჯერ კიდევ ვერ ვიყენებდით კავშირგაბმულობისათვის. ტეკის ტალღები სწორედ ის ტალღებია, რომლებიც სინათლის სიჩქარეზე უფრო სწრაფად ვრცელდება და რომელთა არსებობის შესაძლებლობაც ცოტა ხნის წინ დავამტკიცე თქვენს ხანაში.

ერთხელაც, შუადღე იქნებოდა, მზის ლაქების შესახებ ჩემეულ თეორიას ვამუშავებდი, როდესაც უეცრად აღმოვაჩინე, რომ, თუ ჩემი გამოთვლები სწორი იყო, მაშინ ქვეყნიერების დასასრული შორს აღარ იყო. ახლაც მახსოვს ჩემი მაშინდელი გაოგნება. საკუთარ თავს არ ვუჯერებდი, ერთი ოცჯერ მაინც გადავამოწმე ჩემი გამოთვლები და ბოლოს თავზარი დამეცა. გიჟივით გამოვვარდი ლაბორატორიიდან და განათებული ნახევარსფეროს ზედაპირზე ავედი. ცაში ბრდღვიალებდა ისეთი მზე, როგორსაც კაცობრიობა უხსოვარი დროიდან ხედავდა. არადა, თუკი არ ვცდებოდი, ეს მნათობი ძალიან ახლო მომავლში — ასი წლის შემდეგ, ათი წლის მერე, ხვალ ან, ვინ იცის იქნებ, სულაც ერთი წამის შემდეგ — აფეთქდებოდა და ცეცხლოვანი ნიაღვარი წალეკავდა მერკურის, დედამიწას და მთელ მზის სისტემას.

მონუსხულივით შევჩერებოდი დიდხანს, სანამ, ბოლოსდაბოლოს, სკაფანდრის

გადახურებამ არ მაიძულა სადგურში დაბრუნება. ანტიგრავიტაციულ ჭაში ჩახტომისას თავში ახალი აზრი მომივიდა: სამკერდე კოლოფზე მოთავსებულ ღილაკი ბოლომდე გადავწიე და ჭაში ჩაშვება თითქმის თავისუფალი ვარდნით განვაგრძე. სიტყვა არავისთან დამიძრავს. ჩემს ლაბორატორიას მივაშურე, შიგ გამოვიკეტე და კომპიუტერზე შეუსვენებლივ ვიმუშავე თითქმის სამოცი საათი. ადამიანი ყველაზე უფრო საინტერესო ქმნილებაა! როდესაც გამოვიანგარიშე, რომ მზის აფეთქება გარდაუვალია, მაგრამ ეს მოხდება არაუადრეს ათი-თხუთმეტი წლისა, გამარჯვებულის ხარხარი ამიტყდა და დაღლილობის მიუხედავად სიმღერა და ცეკვა დავიწყე. შემდგომ თანდათან დავწყნარდი. სასწრაფოდ უნდა გამეფრთხილებინა მეცნიერების მეუფეთა საბჭო, ობსერვატორიის დირექტორს ვთხოვე, ჩემი შეტყობინება სათადარიგო კოსმომფრენით დაუყოვნებლივ გაეგზავნა დედამიწაზე. თავიდან უარი მითხრა და, ამიტომ, მომიწია მისთვის სიმართლის გამხელა. კოსმომფრენი რამდენიმე დღეში უკან დაბრუნდა და თან ჩამოიყვანა თავად ცათა მეუფე.

უნივერსისტეტში ჩემი პროფესორის, ატომთა მეუფის კერტის გარდა არასოდეს მქონია ასეთ გავლენიან პირებთან ხანგრძლივი ურთიერთობის გამოცდილება. ცათა მეუფე ჰანი მაღალი, ცისფერთვალა, ცივი გამოხედვის მქონე მოხუცი აღმოჩნდა. მოვლილ გრძელსა და ჭაღარა წვერს ძველმოდურ ყაიდაზე ატარებდა. მაშინათვე ჩემს ლაბორატორიაში გამოეშურა; მას თან ახლდა პლანეტათა მეუფე სნეს შეგირდი, გეოფიზიკოსი, ქერათმიანი მშვენიერი რენია, რომელიც მისი შვილიშვილი იყო. ვაღიარებ, მაშინ მისთვის დიდი ყურადღება არ მიმიქცევია. ჰანის ავუხსენი გამოთვლის ჩემი ახლებური მეთოდი და მოვახსენე მისი გამოყენებით მიღებული შედეგების შესახებ. დიდხანს ამოწმებდა ჩემს გამოთვლებს. ყველაფერი სწორი იყო. თავი ასწია, ცარიელ ლაბორატორიას თვალი მოავლო, მელანქოლიურად გადახედა თავის შვილიშვილის და ბოლოს მზერა ჩემზე შეაჩერა.

— ჰაურკ, — მომმართა, — ვწუხვარ, გამოთვლებში არ შემცდარხართ. რომ არა ეს შედეგები, ოდესმე მეუფე გახდებოდით...

დიდხანს ვისხედით მდუმარენი. რენიას ვუყურებდი. არც კი შემკრთალა, როდესაც ჩემი გამოთვლების შედეგების შესახებ ვლაპარაკობდი. მწვანე თვალები ოდნავ მიებინდა, მისი სახის სწორმა ნაკვთებმა მშვიდი გამომეტყველება შეინარჩუნეს. პირველმა მან განაახლა საუბარი:

— ნუთუ მართლა არაფრის გაკეთება შეგვიძლია? ნუთუ კაცობრიობა ამაოდ ცხოვრობდა? იქნებ სჯობდეს ზესივრცეში ვარსკვლავთმფრენებით გაფრენა თუნდაც სამშვიდობოს ათასიდან ერთი აღწევდეს?

— მე სხვანაირ გამოსავალზე ვფიქრობდი, — სიტყვა ჩამოვართვი. — როგორც ჩანს, ყოველ შემთხვევაში, ახლა ასე ვფიქრობ, აფეთქება ურანის ორბიტას არ გასცდება, უარეს შემთხვევაში კი — ნეპტუნისას. არა მგონია, მზე ჩვეულებრივ ახლად ან ზეახლად იქცეს. სრულიად განსაკუთრებულ მოვლენასთან უნდა გვქონდეს საქმე. დედამიწის საკმაო მანძილზე გადაადგილება რომ შეგვეძლოს...

— სწორედ ასეთი რამ უნდა გავაკეთოთ, — გამაწყვეტინა ჰანიმ. — მოვასწრებთ კია? ასეთი საქმისათვის ათი წელი ძალიან ცოტაა! ერთი თვე აქ დავრჩები, თქვენთან. რაც არ უნდა იყოს, ყველა თქვენი დასკვნა მხოლოდ ბოლო ნახევარი წლის დაკვირვებებს ემყარება. მეც თქვენ აზრზე ვარ: მიუხედავად ზოგიერთი საერთო ნიშნებისა, არა მგონია, მზე ახალ ან ზეახალ ვარსკვლავად იქცეს. არქივებიდან გამოვითხოვ ყველაფერს, რაც ახალ ვარსკვლავებსა და ბოლო წლების

მანძილზე მზის აქტივობას ეხება. ერთად განვაგრძოთ მუშაობა და მომავალი გვიჩვენებს.

ბრირის, ჰანის, რენიასი და ჩემი უშუალო თანამშრომლების გარდა, მერკურიზე არავინ, თვით ასტრონომებმაც კი, იცოდა სასტიკი ჭეშმარიტება. ჩემი შედეგები გამოთვლის სრულიად ახალ მეთოდს ემყარებოდა. ითვლებოდა, რომ ჰანი მერკურიზე ჩვენი მუშაობის შესამოწმებლად იყო ჩამოსული, ასეთი რამ ათასში ერთხელ, მაგრამ მაინც ხდებოდა ხოლმე. ვინაიდან კვლევებზე პასუხისმგებლობა და საიდუმლოს წონა მხოლოდ ჩემი საზიდი აღარ იყო, ერთბაშად ენითაუწერელი დაღლილობა ვიგრძენი და გონებრივი დასვენებისათვის რამდენიმედღიანი შვებულება ავიღე. მოცალეობით ვისარგებლე და რენიასთან ერთად მერკური მოვინახულე. ჰანის კოსმომფრენით დაბალ სიმაღლზე გადავსერეთ პლანეტა ყველა მიმართულებით. ჩემი შვებულების ბოლო დღე ჩრდილების მთის ძირას მდებარე დასასვენებელ სადგურში გავატარეთ. რენია ერთობ მხიარული და ოპტიმისტი ადამიანი გამოდგა. პირველად იყო მერკურიზე. სამაგიეროდ ბაბუამისთან ერთად უკვე ნამყოფი ყოფილა მარსზე, იუპიტერისა და სატურნის თანამგზავრებზე და თვით ნეპტუნამდეც კი მიუღწევია. რაც შეეხება ვენერას, რენია იქაური იყო, იქ დაბადებული. მაგრამ ვენერა ძალიან მცირეწლოვანს დაუტოვებია.

თუ მარსი ჩვენს დროსაც ისეთივე ხრიოკი და უდაბური იყო როგორც თქვენს დროში, დედამიწაზე ადამიანის გაჩენამდე, ვინ იცის, რამდენი ათასი თუ მილიონი წლის წინ მასზე მარსელები სახლობდნენ. მათი ნაკვალევი თუმც კი ცოტა იყო, მაგრამ — აშკარა: ნაწილობრივ ჩამოქცეული, ხანდახან ქვიშით ამოვსებული გვირაბები. ერთ-ერთ მათგანში ცოტა ხნის წინა აღმოვაჩინეთ რაკეტისებრი მოწყობილობა, რომელიც, როგორც ჩანს, კოსმომაგნიტურ ძრავაზე მუშაობდა. მაგრამ თქვენი ნაკვალევი, მეხუთე გამყინვარებამდე მარსზე თქვენი მომავალი დამკვიდრების ნაკვალევი თვალსაჩინო იყო: გუმბათებით დაცული მიტოვებული ქალაქები, რომლებშიც ყველაფერი ხელუხლებლად იყო შემონახული გარდა წიგნებისა.

ჰანისთან ერთად მუშაობა განვაგრძე და რენიასაც თითქმის ყოველ ცისმარე დღე ვხედავდი. ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ მოხუცს ერთი საათიც არ შეეძლო თავისი შვილიშვილის გარეშე გაძლება. მხოლოდ მას თუ ძალუძდა ჰანის დამშვიდება, როდესაც იგი გაბრაზდებოდა და გული მოსდიოდა. ჰანი ძალიან თავაზიანი და ჭკვიანი იყო, მაგრამ პედანტობა ახასიათებდა და ამიტომ საკმაოდ მალე მომიწია გამოთვლების მიწოდების ისეთ ხერხის პოვნა, რომელიც თავიდან მის გაგულისებას ამარიდებდა. გადავამოწმეთ ყველა არქივი მზის აქტივობის შესახებ და ბოლო წლების ყველა დაკვირვება. დედამიწაზე ასტროფიზიკოსთა მთელი ჯარი სწავლობდა ყველაფერს, რაც ცნობილი იყო ახალი და ზეახალი ვარსკვლავების შესახებ მათი წარმოქნის საწყის საფეხურზე და შედეგებს საგანგებო დანიშნულების კოსმომფრენებით გვაწვდიდა. ასტრონომთა ცნობისმოყვარეობის დროებით დასაკმაყოფილებლად, ჰანიმ დაყარა ხმები, თითქოს ამოწმებდა ერთ-ერთ ჩემს თეორიას, რომლის თანახმადაც უახლოესი ვარსკვლავი, ეტანორი მალე ზეახალ ვარსკვლავად უნდა გარდაქმნილიყო.

მეუფეთა საბჭომ იხელთა პირველივე ხელსმოხვედრილი საბაბი და ტრილთა მთავრობის მეშვეობით ხელახლა მიიღო ალკიტის კანონი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში საბჭოს დედამიწის ენერგეტიკული და ადამიანური რესურსების მობილიზაციის უფლებას აძლევდა. ზედმეტი გახმაურების გარეშე დაიწყო

მოსამზადებელი სამუშაოები.

გამოთვლებმა მზის აფეთქების თარიღის დაზუსტების საშუალება მოგვცა; თუ რეაქცია ამჟამინდელ სიჩქარეს შეინარჩუნებდა, მაშინ აფეთქებამდე თორმეტი წელი და სამოცდაოთხი დღე რჩებოდა. მაგრამ არ შეიძლებოდა რვა წელზე მეტის იმედი გვქონოდა, რადგან გასათვალისწინებელი იყო უსაფრთხოების ვადა და აგრეთვე რეაქციის შესაძლო აჩქარება. შესაბამისად, რვა წლის შემდეგ დედამიწა და ვენერა მზეს უნდა დაშორებოდნენ და თავი ურანის ორბიტის მიღმა უნდა ამოეყოთ. სხვა პლანეტების გადარჩენაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა. ერთი ხანობა ვენერელ მოახალშენეთა დედამიწაზე გადმოსახლების პროექტიც კი განიხილებოდა სერიოზულად. საბოლოო ჯამში გაირკვა, რომ გადმოსახლების ოპერაცია აგრეთვე დამატებით შვიდასი მილიონი ადამიანისათვის ჰერმეტულ მიწისქვეშა თავშესაფართა აგება და მათი საკვებით უზრუნველყოფისათვის საჭირო სასოფლო-სამეურნეო ფერმების მოწყობა, უფრო რთული იყო ვიდრე თავად ვენერის დაძვრა ორბიტიდან. მერკური და მარსი განწირულები იყვნენ, გაიცა ბრძანება წითელ პლანეტაზე მიმდინარე არქეოლოგიურ კვლევათა დაჩქარების შესახებ.

ჰანი და რენია დედამიწაზე გაბრუნდნენ და უმათობა მალევე ვიგრძენი. შევეჩვიე მოხუცებულს, მის მრისხანე გაწიწმატებასა და უხეშ ხუმრობებს, იმ ფასდაუდებელ დახმარებას, რომელსაც იგი მიწევდა. უნდა ვაღიარო, რომ რენიას დამამშვიდებელი ზემოქმედებაც მენატრებოდა. ახლა უკვე სევდიანიღა ავდიოდი ჩრდილოვან მთათა წვეროებზე.

დედამიწაზე მათი დაბრუნებიდან ექვსი თვის თავზე მზის მომავალი აფეთქების შესახებ ეცნობა მთელს კაცობრიობას, ოღონდ მზის აფეთქება ყველაზე უფრო სავალალო შესაძლებლობად იყო გამოცხადებული. საბჭოს თანხმობით, მთავრობამ საჯაროდ გამოაცხადა დედამიწისა და ვენერის პოლუსებზე მათი ორბიტიდან დასაძრავად საჭირო უზარმაზარი კოსმომაგნიტური ამძრავების მშენებლობის დაწყება. ცოტა ხნის მერე ძალაში შევიდა ალკიტის კანონი და ორივე პლანეტაზე ყველაფერი დიადი მიზნის განხორციელებას დაექვემდებარა. შემდეგ სრულიად მოულოდნელად დედამიწაზე გამომიძახეს. ბოლოჯერ შემოვიარე ნაცნობი ლაბორატორიები, რომლებიც შემდგომში აღარ მინახავს და დედამიწაზე გამოვფრინდი.

ჩემს შემცვლელად სნი დავტოვე და დაკვირვებათა გაგრძელება დავავალე. არ ვიცოდი, რატომ გამომიძახეს ასე სასწრაფოდ და ამიტომაც იყო, რომ ყველაზე მეტად მე ვიყავი გაოცებული, როცა მეუფეთა საბჭოს ბრძანებით დედამიწისა და ვენერის დიდი ოტებისათვის მოსამზადებელი სამუშაოების მაკონტროლებელი ახლადშექმნილი დაწესებულების, სოლოდინის უფროსად დამნიშნეს და უზენაესი გამრიგის წოდება მომანიჭეს. ამ მძიმე მაგრამ შესანიშნავ პასუხისმგებლობას ჰანის მიერ ჩემს შესახებ გაკეთებულ მოხსენებას უნდა ვუმადლოდე. ოცდაშვიდი წლის ასაკში ამგვარად აღმოვჩნდი იმ დაწესებულების სათავეში, რომელიც აკონტროლებდა მთელი ორი პლანეტის ცხოვრებას.

შვებულების აღებას და სამხრეთ ნახევარსფეროში, ეკნებორში ოჯახის მონახულებას ვაპირებდი. ამაზე ფიქრი უაზრობა აღმოჩნდა. კოსმომფრენიდან გადმოსულიც კი არ ვიყავი, რომ უკვე საბჭოში მიბარებდნენ. ტექნის ფიცის დადების შემდეგ პირველად დავბრუნდი ამ დარბაზში. ამჯერად ატმოსფერო დაძაბული უფრო იყო ვიდრე საზეიმო. ყველა მეუფე ესწრებოდა, მათ შორის მანქანათა და ადამიანთა მეუფეები, ამ უკანასკნელს საბჭოსა და ტრილთა

მთავრობას შორის შუამავლობა ეკისრებოდა.. სხდომას ტრილთა მთავრობის სამი წარმომადგენელიც ესწრებოდა, გაუგონარი ამბავი იყო.

დავჯექი. მანქანათა მეუფე თარმა დაიწყო თავისი მოხსენება. კოსმომაგნიტური ძრავები სამი წლის შემდეგ იქნება მზად, კიდევ ერთი წელი იქნება საჭირო მათ დასამონტაჟებლად და დასაყენებლად. უფრო მცირე დროში ამ ამოცანის შესრულება შეუძლებელია, რამეთუ კოსმომაგნიტების უზარმაზარი ზომები მრავალი სრულიად ახალი ამოცანის გადაწყვეტას საჭიროებს. მაგალითად, პირველ რიგში საჭიროა ისეთი ჩარხების აგება, რომელთაც შეეძლებათ ვეება დეტალების დამუშავება.

შემდეგ სიტყვა პლანეტათა მეუფე სნემ აიღო: პოლუსებზე უზარმაზარი კოსმომაგნიტების დაყენება მოითხოვს ურთულესი გეოლოგიური და გეოფიზიკური ამოცანების ამოხსნას. არცთუ ისე ძნელი იქნებოდა ყინულის ჯავშნის გალხობა სამხრეთ პოლუსზე, რაც მსოფლიო ოკეანის დონის მნიშვნელოვან ზრდასა და ზოგიერთი მხარის სრულ დატბორვას გამოიწვევდა. ამიტომ უმჯობესი იქნება ყინულისაგან მხოლოდ კოსმომაგნიტისათვის საჭირო შემოზღუდული არის გათავისუფლება. რაც შეეხება ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანეს, სადაც სიღრმე ერთ კილომეტრს აღწევს, ასე მოკლე დროში საიმედო საძირკვლის ჩაყრაზე ფიქრიც კი არ ღირს. წყალქვეშა კოსმომაგნიტი ძალიან ძნელი იქნება და მის აშენებასაც ძალიან დიდი დრო დასჭირდება. ამიტომ სნე გვთავაზობდა ჩრდილოეთ პოლუსზე ერთი კოსმომაგნიტის ნაცვლად უფრო სუსტი ამძრავებისაგან შეგვედგინა რგოლი ხმელეთზე შეძლებისდაგვარად მაღალ განედებზე.

რაზეც ენერგიის მეუფე ფსილმა მიუგო, რომ მიუხედავად იმისა, რომ ეს პროექტი მისი აზრით ერთადერთი მისაღებია, მაინც აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ პატარა კოსმომაგნიტების სინქრონულ მუშაობაში სულ მცირე გადაცდენაც კი გაზრდის დედამიწის ქერქის დაძაბულობას და შეიძლება გამოიწვიოს სეისმური წანაცვლებები.

ყველა მეუფემ გამოთქვა აზრი ერთმანეთის მიყოლებით. თანდათან ვაცნობიერებდი ჩემზე დაკისრებული დავალების შემზარავ სირთულეს. თითოეული ადამიანი უნდა გადაგვესახლებინა ავტონომიური მომარაგებით აღჭურვილ ჰერმეტულ მიწისქვეშა ქალაქებში, ატმოსფერული ჰაერის დიდი ნაწილი უნდა დაგვეკონსერვებინა, უნდა შეგვექმნა მოსახლეობის მრავალი წლის მანძილზე გამოსაკვებად საკმარისი მიწისქვეშა მინდვრები და ჰიდროპონიული ყანები. ცხადია, შეიძლებოდა ზოგიერთი ფოტოსინთეზის ავტომატური ქარხნის ზედაპირზე დატოვება, რათა მათ ესარგებლათ „ახლის“ ენერგიით, მაგრამ იმედი მქონდა, რომ მაგ აფექთების დროს უკვე ძალიან შორს ვიქნებოდით. და ეს ყოველივე უნდა განგვეხორციელებინა არა მხოლოდ დედამიწაზე არამედ ვენერაზეც. ცხადია, მარტო არ ვიქნებოდი. იმდენი თანაშემწე მეყოლებოდა, რამდენიც დამჭირდებოდა და საბჭოს მხრიდანაც სრული თანადგომა მექნებოდა. მაგრამ პასუხისმგებლობის წონას უკვე ვგრძნობდი.

თავი მეოთხე

დიდი წამოწყება

კრების შემდეგ ჰანიმ თავის ლაბორატორიაში წამიყვანა. ასიოდე ასტროფიზიკოსი ახლებისა და ზეახლების შესახებ ხუთი ათასი წლის მანძილზე დაგროვებულ ცნობებში იქექებოდა. ზეახალი ვარსკვლავის წარმოშობის წინა საფეხურთან მსგავსება თვალშისაცემი იყო, თუმცაღა არსებულმა განსხვავებებმა განმიმტკიცეს აზრი, რომ მზის შემთხვევაში სხვა ტიპთან უნდა გვქონოდა საქმე. სამხრეთ პოლუსზე №1 გეოკოსმოს მშენებლობის შესამოწმებელი ინსპექციიდან დაბრუნებული რენია ვნახე. მეგობრულად შემხვდა, მაგრამ მის სახეზე საზრუნავი ამოვიკითხე. მეორე დღეს უკან უნდა გაბრუნებულიყო და ჩემს თავს შევპირდი, რომ ვისარგებლებდი ჩემი ახალი თანამდებობით და რენიას მოვინახულებდი საინსპექციო შემოვლების დროს.

ამ ჩანაფიქრს განხორციელება მხოლოდ ერთი წლის მერე ეღირსა. ჩემი მოვალეობების შესრულების დაწყებისთანავე გამრიგის სამუშაომ მთლიანად შთანმთქა და ჩემი კვლევების მიგდება მომიხდა. მათი გაგრძელება დედამიწაზე ჩემი თხოვნით გამოძახებულ სნის მივანდე. ამასთანავე სამუშაოს ძირითადი ნაწილი უკვე გაკეთებული გვქონდა მე და ჰანის და ყველა სხვა კვლევა, რომელიც არ იყო დაკავშირებული დიდ ოტებასთან, შეჩერებული იყო.

ის შენობა რომელშიც განთავსებული იყო სოლოდინის დირექტორის სამუშაო ოთახი ჰური-ჰოლდეს განაპირას, სამხრეთით მდებარეობდა და მისი ფანჯრებიდან შემეძლო დავმტკბარიყავი უსასრულო მინდვრებით, ტყითა და თავთავიანთა ყანებით შემოსილი ჰურის ლამაზი ზეგნით, რომელსაც წყნარი მდინარე სერავდა. თქვენს დროში ბუნების ეგზომ დამაუშნოებელი ღობეებისაგან, სატელეგრაფო ბოძებისა და ელგადამცემი ხაზების საყრდენებისაგან სამუდამოდ გათავისუფლებული ბუნება ისეთი თვალწარმტაცი იყო როგორც არასდროს!

90-მილიონიანი ვეებერთელა მეტროპოლისი მეყსეულად მთავრდებოდა და მისგან ორმოცდაათიოდე მეტრში უკვე კედრის ტყე იწყებოდა. ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ ცა სავსე იყო მსუბუქი პლანერებით, რადგან ლივლივა ფრენა ყველაზე პოპულარული სპორტი იყო ჩვენში. მაგრამ ახლა პლანერები ანგარებში იყვნენ გამოკეტილი და ჰორიზონტს მხოლოდ მიწიერი ხაზების კოსმომფრენები სერავდნენ, რომლებიც სტვენით დაეკიდებოდნენ ხოლმე კოსმოდრომთა თავზე; მათი მგზავრები გადატვირთვებს ვერც კი გრძნობდნენ ანტიგრავიტაციული და შიდა ანტიინერციული ველების წყალობით. მიწისზედა მანქანები არსად იყო! ყანების მისახედად ყველა აგრონომს ჰქონდა პატარა კოსმომაგნიტურა, რომლებიც დილის შვიდ საათზე ყანებისაკენ მიმფრენები ცას კალიასავით ფარავდნენ და შინ მხოლოდ საღამოს ბრუნდებოდნენ.

ჩემი კაბინეტიდან მოჩანდა ჰორიზონტში ჩაძირული ჰური-ჰოლდეს დაკიდებული ბაღები და ცათამბჯენები. მაგრამ ვერცერთი მათგანი ვერ უტოლდებოდა თავისი სიმაღლით 1200-მეტრიან სოლოდინს. ქალაქის აშენებისას,

ორი ათასი წლის წინ, მიწისქვეშა სართულებისათვის გამოღებული ნაყარი ქანებისაგან შემდგარი ეროლის ყურღანი აღმოსავლეთით ამობურცულიყო. სულ რაღაც ნახევარი წლის წინ ნახევარი კილომეტრი სიმაღლისა იყო, ახლა უკვე სამასი მეტრი ჰქონდა მომატებული — ადამიანები და მანქანები დღე და ღამ აღრმავებდნენ და აფართოებდნენ ჰური-ჰოლდეს მიწისქვეშა ნაწილს, რათა იქ გაგვეშენებინა ყანები, აგვეგო საცხოვრებლები თუ წყალ- და ჰაერსაცავები. დაბურული ტყით დაფარულ ფერდობებზე მკვეთრად გამოირჩეოდნენ მოყვითალო-მრეში ფერის ახალი მინაყარები. ურსა და ლიზორთან, მსხვილ ქალაქ-ქარხნებთან, დამაკავშირებელი მიწისქვეშა გზებით უწყვეტად შემოდიოდა ლითონები, ცემენტი და სხვა მასალა. მიწისქვეშეთს მანქანების გრუხუნი არყევდა. იგივე ამბები ხდებოდა დედამიწის ყველა ქალაქში; ვენერაზეც იგივე იყო, რომლის დედაქალაქი აფროი 80 მილიონ მოსახლეს ითვლიდა. ბედისწერის წინააღმდეგ ამხედრებული კაცობრიობის მთელი ამ ტიტანური წამოწყების პასუხისმგებლობა მე მაწვა მხრებზე.

ოკეანეების პრობლემამ ჭაღარა გაგვიჩინა მე და ჩემს თანამშრომლებს. დედამიწის ზედაპირის უდიდესი ნაწილი ჩვენს დროსაც ოკეანეებით იყო დაფარული, თუმცაღა მათი ზედაპირი თქვენს დროსთან შედარებით ოდნავ შემცირებული იყო. თავსატეხი თავისთავად ოკეანეები არ იყვნენ. გაიყენებოდნენ ან აორთქლდებოდნენ და მერე წვიმად ან თოვლად მოვიდნენ, მაგრამ ისინი სიცოცხლის უზარმაზარი საცავებია და ამ საუნჯის გადარჩენა გვინდოდა. ამ ამოცანის ყველაზე უფრო თვალშისაცემი გადაწყვეტილება იყო მიწისქვეშა ვივარიუმების აშენება. მაგრამ ეკოლოგიის დელიკატურ პრობლემებს წავაწყდით, მაგალითად სახეობათა წონასწორობისას. სრულყოფილ გადაწყვეტილებას მაინც ვერ მივაგენით და ბიოლოგთა ჯგუფმა განსაზღვრა იმ სახეობათა სია, რომლებიც ნებისმიერ ფასად უნდა გადაგვერჩინა.

როგორც იქნა გეოკოსმომაგნიტების შესამოწმებელი შემოვლებიც დავიწყე. სამხრეთ პოლუსიდან დავიწყე. სიმართლე რომ ითქვას, შესანიშნავად ვიცოდი საქმის მიმდინარეობა ყოველკვირეული მოხსენებების, სატელევიზიო გადაცემებისა თუ რენიასა და სხვა ტექნიკოსებთან საუბრების წყალობით, მაგრამ მინდოდა ჩემი თვალით მენახა ეს გიგანტური მშენებლობა. სოლოდინის სახურავზე მდებარე ბაქანზე ჩემს განკარგულებაში მყოფ კოსმომაგნიტურაში ჩავჯექი და მარტო გავემართე. კოსმომაგნიტურა მერკურიზე გაფრენის მერე აღარ მიმართავს და სახერვლის დაჭერამ სიამოვნება მომგვარა. მიუხედავად იმისა, რომ ჩემს კოსმომფრენს გულდასმით უვლიდნენ, მაინც შევამოწმე კოსმომფრენის პარამეტრები — დიდი ხნის უძრაობა ხშირად იწვევდა მათ მწობრიდან გამოსვლას — და გეზი სამხრეთი პოლუსისაკენ ავიღე. სწრაფად ავიჭერი 30 000 მეტრის სიმაღლეზე. ამ სიმაღლეზე სატრანსპორტო კოსმობუსები არ დაფრინავდნენ, პლანეტათშორისი გზებიდან შორს ვიყავი, ამიტომაც თავს ნება მივეცი და 10 000 კმ/სთ-ამდე ავაჩქარე ჩემი კოსმომფრენი. ცენტრალური აფრიკის ნაკრძალების თავზე გადაფრენისას სიმაღლე შევამცირე და ველური ცხოველების ცქერით დავტკბი. ყველა იმ სახეობის შენარჩუნება შევძელით, რომლებიც გადაურჩნენ კატაკლიზმსა და თქვენს მონადირეებს, მათ შორის იყვნენ დიდი მცოხნელები, მტაცებლები და სპილოები.

დანიშნულების ადგილიდან 1 000 კილომეტრში შენელება მომიხდა. ცა გადაჭედილი იყო მძიმე სატრანსპორტო საშუალებებით, რომლებიც მშენებლობას

ამარაგებდნენ საჭირო მასალით. დაჯდომისას დარი იყო, ყინულის ქუდი მზეზე ლაპლაპებდა. დაახლოებით 200-კილომეტრიანი რადიუსის წრეზე ყინული გამქრალიყო და მილიონობით წლის შემდეგ ნიადაგი პირველად ხედავდა მზეს. ამ ჭის ირგვლივ მუშათა ბანაკი იყო, იზოლექსის პატარა სახლები. პირდაპირ №1 ბანაკისაკენ გავეშურე, სადაც განლაგებული იყო მმართველობა; რენია და მთავარი ინჟინერი დილკი იქ მეგულებოდნენ. კოსმომფრენის დასმამდე ორჯერ შემოვუფრინე გეოკოსმოს ღერძს, რომლის დიამეტრი 8 კილომეტრს შეადგენდა და რომელიც ზედაპრიდან უკვე 50 მეტრზე იყო ამოზიდული.

ინჟინრებთან რამდენიმე საათი დავყავი და შემდეგ რენისათან ერთად მშენებლობას შემოვუფრინე დაბალ სიმაღლეზე. ყველაზე ძნელი სამუშაოები უკვე დამთავრებული იყო და ვინაიდან რენიას მათში წვლილი მიუძღოდა, ამით დამსახურებულად ამაყობდა. ყინულს ორმოცდაათი მეტრი სისქის გამჭვირვალე რეზილიტის კედელი აკავებდა. თავიდან უბედური შემთხვევებიც მოხდა. ერთ ღამეს მილიონობით კუბური მეტრი ყინული ჩამოიქცა და ორი ბანაკი გასრისა; 6 000 კაცი დაიღუპა. შვავი ის-ის იყო ღერძს უნდა შეხებოდა, როცა ერთ ახალგაზრდა ინჟინერს, მორს, თავში აზრად მოუვიდა ყინულის ფრონტისაკენ მიეშვირა ყველა რადიატორი, რომლებიც ჭაში 20C° ტემპერატურის შესანარჩუნებლად გამოიყენებოდა. ერთბაშად დაცალა თვეების მანძილზე მზის ბატარეებში ეკვატორზე დაგროვებული ენერგია. ერთობ ქმედითი ხერხი იყო, ყინული ისე აორთქლდა, რომ თითქმის არ გარდაქმნილა წყლად. სამაგიეროდ მთელი ორი კვირის მანძილზე განუწყვეტელი კოკისპირული წვიმები და ბურუსი იყო.

როგორც უკვე ვთქვი, გეოკოსმოს ღერძი უკვე ჩადგმული იყო. ნიადაგში 12 კილომეტრ სიღრმეზე იყო ჩასობილი. ნაფშვენების გასატანად ეკონომიურ და ბუნებრივად ხელმისაწვდომ ხერხს ვიყენებდით: ნაფშვენს მარხილებზე ვტვირთავდით და შემდეგ ისინი თავის წონის გავლენით ხშირად ზღვამდე დაცურდებოდნენ ხოლმე გაკვალულ ყინულზე.

ჩრდილოეთის გეოკოსმოებისაგან განსხვავებით, რომლებიც დამაგრებულები უნდა ყოფილიყვნენ და რომელთა იმპულსის მიმართულებაც დედამიწის ბრუნვის კვალად შეიცვლებოდა, სამხრეთ პოლუსის ერთადერთ გეოკოსმოს თავის ღერძზე ბრუნვა უნდა შესძლებოდა. ამ ღერძში მძლავრ ბირთვულ ელექტროსადგურს უნდა დაედო ბინა გეოსკოსმოს სამუშაოდ საჭირო ენერგიით უზრუნველსაყოფად, იქვე უნდა ეცხოვრა 1 200 კაცს, რომელთაც უნდა მიეხედათ ყოველივე ამისათვის და საჭიროების შემთხვევაში შეეკეთებინათ.

მექანიკური ნაწილის სამუშაოები უკვე საკმაოდ წინ იყო წასული, მაგრამ ამძრავი ნაწილი, გიგანტური გეოკოსმომაგნიტი, რომელიც უნდა გამხდარიყო ვარსკვლავთმფრენ დედამიწის ძრავა, ჯერ მხოლოდ მონახაზად თუ არსებობდა. ქარხნებიდან ძრავის პირველი ნაწილების გამოშვება ახალი დაწყებული იყო და მათი დამონტაჟება კიდევ რამდენიმე წელს წაიღებდა. შემდეგ დაიწყებოდა გამოცდების საპასუხისმგებლო პერიოდი. ბოლოს კი, როდესაც ყველაფერი მზად იქნებოდა და კაცობრიობა მიწისქვეშეთში იქნებოდა თავშეფარებული, დაიწყებოდა დიდი ოტება. ჩვენს პლანეტას გადავაადგილებდით პლუტონის ორბიტის მიღმა და აფეთქების დამთავრების შემდეგ მას დავაბრუნებდით მზიდან შესაფერის მანძილზე. იმ დროისათვის სხვა რამეზე არც ვფიქრობდით, თუმცაღა ეჭვები უკვე მიჩნდებოდა.

სამხრეთ პოლუსზე მხოლოდ რამდენიმე საათით დარჩენას ვაპირებდი. საბოლოო

ჯამში კი იქ ორი დღე დავყავი. ჰური-ჰოლდეში ჩემი ყოფნა აუცილებელი არ იყო და სიამოვნებას ერთი მხრივ რენიას ახლოს ყოფნა მანიჭებდა, მეორე მხრივ კი, ადმინისტრაციული მუშაობისაგან თავის დაღწევა. რენია მეგზურობას მიწევდა და პატარა ეკიპაჟით სამუშაოებს ვამოწმებდით. იქაურობა ჭიანჭველების ბუდეს ჰგავდა, ჭიანჭველების ბუდეს, რომლის შესაძლებლობებზე ვერც კი იოცნებებდით. ყველაზე უფრო მძიმე ნაწილების გადასაზიდად ანტიგრავიტაციული ველი გამოიყენებოდა და მათ შემხედვარეს ისეთი შთაბეჭდილება დაგრჩებოდა, რომ ისინი თავისით დაფრინავდნენ და ნარნარით ეშვებოდნენ სასურველ ადგილას. მოლეკულური შემდუღებლის დასახსრული მკლავები ამ დროს გამოიწეოდნენ ხოლმე და ბლოკი სამუდამოდ მიედუღაბებობდა მშენებლობაში მისთვის განკუთვნილს ადგილს.

რენიასთან ერთად ხალხში, მუშებსა და ინჟინრებში, გავერიე. შეიძლება გაწბილდეთ, მაგრამ მაინც უნდა გითხრათ, იქ გამეფებული ატმოსფერო დიდად არ განსხვავდებოდა თქვენებური მშენებლობების ატმოსფეროსაგან. თუ ნაგებობები, საცხოვრებელი, სასადილო და სხვა მსგავსი უაზროდ მდიდრული მოეჩვენებოდა თქვენს თანამედროვე სამშენებლო საქმეთა მწარმოებელს, ხოლო მუშებს კი — მიუღწეველ ოცნებად, თუ გასართობები განსხვავდებოდა თქვენეულისაგან, ისევე როგორც დღეს იქაც იყვნენ მორჩილი ადამიანები და კერკეტი კაკლები, ენთუზიასტები და შფოთისთავები, პროფკავშირთა მომხრეები და მოწინააღმდეგეები და უბრალოდ მარად უკმაყოფილოები. ალკიტის კანონი უხსოვარი დროის მერე პირველად იქნა გამოყენებული და ბევრმა ტექნმა და ტრილმა მოულოდნელად სამივლინებო ფურცელი მიიღო და თავი ოჯახიდან ათასობით კილომეტრში ამოჰყო.

მაშინ უკმაყოფილება ჩვეულებათა დარღვევის ნაყოფი იყო და არა ჯანყი.

სინანულით დავტოვე სამხრეთი პოლუსი, ჩემი გეოკოსმოთი ჩრდილოეთ პოლუსს მივაშურე, გრენლანდიის ჩრდილო სანაპიროზე დავეშვი, სადაც №3 გეოკოსმოს ვაშენებდით. მისი ზომა ბევრად უფრო პატარა იყო ვიდრე სამხრეთ პოლუსის გეოკოსმოსი და იგი უკვე თითქმის დამთავრებული იყო. ათი ასეთი გეოკოსმო პლანეტას სარტყლად უნდა შემოჰკვროდა. გრენლანდიიდან ჰური-ჰოლდეში დავბრუნდი და ყოველდღიურობაში გადავეშვი თავით. ეს ერთფეროვნება მანამ გრძელდებოდა, სანამ კაცთა მეუფე ტირალმა არ ითხოვა ჩემთან შეხვედრა.

ტირალი ითავსებდა აგრეთვე საბჭოსა და ტრილთა მთავრობას შორის შუამავლობას და, რაც საბჭოს წევრთა გარდა არავინ იცოდა, იგი შიდადაზვერვის სამსახურის უფროსი იყო, იმავდროულად იგი ხელმძღვანელობდა სოციოლოგიასთან დაკავშირებულ ყველა კვლევას. ფიზიოლოგიურად იგი ჯერ ისევ ახალგაზრდა იყო (სულ რაღაც 87 წლისა), ძლიერი აღნაგობა ჰქონდა (სტუდენტობისას ჭიდაობაში ჩემპიონიც კი იყო), ძალიან ეამაყებოდა თავისი მურა წვერი და ჯაგრისივით ამართული ხისტი თმა, რადგანაც ჩვენს დროში თმა უმეტესწილად რბილი და მოქნილი იყო. მასთან ხშირი ურთიერთობა არ მქონია და არც განსაკუთრებულ სიმპათიას განვიცდიდი. პირდაპირ საქმეზე გადავიდა:

— ჰაურკ, საქმეების მიმდინარეობაში ხომ რა შეგიმჩნევიათ რამე, შორიდან თუ ახლოდან საბოტაჟის ნიშნებს რომ ატარებდეს.

— არა,— მივუგე ცოტა არ იყოს გაოცებულმა. — ცხადია, არიან უკმაყოფილოები, განსაკუთრებით ტრილებში, მაგრამ ეს გასაგებია და გათვალისწინებულიც იყო. მაგრამ ბოროტი განზრახვის მქონენი, არა. კიდევ უფრო ცოტა მესაბოტაჟე. სხვათა

შორის, საბჭოს, ცხადია, მაშინათვე ვაცნობებდი.

— უეჭველი ფაქტები რომ გქონდეთ, ცხადია. მაგრამ მსუბუქი მინიშნებების შემთხვევაშიც იგივეს იზამდით? საქმე არც ამაშია, ვინაიდან თქვენ არაფერი შეგინიშნავთ. ეს იმის გამო, რომ მოძრაობას ჯერ არ გადაუწყვეტია ამოქმედება.

— რომელ მოძრაობას?

— ბედისწერელებს. გამოთაყვანებულთა ჯგუფია, რომელიც თვლის რომ თუ მზე აფეთქდება, მაშასადამე განადგურება ყოფილა დედამიწის ბედისწერა. მათი აზრით ჩვენი სხეულის გადარჩენით დავიღუპავთ სულებს და რომ მზის ცეცხლმა უნდა განგვწმინდოს. ქირისტის წმინდა წიგნებიდან შემორჩენილ ქადაგებებს ემყარებიან; ეს რელიგიური სექტა, ზოგიერთი ისტორიკოსის თანახმად, გამყინვარებამდელი ხანის პირველ ცივილიზაციაში უნდა იღებდეს სათავეს.

— მიუხედავად იმისა, რომ არ ვიზიარებ მათ შეხედულებებს, მეგონა, რომ ქირისტები გონიერი ხალხი იყო. ერთ მათგანს... რაზეა ლაპარაკი, ბებიაჩემი იყო ქირისტი!

— ამიტომაც არ მგონია, რომ ეგენი იყვნენ. თუ ჩემი ცნობები სწორია, ახალი სექტაა, მაგრამ უკვე მრავალრიცხოვანნი არიან ტრილებს შორის. სამწუხაროდ, საბჭოს მიერ მზის შესახებ ცნობის გამოცხადებამდე ზუსტად ორი თვით ადრე მათმა ერთ-ერთმა მოციქულმა იწინასწარმეტყველა სამყაროს აღსასრული.

— ვინაა მათი მიმდევარი?

— ჯერ-ჯერობით მხოლოდ ტრილები. მაგრამ ვშიშობ, რომ მალე ქვედა ეშელონების ზოგიერთი ტექნი ან უფრო ადვილად გავლენადი ტექნებიც შეუერთდებიან მათ. შეიძლება უკვე ჰყავდეთ დიდი მოხელეები, თუნდაც ტრილთა პოლიციაში.

გაცხარებულს უწმაწური სიტყვები დამცდა. თუ დავუშვებდით რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა, მაშინ დროულად ვიქნებოდით მზად. მაგრამ თუ რამე შეფერხდებოდა...

— რისი გაკეთება შეგვიძლია?

— ჯერ-ჯერობით არაფრის. იმედი მქონდა, რამე საეჭვო ფაქტს მომაწვდიდით, რაც მოქმედების საშუალებას მომცემდა. მაგრამ ახლა თუ დავაპატიმრებთ მათ მოთავეებს, რომელთაც ჯერ არ ვიცნობთ, ტრილთა მთავრობასთან დაპირისპირების რისკს გამოვიწვევთ, რამეთუ კანონის მიხედვით ჩვენი ქმედება თვითნებობა იქნებოდა. კანონის თანახმად ყველას აქვს აზროვნებისა და აღმსარებლობის თავისუფლება. არ შეიძლება ვინმე დავაპატიმროთ მხოლოდ იმიტომ რომ მისი აზრით ჩვენ ვცდებით, რადგან არ ვეპუებით ბედისწერას.

— გასაგებია,— მივუგე. ალბათ, უკვე გყავთ ჯაშუშები მშენებლობებზე.

— ცხადია! მაგრამ თუ რომელიმე თქვენი ინჟინერი რამეს შეგატყობინებთ.

— უთუოდ. თქვენც თუ რამეს გაიგებთ...

ტირალი წავიდა, შეშფოთებული დავრჩი. ყველა სხვა ტექნივით, ისეთნაირად ვიყავი გაზრდილი, რომ მჯეროდა ადამიანს შეუძლია და მოვალეცაა წინ აღუდგეს სამყაროს; სხვაგვარად აზროვნება სავსებით წარმოუდგენლად მიმაჩნდა. თავს ძალას ვატანდი, რათა გამეცნობიერებინა ეს აზრი, ვინაიდან როგორც ამხელა საქმის მეთაურისათვის, დაუშვებელი იყო, რომ ყურად არ მეღო თუნდაც უმცირესი და თუნდაც მოჩვენებითი საფრთხე.

ტირალის ეჭვებს განხორციელება მოგვიანებით ეწერა. ჯერ ყველაფერი წყნარად იყო. ამიტომაც საინსპექციოდ ვენერას მივაშურე.

ნაწილი მეორე

კატაკლიზმი

თავი პირველი

ვენერული ჯუნგლი

ვენერაზე მანამდე არასოდეს ვყოფილვარ. ვენერელებთან ჩვენი ურთიერთობა განსაკუთრებული იყო. ვენერა დრუმების მიერ დედამიწის დაპყრობის წინ იქნა ათვისებული. პლანეტა ფორმალდეჰიდის ხშირი ღრუბლებით შებურული იყო და მის ათვისებამდე საჭირო იყო მისი საცხოვებლად ვარგისად ქცევა. პოულ ანდრ'სონის, ბრწყინვალე ინჟინრის ხელმძღვანელობით, ატმოსფეროს შესაცვლელად „დიდი წვიმის“ სახელით ცნობილი ფიზიკურ-ქიმიური ოპერაცია განვახორციელეთ. მისი დამთავრების შემდეგ, ვენერას ღრუბლები ისევ ერტყა გარს, მაგრამ ამჯერად ეს წყლის ორთქლისაგან შემდგარი ღრუბლები იყო. შემდგომ საჭირო იყო ღერძის ირგვლივ ბრუნვის ძალიან დაბალი სიჩქარის გაზრდა, 72 საათიდან 28 საათამდე დავიყვანეთ ვენერის დღე-ღამის ხანგრძლივობა. იმ შორეულ დროს კოსმომაგნეტიზმი უცნობი იყო და მთელ საჭირო ენერგიას ატომური ელექტროსადგურებიდან ვიღებდით; ისინი თქვენი ატომური ელექტროსადგურებისაგან იმით განსხვავდებოდნენ, რომ ენერგია მიიღებოდა არა მძიმე ატომების გახლეჩის ან მსუბუქი ატომების შერწყმის ხარჯზე, არამედ ნივთიერების ანიჰილაციის ხარჯზე.

ეს ბევრად უფრო მძლავრიც იყო და საშიშიც! 2244 წელს მოხდა კატასტროფა. უცნობი მიზეზის გამო თერთმეტი ელსადგურიდან 7 ერთდროულად აფეთქდა და თითქმის მთელი ვენერა რადიოაქტიურ აირებში ჩაიძირა; საბედნიეროდ მათი ნახევარდაშლის პერიოდი მოკლე იყო. დედამიწიდან მომავალი მაშველი რაზმები გზაში იყვნენ, როცა დრუმებმა შემოგვიტიეს.

მას შემდეგი თითქმის მთელი ათასი წლის განმავლობაში ორ პლანეტას შორის კავშირი გაწყვეტილი იყო. ჩვენი არქივებიდან წავშალეთ ან შევნიღბეთ ყველაფერი რასაც შეეძლო დრუმებისათვის მიენიშნებინა, რომ ვენერაზე ახალშენები გვქონდა. მარსი უკვე მათ ხელთ იყო, თუმცა რაღა ხელთ, სახსროვანი საცეცები ჰქონდათ.

ვენერაზე გუმბათებს შეხიზნული კაცობრიობა ძლივს გადარჩა. მათში მრავალმა მუტაციამ იჩინა თავი, მათი უმრავლესობა დეგენერაციული იყო და ხანმოკლე აღმოჩნდა. ბირთვული ომის იმედად ნუ იქნებით ზეადამიანების წარმოსაქმნელად. მაგრამ მუტაცია ყველაზე უფრო ნიშანდობლივი ცხოველთა სამყაროში აღმოჩნდა.

ვენერაზე სიცოცხლის არანაირი ნიშან-წყალი არ დაგვხვედრია. ამიტომ დედამიწის ცხოველები და მცენარეები მოვაშენეთ. ძირითადად აფრიკისა და ამერიკის ნაკრძალებიდან გადავიყვანეთ სახეობები: დიდი თუ პატარა ძუძუმწოვრები, მცოხნლები, მწერები და ა.შ. ასი წლის განმავლობაში შევძელით ჯერ გუმბათებში შემდეგ კი ღია ჰაერზე ისეთი წონასწორობის დამყარება, რისთვისაც ევოლუციას დედამიწაზე მილიონობით წლები დასჭირდა. ფაუნის უმრავლესობა დაიღუპა კატასტროფის დროს. ძალიან მცირე ნაწილი უცვლელად გადარჩა. დანარჩენებმა მუტაცია განიცადეს. მაგრამ ადამიანთა მუტაციებისაგან განსხვავებით ამ მუტაციათა უმრავლესობა არც მომაკვდინებელი იყო და არც —

დეგენერაციული. ვენერის უდიდესი ნაწილი ჯერ ისევ დაუსახლებელი იყო; ჩრდილოეთისა და სამხრეთის 45-ე გრძედებს შორის ზედმეტად ცხელოდა და იქ შიშისმომგვრელი ფაუნა ცხოვრობდა, მათ შესახებ მოგვიანებით მოგახსენებთ.

ვენერის განახევრებულმა მოსახლეობამ, რომელსაც ძალიან მწირი პრაქტიკული შესაძლებლობა გააჩნდა, შესძლო შემოენახა დედამიწაზე დრუმების შემოსევის შედეგად დავიწყებული თეორიული ცოდნის უდიდესი ნაწილი და ამ უკანასკნელთა წასვლის შემდეგ, დედამიწაზე ვენერელთა ვარსკვლავთმფრენის გამოჩენამ საშუალება მოგვცა სწრაფად აგვენაზღაურებინა დაკარგული დრო. დედამიწაზე ცივილიზაციის მომაგრებისა და ხელახალი აყვავების შემდეგ ვენერა იძულებული შეიქმნა ეღიარებინა დედამიწის უპირატესობა. მათი ცივილიზაცია გარკვეულწილად ჩვენსაზე უფრო ბრწყინვალე იყო, ხელოვნებას უფრო მეტი ადგილი ეკავა და ტექნებად და ტრილებად დაყოფა ნაკლებად მკაფიო იყო. ვენერის დედაქალაქი აფროი თითქმის იმდენივე მოსახლეს მოიცავდა რამდენსაც ჰური-ჰოლდე, თუმცა თავად პლანეტის მთლიანი მოსახლეობა ბევრად ჩამორჩებოდა დედამიწისას.

ვინაიდან ვენერაზე არ იყო დიდი ქალაქი-ქარხნები ამიტომ მასზე გიგანტური გეოკოსმოების მშენებლობა უფრო ნელა მიმდინარეობდა. ვენერის გადარჩენა ძალიან გვინდოდა ვინაიდან პლანეტა ერთობ მდიდარი იყო მინერალებით და ნიადაგიც ფრიად ნაყოფიერი ჰქონდა. ვენერაზე გავემგზავრე ჰანის, რენიასა და ტექნიკოსთა შტაბის თანხლებით.

პლანეტას გამუდმებით ერტყა ღრუბლები, რომლებშიც მზე იშვიათად თუ აღწევდა და პლანეტის ზედაპირამდე მხოლოდ გაბნეული შუქი აღწევდა, რომელიც უსიამოვნო იყო ახლადჩასული დედამიწელებისათვის. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ რელიეფი ქრებოდა. პლანეტაზე ძალიან ცხელოდა, ამიტომ ვენერელები ძალიან ხალვათად იმოსებოდნენ. ნახევარსინათლეს მიჩვეული მათი თვალები შესამჩნევად უფრო დიდი იყო ვიდრე დედამიწელებისა და უმეტესწილად რუხად იყვნენ შეფერილნი. ეს ნიშანი რეცესიული იყო და დედამიწელისა და ვენერელის შერეული ქორწინების შედეგად დაბადებული ბავშვების პირველ თაობას ყოველთვის ნორმალური თვალები ჰქონდა.

რენია ძველებური ვენერელი ოჯახის შთამომავალი იყო. თავისი რასის დამახასიათებელი დიდი თვალები ჰქონდა, რომლებიც მემკვიდრეობითობის ჭირვეულობის გამო მწვანედ იყვნენ შეფერილნი და შესაბამისად კარგად იტანდნენ დედამიწის ბევრად უფრო მკვეთრ განათებას. ჩვენს პლანეტაზე სტუმრად მყოფ ვენერელთა უმრავლესობას დამცავი ვითომჩინების ტარება უწევდათ. რენია ვენერიდან დიდი ხნის წინ წამოვიდა, მაგრამ შესანიშნავად ახსოვდა იქაური ადათ-წესები და შესაბამისად შესანიშნავ მეგზურობას გვიწევდა.

როგორ აღგიწეროთ ამ პლანეტის უცნაური ბრწყინვალება? პლანეტაზე ხუთი კონტინენტი იყო, სამი მათგანი, რომელთა შორის იყო ყველაზე მეტად დასახლებული პოლარული კონტინენტი, ჩრდილოეთ ნახევარსფეროში მდებარეობდა, ორი კი — სამხრეთ ნახევარსფეროში. ჩრდილოეთ ნახევარსფეროში ეკვატორის მახლობლად ოკეანიდან ამოზიდული იყო დაუსახლებელი კუნძულები, რომლებზეც საშუალო ტემპერატურა 55° გრადუსი იყო. თითქმის უწყვეტი თავსხმა წვიმების ქვეშ უცნაური ყვითელი ხეები ხარობდა და სავსე იყო ფანტასტიკური ფაუნით: იქ ცხოვრობდა უზარმაზარი მწერი, ლერმი, რომელსაც თავისი მარწუხებით შეეძლო ადამიანის ორად გაჭრა; ფორია, მიწიერი ნიანგის შორეული

შთამომავალი — ოცდახუთი მეტრი სიგრძის მძიმე და ნელი ჯავშნოსანი ქვეწარმავალი, რომელიც დიდ მანძილზე ისროდა მოშხამულ ნერწყვს; ამ კუნძულების ფაუნაში მაინც აღსანიშნავია ჰერი-კუბა, ზოგიერთის მოსაზრებით, გორილის შთამომავალი. ჰერი-კუბა მაიმუნისებრი უცნაური არსება იყო და მისი ახლოდან დანახვისას ყველა იღუპებოდა. ცოტა უფრო ჩრდილოეთით, კონტინენტებზე ცხოველთა სამყარო ნაკლებ საზარელი იყო, იქ გვხვდებოდნენ ორადგაყოფილხორთუმებიანი დიდი სპილოები, რომლებიც ძალიან გონიერები იყვნენ და ორგანიზებულ ჯგუფებად ცხოვრობდნენ, ლოფხვები — ლომისა და ვეფხვის ნაზავი, მაგრამ ბევრად უფრო ჭკვიანები ვიდრე თქვენი თანადროული შიმპანზეები და რომელთა წინა თათებზეც გვერდზეგაშვერილმა ცერამ დაიწყო განვითარება, იქვე იყვნენ უცნობი წარმოშობის ფლეები, ხვლიკები რომელთა სიგანეც გაშლილი ფრთებით ექვს მეტრს აღწევდა და რომელთაც ახალგაზრდა ვენერელები გადასაადგილებლად იყენებდნენ.

ღრუბლების დაბალი კამარის ქვეშ გაბნეული სინათლით სუსტად განათებული ვენერის პეიზაჟი დედამიწელთათვის სევდიანი სანახაობა იყო. მუდმივი ქარის ქვეშ ირხეოდნენ ხშირი ავდრებით აქოჩრილი მარჩხი და ვრცელი რუხი ოკეანეები. მდინარეები თითქმის ყოველთვის კლდოვან, ფრიალო და უფერულ კალაპოტებში მიიკლაკნებოდნენ და დიდმარცვლიანი და უგემრიელესი ვენერული ბრინჯისათვის ზედგამოჭრილ ლაფიან ვრცელ დელტებს ჰქმნიდნენ. ახალგაზრდა ახალჩამომეწყრილი მთები ცის დასაპყრობად იწვდიდნენ შავ და წითელ წამახულ ნემსებს. ჩრდილოეთით მდებარე აკაჩევანის ქედის გამოკლებით, რომლის სიმაღლე 6 600 მეტრს აღწევდა, ვენერის მთები დიდი სიმაღლით არ გამოირჩეოდნენ. ეკვატორულ კონტინენტებზე უკიდეგანო ტყეები იყო გადაჭიმული, იქაური ხეები სიმაღლით სამას მეტრს აღწევდნენ და მათი ნატიფი ყვავილები სასიამოვნო სურნელს აფრქვევდნენ ირგვლივ.

ერთობ თვალშისაცემი იყო ვენერის ქალაქთა ბრჭყვიალება პლანეტის გახუნებული ფერების ფონზე. მარამარილოთი აგებული აფროი დასერილი იყო ფართო გამზირებით, რომლებზეც ტერასები სართულებად იყო გადმოკიდებული. ქალაქი თბილი ზღვის კაზომირის უბის პირზე იყო აშენებული და მის გვერდზე ჰური-ჰოლდე საბრალობლად გამოჩნდებოდა.

ვენერის მთავრობამ მიმიღო. ვენერაზე, ისევე როგორც მარსზე, დედამიწისაგან განსხვავებით, არ იყო მეუფეთა საბჭო. ცხადია, ზოგიერთი მეუფე წარმოშობით ვენერელი იყო, სხვაც მარსელი, მაგრამ ყველა დედამიწის საბჭოს წევრები იყვნენ, რომლის ძალაუფლებაც ყველა პლანეტაზე ვრცელდებოდა. ასეთი მდგომარეობის მიზანი იყო სეპარატისტულ მიდრეკილებათა თავიდან აცილება. მიუხედავად იმისა, რომ ასეთ მიდრეკილებებს დიდი ხანია თავი აღარ უჩენიათ, კანონი მაინც ძალაში რჩებოდა. კოსმომაგნეტიზმის წყალობით მარსი და ვენერა დედამიწიდან რამდენიმე დღის საფრენზე იყო და ასეთი მოწყობა არ იყო ხელშემშლელი. რადგან პლანეტათა მთავრობები არ იყვნენ საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებულნი, თუკი მათი გადაწყვეტილება არ ეხებოდა კაცობრიობის ბედს. ამიტომაც საბჭოს წარმომადგენლებს ხშირად ალმაცერად უყურებდნენ. მაგრამ ამჯერად საერთო გასაჭირმა ძველი ბოღმა მიასუსტა და ყველამ ითანამშრომლა ყოველგვარი კამათის გარეშე.

ისევე როგორც დედამიწაზე, ვენერაზეც მოვინახულე სხვადასხვა მშენებლობა. ყველა „სამხრეთი პოლუსის“ ტიპისა იყო, ვინაიდან ვენერაზე არც პოლარული

ოკეანე იყო და არც ყინულები. მათ ადგილას ტყის გაჩეხვა მოგვიხდა, სამხრეთ პოლუსზე კი, დამატებით — აგრესიული მხეცების განადგურება. ეკვატორის ქვემოთ მდებარე სამეთვალყურეო სადგურებში მაცივრების დაყენება გახდა საჭირო. ასეთი სადგურები აუცილებელი იყო, ვინაიდან ვენერაზე არ იყო ელექტროსადგურების ისეთივე მჭიდრო ქსელი როგორც დედამიწაზე. ყველაფერი კარგად მიდიოდა, გარდა ერთი-ორი ეკვატორული პოსტისა. ნაწილები უკვე მოჰქონდათ და კოსმომაგნიტების მონტაჟი იწყებოდა.

ვენერელ ტექნებთან მრავალრიცხოვანი სადილების დროს სულ მესმოდა იდუმალ ჰერი-კუბაზე საუბრები, რომელიც ახლოდან არავის ენახა საკუთარი თვალით. დიდი ხნის წინ, როცა დედამიწაზე დრუმების მწუხრი დასასრულს უახლოვდებოდა, კუნძულ ზენის გამოსაკვლევად წასული ექსპედიციის ყველა წევრი უგზოუკვლოდ დაკარგულა. ერთი ეგაა, რომ გაუჩინარების წინ მათ გამოუგზავნიათ შეტყობინება, რომელშიც საუბარი იყო გოლიათური ზომების მაიმუნზე. მას შემდეგ ბევრმა ექსპედიციამ სცადა საიდუმლოსათვის ფარდის ახდა, მაგრამ ამაოდ. ჯუნგლი კუნძულ ზენზე ძალიან ძნელად შესაღწევი იყო. პატარა, ინდივიდუალურ კოსმოებსაც კი გაუჭირდებოდათ ეკვატორული ხეების ვარჯებს შორის გზის გაჭრა. ფეხით ექსპედიციაზე ფიქრიც კი უაზრობა იყო, უთვალავი დაბრკოლება და მაღალი ტემპერატურა გაუმართლებელ საფრთხეს შეუქმნიდა ადამიანის სიცოცხლეს ერთობ საეჭვო შედეგების გულისათვის. ისედაც მრავალმა ვენერელმა და დედამიწელმა ნახა იქ უკანასკნელი ბინა. ნაკლებად დასახლებული ვენერისათვის ეკვატორულ მიწებს დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდათ, ამიტომ მათი გამოკვლევა, მართალია, აკძალული არ ყოფილა, მაგრამ მაინც განუსაზღვრელი მერმისისათვის იყო „განკუთვნილი“.

ცნობისმოყვარეობა მღრღნიდა და მოსვენებას არ მაძლევდა. კუნძულის ფაუნა მოკლე ხანში სამუდამო გაქრებოდა. არადა რამდენი უცნობი სახეობა, ბიოლოგიურად მნიშვნელოვანი აღმოჩენა შეიძლებოდა იქ დაგვხვედროდა? ერთი ეკვატორული სამეთვალყურეო პოსტიღა იყო დასამონტაჟებელი და მის დასადგამად ორად-ორი გამოსადეგი ადგილი იყო: არკის კუნძული — უდაბური კლდე ან კუნძული ზენი. ჩემი გეგმები მეუფეთა საბჭოს გავაცანი და გადაწყდა სადგურის ზენის კუნძულზე დაყენება. ვინაიდან ამჯერად ფსონი ძალიან მაღალი იყო, წარმატებისათვის არაფერი დაგვიზოგავს.

ამ გადაწყვეტილებას ვენერელები ჯერ გაოცებით შეხვდნენ, შემდეგ კი დიდი ენთუზიაზმით აიტაცეს. ვენერის ისტორიაში პირველად საბჭოს წარმომადგენელს ტაში დაუკრეს, სტუდენტებმა თავიანთი სიხარული ჩემი ფანჯრების წინაც კი გამოხატეს. ენერგიული და სიცოცხლით აღსავსე ვენერელები ძალიან განიცდიდნენ იმას, რომ მათი სამშობლოს ნაწილი მათთვის აკრძალული იყო დედამიწაზე მიღებული გადაწყვეტილების გამო, მიუხედავად იმისა, რომ ამ გადაწყვეტილების მიღებაში ვენერელ მეუფეთაც მიუძღოდათ წვლილი. ენთუზიაზმი კიდევ უფრო გაძლიერდა, როცა ვენერის მთავრობის თავმჯდომარესთან ვახშამზე განვაცხადე, რომ თავადვე ვუხელმძღვანელებდი ექსპედიციას. რამდენიმე კვირა შემეძლო გულმშვიდად დამეთმო. სამუშაოები წინ კარგად მიიწევდნენ და დედამიწიდანაც იმედის მომცემი ცნობები მოდიოდა. ბედისწერელები წყნარად იყვნენ და უკვე იმასაც ვფიქრობდი, რომ ტირალმა ეს ამბავი თავისი თავისათვის მნიშვნელობის მისანიჭებლად გააბუქა. ამ ექსპედიციას დასვენებად უფრო განვიხილავდი ვიდრე მუშაობად. სიმართლე რომ ითქვას, ჩემი იქ ყოფნა სრულებითაც არ იყო

აუცილებელი.

მე ზოგადი ხელმძღვანელობა ვითავე და დეტალებზე ზრუნვა ვენერელთ მივანდე, რამეთუ ისინი ჩემზე უკეთ იცნობდნენ საკუთარ პლანეტას. თხუთმეტი დღის თავზე რაზმი მზად იყო. იგი ორმოცდათერთმეტი კაცისაგან შედგებოდა და მათგან მხოლოდ რვა უნდა შესულიყო ტყეში.

სატრასნპორტო საშუალებად სამი დიდი პლანეტათშორისი კოსმო გამოვიყენეთ, თითოეულ მათგანში ორ-ორი პატარა კოსმო იყო. ალიონზე დავიძარით, აფროის ვარსკვლავთსადგურის თავზე პროჟექტორების შუქზე ათასნაირი აპარატი გაიბრწყინებდა ხოლმე, მათ ქვემოთ თბილი ზღვა ლივლივებდა. პილოტებს მივდიე და პირველ კოსმოში მესამე ვიყავი, ვინც ჩავჯექი. ხომალდს სახელად ერქვა სლიკ ეფრეი, ანუ ქართულად მბრწყინავი ელვა. რენია ჩემთან ერთად ჩაჯდა.

დედამიწის ჩვეულებისაგან განსხვავებით დაბალ სიმაღლეზე მივფრინავდით ღრუბლების თაღქვეშ. ვენერული კოსმოები დიდი ფუფუნებით გამოირჩეოდნენ, დედამიწურები მათთან ახლოსაც ვერ მივიდოდნენ. ჩვენი კოსმოს იატაკზე მაგალითად ძვირფასი ხის პარკეტი ეგო. ჩემი პრივილეგიებით ვსარგებლობდი და რენიასთან ერთად დროის უმეტეს ნაწილს საპილოტო ნაკვეთურში ვატარებდი. ეკრანებზე ვენერის ტყვიისებრი რუხი ფერის ზღვა ზანტად ტორტმანებდა. დრო და დრო იქიდან ჩვენებური ვეშაპებისა და ზვიგენების საშინლად გადაგვარებული შთამომავლები ამოყვინთავდნენ ხოლმე. ზომიერი სიჩქარით მივფრინავდით და ამიტომაც იყო, რომ ტროპიკული ჯანღი მხოლოდ ათი საათისათვის გამოჩნდა შორს თვალსაწიერზე. დანარჩენი ორი კოსმო ჩვენზე ადრე მიფრინდა იქ და დავინახე როგორ გაუჩინარდნენ ნისლში.

ჯანღის სიმკვრივე, რომელშიც შესანიშნავად აღწევდა ჩვენი რადარი, არათანაბარი იყო და ხანდახან უზარმაზარი ქარბორბალები ზღვისათვის თვალის მოკვრის საშუალებას გვაძლევდნენ. მომცრო ჭალაკ არკის მწვერვალი გამოჩნდა, გარს ორთქლის საბურველი ეხვია, შემდეგ ეკრანზე გამოჩნდა ზენის კუნძულზე მდებარე ზერიფის მთების დაკბილული სილუეტი. კუნძულიდან ოციოდ კილომეტრში ჯანღში მრავალი ჭა გაჩნდა და ბოლოს სულ გაიფანტა. ეკვატორული ქარების სამეფოში შევედით; ქარები ხანდახან ისე ძლიერი იყო ღრუბლების ფენას ბოლომდე ხვრეტდა, ამიტომ ზენის კუნძული ვენერის იმ იშვიათ ადგილთა რიცხვს ეკუთვნოდა, საიდანაც ხანდახან შეიძლებოდა ვარსკვლავების ჭვრეტა.

ჩვენს ქვემოთ კუნძული ას კილომეტრზე იყო გაჭიმული, სიგანეში — ორმოცზე. მისი ორი ნახევარკუნძული თათებს მიაგავდა, უბე კი — პირს, რაც მთლიანად კუნძულს ცხოველის შესახედაობას აძლევდა. მთელი კუნძული, ზერიფის მთების გამოკლებით, რომელთა სიმაღლე 4 000 მეტრს აღწევდა, დაფარული იყო გაუვალი, მუქი მწვანე, დაბურული ტყით. ორ უსახელო ბორცვს შორის მდებარე ზეგანზე დავეშვით ტყის ზონიდან ხუთასი მეტრის სიმაღლეზე. დაშვება იმაზე უფრო მსუბუქი იყო, ვიდრე ეს თქვენს თვითმფრინავებს სჩვევიათ. ქარი ხრიდა მაღალ გაყვითლებულ ბალახს და ეკვატორული ტყის სურნელი მოჰქონდა ჩვენამდე; მძიმე სურნელი, ნაზავი ნეშომპალასი, თეთრი დიდი ყვავილებისა და ხეების ქერქისა. ჩვენ წინ დაღმართი იყო და ხეთა წვეროკინები მწვანე ზღვასავით ტორტმანებდნენ. ჩვენს უკან ზერიფის მთების ციცაბო ფერდები ცას ეპოტინებოდნენ და ღრუბლების ზღვაში იკარგებოდნენ.

კოსმოთა საფარქვეშ ბანაკი დავეცით. მათი ვეება მასა ქარს აპობდა და იქაურობის ატანას გვიადვილებდა. ქარს მაღალი ბალახებიდან და ბუჩქნარებიდან

უცნაური, მონოტონური და მომნუსხავი ჰანგი მოჰქონდა. ლითონის სახლების ასაწყობად და კლდოვან ნიადაგზე ფოლადის კაუჭებით მყარად მისამაგრებლად დიდი დრო არ დაგვჭირვებია. ორ დღეში უკვე ყველაფერი მზად გვქონდა.

მეორე დღეს პატარა კოსმოთი ტყისაკენ დავეშვით. ხუთნი ვიყავით: მე, რენია, ოცდაათი წლის ვენერელი ბიოლოგი სობოკოლი და მისი ორი თანაშემწე, რეუმი და ტული. ტყის პირას მიწიდან ათ მეტრზე დიდ ხანს ვიტრიალეთ, რათა გვეპოვა ღიობი, რომელშიც შეეტეოდა ჩვენი პატარა კოსმომფრენი. გიგანტური მცენარეების ვარჯებს შორის ქვეტყის ხშირი, დედამიწური მუხისოდენა, ხავსითა და ლიქენით დაფარული მცენარეულობა იზრდებოდა და მათ შორის სურო იყო გაბმული. ტოტებზე საოცარი ეპიფიტი ყვავილები ხარობდნენ. ლავის ნადენის თავზე , როგორც იქნა, შევძელით ტყეში შეღწევა. დაბალი სიჩქარით მივიწევდით წინ, ხშირად გვიწევდა უკან დახევა მჭიდროდ მდგომი ვარჯებისა თუ მკვდარი შტოების გროვების გამო, ზოგ ადგილას კი იმდენად ხშირი სურო იყო, ჩვენს პატარა კოსმოს უჭირდა მისი გაკვეთა. ერთხელ ზედ ჩვენს თავზე ჩამოშვავდა ერთმანეთში არეული ლიანები და სუროები, მე და სობოკოლს კოსმოდან გარეთ გასვლა მოგვიხდა, რათა ელექტრული ხერხების დახმარებით გაგვეთავისუფლებინა ჩვენი ხომალდი სუროების მარწუხებისაგან. ჰერი-კუბას აღმომჩენი კლენის ექსპედიციის ცნობებიდან ვიცოდით, რომ ტყისპირის ჯაგების მერე ტყე შედარებით ადვილსავალი ხდებოდა. საღამოსაკენ მდინარეს მივაღწიეთ და გზა გავიადვილდა. მის კალაპოტს ავყევით; პროჟექტორები ჩართული გვქონდა, რამეთუ საღამოს მოახლოებისას მუქი მწვანე სინათლე ბევრად უფრო ნაკლებად ანათებდა ვიდრე მიწიერი ბინდი. ღამის ჩამოწოლისას ტბას მივადექით. იგი ტყეში ღრუს ჰქმნიდა, რომელსაც სანახევროდ ფარავდა ხეების რტოები.

კოსმო ტბის იმ პირას დავსვით, სადაც პატარა პლაჟი ბანაკის დაცემის საშუალებას გვაძლევდა. თავი სამშვიდობოს გვეგონა. კოსმო ჩვენთვის ცნობილ შენადნობთაგან ყველაზე გამძლე შენადნობისაგან იყო ჩამოსხმული ერთიან ბლოკად. სიტყვაზე შეგიძლიათ მენდოთ, ამ შენადნობის გვერდით თქვენი საუკუთესო ფოლადი ტყვიასავით ლბილი გეგონებოდათ. ამიტომ იგი მიუვალ ციხესიმაგრედ მიგვაჩნდა. მიუხედავად ამისა, თავს მაინც ვერ ვგრძნობდით კარგად, კლაუსტროფობიის შეტევით შეპყრობილებს გარემომცველი მცენარეულობის მასა გვთრგუნავდა. გემრიელი სადილობის შემდეგ ეს უსიამოვნო შეგრძნება გაგვიქრა, ლამპიონები გამოვრთეთ და ფაუნის გამოჩენას დაველოდეთ, თუკიღა ასეთი არსებობდა ტყის ამ ნაწილში.

ოჰ! ვენერული ტყის ეს ღამე! არასოდეს დამავიწყდება! ის-ის იყო პროჟექტორი ჩავაქრეთ, რომ ტბიდან იისფერი ნათება გამოჩნდა, თავიდან სუსტი, სწრაფად გაძლიერდა და მალე ტროპიკული სავსე მთვარის ნათებას მიაღწია. ნათება ტბის ფსკერიდან ამოდიოდა, რომელიც აალებული გოგირდის ზღვას დაემგვანა. ტბის სიღრმეში გველისებრი ჩრდილები სწრაფად სხმარტალებდნენ. რენიასა და სობოკოლს შორის ჩამჯდარი გაოგნებული შევცქეროდი ამ სანახაობას მარცხენა ეკრანზე. რეუმი და ტული ჯუნგლის მხარეს მდებარე მარჯვენა ეკრანს უყურებდნენ. ხეების გიშერივით შავ ვარჯებზე ტბის ტალღებზე არეკლილი ლანდები ლიცლიცებდნენ და ახალგაზრდა ვენერელებმა რამდენიმეჯერ გაგვაფრთხილეს, თითქოსდა ხეებს მიღმა უცნაური ფიგურების მოძრაობა დაენახოთ.

შუაღამე იქნებოდა. ჩვენს შორის ყველაზე უფრო მგრძნობიარე რენია იყო,

სწორედ ამიტომ იგრძნო მან პირველმა. უეცრად ფერი დაჰკარგა და განაცხადა, რომ თავს უხერხულად ჰგრძნობდა, ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს წყვდიადში მიმალულიყო და მასზე თავდასახმელად გამზადებულიყო რაღაც საშინელება. მის დასამშვიდებლად პროჟექტორი ჩავრთე, მოკლე ხანში ისევ გამოვრთე, არ მინდოდა ზედმეტი ყურადღების მოზიდვა. მოკლე ხანში ჩვენც ისეთმა გრძნობამ შეგვიპყრო, თითქოს ირგვლივ რაღაცა დაძრწოდა და გვითვალთვალებდა. ძალიან უცნაური, ცვლადი შეგრძნება იყო, თითქოს ეს რაღაცა გვშორდებოდა და მერე ისევ გვიახლოვდებოდა. ძალიან შეშფოთებული ვიყავი, მაგრამ არ ვიმჩნევდი; მფრინავის სავარძელში ჩავჯექი, ასაფრენად მოვემზადე, მარცხენა ხელი ალმტყორცნის ღილაკზე მეჭირა.

რამდენიმე წამით შვება ვიგრძენით. შემდეგ მუქარის შეგრძნება განახლდა, ბუნდოვანი იყო და გაუცნობიერებული შფოთი გვიპყრობდა. უეცრად რენიამ წამოიძახა:„ჰაურკ, აი იქ!“

ხელი ტბისაკენ გაიშვირა. იისფერი ნათება ჩვენი შფოთის რიტმში ფეთქავდა, იქვე მეჩეჩზე იწვა ქმნილება, რომელიც ჩვენი შფოთისა და ნათების სინქრონულად იკრუნჩხებოდა.

ტულმა, რომელსაც მკვდრისფერი ედო, ამოილუღლუღა:

— ჰერი-კუბა!

— მოყევი,— უკმეხად ვუთხარი. — რა იცი ამის შესახებ?

— ოჰ! არც რა. ერთი ძველებური ვენერული ლეგენდაა. ამბობენ რომ, თქვენი მწუხრის დროს ჰერი-კუბები შემოესივნენ თორის კონტინენტს.

და ტიხარზე მიყრდნობილმა ფსალმუნის გალობასავით მოჰყვა:

ოდეს შფოთი მიდი-მოდის,
ჰერი-კუბა გიცქერს შორით,
შენს სიცოცხლეს შთანთქავს ტორით!
გინდ დაჰკარგო გონი, გინდაც — არა
გვიანია შენთვის უკვე, გიხსნის არ-რა
ოდეს შფოთი მიდი-მოდის!

ჩამოწოლილ სიჩუმეში, რენიას მოგუდული ქვითინი გავარჩიე, რომელიც ჩვენს მსტვენ სუნთქვას ერეოდა. შფოთი ძალიან ჩქარა მატულობდა და გვთრგუნავდა, ისეთი გრძნობა გვქონდა რომ სიცოცხლე გვტოვებდა და წამი-წამ ვსუსტებოდით. ტბის ნათება სწრაფად იკლებდა და მეჩეჩზე მწოლარე ქმნილებაც აღარ იძვროდა. ამ დეტალებს მექანიკურად ვიმახსოვრებდი. რენია ჩემს გვერდით ბუტბუტებდა:

შენს სიცოცხლეს შთანთქავს ტორით!
გინდ დაჰკარგო გონი, გინდაც — არა
გვიანია შენთვის უკვე, გიხსნის არ-რა
ოდეს შფოთი მიდი-მოდის!

მომეჩვენა, რომ უფსკერო ხვრელში მივსრიალებდი. ორად მოკეცილი სობოკოლი ნელ-ნელა ჩასრიალდა იატაკზე, ტული და რეუმიც მას მიჰყვნენ. რენია ჩემს

გვერდით ჩასრიალდა კედელზე. მე ჯერ კიდევ ვინარჩუნებდი გონებას, მაგრამ მხედველობა დამებინდა, ყურებში მიზუზუნებდა. უკანასკნელი ძალა მოვიკრიფე, ჯერ დაქოქვის ბერკეტს დავაწექი, შემდეგ — ალმტყორცნისას. მილიარდობით ვოლტიანი განმუხტვის თვალისმომჭრელ სინათლეში ტბის მეორე ნაპირზე თვალი მოვკარი უზარმაზარ მაიმუნისებრ ფიგურას, რომელიც წაიქცა და შემდეგ ცეცხლი მოედო. რტოების თაღთან კოსმოს შეჯახება ვიგრძენი და გონებაც დავკარგე.

სლიკ ეფროიზე გამეღვიძა, ჩემს ნაკვეთურში, თავს სამი მედიკოსი მადგა. თავს უკიდურესად სუსტად ვგრძნობდი. სანამ ხელახლა ჩამეძინებოდა, მხოლოდ იმის გაგება მოვასწარი, რომ რენია საღ-სალამათი იყო.

ორი დღის შემდეგ, კელი, რომელიც ჩვენს ბანაკს მეთაურობდა ჩემი არყოფნისას, მომიყვა რაც მოხდა. ალმტყორცნის გაელვებაზე ყურადღება გაამძაფრეს და დაინახეს თუ როგორ აიჭრა ჩვენი კოსმომფრენი ცისაკენ. რადარების საშუალებით მას თვალი მიადევნეს და დისტანციური მართვის საშუალებით მოახერხეს ჩვენი კოსმომფრენის დაშვება. ხომალდში გულწასულები გვიპოვეს. ჩემი და რენიას მობრუნება შესძლეს, მაგრამ ყველა ძალისხმევა ამაო აღმოჩნდა სამივე ვენერელისათვის. მწვავე ანემიამ შეიწირა სამივე. მე მგონია, რომ მე ჩემმა დედამიწელობამ გადამარჩინა, მაგრამ რამ გადაარჩინა რენია, რომელიც ვენერელი იყო, დღემდე გაურკვეველია.

როგორ იქნა შევძელი ჰერი-კუბას ნახვა და მხოლოდ ჩემი ნება რომ ყოფილიყო, არ დამენანებოდა რომ ყველა ერთიანად ამოწყვეტილიყო სიცივისაგან, როცა პლანეტა მზეს დაშორდებოდა. ჩემი ყურადღება სხვა აღმოჩენამ უფრო მიიპყრო. უკვე თითქმის გამოჯანმრეთებული ვიყავი და ამიტომ კელმა მამცნო, რომ სადგურისათვის გამოყოფილი უბნის ზღვარზე ექსკავატორი წააწყდა ბეტონისმაგვარ ნივთიერებას. რენია ჯერ ისევ სუსტად იყო, ამიტომ მის გარეშე გავწიე მშენებლობისაკენ.

გეოლოგი არ ვყოფილვარ, მაგრამ ერთი ბავშვობის მეგობარი მყავდა გეოლოგი, ცხონებული ერთ-ერთი უბედური შემთხვევის დროს დაიღუპა, რომელიც ხშირად დამათრევდა გეოლოგიის ლექციებზე. ამიტომ არც თუ ისე ცუდად ვიცოდი პეტროგრაფია. ის მასალა რომელსაც ექსკავატორი წააწყდა, აშკარად არ იყო ბუნებრივი. ვბრძანე სამუშაო უბნის გასუფთავება. რამდენიმე ხანში გუმბათი გამოჩნდა. დიახ, გუმბათი იყო, ილუმინატორებდატანებული გუმბათი, თუმცა ჟამთასვლის გამო ილუმინატორის მინები გაუმჭვირვალე გამხდარიყო. გუმბათის ქვედა ნაწილში ერთსაგდულიანი კარი იყო დატანებული. ზედმეტი დაზიანების გარეშე შევძელით მისი გაღება და მე და კელი აირწინაღებით აღჭურვილები შიგ შევედით.

ამ ნაშთების მნიშვნელობაზე დიდხანს არ მიფიქრია. ვენერაზე არასოდეს ყოფილა ავტოქთონური სიცოცხლე და გუმბათი ძალიან ჰგავდა მარსზე ნაპოვნ ზოგიერთ გუმბათს, ამიტომ უცნობი რასის ჰიპოთეზა ნაკლებად დამაჯერებელი იყო. არა, აქაც ისევე როგორც წითელ პლანეტაზე, სუნთქვისათვის გამოუსადეგარი ატმოსფეროთი გარემოცული დედამიწელები ცხოვრობდნენ ჰერმეტულ სადგურებში. და ისევე როგორც მარსზე, ეს ცივილიზაციაც, რომელიც პირველ ნაბიჯებსა დგამდა, დედა ცივილიზაციის ჩამოშლას ვერ გადაურჩა.

გუმბათი პატარა იყო, შესაძლოა უბრალო ფორპოსტი ყოფილიყო. აშკარა იყო ბრძოლის ნაკვალევი. ლითონის ავეჯი, რომელიც იმავე სტილისა იყო რაც მარსზე უახლესი ადამიანური ახლაშენებისა, ნახევრად დამდნარი იყო. ალაგ-ალაგ

ტყვიითაც იყო გახვრეტილი. ერთ-ერთი დერეფნის მოსახვევში, მეგონა, რომ ჰალუცინაცია დამეწყო. სქელი მინის მიღმა დივანზე მწოლარე ახალგარდა ქალის შესანიშნავად შენახული სხეული დავინახე. გულაღმა იწვა, ბაგეზე ღიმილი შეჰყინვოდა. თვალები დახუჭული ჰქონდა, მისი ქერა თმა იატაკს წვდებოდა. ხელთ პატარა მწვანე სინჯარა ეპყრა.

დამუნჯებულნი შევცქეროდით. ეული ჟესტით შევაჩერე კელი, რომელიც მინის გატეხას აპირებდა; სხეული სასწაულის წყალობით იყო ასე შემონახული, სულ მცირე მოძრაობასაც კი შეეძლო მისი სამუდამოდ გაცამტვერება.

მოგვიანებით, როცა ამ ოთახში შეღწევა შევძელით, ატმოსფეროს ანალიზმა აჩვენა, რომ იგი ინერტული აირებისაგან შედგებოდა. მაგიდაზე ნაპოვნმა, ცუდად შემონახულმა ტექსტმა საშუალება მოგვცა ოდნავ მაინც აგვეხადა ფარდა ამ საიდუმლოებისათვის. წერილის ენა სვენურს, ერთ-ერთ გაერთიანებამდელ ძველებურ ენას, მიაგავდა. ამ ახალგაზრდა ქალს, სახელად ჰილდე სვენსონს, უცნობი მიზეზების გამო დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონია. მტრის ხელში ჩავარდნას თავის მოკვლა უმჯობინებია. მისმა თანამზრახველებმა, რომელთაც დროულად ვერ მოუსწრეს, გუმბათი აკლდამად აქციეს. შემდეგ დედამიწაზე გაბრუნებულან, სადაც „ევროპში“ ყინულისაგან თავისუფალი ტერიტორიების დასაუფლებლად ომი მძვინვარებდა. სამარეს პატივი ვეცით და სხეული დივანზე მწოლარე დავტოვეთ, ცნობისმოყვარეთა თვალებისაგან შორს, როგორც მისმა თანამზრახველებმა ისურვეს. ამ წერილის თარგმნამ დიდი სახელი მოუტანა მის მთარგმნელს, ნილკს, ლინგვისტს, ვინაიდან ამ წერილმა დაამტკიცა ნილკის თეორია იმის შესახებ, რომ გაერთიანებამდელი დროის ორივე კილო პირველი ცივილიზაციის ენების პირდაპირი ჩამომავლები იყვნენ, მიუხედავად ათასწლეულებისა. რამდენიმეჯერ დავბრუნდი სრულიად მარტო ამ სამარეში, ვინაიდან ახალგაზრდა ქალი გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა რენიას.

სადგური მოშორებით ავაგეთ. შემდეგ საბჭოდან შეტყობინება მივიღე, ჰური-ჰოლდეში დაუყოვნებლივ დაბრუნებას მთხოვდნენ.

თავი მეორე

ბედისწერელები

ჰანი თავის ლაბორატორიაში მელოდა. სახეზე სიმძიმილი აღბეჭდვოდა. მოდუნებული ნაკვთები დაღლილობაზე მიუთითებდნენ. შესავლის გარეშე პირდაპირ საქმეზე გადავიდა:

— ჰაურკ, როგორც თქვენვე შენიშნეთ პირველმა, მზის აფეთქებადი განვითარება თავისებურებებს ამჟღავნებს და ვერ ჯდება კლასიკური ახლებისა და ზეახლების სქემაში. რამდენიმე დღის წინ ამის შესახებ დეტალური ანალიზი მოგვივიდა ვინმე კელბიკისაგან, არეკნარელი ახალგაზრდა მათემატიკოსისაგან. მისი შედეგები ვერაა იმედისმომცემი. მასთან ერთად გადავამოწმეთ ეს შედეგები, რადგან იგი ახალ მეთოდს იყენებს, თქვენეულისაგან განსხვავებულს. აფეთქება გასცდება ნეპტუნის ორბიტას და პლუტონისასაც კი. მაგრამ ეს არაა ყველაზე უარესი. ამის შემდეგ მზე იქცევა შავ ჯუჯად!

— შავ ჯუჯად! ჰო მაგრამ ათიათასსინათლისწლიან სფეროში მხოლოდ ორი შავი ჯუჯა აღმოვაჩინეთ!

— დიახ. ბედი არ გვიმართლებს რა! აი გამოთვლები. შეგიძლიათ გადაამოწმოთ, ცხადია, თუკიღა შესძლებთ კელბიკისეული ანალიზის სწრაფად ათვისებას. ჩემდათავად, ერთი ორი თვე მაინც დამჭირდება! ერთი პატარა კარგი ამბავიც გვაქვს. როგორც ჩანს, შეიძლება თავდაპირველ გათვლებთან შედარებით ჩვენი ვადა რამდენიმე თვით გაიზარდოს.

— მაშ ეტანორისკენ ავიღოთ გეზი?— შევეკითხე, — თუ ბელულისკენ?

— ეტანორისკენ. ჯერ ყველაზე უფრო ახლო ვარსკვლავი ვცადოთ. მაგრამ ეს არაა ყველაზე უარესი. ეტანორამდე მიღწევას კი შევძლებთ, ვინაიდან დედამიწასაც და ვენერესაც საკმარისი მასა გააჩნიათ წინაღობის გადასალახად. მაგრამ მამნამდე სხვა სირთულეთა გადალახვა მოგვიწევს: არ ვიცი როგორ, მაგრამ საიდუმლომ გაჟონა და ტირალმა მაუწყა, რომ ბედისწერელებმა იციან რომ საქმე იმაზე უფრო რთულადაა, ვიდრე თავიდან ვფიქრობდით. ეს კიდევ უფრო გაგვირთულებს საქმეს. როგორც ჩანს ეს მოძრაობა ძალას იკრებს და პირველად ჩემს ცხოვრებაში ვფიქრობ, რომ ჩვენი ძველი წესი ზოგჯერ ცუდია: ძალიანაც გვინდა ტრილების ავუხსნათ ვითარება, მაგრამ არ შეგვიძლია.

ვითარება მოკლე ხანში იმაზე უფრო მეტად დამძიმდა, ვიდრე ჰანი ფიქრობდა. ბედისწერელები ძალიან მოხერხებულად მოიქცნენ, თვითონ ჩრდილში დარჩნენ და წინა პლანზე წამოსწიეს სხვა პარტია, ეკონომისტების პარტია. ეკონომისტების პარტია ძველი პარტია იყო, მათი აზრით ვინაიდან ტექნები დროის უმეტეს ნაწილს წმინდა აკადემიურ კვლევებს უთმობდნენ, რომელთაგანაც ტრილებს დიდი ვერაფერი სარგებელი ჰქონდათ, ამიტომ მნიშვნელოვნად უნდა შემცირებულიყო ტექნთა რაოდენობა და დარჩენილებს მთელი კვლევა დაუყოვნებლივი პრაქტიკული მიზნებისათვის უნდა მოეხმარებინათ. მათ არ იცოდნენ, რომ ჩვენი „წმინდა აკადემიური“ კვლევების წყალობით შეგვეძლო დედამიწის თავიდან

ბოლომდე შეცვლა, მაგრამ საბჭო ამის ვერანაირ საჭიროებას ხედავდა. როგორც იქნა, დამყარდა თითქმის მდგრადი, გაწონასწორებული საზოგადოებრივი წყობა, რომელშიც ტრილები სახერველის როლს ასრულებდნენ, ტექნები კი — ძრავისას, რომელიც ნებაყოფლობით ზღუდავდა გადაცემული ენერგიის რაოდენობას. ხუთ წელიწადში ერთხელ, საბჭო ადგენდა იმ აღმოჩენების სიას, რომელთა საჯარო წვდომას არ მოჰყვებოდა უარყოფითი შედეგები. ცხადია, სხვა აღმოჩენები არ იკარგებოდნენ, ისინი „თადარიგში“ წესდებოდნენ. როდესაც მზის აფეთქების შესახებ ცნობა გამოაცხადეს პროტექნურმა პარტიამ, რომელიც ხელისუფლების სათავეში უხსოვარი დროიდან იყო, დიდწონიანი არგუმენტი იშოვა: რა უნდა ყოფილიყო ერთი შეხედვით იმაზე უფრო ფუჭი, ვიდრე მნათობთა შესწავლა, მაგრამ სწორედ ეს ვითომდა უსარგებლო კვლევა იხსნიდა პლანეტას. მაგრამ ახლა ეკონომისტები, რომელთა უკანაც სავარაუდოდ ბედისწერელი იდგნენ, ხმებს ავრცელებდნენ რომ ტექნები ტყუოდნენ და თუ მზე მაინც აფეთქდებოდა, იგი ნამდვილად არ იქცეოდა შავ ჯუჯად და რომ ამ სიცრუის მიზანი იყო, ტრილები დათანხმებულიყვნენ სხვა ვარსკვლავებისაკენ ამ ფანტასტიკურ მოგზაურობას, რომელიც ტექნების ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას ემსახურებოდა. არადა მთელი უბედურება იმაში იყო, ვერ ვახერხებდით ახსნას: ჩემეული გამოთვლა, რითიც მივედი ამონახსნამდე მზის აფეთქების შესახებ, პლანეტაზე ათიოდე მათემატიკოსისათვის თუ იყო ხელმისაწვდომი, ხოლო კელბიკის ანალიზი, ჩემთვისაც კი ძნელი გასაგები იყო. ცოდნის მხოლოდ მცირეოდენი ჯგუფისათვის გაზიარების პოლიტიკის მსხვერპლნი ვიყავით, პოლიტიკისა, რომელმაც კაცობრიობა უკვე რამდენიმეჯერ იხსნა, ახლა კი ვერ ვუხსნიდით მოსახლეობას რომ საფრთხე ნამდვილი იყო! საქმეს ისიც ართულებდა, რომ თავად ტექნებშიც ცოტას ვინმეს თუ შეეძლო ბოლომდე მიჰყოლოდა მსჯელობას, ამიტომ იყო საფრთხე იმისა, ზოგიერთი მათგანი პირველადი, შედარებით ადვილად შემოწმებადი დასკვნებით დაკმაყოფილებულიყო. პროგრესის ხელოვნურად შენელების ბრძნულმა და გააზრებულმა პოლიტიკამ, რომლის მიზანიც იყო მისი სიჩქარის იმდენად შემცირება რამდენადაც ეს აუცილებელი იყო, რათა ყველას შესძლებოდა ფეხი აეწყო წინსვლისათვის, ძალიან ბევრ ტექნსა და ტრილს ჩამოუყალიბა სამყაროს საკამაოდ სტატიკური ხედვა, და დიდი სიხარულით არ შეხვედრიან შედარებით მოუხერხებელ პირობებში ცხოვრების პერსპექტივას, რასაც ეტანორისაკენ მგზავრობა მოითხოვდა. თანაც თუკი ჩვენ, სოლოდინს არ შეგვეძლო იმის დამტკიცება, რომ ეს მოგზაურობა სრულებით აუცილებელი იყო.

ჩემი დაბრუნებიდან ერთ კვირაში, ეკონომისტთა პარტიის ბელადმა, უჯაჰმა თავისი კამპანია წამოიწყო ტრილაკში, წარმომადგენელთა პალატაში. თავის ბობოქარ გამოსვლაში, მან მეუფეთა საბჭოს ბრალი დასდო ენერგიის განზრახ გაფლანგვაში, მარჯვედ გაიხსენა მშენებლობაზე მომხდარი ზოგიერთი უბედური შეთხვევა, რომელთაც ადამიანთა სიკვდილი მოჰყვა, რათა დაედანაშაულებინა სოლოდინის ხელმძღვანელობა უუნარობაში, მოითხოვა ტექნების კანონსმიღმა პრივილეგიების გაუქმება და მათი საერთო საკანონმდებლო სივრცეში დაბრუნება, პასუხისმგებელ პირთა სამართალში მიცემა და დიადი მშენებლობის ტრილთა მთავრობის დაქვემდებარებაში გადასვლა და თავისი სიტყვის დასასრულს საბჭოს ბრალი დასდო მზის მომავალი მდგომარეობის შესახებ განზრახ ტყუილში. ცხადია, ტირალმა უჯაჰის გამოსვლის დასაწყისშივე ჩართო ინტერფერორი და გაწყვიტა ყოველგვარი კავშირგაბმულობა ტრილაკსა და დანარჩენ მსოფლიოს შორის. მაგრამ

ეს მხოლოდ რამდენიმესაათიანი ვადას გვაძლევდა. შეშფოთებულები ველოდით მთავრობის გადაწყვეტილებას. როგორც იქნა მიიღეს გადაწყვეტილება: მთავრობა გმობდა უჯაჰის ძალადობისაკენ მოწოდებებს და ჰქმნიდა ეტანორისაკენ მოგზაურობის აუცილებლობის დამდგენ კომისიას. ამასობაში, მთავრობის თავმჯდომარემ თელმა მოუწოდა ყველა ტრილს, რომ არ შეეფერხებინათ გეოკოსმოების აგების სამუშაოები, რამეთუ მიუხედავად ეჭვებისა მზის შავ ჯუჯად ქცევის შესახებ, უთუო იყო ის, რომ მზე აფეთქდებოდა.

ამ ტაქტიკური წარმატებით გათამამებულმა უჯაჰმა ჩემთან შეხვედრა ითხოვა ულტიმატუმის ტონით. უარის თქმას ვაპირებდი, მაგრამ ტირალმა მირჩია, შევხვედრილიყავი. სამუშაო მაგიდაზე საქაღალდეებს შორის, ჩემგან ხელის გაწვდენაზე, დავმალე მსუბუქი ალმტყორცნი და უჯაჰის მისაღებად მოვემზადე.

კაბინეტში შემოვიდა გოროზი იერით. მომცრო ტანისა იყო, რაც ძალიან იშვიათი იყო ჩვენში და, როგორც თქვენი ფსიქოანალისტები იტყოდნენ, თავის ნაკლებობის კომპლექსს ძალიან სწორი გაჯგიმული სიარულით ინაზღაურებდა. სავარძელში ისე ჩაჯდა, რომ არც კი დალოდებია ჩემგან შეთავაზებას. მდუმარედ ვიჯექი, მზერით ვზომავდი; ტირალის მიერ მოცემული ცნობები დიდად მეხმარებოდნენ ამაში. უჯაჰის მამა ტექნი იყო, დედა — ტრილი, თვითონ ჯერ ტექნებში გაამწესეს, მაგრამ 17 წლისა როცა შესრულდა, უარი ეთქვა ტექნობაზე, რადგან მეცნიერებაში ის ცოდნას კი არა ეძებდა, არამედ — ძალაუფლებას. ცხადია, ამან დიდი დაღი დააჩნია მის პატივმოყვარეობას. ანტიკვარიატის გადაყიდვას, აწ უკვე თითქმის გამქრალ ხელობას, მისდევდა და პოლიციასთან რამდენჯერმე ჰქონდა შეხება უნებართვო და კომერციული მიზნებისათვის გათხრების გამო თქვენი დროის სან-ფრანცისკოს მიდამოებში. ვინაიდან მისი კომერცია ზედამხედველობის ქვეშ იყო ამიტომ პოლიტიკაში გადაეშვა და მალევე იქცა ეკონომისტთა ბელადად.

— ჰოდა?— მივმართე ცოტა ხანში.

იდაყვებით უდარდელად დაეყრდნო ჩემს სამუშაო მაგიდას.

— ჰოდა, მოუსმენდით ჩემს გამოსვლას.

— დიახ, სისულელეთა შესანიშნავი ნაზავი იყო, თუ ჩემი აზრი გაინტერესებთ.

— შესაძლოა, მთავარი კი ისაა, რომ ნაყოფს იღებს.

— თქვენი დაპატიმრება შემიძლია. იცოდით?

— რაღას უდგახართ! მხრები ავიჩეჩე:

— აუცილებლობას ვერ ვხედავ.

სინამდვილეში იმაზე ბევრად უფრო შეშფოთებული ვიყავი, ვიდრე ვიმჩნევდი. მოძრაობა იმაზე უფრო ძლიერი და დამაჯერებელი აღმოჩნდა, ვიდრე ვიფიქრებდით. რამდენად ერთგული იყო პოლიცია? სამეცნიერო უბნების გარდა იგი მხოლოდ ტრილებისაგან შედგებოდა. დანაშაული საკმაოდ იშვიათი იყო, ამიტომ პოლიცია მცირერიცხოვანი გვყავდა. მეორე მხრივ, უკანასკნელი ომიდან იმდენად დიდი დრო იყო გასული (2359 წელი), რომ ეჭვი არ მეპარებოდა, ტაქტიკისა და სტრატეგიის საწყის ცნებებიც კი არ იცოდნენ არც ეკონომისტებმა და არც ბედისწერელებმა. ისე, არც მე ვბრწინავდი ამ საკითხებში!

— ჩემთან შეხვედრა ითხოვეთ. რისი თქმა გსურდათ?

— უარი თქვით სხვა ვარსკვლავისაკენ ამ გიჟურ მოგზაურობაზე და გარწმუნებთ, ყველაფერი წესრიგში ჩადგება. შეიძლება ტექნთა რაოდენობის შეზღუდვის შესახებ თხოვნა უკანაც გამოვიწვიოთ.

— ეს არაა სიგიჟე! აფეთქების შემდეგ მზე შავ ჯუჯად იქცევა. იცით რაც არის შავი

ჯუჯა?

— ვარსკვლავი რომელიც აღარ ასხივებს?

— არა, მთლად ეგრე არა. შავი ჯუჯა იმდენად ცხელ ვარსკვლავს ეწოდება, რომ მისი გამოსხივების უდიდესი ნაწილი ულტრაიისფერ ზოლზე მოდის. გარდა ამისა, იგი გარემოცული იქნება აირების ღრუბლით, რაც ხელს შეგვიშლის მასთან საკმარისად ახლო ორბიტაზე დასაბრუნებლად. იმ მანძილზე, რომელზე დარჩენაც მოგვიწევს, შეიძლება შევძლოთ რამდენიმე ასეულათასიანი მოსახლეობის უზრუნველყოფა რამდენიმე თაობის მანძილზე.

— რატომ უნდა გენდოთ? დამიმტკიცეთ.

— ეჰ, არადა თქვენ ტექნი იყავით!.. — უკმეხად ჩავილაპარაკე. თქვენ გჯერათ, რომ მე შევძლებ ასე უბრალოდ დაგიმტკიცოთ ის, რის შესასწავლადაც დრო არ მქონია და რომლის შესასწავლადაც რამენიმე კვირა დამჭირდებოდა!

— სხვანაირად რომ ვთქვათ, უარს მეუბნებით?

— არ შემიძლია. — მენდეთ, ძალიან მინდა რომ დაგარწმუნოთ!

— აქ მეტი აღარა მესაქმება რა. — მით უარესი თქვენთვის!

ცივად გავიდა. ტირალს გამოვუძახე. „დავაპატიმრო?“

— ჯერ არა. ჯერ ადრეა...

— აბა რა ვქნათ? მაგ არამზადამ შეიძლება შეგვაფერხოს და დაგვაგვიანოს კიდეც თუკი მშენებლობებზე გაფიცვებს გამოიწვევს.

— დრო უნდა მოვიგოთ. თქვენს არყოფნაში საიმედო ტექნებს ქუჩების უკეთ განათების საბაბით დამცავი მოწყობილობების დაყენება დავაწყებინე. ეკონომისტებმა ასეთი პრაქტიკული მიზნის საწინააღდეგოდ ვერაფერი მოიფიქრეს. რამდენიმე საათში დამთავრდება.

— ეჭვები არ გასჩენიათ?

— ტექნები არ ჰყავთ... ჯერჯერობით! რასაც ვაყენებინებ, სხვათა შორის, განათებადაც გამოდგება. სულ მცირეოდენი ცვლილებებია საჭირო.

— და რა არის?

— ტრილებს გიჟები ვგონივართ! საბჭომ ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ გაითვალისწინა ჯანყის შესაძლებლობა. და თუ კონტრდაზვერვის სამსახური მოწოდების სიმაღლეზე ვერ აღმოჩნდა, თავდაცვის სამსახური არ გაგვაწბილებს. გეგმა №21-ის შესახებ გსმენიათ? თუმცაღა არა! აბა საიდან გეცოდინებათ, მიუხედავად თქვენი თანამდებობისა საბჭოს წევრი მაინც არ ხართ. ამიტომ ნებართვის გარეშე ვერ გაგიმხელთ. ნებართვის მიღება არა მგონია რამე დაბრკოლებას წააწყდეს.

— მაშასადამე, ამჯერად სულ ესაა?— გაღიზიანებულმა ვკითხე. — სასწრაფო საქმეები მაქვს და მიუხედავად იმისა, რომ საბჭოს წევრი არ ვარ, დიადი მშენებლობის პასუხისმგებლობა მე მაწევს კისერზე. ინჟინრებზე ალმტყორცნებს დავარიგებინებ.

ტირალის გასვლისთანავე გავეცი საჭირო ბრძანებები. შემდეგ ჩემს სამუშაოს დავუბრუნდი.

პირველი აფეთქება ალბათ რამდენიმე საათის მერე მოხდა, მაგრამ დრო როგორ გავიდა ვერც კი გავიგე. აფეთქება შორეული იყო, მაგრამ სოლოდინის შენობა მაინც შეზანზარა, რაც მის სიმძლავრეზე მეტყველებდა. იმავდროულად საღამოს სიჩუმე ბრბოს გუგუნმა დაარღვია, რომელიც ღია ფანჯრიდან ისმოდა. წამოვდექი, აივანზე გავედი, ქვევით შორეული ტერასებისაკენ გავიხედე. მრავალრიცხოვანი ბრბო

შევნიშნე. ყველაზე უფრო ქვემოთა ტერასაზე რაღაცამ გაიელვა და ლიანგში დიაგონალური კვალი დასტოვა. კაბინეტში შევბრუნდი, სასწრაფოდ დავწვდი ჭოგრიტს. მოაჯირთან კუთხეში მიმწყვდეული ტექნი, რომელიც თავის რუხ უნიფორმაზე ვიცანი, ხელში ალმტყორცნს იქნევდა. კიდევ ორჯერ გასროლა მოასწრო, სანამ ბრბო მოაჯირიდან გადააგდებდა.

კაბინეტში შევბრუნდი, გაკვირვებული ვიყავი, ვერაფრით ამეხსნა, თუ რად არ შემატყობინეს მდგომარეობის ასე გამწვავების შესახებ. გამომრთველს შევხედე და გავფითრდი: დამავიწყდა, რომ სიწყნარეში მინდოდა მუშაობა და ამიტომ გარესამყაროსთან კავშირგაბმულობა გავწყვიტე. კავშირი ჩავრთე, სწორედ ამ დროს ხელახლა გაისმა აფეთქების ხმა. ეკრანი განათდა და ჰანის შეშფოთებული სახე გამოჩნდა.

— როგორც იქნა, ჰაურკ, სად იყავით?

დარცხვენილმა ავუხსენი.

— არა უშავს! ჩვენ კიდევ გვეშინოდა, რომ თქვენამდე მოაღწიეს და მოგკლეს!

— კი მაგრამ, რა ხდება?

— რაკორინზე გადართეთ ეკრანი და ნახავთ!

დავემორჩილე. დიდი გამზირი ხალხით იყო გადაჭედილი, სხვდასხვა ნივთებით იყვნენ შეიარაღებულნი, ზოგს ცული ეჭირა, ზოგს — რკინის ძელი, თითო-ოროლას ალმტყორცნიც ჰქონდა ხელთ. კინონის მოედნისაკენ მიდიოდნენ და გზად შემოხვედრილ იშვიათ პოლიციელებს ჯეგავდნენ.

— როგორც ხედავთ, ჩვენმა ძვირფასმა მეგობრებმა რევოლუცია დაიწყეს.

— ვინ? ეკონომისტებმა?

— რაის ეკონომისტებმა? — ოჰ, არა! ეგენი უბრალო ყბედები არიან. ბედისწერელებმა დაიწყეს! ამ წუთას საფრთხე არ გველის! გეგმა №21 ავამოქმედეთ და სასიცოცხლო ცენტრებთან მისასვლელები წვეტიანი მავთულხლართებით ჩავხერგეთ. მაგრამ ჰური-ჰოლდეში ფეთქებადი ნივთიერებების არც პოვნაა ძნელი და არც დამზადება, თვით ტრილებისათვისაც კი. ამიტომ ვშიშობ, რომ მავთულხლართები მხოლოდ ცოტა ხნით თუ დაგვიცავენ.

ეკრანზე გამოჩნდა ბრბოს თავში მდგომი მაღალი კაცი, რომელმაც ააფრიალა შავი დროშა. მასზე გამოსახული იყო ბედისწერელთა მოძრაობის ემბლემა: დედამიწა რომელსაც მეხი ეცემოდა.

— რამდენი არიან?

— საბედნიეროდ, უმცირესობაში არიან. ხუთიდან ათ მილიონამდე იქნებიან, სხვა ქალაქებშიც იგივე პროპორციით არიან. ვენერაზე ჯერჯერობით არ არიან.

— გეოკოსმოები?

— ჯერჯერობით არაფერი ემუქრებათ. ჰო, არცერთ შემთხვევაში არ გამოიყენოთ თქვენი კოსმო. ფიზიკის ფაკულტეტიდან კნილის ტალღებს ვასხივებთ.

გავფითრდი იმის გაფიქრებაზე, რომ პანიკით შეპყრობილი შეიძლება ჩემი კოსმოსაკენ გავქცეულიყავი. კნილის ტალღების ზემოქმედებით ნებისმიერი აქტიური კოსმომაგნიტური მოწყობილობა ერთბაშად ათავისუფლებდა მთელ ენერგიას. მივხვდი აფეთქებების სათავეს და მათ სიმძლავრესაც ახსნა გაუჩნდა.

— მსხვერპლი?

ვაგლახ, უკვე მრავლადაა! ყველა ვინც იმ კოსმომფრენთა ახლოს იყო, რომელთა გამოყენებაც ამ გადარეულებს სურდათ. არადა გავაფრთხილეთ, რომ საშიში იყო. ეულად მყოფ ტექნებს დასდევენ და ხოცავენ. კმარა ამაზე, დრო არ გვაქვს.

თქვენთან ვერ მოვდივართ. არადა თავდაცვის მოწყობილობა ზუსტად თქვენი კაბინეტის ქვემოთ კაბინეტშია. ტირალი იქ უნდა ყოფილიყო, მაგრამ მისგან აღარაფერი ისმის და ვშიშობთ, რომ უკვე მოკლეს. იქ უნდა ჩახვიდეთ და დაიკავოთ მისი ადგილი.

კარი დაცვის უფროსმა გამიღო. უზარმაზარ მაგიდაზე ჰური-ჰოლდეს გეგმა იყო გაფენილი, ყოველ ქუჩაზე წითელი ღილაკი იყო დატანებული. ეკრანი გავაქტიურე და ჰანის სახე გამოჩნდა.

— დროა, ჰაურკ! გააკეთეთ, რასაც გეტყვით. საბჭოს სახელით გელაპარაკებით, საბჭოსი, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება ყველას სახელით და კაცობრიობის მომავლისათვის. დააჭირეთ გეგმაზე, რაკორინზე მდებარე წითელ ღილაკს.

— რა შედეგი ექნება? — ვიკითხე.

— რამდენიმე გიჟის და მათი მიმდევარი ბევრი სულელის სიკვდილი, სამწუხაროდ! ავენიუ ტულიკის ტალღებით დასხივდება.

ფერი-ფური წამივიდა. ტულიკის ტალღები საშინელი გამოგონება იყო, რომელიც მანამდე არასოდეს გამოგვიყენებია და მათი არსებობა ძალიან დიდ საიდუმლოს წარმოადგენდა. ამ ტალღების არსებობის შესახებ შემთხვევით გავიგე მერკურიზე ჩემი გამგზავრების წინ. როგორც გავიგე საბჭოს სერიოზულად ჰქონდა განხილული „უბედური შემთხვევა“, რომელიც შეიძლება დამმართნოდა. ტულიკის ტალღები ნერვული უჯრედების დაშლას იწვევდა.

— სხვა საშუალება არ არის?

არა, ჰაურკ. მერწმუნეთ, ამას არც ჩვენ ვაკეთებთ დიდი სიხარულით. მაგრამ არ გვაქვს უფლება რომ კაცობრიობის გადარჩენის შანსები ამ გიჟების ჭირვეულობას შევწიროთ. იმედი მაქვს, რომ ამის მერე დაგვნებდებიან. არ დაგავიწყდეთ! თუ გაიმარჯვეს, ეს ყველას სიკვდილს უდრის და დაიწყებენ ტექნებით, თქვენით, ჩემით... რენიით!

პატარა წითელ ღილაკს ვუყურებდი მონუსხულივით. საკმარისი იყო მასზე შეხება და ათასობით ადამიანი შეწყვეტდა საიცოცხლეს. მეორე მონიტორზე მონაცემებს დავხედე, მზერა ისევ რაკორინზე გადავიტანე. ამჯერად ძალიან ლამაზი ახალგაზრდა ქალი აფრიალებდა შავ დროშას. ბრბო ადგილზე იდგა. ერთ კედელთან მამაკაცი იდგა, ეკონომისტთა პარტიის სანიშნე ეკეთა და მის ირგვლივ ნახევარწრედ მდგომ ფანატიკოსებთან ლაპარაკს ცდილობდა. ადამიანებთან... თითის დაჭერა და მათგან ინერტული პროტოპლაზმის გროვაღა დარჩებოდა. გული გადამეწურა ამ სიგიჟეზე, ჩემს თავს ვეკითხებოდი, იქნებ ბედისწერელები არც ცდებოდნენ და კაცობრიობა არ იმსახურებდა გადარჩენას. შემდეგ ის ახალგაზრდა ქალი გამახსენდა, ვენერაზე, რომელმაც მძევლად ყოფნას სიკვდილი ამჯობინა. მართალი იყო? იყო მიზეზები რომლებიც ამართლებდნენ მის სიკვდილს ან სხვებისას?

იქ, ქვემოთ ბრბო დაიძრა. რაღაც სიმღერა გაისმა, ხმა თანდათან მატულობდა.

„სიკვდილი, კოსმოსური სიკვდილი ნატვრა არის ჩვენი!“

— ჰაურკ, რაღას უდგეხართ? — წყნარად ჩამეკითხა ჰანი.

მისკენ გავიხედე, მძულდა თავისი აუმღვრევლობის გამო. გავყუჩდი. მისი უძრავი ნაკვთების მიღმა მოჩანდა დაძაბულობა, რომელსაც მთელი მისი არსება მოეცვა. მე უბრალო ხელსაწყო ვიყავი, ის კი, სხვებთან ერთად, ნება იყო.

„პლანეტებს მალე მზე დანთქავს, დედა მათი მშობელი...“

სიმღერის ხმა სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. კიდევ ერთხელ შევხედე ეკრანს და ღილაკს დავაჭირე. რაკორინზე ადამიანები მოცელილებივით ჩაიკეცნენ. მაღალი ახალგაზრდა ქალი ნელ-ნელა ჩასრიალდა და შავი დროშის ნაკეცების ქვეშ გაუჩინარდა.

ახლოს რაღაც აფეთქდა, კედლები შეაზანზარა. ფანჯრისაკენ წავედი, წინ გადავიხარე. ზედა ტერასაზე მოჯანყეები ღრიანცელით ერტყმოდნენ გარს ლითონის ნაგებობას. ალი ამოისვეტა, პატარა ყუმბარის აფეთქებას კვალად დამახასიათებელი ხმა სდევდა. იგი ჩემი სამუშაო მაგიდის სიმაღლეზე აფეთქდა და პლასტმასის მინები ჩაამსხვრია. ამჯერად უკვე ყოველგვარი დაყოვნების გარეშე გავემართე გეგმისაკენ და დავაჭირე ამ ტერასის შესაბამის წითელ ღილაკს. ღრიანცელი შეწყდა. სარკმლიდან გადავხედე ერმანეთზე მიყრილ გვამებს, შემაძრწუნებელი სანახაობა იყო.

— დანებებაზე უარს ამბობენ.— მითხრა ჰანიმ.

მთელი ქალაქი მოვათვალიერე, ეკრანზე ვუყურებდი დიდ ქუჩებსა და მოედნებს. ჩემს მშობლიურ სტანატინის ქუჩაზე ვიღაც ტექნს გამოზომილად ნელა ხდიდნენ სულს. წითელ ღილაკზე დაჭერა... კოლიანზე ბიბლიოთეკას უკიდებდნენ ცეცხლს. პატარა წითელი ღილაკი... სირტინის მოედანზე ერთმანეთზე იყო მიყრილი რუხსამოსიანი გვამები. კიდევ ერთხელ წითელი ღილაკი. და ასე გაგრძელდა. უგრძნობი გავხდი, თავი სიზმარში მეგონა; ღილაკზე ხელის მსუბუქი დაჭერა და უზარმაზარი ცელი უსიცოცხლოდ აწვენდა ათასობით ადამიანს... მარცხენა ხელით ქალაქის სხვადასხვა უბნებს ვათვალიერებდი, მორიგი საზარელი სანახაობის შემსწრე მარჯვენათი მსუბუქად ვაწვებოდი ღილაკს და ა.შ.

— ჰაურკ, კმარა! გესმით ჩემი? კმარა! გვნებდებიან.

უცებ გონზე მოვედი. ჩემს წინ გეგმაზე ორმაცდაათამდე წითელი ღილაკი იყო დაჭერილი. ალბათ ხუთასი ათასამდე ადამიანი გავჟლიტე.

აჯანყება ყოველგვარი სიბრალულის გარეშე იქნა ჩახშობილი. ტრილთა მთავრობა გაინძრა როგორ იქნა და ბედისწერელები კანონგარეშედ გამოაცხადა, ეკონომისტებიც მათ გზას გაუყენა. დაპატიმრებულ მოთავეებს არჩევანი მიეცათ სიკვდილსა და ფსიქიკურ გარდაძერწვას შორის, რომელიც როგორც წესი არღვევდა პიროვნებას და ახალს აყალიბებდა, უმრავლეს შემთხვევაში, მდორეს. ყველა ბედისწერელმა სიკვდილი არჩია, მრავალმა ეკონომისტმა მათ მიჰბაძა. მათ ადგილზე მეც იგივეს ვიზამდი.

აჯანყება ყველგან ისე სწრაფად არ იქნა ჩახშობილი, როგორც ჰური-ჰოლდეში. ჰორიარტოში ბედისწერელებმა ქალაქი ხელთ იგდეს, გაჟლიტეს ყველა ტექნი და ტრილების დიდი ნაწილი, მათ ასალაგმად თხუთმეტდღიანი ალყა დაგვჭირდა. ბოლო წუთამდე ვცდილობდით მძევლების დახსნას. ბოლოს, როდესაც მოჯანყეებმა ქალაქიდან სამასი კილომეტრის მანძილზე მდებარე გეოკოსმოსაკენ ჭურვების სროლა დაიწყეს, არჩევანი აღარ დაგვრჩა, ქალაქი დავანგრიეთ. თერთმეტმილიონიანი ქალაქიდან მხოლოდ ცხრა მილიონი გადარჩა. დედამიწაზე მშვიდობა დაბრუნდა, ბედისწერელებს ყველგან ვფხვრიდით და ისე ჩანდა, რომ აღარცერთი აღარ დარჩა.

ტირალი საერთოდ არ გამოჩენილა. ალბათ, აჯანყების დასაწყისშივე მოკლეს.

თავი მესამე

ოტება

4604 წლის ბოლოს მომხდარი ბედისწერელთა აჯანყების შემდეგ, ცხოვრება მძიმე შრომისა და იშვიათი დასვენებისაგან შედგებოდა. დიდი მშენებლობები თითო თითოდ მთავრდებოდა. ნელ-ნელა მთელი მოსახლეობა გადაყვანილ იქნა მიწისქვეშა ჰერმეტულ ქალაქებში, დღეს ზედაპირზე ატარებდნენ, ღამეს — მიწის ქვეშ. გეოკოსმოები უკვე დამთავრებული იყო, სამხრეთ პოლუსის გეოკოსმი შთამბეჭდავი სანახავი იყო — 12-კილომეტრიანი რადიუსის გუმბათი ნელა ბრუნავდა დედამიწის ბრუნვის საინააღმდეგოდ. გეოკოსმოთა მიზუსტება დელიკატური საქმე გამოდგა, როგორ გინდათ ორბიტიდან დაძრათ პლანეტა მიწისძვრის გამოწვევის გარეშე, რომელიც გარდა მსხვერპლისა, წყალში ჩაყრიდა ჩვენს წამოწყებას?

ეს საკითხიც გადავჭერით და დიდი დღეც დადგა... მიწისქვეშ შვიდას მეტრზე, საკონტროლო დარბაზში მთელი საბჭო ჩემს ირგვლივ იყო შეკრებილი; ოდნავ უკან იდგნენ ტრილთა მთავრობის წევრები, მათ უკან - ტექნთა და ტრილთა სხვადასხვა დელეგაციები. ჩვენს წინ მართვის პანელზე გამოდიოდა მრავალი მრუდი, რომლებიც დედამიწის ქერქის დაძაბულობას ასახავდნენ.

წინ წავიწიე, ტექნიკოსთა გუნდი უკან მოვიყვა; საბჭომ ერთხმად დამნიშნა ამ დავალების ხელმძღვანელად. შემინული კაბინიდან, სადაც იგი ჩამწერ ხელსაწყოებს ზედამხედველობდა, რენიამ თვალმიყო გასამხნევებლად. დავჯექი.

ხელები კლავიატურაზე დავაწყვე, ღილაკები მოვსინჯე. ჯერ არ იყვნენ ჩართულები. ადვილად დაჰყვნენ ჩემს დაწოლას. გამგზავრება შუადღისათვის იყო დაგეგმილი, ჯერ მხოლოდ 11:40 იყო. უხერხულად ვიგრძენი თავი, არ ვიცოდი როგორ მოვქცეულიყავი. ჩემს წინ მოთავსებულ ეკრანთაგან ერთ-ერთი ჩავრთე, მასზე კილნარის სახე გამოჩნდა. კილნარი ვენერაზე ასრულებდა იმავე მოვალეობას, რასაც მე — დედამიწაზე. დიდი გეოფიზიკოსი იყო, უნივერსიტეტიდან ვამხანაგობდით, თუმც კი იშვიათად ვნახულობდით ერთმანეთს. პატივისცემას მოკლებული ეშმაკური სიფათი დამიკერა, რომელიც ჰეკის ტალღებმა თითქმის დაუყოვნებლივ გადმოგვცეს; ჰეკის ტალღების კავშირგაბმულობაში გამოყენება ახალი ნასწავლი გვქონდა.

— ხუთი წუთიღა დარჩა.— წარმოთქვა ჩემმა ყოფილმა თანაშემწემ, სნიმ.

ჩემი დაჟინება იყო მის ყოფნა, მისი შეურყეველი სიმშვიდე რწმენას შემმატებდა.

— ჰო, კარგია. მიაწოდეთ ენერგია. შეამოწმეთ წრედები.

— ყველაფერი წესრიგშია!

ყველაზე მეტ ყურადღებას იმ ციმციმას ვუთმობდი, რომელიც გამთიშავის მდგომარეობაზე გვაძლევდა ცნობებს. გამთიშავი იმ შემთხვევაში უნდა ამოქმედებულიყო თუ გეოსკოსმოები ფაზიდან გამოვიდოდნენ. ფაზიდან რამდენიმე წამით გამოსვლაც კი სხავდასხვა მხარეს მიმართული ძალების მძევალ დედამიწას გახლეჩას უქადდა. ღილაკებს იქით ქრონომეტრის ისარი თავისთვის

განაგრძობდა ათვლას. ორი წუთი,.. ერთი. ვენერის საკონტროლო დარბაზის ამსახველ ეკრანს გადავხედავდი ხოლმე. კილნარის სახეზე ამჯერად შეშფოთება იყო გამოსახული. ოცდაათი წამი... ათი წამი... ხუთი წამი... ნული!

მთავარ ღილაკს, რომელსაც უნდა გაეშვა ოტების პროგრამა, ბოლომდე დავაწექი. შესაბამისი ინდიკატორი აინთო. დედამიწის ისტორიაში ყველაზე უფრო შესანიშნავი ამბავი დაიწყო და ამ პატარა მწვანე ინდიკატორის გარდა ამაზე არაფერი მიუთითებდა.

— ჩრდილოეთის №1. ჩრდილოეთის №1.— მშვიდი ხმა გაისმა. ყველაფერი წესრიგშია.

ჩრდილოეთის №2. ჩრდილოეთის №2. ყველაფერი წესრიგშია.

ჩრდილოეთის №3. ჩრდილოეთის №3. ყველაფერი წესრიგშია.— ლიტანია გრძელდებოდა.

— სამხრეთი ვარ. სამხრეთი ვარ. ყველაფერი წესრიგშია.

გეოფიზიკური მაჩვენებლების ეკრანზე ერთი წრფივი და უწყვეტი ხაზი მოჩანდა, რომელზეც სუსტი იკანკლედი ისახებოდა ალაგ-ალაგ. იგი დედამიწის ყველა სეისმური სადგურის ჯამური მრუდი იყო, იკანკლედები კი ჩვეულებრივი მიკროძვრები იყო.

ნელ-ნელა გულზე მოგვეშვა. ვენერიდანაც გამამხნევებელი ცნობები მოგვდიოდა. არადა ორივე პლანეტაზე ახლა ვეებერთელა ძალები ზემოქმედებდნენ, რომელთაც ისინი სპირალურ ორბიტაზე უნდა გაეყვანა, მზისაგან შორს და გეზი უნდა აეღებინებინა სხვა ვარსკვლავებისაკენ. ამ ძალებს დიდი სიფრთხლით მოვდებდით პლანეტებს, ძალიან ნელა, ამიტომ აჩქარებაც უმნიშნელოდ გამოიყურებოდა. ნაშეუადღევის ორ საათზე დედამიწის ორბიტული სიჩქარე წამში ათი სანტიმეტრით იყო მომატებული.

გეოფიზიკის ეკრანზე უეცრად რაღაც მრუდი წავიდა ქვემოთკენ. ყველას გული გვიფრიალებდა სანამ რენიას მშვიდი ხმა არ გაისმა.

— დასავლეთის კონტინენტის კონცხზე ძლიერი რყევა იყო. ეპიცენტრი ტაროგადას მიდამოებშია. ჰიპოცენტრი 12 კილომეტრზე. ჩვეულებრივი რყევაა.

ხაზი უკვე წრფეს ემგავნებოდა. მოლოდინის გარდა არა დაგვრჩენოდა. აჩქარება იმდენად დელიკატურად უნდა განხორციელებულიყო, რომ ადამიანის ხელი მას თავს ვერ გაართმევდა, ამიტომ ეს მოვალეობა რობოტს ჰქონდა დაკისრებული. მიუხედავად ამისა, მაინც გვიან საღამომდე დავრჩით საკონტროლო დარბაზში, სპიდომეტრის ისარს შევყურებდით. მრავალი თვე გავიდოდა, სანამ მზის ხილული დიამეტრი შესამჩნევად შემცირდებოდა.

თუ არ ჩავთვლით ვენერას, მრავალწლიანი დაძაბულობის შემდეგ თავს პირველად მივეცი მოდუნების უფლება. კელბიკისეული ანალიზის შესწავლაში გადავეშვი, იმის გაფიქრებაც კი აუტანელი იყო, რომ მათემატიკის რაღაც ნაწილი ჩემთვის გაუგებარი იყო. მძიმე საქმე იყო და მრავალჯერ მომიწია კელბიკის შეწუხება გაუგებარი დეტალების ასასხსნელად. იგი სრულიად ახალგაზრდა იყო, მაღალი და გამხდარი, ცხოვრებაში მხოლოდ ორი გატაცება ჰქონდა: მათემატიკა და აფრით ფრენა. ძალიან მალე ახლო მეგობრები გავხდით, ამას ისიც უწყობდა ხელს, რომ მის მიერ შექმნილ სამყაროში ჩემსა და ჰანის გარდა ვერავინ შესძლო ღრმად შეღწევა. განსაკუთრებული სიმბოლიკა განავითარა, რომლის მეშვეობითაც გაწვრთნილ გონებას შეეძლო ერთდროულად n ცვლადს გასწვდომოდა. კელბიკისეული ანალიზის გამოყენებით სამი სხეულის ყბადაღებული ამოცანა

ბავშვის გასართობი ხდებოდა.

ხანდახან რენიაც შემოგვიერთდებოდა ხოლმე. თუმც არ უცდია კელბიკისეული ანალიზის ათვისება, კელბიკთან მანაც მჭიდრო მეგობრობა გააბა, ხანდახან ვეჭვიანობდი კიდეც.

ერთ-ერთი პირველი რაც კელბიკმა მთხოვა იყო აფრით ფრენის აკრძალვის გაუქმება. ეს აკრძალვა ძალაში შევიდა დიდი წამოწყების დაწყებისთანავე. ამას უსაფრთხოების საჭიროება განაპირობებდა, რადგანაც მშენებლობისათვის საჭირო გეოკოსმოები ჩვეული სვლაგეზით არ დაფრინავდნენ და ქალაქების მიდამოებში ველიფრენებისათვის საშიშები იყვნენ. ახლა როცა გეოსკოსმოების აგება დამთავრებული იყო, სატრანსპორტო საშუალებები ძველ სვლაგეზებს დაუბრუნდნენ და საშიშროება გარდასული იყო. მაგრამ კანონი არავის გაუუქმებია, გულმავიწყობის გამო.

არასოდეს მომცემია პლანერის ფრენის შესწავლის საშუალება, კელბიკთან საუბრებმა კი ძალიან მომასურვა პლანერით ნავარდობა და საბჭოს ნებართვა ვთხოვე. საბჭო დამთანხმდა, მაგრამ მთხოვა რომ ყურადღებით ვყოფილიყავი. მხოლოდ ადამიანთ ახალი მეუფე, ჰელინი, აღუდგა წინ ამ გადაწყვეტილებას, მისი აზრით, ეს ბედისწერელებს შურისძიებისათვის შესანიშნავ შემთხვევას მისცემდა. როგორც მომავალმა გვიჩვენა იგი ნაწილობრივ მართალი იყო. მაგრამ ვინაიდან სამუშაოების დიდი ნაწილი უკვე დამთავრებული იყო, კანონის გაუქმება გადაწყდა.

კელბიკის ზედამხედველობის ქვეშ ფრენის შესწავლა დავიწყე და აღმოვაჩინე მანამდე ჩემთვის უცნობი სიამოვნება. ეს სიამოვნება განსხვავდება კოსმომფრენის მართვით გამოწვეული სიამოვნებისაგან: არ იყო ცისაკენ შურდულივით აჭრა და დედამიწა რომელიც უზარმაზარი სიჩქარით გეცლება ფეხქვეშ. მის ნაცვლად კი იყო ჩიტივით ლივლივი, ნელ-ნელა მონაცვლე პეიზაჟები, ჰაერის ჭავლებთან ბრძოლა და მიწისაკენ ნარნარი დაშვება.

კვირაში რამდენიმეჯერ მივდიოდით მე, რენია და კელბიკი, ყველა ჩვენ-ჩვენი პლანერით მივდიოდით. ჩემთვის საგანგებო მოდელი შევუკვეთე, მაგრამ არც ის მაკმაყოფილებდა ბოლომდე.

ისეთი შეგრძნება მქონდა რომ სკოლის დელტაპლანზე უფრო მძიმე და რბილი იყო. ამას ჩემს გამოუცდელობას ვაბრალებდი და შელახული თავმოყვარეობის მოსაშუშებლად, ვცდილობდი სხვებზე უკეთ მეფრინა მიუხედავად ჩემი აპარატის სიმძიმისა.

ერთ დღეს დიდი ნაკრძალის თავზე დავფრინავდით. მეტეოსადგურებმა მუდმივი ქარი იწინასწარმეტყველეს, რომელმაც ჰური-ჰოლდედან 450 კილომეტრზე გვაფრინა. თქვენებურად მაროკოს ატლასებს გადავუფრინეთ თავზე. შორს მდინარეში სპილოების ჯოგი ჭყუმპალაობდა. კელბიკი ჩემს წინ მიფრინავდა, რენია კი — ჩემს მარცხნივ. ჩვენგან შორს უკან სხვა ველომფრენებიც ლივლივებდნენ ნელა.

უცებ კელბიკი რადიოთი შემეხმიანა.

— ჰაურკ, ჩვენს წინ ველომფრენებს ხედავ?

— კი, მერედა რა?

— ჰური-ჰოლდედან არ არიან. ბაზიდან ასე შორს კამაკის, ატუარისა და სელიანს გარდა ვერავინ შესძლებდა. არადა ზუსტად ვიცი, დღეს არ გამოფრენილან. აკელიორადან კი ჯერ იმდენად შორს ვართ, შეუძლებელია ეს ველომფრენები იქიდან გამოფრენილიყვნენ.

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს?

— ის მნიშვნელობა აქვს, რომ ძალიან მინდა გავიგო, როგორ ახერხებენ ასე სწრაფად გადადგილებას ქარის საწინააღმდეგოდ?

მართლაც, სამი შავი წერტილი სწრაფად იზრდებოდა, არადა მათი სილუეტები უკვე კარგად მოჩანდა და უძრავი საფრენ აპარატებს ჰგავდნენ და არა კოსმომფრენს.

— ფრთხილად, ჰაურკ!— რენიაც ჩაერია. — გახსოვს ჰელინის ნათქვამი? ბედისწერელები...

შემდეგ მოვლენები წარმოუდგენლად სწრაფად განვითარდა. ჩვენსკენ მომფრინავი პლანერებმა თითქოს ფრენისასვე დაიწყეს დაშლა, ფრთები უკნისაკენ მიეკეცათ, სპირალურად ვარდნა დაიწყეს და კვლავ ჩვენსკენ აიღეს გეზი მაგრამ ამჯერად რაკეტებად ქცეულებმა.

— ჰაურკ, გვერდი უქციე, გვერდი!— მიყვირა კელბიკმა.

უკვე დაგვიანებული იყო. ერთმა კოსმომფრენმა ლითონის ხრაჭუნით აართვა ჩემს პლანერს ფრთა. ნიადაგი შეხტა ჩემს წინ და უცებ დაიწყო მოახლოვება. ჰაერს სტვენით მიაპობდა დაზიანებული პლანერი.

— ჰაურკ, ხელსაწყოთა პანელი მოაძრე. სწრაფად! დაუჩქარე!

გაოგნებულმა ძვირფასი წამები დავკარგე. როგორც იქნა დავიხარე, ხელები პანელის ქვეშ შევაცურე და ჩემსკენ გამოვქაჩე. პანელი ერთიანად დამყვა და კოსმომფრენის სამართავი ნაცნობი ტაბლო გამოაჩინა. ვარდნა შეჩერება ვცადე, მაგრამ ნაწილობრივღა მოვახერხე. პლანერის დარჩენილი ნაწილები მიწას დაენარცხა და თავი საქარე მინაზე მიმარტყმევინა. სისხლი მოვიწმინდე და ცას ავხედე. კიდევ ერთი, ნაწილობრივ ფრთამოგლეჯილი პლანერი სწრაფად ჰკარგავდა სიმაღლეს. №1 იყო, კელბიკისა. №2 რენიასი არსად ჩანდა.

მიწაზე გადმოვხტი, ტანსაცმელი რაღაცას გამოვდე და გავხიე. კელბიკის პლანერი მიწას ჩემგან რამდნიმე ასეულ მეტრში დაენარცხა, ცოტა გასრიალდა და ხეს შეასკდა. შორს, თითქმის კერალის პირას რენიას პლანერის ჩონჩხს მოვკარი თვალი. შეშინებული იქით გავიქეცი. კაბინაში ორად მოკეცილი იყო, გულწასული. ამაოდ ვცადე მისი გამოყვანა.

— ეგრე ვერას გახდები. კარი უკან გაასრიალე.— წყნარად მითხრა კელბიკმა.

მოვბრუნდი. სახეზე ღრმა ჭრილობა ჰქონდა, რომლიდანაც სისხლი სდიოდა.

ერთიანი ძალებით მოვახერხეთ რენიას კაბინიდან გამოყვანა და ქვიშაზე დავაწვინეთ. კელბიკი, რომელსაც როგორც ეს ყველა პილოტს სჩვევია, მედიცინის შესახებ გარკვეული წარმოდგენა ჰქონდა, რენიასკენ დაიხარა.

— საშიში არაფერი უნდა სჭირდეს. შიშისაგან ელდა ეცა.

მართლაც მოკლე ხანში რენია გონს მოეგო. მტრის გამოჩენიდან ხუთი წუთი თუ იქნებოდა გასული.

— კელბიკ, რას ფიქრობ ამ შეტევის შესახებ?

— ნიშანდობლივია. გამართლებულია თუ არა მაგრამ, ბედისწერელებმა, ან უფრო სწორედ კი რაც მათგან დარჩა! — გადაწყვიტეს თქვენი მოკვდინება. შესაძლოა, იმავდროულად თავს ესხმიან საბჭოს თითოეულ წევრს, თუმც ეჭვი კი მეპარება. ყველაზე უფრო საშიში ისაა, რომ კოსმომფრენების ასეთნაირად შესანიღბად საჭიროა ისეთი ტექნიკური საშუალებები, რომლებზეც ხელი ყველას არ მიუწვდება. ბედისწერელებს შორის ტექნებიც უნდა ერიოს. ბედისწერელი ტექნები... ამის წარმოდგენაც კი მიჭირს!

— ვინ იცის, იქნებ თავისი ტექნიკოსებიც კი გამოზარდეს? კანონის საწინააღმდეგოდ მოქმედი ხალხისათვის ასეთი რამ შეუძლებელი არაა. შესაძლოა იატაკქვეშა სახელოსნოებიც ჰქონდეთ...

— არც კი ვიცი, რომელი ჰიპოთეზაა უარესი!— თქვა რენიამ. მე ეს შეუმდგარი შეტევა მაოცებს. პირდაპირ კოსმომფრენის ფუიზელაჟს რატომ არ დაეჯახნენ, ასე ხომ უფრო საალბათო იქნებოდა შენი სიკვდილი!

— აპარატის ნარჩენებს ვინმე აუცილებლად იპოვნიდა, რენია, და ცხადი გახდებოდა, რომ ტერორისტული აქტი იყო. პლანერს ფრთა კი შეიძლება მართლაც მოტყდეს, ისეთი ავდრისას, როგორიც სულ მოკლე ხანში იქნება, თუ ცას ვენდობით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მტრებს მეტეოროლოგიურ სამსახურებშიც უნდა ჰყავდეთ თანამზრახველები. როგორც არ უნდა იყოს, მაინც მოხარული ვარ, რომ პატარა კოსმომაგნიტები დავადგმევინე. საფრენად საკმარისი არ იქნებოდნენ, მაგრამ დაშვებას კი შეანელებდნენ...

— ახლა კი გასაგებია, თუ რატომ იყო ჩემი პლანერი ასე მძიმე!

— დიახ. — ისღა დაგვრჩენია, რომ ჰური-ჰოლდეში შევატყობინოთ ჩვენი ადგილმდებარეობა და დაველოდოთ სამაშველო რაზმს.

— წარმოუდგენელია, რომ ასე ადვილად შეგვეშვან,— ხმამაღლა გამოვთქვი ჩემი აზრი. — დავუჩქაროთ.

თავდაპირველად რენიას რადიოს გამოყენება ვცადეთ. დაზიანებული აღმოჩნდა. კელბიკისა ნაფშვენებად იყო ქცეული, ჩემი პლანერის მიახლოებისას უკვე ვღელავდით, ვაიდა ისიც გაფუჭებული ყოფილიყო. ასეც აღმოჩნდა, რადიო დაზიანებული იყო, მაგრამ მისი შეკეთება არ უნდა გაგვძნელებოდა. მის შეკეთებას შევუდექი. რენია ტყისაკენ წავიდა. კინაღამ დავუყვირე, რომ მობრუნებულიყო, მაგრამ მერე გამახსენდა რომ ალმტყორცნი თან ჰქონდა და ვერცერთი მხეცი ვერ დაუშავებდა რამეს.

კელბიკს იარაღი არ ჰქონდა. მიუხედავად ამისა, მაინც ვთხოვე ჩემი პლანერის ახლოს ედარაჯა სანამ მე რადიოს ვაკეთებდი. შეკეთება თითქმის უკვე დამთავრებული მქონდა, როცა კელბიკმა დამიძახა:

— ჰაურკ, ვიღაცები გვიახლოვდებიან!

ნარგავების მიღმიდან ამოყვეს თავი, შვიდნი იყვნენ. ვერ ვიცანი. განმასხვავებელი ტანსაცმელი არ ეცვათ, არც ტექნების მკაცრი რუხი სამოსი და არც ტრილების ხალვათი პერანგი, შავ ბლუზებში იყვნენ გამოწყობილნი. პლანერიდან გამოსვლამდე მოვსინჯე ჩემი პატარა ალმტყორცნი და იმ მიმართულებით გავიხედე, საითაც რენია წავიდა. აღარსად ჩანდა.

ცა სულ უფრო და უფრო იქუფრებოდა, ავისმომასწავებელ გაბნეულ და ფერმკრთალ სინათლეს მოეცვა სანაპირო, მდინარე ავად ბუხუნებდა. ელვამ ღრუბლები განკვეთა.

— ვინ ხართ? — შესძახა კელბიკმა. — საბჭომ გამოგაგზავნათ?

ხმა არ ამოუღიათ, რკალად გაიშალნენ. პლანერის მეორე მხარისაკენ გავცოცდი.

ერთმა მათგანმა მოკლე ბრძანება გასცა და იარაღმომარჯვებულნი კელბიკისაკენ გაიქცნენ. ბინდში გამიჭირდა იარაღის სახეობის გარჩევა, მაგრამ ვინაიდან კონდენსატორის დამახასიათებელი ხმა არ ისმოდა, მივხვდი რომ ალმტყორცნები არ უნდა ყოფილიყო. შორს სხვებიც გამოჩნდნენ, მრავალრიცხოვანნი იყვნენ. კელბიკმა ჩემსკენ დაიხია.

— ბედისწერელები!

შეტყობინების გაგზავნა უკვე დაგვიანებული იყო. თვალი სწრაფად მოვავლე გარემოს. ტყესა და მდინარეს შორის ვიყავით მომწყვდეულები.

— ჯუნგლებისაკენ გავიქცეთ,—ვუთხარი კელბიკს. — გაიქეცი!

ადგილს მოსწყდა და მეც გავეკიდე. ჩემს დანახვაზე ერთმა მომხდურმა რაღაცა დაიძახა და ხელი აიშვირა. აფეთქების ყრუ ხმა გაისმა და ჩემს წინ ქვიშა აბორიალდა. ყურებთან ტყვიები მიწუოდა. შემოვბრუნდი, ორჯერ გავისროლე და კაცთ ელვას ციური ელვაც გამოეხმაურა. სილუეტები მოჭიქურებულ ქვიშაზე დაწვნენ.

ტყის საფარველს სწორედ მაშინ მივაღწიე, როდესაც პირველმა წვეთებმა იწყეს ვარდნა. შემდეგ გრგვინვა გაისმა და ფოთლებზე კოკისპირული წვიმის წვეთების შხაპუნი ატყდა. ვეღარ მივრბოდით. ფეხები დაბალ მცენარეებში გვეხლართებოდა და შეძლებისდაგვარად სწრაფად გადაადგილებას ვცდილობდით. ტყის პირიდან ორჯერ კიდევ გაისმა სროლის ხმა, მდევრები ფეხდაფეხ მოგვდევდნენ. საპასუხოდ არ მისვრია, არ მინდოდა ჩემი ალმტყორცნის მუხტების გაფლანგვა. კელბიკს კუდში მივყვებოდი და რენიას ბედზე ვფიქრობდი. განგებ არ ვეძახდი, არ მინდოდა ჩვენი მდევრის ყურადღების მოზიდვა არც ჩვენზე და არც მასზე. მაგრამ დავიფიცე, რომ თუ რენიას რამე დაემართებოდა, მანამ არ მოვისვენებდი სანამ ბოლო ბედისწერელს ჩემივე ხელებით არ მივახრჩობდი.

გზად ხეების დამპალი ვარჯებისა და სუროს გროვა შეგვხვდა. მის გადალახვაზე ძვირფასი დრო დაგვეკარგა. როდესაც როგორც იქნა და გადავლახეთ ეს გროვა, მდევრის ხმა არა მხოლოდ უკნიდან გვესმოდა, არამედ ამჯერად უკვე მარცხნიდან და მარჯვნიდანაც. მტერი ალყას გვარტყამდა. უცებ ვრცელ კორდზე გავედით. კორდის მეორე მხარე მთლიანად კლდით იყო დაფარული. მარჯვნიდან და მარცხნიდან მდევარიც გამოჩნდა.

კლდეებში უსაფრთხო გასასვლელის პოვნის იმედში მდელო სირბილით გადავჭერით, ტყვიების წუილი თან გვდევდა. სამწუხაროდ წინ გლუვი და მაღალი კედელი გვეღობებოდა, რომელსაც სიგლუვეს მხოლოდ მღვიმის შესასვლელი ურღვევდა. გასავათებულებმა სწორედ მას მივაშურეთ. დროულად მოვასწარი ჩვენს შესახვედრად გამოქანებული გოროზი ლომის მოკვლა.

გარკვეულწილად ჩვენი მდგომარეობა უკეთესი იყო. ავდარი თითქმის უკვე დამთავრებული იყო და კორდს სავსე მთვარე დაჰნათოდა, რომელსაც დროგამოშვებით ოდნავ ჰბურავდა ფთილა ღრუბლები. დილამდე თუ გავძლებდით, დარწმუნებული ვიყავი, რომ საბჭოს მიერ გამოშვებული მაძებარი ჯგუფები შესძლებდნენ ჩვენს პოვნას ან გააქცევდნენ ჩვენს მტრებს. თუმცაღა ალმტყორცნის მრიცხველის შემოწმების შემდეგ ენთუზიაზმი ჩამიცხრა. სულ რაღაც ჩვიდმეტი გასროლაღა მქონდა დარჩენილი. ო, რომ იცოდეთ რამდენად მომინდა მაშინ, რომ ბავშვობაში წაკითხული ფანტასტიკური ნაწარმოებების გმირების დარად ტელეპათიის უნარი მქონოდა. გონების ძახილი რომელსაც გალაქტიკის მეორე ბოლოსაც გაიგებდნენ ჩემი ერთგული გულადი მეომრები და ჩემს დასახმარებლად გაჩნდებოდნენ მამაცი დედამიწელები, უდრეკი მარსელები, მოხერხებული ვენერელები, ალდებარან IV-ის საზარელი გველეშაპები! ვაგლახ, სიკვდილის პირისპირ ორი უბრალო გაწუწული ადამიანი ვიდექით.

ქვის ხანის დროინდელი ადამიანებივით ვიწექით ჩამომზღვლეული ქვების უკან და მტრის შემოტევას ველოდით. შემოტევა კი იგვიანებდა. დროდადრო ტყვია გაიწუილებდა ხოლმე, რომელიც ხან საშიშრად აისხლიტებოდა ხოლმე კლდიდან,

ხანაც უვნებლად ჩაიჭედებოდა ხოლმე კლდეში. მომხდურები მოფარებულში დარჩენას ამჯობინებდნენ. შფოთი მიპყრობდა როგორც ჩვენი ასევე რენიას ბედის გამო. თავი ჩვენი მომხდურების ალაგას წარმოვიდგინე: როგორ მოვიქცეოდი მათ ადგილას? ავცოცდებოდი ფრიალოზე და უეცრად ჩავხტებოდი მღვიმის შესასვლელის წინ? ამის გაკეთება შესაძლებელი იყო, კლდის სიმაღლე სამ-ოთხ მეტრს არ აღემატებოდა... თუ მთვარის ჩასვლას დაველოდებოდი? მთვარე ჯერ კიდევ დიდი ხანი არ ჩავიდოდა. ღამე ნელა გადიოდა.

როდესაც აღმოსავლეთით ჰორიზონტი გაფერმკრთალდა, ტყის პირას რაღაც მოძრაობა შევნიშნე. შემდეგ მომხდურები შეტევაზე გადმოვიდნენ. ალმტყორცნიდან მანამ ვისროდი სანამ მასში მუხტი რჩებოდა. ძალიან გვიანი იყო! მტერი ჩვენს სროლაზე არ გვპასუხობდა, დანახშირებულ გვამებზე აბიჯებდა და მღვიმემდე მოაღწია.

— მე მგონი ამჯერად ცოცხლად უნდათ ჩვენი ხელში ჩაგდება,— გავიფიქრე.

ალმტორცნი პირველსავე მომხდურს ვესროლე და ძირს ნაგდებ ტოტს დავწვდი. კელბიკი კენჭების სროლით იცავდა თავს. შემდეგ უკვე ხელჩართულში გადავიდა ბრძოლა. ჩემი ტოტის მეშვეობით ერთი ხანობა მოვახერხე მათი შეკავება. მაგრამ მომხდურის მრავალრიცხოვნებამ თავისი ჰქნა და ბოლოს და ბოლოს მიწაზე დავვარდი. თავში რაღაცა მომხვდა და გონება დავკარგე.

გონს როცა მოვედი, შებოჭილი ვიყავი. ჩემს გვერდზე სახედასიებული კელბიკი იწვა. გუშაგი ზურგით იდგა, მოშორებით თხუთმეტიოდე ადამიანი ძირს იჯდა და გაცხარებული მსჯელობდა. ვერცერთი მათგანი ვიცანი. ერთი მათგანი წამოდგა და ჩემსკენ წამოვიდა.

— ბედისწერასთან შეუპოვრობა სრული უგუნურებაა! — წამოიძახა. — ხედავ სადამდე მიგიყვანა შენმა მზვაობრობამ, ტექნო? — ვის ძალუძს ღვთიური განგების წინაღდგომა? — ან კი რა აზრი აქვს სხეულის გადარჩენას, თუ კი სულს ღუპავ?

პასუხი არც კი ვაღირსე. ამ ფანატიკოსებისათვის იმასაც კი არ ჰქონდა არანაირი მნიშვნელობა, რომ მათ გარდა ყველა მორწმუნე თუ რელიგიური დაჯგუფება იზიარებდა დიადი წამოწყების გეგმას. მხოლოდ მათ იცოდნენ ჭეშმარიტება, ერთადერთი ჭეშმარიტება. დაე მსოფლიო გაცამტვერდეს, ოღონდ კი მათი ჭეშმარიტება არ შეირყეს!

ტყის პირას ხეები შედრკნენ და ოთხი სპილო გამოჩნდა, მალე მათ ერთი თხუთმეტი სპილო კიდევ მოჰყვა. ადამიანები არ განძრეულან. ნაკრძალებში მრავალი მნახველი იყო, სპილოები მათთან შეგუებულები იყვნენ და ამიტომ საშიშები არ იყვნენ. თუმცაღა ამ სპილოების საქციელი განსხვავდებოდა, თითქოს რაღაც ცნობისმოყვარეობას შეეპყროთ, სპილოები სულ უფრო და უფრო ახლოვდებოდნენ. ჯგუფებს გვერდი უქციეს და მთელს ახოზე გაიშალნენ. უცებ რენიას ხმა გაისმა!

— ახლა, ჰლლარკ! — ახლა!

ყველაზე დიდი სპილო უცებ შემობრუნდა, ხორთუმით ჩვენი გუშაგი გადააყირავა და მე დამწვდა ფრთხილად. მეორემ უგონოდ მყოფი კელბიკი ასწია. ხორთუმი ჩემს წელზე ჰქონდა შემოხვეული, ფეხები და თავი ჰაერში მქონდა გამოკიდებული. თავი მაღლა ავწიე. მომხდურები მსწრაფლ დაიშალნენ.

— აქეთ, ჰლლარკ!

ჩემი სპილო ტყისაკენ გაემართა. სროლის ხმაც გაისმა. ტყვიას ბეწვზე გადავურჩი, იგი ჰლლარკის ხორთუმს მოხვდა. გავეშებულმა ცხოველმა ხორთუმი უეცრად

გამიშვა და მიწას სასტიკად დავენარცხე. შემდეგ პირი იქცია, თავისიანებიც მიჰყვნენ. ყვირილი გაისმა, მას სროლის ხმა მოჰყვა და ბოლოს სიჩუმემ დაისადგურა. გაჩეჩილთმიანი დაკონკილი რენია ჩემსკენ დაიხარა და ბორკილები შემხსნა. ფეხზე წამოვდექი, მთელი სხეული მიბჟუოდა. მდელოზე გადაქელილი მუქი ლაქები იმ ადგილებს აღნიშნავდნენ სადაც სპილოები ბედისწერელებს შეხვდნენ.

— კელბიკი? — ვიკითხე.

— ცოცხალია.

— რენია, როგორ მოახერხე ამ სპილოების მოთვინიერება?

— სპილოები არ არიან, ჰაურკ. პარასპილოები არიან!

ხორთუმიანებს უკეთ დავაკვირდი. უკვე წყნარად იყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ გარეგნულად სპილოებისაგან არაფრით განსხვავდებოდნენ, მათი თავის ქალა უფრო დიდად მომეჩვენა. ამის შემხედვარეს ბიოლიკის ცდები გამახსენდა.

ბიოლიკი ჩემს დაბადებამდე ხუთი საუკუნით ადრე მოღვაწეობდა, ბიოლოგი იყო და ზეადამიანების შექმნა ეწადა. ცდები წარმატებით განახორციელა სპილოებსა და ლომებზე და შესძლო მათი თავის ქალის ძვლოვანი ქსოვილის მოცულობის შემცირება და ამგვარად მათი ტვინის გაორმაგება, რასაც ტვინის გართულება მოჰყვა. ამ ცდების შედეგად წარმოიშვა პარასპილო, რომლის გონიერებაც 5-6 წლის ბავშვის გონების ტოლი იყო. ეს გონიერება კონტროლირებადი მუტაციების წყალობით მემკვიდრეობითად იქცა. ამ შედეგებით გათამამებულმა ბიოლიკმა საბჭოს გაუფრთხილებლად ჩაატარა ცდები თავისი ოჯახის წევრებზე. შედეგი იმდენად საზარელი აღმოჩნდა, რომ მან თავი მოიკლა. როგორც ჩანს, შეუძლებელია ადამიანის გონების ასეთი გზით გაზრდა. ხოლო პარასპილოები და პარალომები გადაურჩნენ ამ ცდებს და გამრავლდნენ კიდეც. ნაკრძალებში მათი არსებობა უხერხულობას არ ქმნიდა, მაგრამ ისინი ერიდებოდნენ ადამიანებს და მათი გონიერებისავე გამო უფრო ძნელი იყო მათთან დაკავშირება.

ტყეში მიმავალ რენიას დაუნახავს, თუ როგორ ეშვებოდა კოსმომაგნიტურა. თავიდან უფიქრია, საბჭოს წარმოგზავნილები იქნებიანო, შემობრუნებულა, მაგრამ მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ საპირისპიროში დაარწმუნა. თავის მხრივ მასაც მოუწია მტრისაგან ოტება, უხეტიალია, ალმტყორცნი დაუკარგავს ჭანჭრობის გადალახვისას, დაღლილი კუნძზე ჩამომჯდარა და ტირილი დაუწყია. სწორედ იქ შეჰხვედრია ჰლლარკი, პარასპილო, მზის ჩასვლისას, ავდრის დასასრულ. ჰლლარკი ერთი აკელიორელი ქიმიკოსის ამხანაგი იყო — კანონი კრძალავდა პარაცხოველების ყოლას — და ამიტომ ადამიანის ენა ნაწილობრივ ესმოდა. რენიას მისთვის მოთმინებით აუხსნია მდგომარეობა და დახმარებაზე დაუთანხმებია. კარგი სანახავი კი იქნებოდა, თუ როგორ ცდილობდა მთვარით განათებულ მდელოზე ჩამოკონკილი ახალგაზრდა ქალი სპილოსთან შეთანხმებას. ბოლოსდაბოლოს ჰლლარკი დათანხმებულა, თავისი ჯოგისათვის თავი მოუყრია და რენია ზურგზე შეუჯენია.

ჰლლარკი ახლა ჩვენსკენ მოდიოდა და კმაყოფილი სახით აქეთ-იქით იქნევდა ხორთუმს, თათები წითელი ჰქონდა. ტყვიამ უბრალოდ გაჰკაწრა. რენია წყანარად დაელაპარაკა, მხოლოდ მარტივ სიტყვებს იყენებდა. სპილომ თავი დაუქნია. ზურგზე შევაჯექით, კელბიკი მეორე სპილოს მოაჯდა და მდინარისაკენ წავედით.

ჩვენს ოტებაში შესამჩნევად დავშორდით ჩვენს კოსმომფრენებს და თითქმის მთელი საათი დაგვჭირდა ამ ადგილზე დასაბრუნებლად. თვალის ერთი შევლებაც

საკმარისი იყო იმის დასანახად, რომ ბედისწრელებმა ბოლომდე გაანადგურეს ის რაც ვარდნას გადაურჩა. რადიომიმღებები საბოლოოდ იყო მწყობრიდან გამოსული. ყველაზე ახლოს მდებარე ქალაქამდე ჩვენით მიღწევაღა დაგვრჩენოდა, თუმცა შესაძლო იყო აგრეთვე, რომ ჩვენს საძებნად გამოშვებულ კოსმომფრენებს აღმოვეჩინეთ.

ჰლლარკისა და მისი თანმხლებების დაყოლიება არ გაგვჭირვებია და სამხრეთისაკენ, აკელიორასაკენ ავიღეთ გეზი. სპილოებზე ამხედრებულები სწრაფად მივიწევდით წინ და მიუხედავად ამისა საღამოს ქალაქიდან მაინც შორს ვიყავით და არც პლანერები შეგვინიშნავს ცაში და არც კოსმომფრენები. ღამის გათევა მდელოზე მოგვიწია.

რომ არა, ერთი მხრივ კელბიკის მდგომარეობა, ხოლო მეორე მხრივ კი ნერვიულობა იმის შესახებ, რაც შეიძლებოდა ჰური-ჰოლდეში მომხდარიყო, ეს შეყოვნება წყობიდან არ გამომიყვანდა. კოცონი ბრდღვიალებდა, ირგვლივ თავზე საყრელად იყო ხილი, პარასპილოები მცველებად გვერტყნენ გარს. მაგრამ კელბიკს სახეზე ჭრილობა მოეწამლა და სიცხემ აუწია. გზის მონახვა ჰლლარკს მივანდე, დელტაპლანიდან წამოღებული კომპასი დავშალე და მის როფში წყალი ავადუღე ჭრილობის ჩამოსაბანად. შემდეგ დავიძინეთ. მშფოთვარე ძილი გვქონდა. აფრიკულ ტყეში გატარებული ღამე არ ყოფილა ძალიან წყნარი, თუმცა ახლოსაც ვერ მოვიდოდა ვენერულ ჯუნგლებში გატარებულ ღამესთან. სავანის ახლოს ვიყავით და რამდენჯერმე შემოგვესმა ლომების ღრიალი. საბნები არ გვქონია და მოთბო თქორი გვბურავდა. ფოთლებისაგან გაკეთებული ლეიბის მიუხედავად, კომფორტს მიჩვეულ ჩვენს სხეულებს მაინც უჭირდათ მიწაზე წოლა. ხელჩართულ ბრძოლაში მიღებული დაზიანებების გამო თითების სახსრები მტკიოდა. გამოფიტულ რენიას ეძინა. კელბიკი კი განუწყვეტლივ ბრუნავდა და კვნესოდა. როგორც იქნა ჩავთვლიმე.

სისხამ დილით გამეღვიძა. რუხი რიჟრაჟი იდგა, ჩახუთული ჰაერი მორიგ ავდარს მოასწავებდა. ფერმკრთალი ცის ფონზე გუშაგად მდგარი ორი სპილოს სილუეტი იყო გამოკვეთილი.

რენიას თავქვეშიდან ნაზად გამოვიღე მკლავი, დამტვრეული წამოვდექი, ცეცხლი გავაჩაღე. კელბიკს მაღალი სიცხე ჰქონდა, ჭრილობა დაჩირქებოდა. ხელახლა მოვბანე ჭრილობა ანადუღარი წყლით, ბანანებით მოკრაძლებულად ვისაუზმეთ და ხელახლა გავუდექით გზას. გზამ საშინლად დასცადა საწყალი კელბიკი, მაგრამ მოსაღამოებულზე აკელიორას კოშკები მკაფიოდ გამოიკვეთა ჩამავალი მზის ფონზე. ჭანჭრობს შემოვუარეთ და ნახევარი საათის შემდეგ, სწორედ მთვარის ამოსვლის დროს ქალაქში შევედით.

ქალაქში სპილოებზე ამხედრებულები შევედით, რამაც სენსაცია გამოიწვია. ამისათვის ყურადღება არ მიმიქცევია, კელბიკი მაშინათვე საავადმყოფოში წავაყვანინე. რამდენიმე წუთში მე და რენია უკვე ტერკანში, თქვენებურად გამგეობაში, ვიყავით და მაშინათვე ვიდეოკონტაქტი დავამყარე ჰური-ჰოლდესთან, ჰელინს დავურეკე. დედაქალაქში ყურადსაღები არაფერი მომხდარა და ჰელინი ერთობ გააოცა ჩემმა ფათერაკმა. წერილობითი შეტყობინება მიუღია რომელშიც ვაუწყებდი, რომ აკეილორაში დავეშვით და დედაქალაქში მოგვიანებით დავბრუნდებოდით. შეტყობინებას ზედ ჩემი ხელმოწერა და ჩემივე საიდუმლო კოდიც ჰქონია დართული. ბედისწერელების მიერ ჩემი საიდუმლო კოდის ცოდნა, იმას მოასწავებდა, რომ მოღალატეს მაღალი თანამდებობა ეკავა, ან სულაც საბჭოს

წევრი იყო. გადავწყვიტე დაუყოვნებლივ დავბრუნებულიყავი დედაქალაქში. წასვლის წინ კელბიკი მოვინახულეთ. ექიმმა დაგვაიმედა, ინფექცია უკვე დაცხრომის გზაზეა და თქვენი მეგობარი რამდენიმე დღეში კვლავ ფეხზე იქნებაო. ადგილობრივი პოლიციის უფროსს დავავალე კელბიკის მიხედვა. გამოვემშვიდობეთ ჰლლარკსა და მის თანმხლებთ და მადლობის ნიშნად შაქრის განუსაზღვრელი მარაგი დავუნიშნეთ.

გულდასმითმა გამოძიებამ რამდენიმე დღის თავზე გამოააშაკარავა დამნაშავე, რომელმაც ჩემი კოდი ბედისწერელებს გადასცა. ერთ-ერთი ახალგაზრდა ტექნი იყო, საბჭოს გასვლითი სხდომების მდივანი. დაუყოვნებლივ დავაქვეითეთ, მაგრამ პლუტონზე არ გაგვიგზავნია, სასჯელაღსრულების კოლონია უკვე დედამიწაზე იყო გადმოტანილი.

თავი მეოთხე

ახალი მზე

დრო გადიოდა. დედამიწის ორბიტა სულ უფრო და უფრო იზრდებოდა და შორდებოდა მზეს. ერთგული მთვარე თან სდევდა ოტებულ დედამიწას. ვენერაც უახლოვდებოდა დედამიწას და ვინაიდან მისი საწყისი ორბიტა მზესთან უფრო ახლოს იყო, მის კოსმომაგნიტურ ძრავებს უფრო მეტი დატვირთვით უხდებოდათ მუშაობა. ამან რამდენჯერმე გამოიწვია ნიადაგის რყევა, თუმცა ზარალი არაფრისათვის მიუყენებია. წლის თავზე მზის ხილულმა დიამეტრმა დიდად იკლო ცის კამარაზე და საშუალო ტემპერატურამაც იწყო კლება. სიცივისადმი ყველაზე უფრო მგრძნობიარე ცხოველების სახეობის გასაგრძელებლად შერჩეული ერთეულები მიწისქვეშა პარკებში გავხიზნეთ.

დაახლოებით ამავე დროს ვიქორწინე რენიაზე. სიმშვიდემ დაისადგურა, ისეთი შთაბეჭდილება გვრჩებოდა, რომ ბედისწერელები განადგურდნენ ან იძულებულნი იყვნენ სამალავებში გასუსულიყვნენ. ჩვენი ქორწილი ჩვენივე სურვილის თანახმად ზედმეტი ზეიმის გარეშე შედგა.

სამი თვის შემდეგ წყლის დასაწყობებას მივყავით ხელი. უზარმაზარი მიწისქვეშა საცავები წყლით გავავსეთ. მარსის ორბიტას ვკვეთდით უკვე. რამდენიმე არქეოლოგი გაშმაგებით განაგრძობდა სამუშაოებს განწირული პლანეტის საიდუმლოებათა ამოსახსნელად. შემდეგ გეოსკოსმოთა სიმძლავრე გავზარდეთ, დედამიწამ ვენერის თანხლებით, რომელიც ცაში დიდ მთვარესავით ჩანდა, დატოვა ეკლიპტიკის სიბრტყე რათა ასტეროიდთა სარტყელს ზევიდან გადავლებოდა.

ამ დრომდე ყოველდღიურ ცხოვრებაში შესამჩნევი ცვლილებები არ მომხდარა. მაგრამ ამიერიდან ოკეანეთა სითბური რეზერვუარის მიუხედავად ტემპერატურამ სწრაფად იწყო კლება და 25° განედების მიღმა დედამიწა თოვლიანი ქარბუქების სანავარდო სარბიელად იქცა. სხვადასხვა სახის ცხოველები ერთმანეთის მიყოლებით გადავიყვანეთ მიწისქვეშეთში. ჰური-ჰოლდეში ზედაპირზე მხოლოდ აუცილებელი რაზმებიღა იყო დარჩენილი, მაგრამ საბჭო სოლოდინში უნდა დარჩენილიყო თითქმის ბოლო წუთამდე. დიდი ჰერმეტული კარი უკვე დიდი ხანია რაც ზედა ქალაქს ჰყოფდა ქვედასაგან. მაღალი განედების ყველა ქალაქიდან სუპერსტრუქტურების ევაკუაცია დამთავრებული იყო; კაცობრიობა ხანგრძლივი გამოზამთრებისათვის ემზადებოდა.

იუპიტერის ორბიტას რომ გავცდით, მხოლოდ მეუფეთა საბჭოღა იყო დარჩენილი ზედა ქალაქში. ოკეანეები გაიყინენ, ეკვატორზეც კი, ღამით ტემპერატურა -70°-ამდე ეცემოდა. ტემპერატურა კიდევ უფრო დაბალი იქნებოდა რომ არა ნიადაგის მიერ გამოსხივებული საითბო. ციდან ღრუბლები გაქრა; ატმოსფეროს მთელი წყალი დედამიწას ეფინა თეთრ საბურვლად. თითქმის ყველა ცხოველი გაქრა დედამიწის პირიდან, ცოტაოდენი მცენარეულობაღა თუ ეპუებოდა სიცივეს. ვენერაზეც იგივე ვითარება იყო. ჰერი-კუბას ცოცხლად შეპყრობა ვერ შევძელით, მაგრამ კუნძულ ზენზე განლაგებულმა სამორიგეომ რამდენიმე გაყინული გვამი იპოვა. სიმაღლეში

ექვსი მეტრი იყვნენ და მართლაც დედამიწური გორილების შთამომავლები აღმოჩნდნენ, ბიოლოგები ერთობ გააოცა მათ გადაგვარებულ თავში ტვინის გვერდით აღმოჩენილმა უცნაურმა ჯირკვალმა.

ურანის ორბიტას რომ გავცდით, მეუფეთა საბჭოც ქვედა ქალაქში გადავიდა და მეც საბოლოოდ გადავბარგდი მსოფლიოთა სასახლეში მდებარე ჩემს ბინაში, ექვსასი მეტრის სიღრმეზე. ჩემს სამუშაო ოთახში განლაგებული დიდი ეკრანები შავ ცას მიფჩენილი ფანჯრების შთაბეჭდილებას ქმნიდა. ატმოსფეროს წნევა სწრაფად ეცემოდა, ჰაერი თხევადდებოდა და ჩვეულებრივ თოვლს მორუხო თოვლით ფარავდა.

ათასში ერთხელ სოლოდინის მწვერვალზე მოთავსებულ ჩემს სამუშაო ოთახში ავიდოდი ხოლმე, ხშირად რენიასა და კელბიკსაც გავიყოლებდი ხოლმე. პატარა რადიატორი გასაძლის ტემპერატურას ინარჩუნებდა ოთახში და დაგმანული ფანჯრები საგანგებოდ იქნა გამაგრებული, რათა გაეძლო შიდა წნევისათვის. შესანიშნავად მახსოვს ის წამი, როდესაც ჰადესის ორბიტა გადავლახეთ. სამივე ჩვენს ჩვეულ ადგილებზე ვისხედით. მაგრამ ჩემი სამუშაო მაგიდა, რომელიც ადრე სულ დახუნძლული იყო ათასგვარი ნივთით, ახლა ცარიელი იყო, თუ არ ჩავთვლიდით თეთრი ქაღალდის დასტას რომელზეც თლილი ქვის ნაჯახი იდო; ქაღალდს ჩვენც ვიყენებდით, თუმცა ჩვენი ქაღალდი თქვენსაზე უფრო გამძლე იყო. ნაჯახი ჩემმა დიდი ხნის წინ დაღუპულმა მეგობარმა, გეოლოგმა რ'ვარკმა მაჩუქა და პირველ წინაისტორიულ ხანას ეკუთვნოდა. ამ ნაჯახს ვინახავდი როგორც სიმბოლოს, ადამიანის ძალისხმევათა განუწყვეტლობის სიმბოლოდ. ჩემთვის იგი ჩვენს წინაპართა სულისკვეთებას გამოსახავდა, რომლებიც ებრძოდნენ მტრულ გარემოს, გადაურჩნენ მას და ჩვენ გვიანდერძეს ბრძოლისა და შეუპოვრობის სამუდამოდ გაგრძელება. ან შესაძლოა ამ ნაჯახის თავმდაბალი შემოქმედის ჩვენს ძალისხმევასთან სიმბოლური დაკავშირება მინდოდა.

ფანჯრის ახლოს ვიჯექი. ცა ვარსკვლავებით იყო მოოჭვილი და შორს, ძალიან შორს, კაშკაშებდა ერთი ვარსკვლავი. იგი ყველაზე დიდი იყო. ეს ჩვენი მშობელი მზე იყო. ჰორიზონტზე მოკრძალებით ამოზიდულიყო ერთგული მთვარის მკრთალი დისკო. ვენერა კი თითქმის არ ჩანდა.

ჩემს წინ ქალაქი გადაშლილიყო, შუქები ჩამქრალი იყო, მხოლოდ ობსერვატორიაში ჩანდა სინათლე. დაფენილი თოვლი და გამყარებული ჰაერი ცათამბჯენების კუთხოვნებას თრაშავდა და უფრო ჰაეროვან შეხედულებას აძლევდა მათ. ხანგრძლივი ზამთრის მსხვერპლი ხეები წაქცეულიყვნენ და უფოთლო შტოები ხელებივით აეწვადათ ცისაკენ.

ერთ-ერთი ეკრანი ჩავრთე და კერლას, მთავარი ასტრონომის სახე გამოჩნდა.

— მიჯნას რამდენ ხანში გადავალთ, კერლა?

— სამ წუთსა და თხუთმეტ წამში.

მიჯნა... ასე ვუწოდებდით ჰადესის თეორიულ ორბიტას, იგი რომ ელიფსურის ნაცვლად წრიული ყოფილიყო. იგი მზის სისტემის საზღვრებს შემოფარგლავდა.

წუთები ნელა გადიოდა. სხვებთან ერთად უნდა ვყოფილიყავით, მაგრამ ჩემი ძველი სამუშაო ოთახი ვამჯობინე მეტი მყუდროების გამო. სინამდვილეში ამ მიჯნას არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონია, მაგრამ ტექნებიც და ტრილებიც მივეჩვიეთ რომ ჭეშმარიტი მოგზაურობა ამ ორმაგად წარმოსახვითი ხაზის გადალახვის მერე იწყებოდა; ორმაგად წარმოსახვითის რადგან იგი ჰადესის ნამდვილ ორბიტასაც კი არ ემთხვეოდა.

მსუბუქი ბუთქი გაისმა. კელბიკმა საზეიმოდ გახსნა ერთი ბოთლი ღვინო და რენიას მიერ დაწყობილი სამი ჭიქა გაავსო. ხმის ამოუღებლივ ველოდით.

— ათ წამში, — გაგვაფრთხილა კერლას ხმამ.

წამოვდექი, ჩემს ჭიქას ხელი მოვკიდე.

— მეგობრებო, ამ ჭიქით მსურს ვადღეგრძელოთ კალრ დამაარსებელი. გარდასული დროები...

— აწმყო, — პასუხად შემაგება კელბიკმა.

— მუდამ მომავალი დღეები! — ნაზად დაასრულა რენიამ.

დავლიეთ. აუდიოფონებიდან ქალაქის სირენების ხმა მოისმა, ეს მწუხარე ხმა თავიდან ხმადაბალი იყო და ნელ-ნელ ძლიერდებოდა. სირენები ერთობ იშვიათად გამოიყენებოდა, ჰური-ჰოლდეში ხმაური შეძლებისდაგვარად აღკვეთილი იყო. ამის გამო ეს ხმა, კოსმოსური გლოვა, ნერვებს გვაწყვეტდა. სოლოდინის წვეროკინადან სინათლის კონა ამოიწვადა და წრე შემოწერა. უჰაერო გარემოში სხივი უჩინარი იყო, თეთრ ლაქად შემოუარა ნიადაგს და წყვდიადს დროებით აართვა ტერასები და მიდამოს სხვა დეტალები. ხისტი, მკვეთრი და არამიწიერი ჩრდილები ეცემოდნენ სიბნელეში ჩაძირულ დედამიწას. მოკლე ხანში თითქმის ყველგან გაუშვეს შუშხუნები. რომლებიც ცად აიჭრნენ, ხანმოკლე ფერად ელვებად გაიშალნენ და ისევ მიწისაკენ დაეშვნენ ალმოდებულ ბურუსებად. სულ ეს იყო. სირენები დადუმდნენ, პროჟექტორი ჩაქრა. მიჯნა უკან მოვიტოვეთ.

დიდხანს ვიყავით მდუმარედ. ბოლოს როგორც იქნა თავი დავაღწიე გაოგნებას, რენიას ხელი გადავხვიე და ვუთხარი:

— ჩავიდეთ, წინ ჯერ კიდევ ბევრი საქმე გვაქვს.

- * * *

რამდენიმე კვირის მერე, როცა უკვე სამშვიდობოს ვუახლოვდებოდით, ერთ დილას კომუნიკატორის ზარმა სისხამზე გამაღვიძა. ეკრანზე ჰანის სახე გამოჩნდა.

— ჰაურკ, დაუყოვნებლივ მოდით აქ. მზეზე უკვე გამოჩნდა პირველი ნიშნები. რენია, შენც მანდ ხარ? შენც მოდი.

სასაწრაფოდ ჩავიცვით და ლიფტს მივაშურეთ. რამდენიმე წუთის შემდეგ უკვე მთავარი ობსერვატორიის შესავლელში ვიყავი, სადაც კელბიკს შევეჩეხეთ. ასტრონომებით გარშემორტყმული ჰანი გველოდა. გაოგნებული ჩანდა. ზრდილობისათვის დრო არ დამიკარგავს.

— ნიშნები? ასე ადრე? დარწმუნებული ბრძანდებით?

კერლამ სიტყვის უთქმელად გამომიწოდა ჰერუკოის ავტომატური ობსერვატორიიდან მიღებული მზის სურათი. დაკვირვებით დავხედე. კელბიკი ჩემს მხარზემოდან დასცქეროდა.

— რას იტყვი?

— ჰაურკ, შესანიშნავად იცი, რომ ასტრონომიაში დიდი ვერაფერი გამეგება. მომეცი სპექტრული მონაცემები, ქაღალდის ნაგლეჯი და ჩემს აზრს მერე გეტყვი.

— ერთი შეხედვით, კარგი პირი არ უჩანს. თუმცაღა მართალი ხარ, საჭიროა

გამოთვლები. რ'თალ, თქვენ რას ფიქრობთ?

ასტრონომი რ'თალი, შუახნის მამაკაცი, მზის სპეციალისტი სურათს დასწვდა.

— თქვენი გამოთვლების თანახმად, რომლებიც დააზუსტა კელბიკმა, პირველი ნიშანი უნდა იყოს თავისებური ტიპის ლაქის გაჩენა, რომელიც სწრაფად ვითარდება და რომლისთვისაც დამახასიათებელია ტემპერატურათა შექცევა. აი ამ მოვლენის შესაბამისი დოკუმენტები.

მზის ზედაპირზე პაწაწინა ლაქის გაჩენა გვიჩვენა, შემდეგი — მისი სწრაფი ზრდა, ბოლოს კი — კიდევ უფრო სწრაფად გარდაქმნა მნათ ზოლად, რომელიც ცენტრში, სადაც უწინ შავი ბირთვი იყო, უფრო ნათელი იყო.

— რიცხვები თქვენს განკარგულებაშია, — დასძინა მან.

— კეთილი. მთავარ ეგმ-თან დამაკავშირეთ. ხმაგაუმტარი ოთახი გვჭირდება...

— ყველა ოთახი ხმაგაუმტარია.

მაშინ ნებისმიერი გამოდგება. კელბიკ, წამო. ქაღალდი დაგვჭირდება! ბევრი ქაღალდი!

ოთახში გამოვიკეტეთ და მონაცემების შესწავლას შევუდექით. კელბიკთან ხშირად ურთიერთობამ მისეული ანალიზი შემასწავლა და მასაც მოუწია ჩემეულის შესწავლა; მართალია ჩემი მეთოდები მისი მეთოდებივით დახვეწილი არ იყო, მაგრამ ის უპირატესობა ჰქონდათ, რომ უფრო სწრაფები იყვნენ. ექვსი საათის მანძილზე ცალ-ცალკე ვმუშაობდით მე და კელბიკი, მხოლოდ ერთხელ შევისვენეთ რენიას მიერ მოტანილი საკვები კონცენტრატის დასახვრეპად. გამოთვლების დამთავრების შემდეგ კელბიკს გავხედე, ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდა. გაფითრებული იყო.

— ჰა, როგორაა საქმე?

— როგორ და, თუ გადავურჩით, მართლა წკიპზე გადავურჩებით!

— დაიწვეს ტრილის ჯიგარი, ასე როგორ შევცდით?! სულ მცირე ექვსი თვე მაინც უნდა გვქონოდა... ამის ნაცვლად, ორი კვირაღა...

კელბიკმა მწარედ ჩაიღიმა.

— შეცდომა ადვილი ასახსნელია, არც შენი ბრალია და არც ჩემი, მაგრამ ეს დიდი ვერაფერი ნუგეშია. ჩემი სიკეთისა არ იყოს, შენც კლობის მუდმივა გამოიყენე შენს გამოთვლებში, ხომ?

— ჰო, მერე?

— მერე და ის რომ, იგი მცდარია. მძიმის შემდეგ მეჩვიდმეტე ნიშანში. სწორედ ახლა გამოვიანგარიშე ხელახლა!

— თითქმის მთელი ათასი წლის მანძილზე ვერავინ შენიშნა?

— როგორ უნდა შეენიშნათ? მძიმის მერე მეთორმეტე ნიშნის მეტი არასოდეს დაგვჭირვებია! ჩვენს შემთხვევაში კი განსხვავება დაგროვდა! შედეგად, ექვსი თვით ნაკლები გამოგვივიდა!

უეცრად რაღაც სიმძიმე ვიგრძენი. — და მთელი ჩვენი ნამუშევარი? ამაო იყო? ნუთუ ბედისწერელები სწორები იყვნენ?

— არა, ვგონებ, მაინც გამოვძვრებით. ვენერასათვის ცოტა უფრო რთული იქნება, დედამიწას ჩამორჩება. მაგრამ თუ გეოკოსმოებს ახლავე ავაჩქარებთ, შეიძლება რაღაც გამოვიდეს. დაუყოვნებლივ დავიწყებ გამოთვლებს.

— მერე მარსი? — სასოწარკვეთილმა წარმოვთქვი.

მარსზე მყოფი არქეოლოგები მოგვიანებით უნდა დაბრუნებულიყვნენ შინ.

— თუ ძალიან აჩქარდებიან თოთხმეტ დღეში შესძლებენ სამშვიდობოზე

გამოსვლას და დედამიწაზე დაბრუნებას. — ჰეკის ტალღებით შეატყობინე ახლავე.

ამ ამბის გაგების მერე საბჭომ დაუყოვნებლივ მიიღო სათანადო ზომები. გეოკოსმოები კიდევ უფრო ავაჩქარეთ და მარსიდან რაზმი უკან გამოვიძახეთ. ლოდინის მეტი აღარა დაგვრჩენოდა. რამდენიმე საათის შემდეგ კელბიკი შემოგვიერთდა, ხელთ ახალი, უფრო ზუსტი გამოთვლები ეპყრა. თორმეტი დღეღა იყო ჩვენს განკარგულებაში.

მარსზე მყოფი ოთხი ექსპედიციიდან სამმა გვაცნობა, რომ დაუყოვნებლივ გამოფრინდებოდნენ. მეოთხემ ერთი დღით დარჩენის უფლება მთხოვა. მას შემდეგ რაც კარგად შევაგონე საფრთხე, დარჩენის ნება დავრთე. ცოტა ხნის წინ მიწისქვეშა ქალაქის შესასვლელი აღმოაჩინეს და უნდოდათ დარჩენილ დროში რაც შეიძლება მეტი გამოეკვლიათ და გადაერჩინათ ის, რისი გადარჩენაც შეიძლებოდა. ჰეკური ტელეფონით დაველაპარაკე ექსპედიციის უფროსს. 200 წელს გადაცილებული იყო, გრძელი ჭაღარა თმა ჰქონდა. კლობორი ერქვა.

— ბედი არ გვწყალობს, ჰაურკ! როგორც იქნა ვიპოვეთ ასე თუ ისე კარგად შემონახული ქალაქი. და მის გამოსაკვლევად მხოლოდ 24 საათი გვაქვს!

— 24 საათი და ისიც თქვენის სიცოცხლეს საფრთხეში ჩაგდების ფასად, — შევახსენე. ცხადია, თუ თქვენი რაზმი თანახმაა. — მაგრამ კარგად დაიმახსოვრეთ: 24 საათი და არც ერთი წამით მეტი, თუ სიცოცხლე რამედ გიღირთ.

კლობორის აღმოჩენამ ძალიან დამაინტერესა, არც კი ვიცი რატომ, მაგრამ ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ მას შეეძლო ძალიან დიდი გავლენა მოეხდინა კაცობრიობის ბედ-იღბალზე. მარსთან კავშირი არ გამიწყვეტია მთელი დღის განმავლობაში. ნაშუადღევის 5 საათისათვის კლობორმა შემატყობინა, რომ მალე, პირველად ისტორიაში, მოგვეცემოდა მარსელთა გარეგნობის შესახებ წარმოდგენის შექმნის საშუალება. რამდენიმე ქანდაკება აღმოაჩინეს ქალაქში, რომელთაც იქვე გადაუღეს სურათები, შემდეგ შეახვიეს და ექსპედიციის კოსმომფრენში ჩატვირთეს. დაახლოებით 7 საათი იქნებოდა, როცა ძალზედ აღგზნებული კლობორი კვლავ გამოჩნდა ეკრანზე და თავბრუდამხვევი ამბავი გვაუწყა.

— ჰაურკ! ჰაურკ, ყველა დროის უდიდესი აღმოჩენა გავაკეთეთ! მარსელები სხვა მზის სისტემებში იყვნენ ნამყოფები!

— საიდან იცით?

— შესანიშნავად შენახულ ფოტოსურათებს წავაწყდით. აი, შეხედეთ!

ეკრანის წინ გამამაგრებელი ხსნარისაგან ჯერ ისევ მბზინავი დიდი ფერადი სურათები გაშალა. ერთი ორმოცდაათი ცალი იქნებოდა, მათზე კოსმოსიდან გადაღებული სხვადასხვა პლანეტები იყო აღბეჭდილი და ცხადი იყო რომ, მათ უმრავლესობაზე წარმოდგენილ პლანეტებს ჩვენი მზის სისტემის პლანეტებთან საერთო არასოდეს ჰქონიათ.

— იმდენად კარგი გარჩევადობაა, რომ შეუძლებელია ჰიპერტელესკოპით იყოს გადაღებული. შუძლებელია ჩვენი მზის პლანეტები იყოს. ამას შეხედეთ.

სურათზე ორთანამგზავრიანი ცისფერ-მწვანე მსოფლიო მოჩანდა. მიუხედავად იმისა, რომ ვერაფერთან შევადარებდი, დაახლოებით დედამიწის ზომისა უნდა ყოფილიყო.

— ამასაც დახედეთ, უფრო ახლოდანაა გადაღებული, ღამის მხარეა.

სინათლის ლაქებით დაწინწკლული მრუმე მხარე იყო ასახული სურათზე.

— ქალაქები, ჰაურკ, ქალაქები! დასახლებული პლანეტაა. იქნებ ამ მსოფლიოების ზედაპირზე გადაღებული სურათებიც ვიპოვოთ. ძალიან დიდი რაოდენობით

დოკუმენტებს დაუთვალიერებლად ვტვირთავთ ხომალდზე. დრო არ გვაქვს!

ეკრანი ჩამუქდა. ფიქრებმა გამიტაცეს. მაშასადამე დედამიწისა და დრუმების უცნობი პლანეტის გარდა გალაქტიკაში გონიერი არსებებით დასახლებული სხვა პლანეტებიც არსებობდა.

ექსპედიციისაგან აღარაფერი ისმოდა და დაახლოებით 21 საათისათვის შეშფოთებულმა დავურეკე კლობორს. მარსის ზედაპირზე მომლოდინე კოსმომფრენის პილოტმა დაუყოვნებლივ მიპასუხა, ხნიერი არქოლოგის გამოჩენამდე კი კარგა ხანი მომიხდა ყურყუტი.

— ჰაურკ, სწორედ ახლა ვაპირებდი მოხსენებას. კიდევ 24 საათი მჭირდება. ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩენა...

— რატომაც არა რვა დღე ან თუნდაც მთელი თვე? თხუთმეტი საათია თქვენს გაკარგულებაში. არც ერთი წამით მეტი.

— სწორად გამიგეთ, ჰაურკ, უდიდესი მნიშვნელობის...

— მესმის, კლობორ, მესმის. მაგრამ მზეს არ ესმის!

— პილოტმა მითხრა, რომ თუ კოსმოსმაგნიტებს ძალას დავატანთ ერთი თორმეტი საათით კიდევ შევძლებდით დარჩენას...

— მაგაზე ნურც იფიქრებთ! დათქმულ დროს გამოფრინდებით. ეს ბრძანებაა!

— მაგრამ ეს უდიდესი მნიშვნელობისაა! მარსელთა ვარსკვლავთმფრენი ვიპოვეთ! თითქმის ხელუხლები!

— რა? მარსული ვარსკვლავთმფრენი?

— დიახ, ერთ-ერთი იმათგანი რომლითაც ვარსკვლავებისაკენ მოგზაურობდნენ. ახლა მისი აზომვას ვახდენთ და შიგნიდან ვიღებთ მის სურათებს, ვშლით ძრავებს, მაგრამ ამისათვის თხუთმეტ საათზე მეტი დაგვჭირდება! ნეტავ ფიზიკოსებიც გვყავდეს! ის მაინც გვეცოდინებოდა თუ რა უნდა ვეძებოთ.

სწრაფად შევადარე ახალი სამეცნიერო პრინციპების აღმოჩენის ალბათობა იმ მტკიცე რწმენას, რომ თხუთმეტი საათის მერე უკვე ძალიან გვიან იქნებოდა რაზმის ორასი წევრის სიცოცხლის გადარჩენა.

— კლობორ, ვნანობ, მაგრამ თხუთმეტ საათში, უფრო სწორად კი თოთხმეტ საათსა და ორმოცდაათ წუთში უნდა გამოფრინდეთ!

— კი მაგრამ, ჰაურკ, აცნობიერებთ რომ ამით ვარსკვლავთშორისი მოგზაურობების შესაძლებლობას აგვიანებთ? გევედრებით! ყველა დროის ყველაზე უფრო დიდი აღმოჩენაა!

— ჰო, ვიცი. მაგრამ ვერ გავრისკავ ორასი ადამიანის სიცოცხლის უბრალო ალბათობის იმედად. გადაარჩინეთ რის გადარჩენასაც შესძლებთ, პირველ რიგში ძრავები დაშალეთ, აზომეთ, აგეგმეთ და სურათები გადაუღეთ. ტელეგადამღების შეტანას შესძლებთ?

— კი.

— ჰოდა მაშინ შეიტანეთ, მე კი აქ სპეციალისტთა ჯგუფს შევკრებ, რათა აქედან რჩევები მოგცენ. მაგრამ გახსოვდეთ, დათქმულ დროს გამოფრინდებით! თავად მარსელების შესახებ თუ იპოვეთ რამე სხვა მასალა? როგორები იყვნენ?

— ნაპოვნი სურათებითა და ქანდაკებებით თუ ვიმსჯელებთ, ჩვენგან დიდად არ განსხვავდებოდნენ. მაგრამ ნება მიბოძეთ სამუშაოს დავუბრუნდე, ისედაც ძალიან ცოტა დროა დარჩენილი. ერთ დამატებით საათს ხომ მომცემთ?

— ერთ წუთსაც კი არ დაგიმატებთ!

ეკრანი ჩაქრა. შიდაკავშირის კომუნიკატორი ჩავრთე და საკონტროლო დარბაზი გამოვიძახე. მორიგედ იყო სნი, ჩემი ყოფილი თანაშემწე.

— როგორი მდგომარეობაა?

— კოსმომაგნიტები სრული წარმადობით მუშაობენ, ჰაურკ. სიჩქარე იზრდება.

— ვენერა?

— ნელ-ნელა გვეწევა.

ვენერის მცირე მასა ხელს გვიწყობდა მისი სიჩქარის უფრო სწრაფად მატებაში.

შემდეგ გეოფიზიკის სადგურში დავურეკე რენიას. ათასნაირ ხელსაწყოში ჩაფლულს მაშინათვე არ უპასუხია.

— საქმეები როგორაა, რენია? — ვკითხე.

— წყნარი ოკეანის ქვეშ დაახლოებით 45 კილომეტრზე სიღრმისეულ ქერქში დაძაბულობა მატულობს. თუ ასე გავაგრძელებთ, ძლიერი მიწისძვრის ალბათობაა ჰიპოცენტრით კილნის კუნძულების ქვეშ. გირჩევთ კილნორის და კონტინენტური ნაპირებიდან ასლორისა და კელნისის სრულ ევაკუციას.

გონებაში სწრაფად გამოვთვალე: კილნორში სამი მილიონი ადამიანი ცხოვრობდა, ასლორში 27 მილიონი, ხოლო კელნისში კი — 13. სულ ორმოცდასამი მილიონი ადამიანი გვყავდა სასწრაფოდ გადასაადგილებელი და დასაბინავებელი. ასეთი შემთხვევები თავიდანვე გავითვალისწინეთ და ამიტომ მიწისქვეშა ქალაქები იმაზე უფრო დიდები იყო ვიდრე ამას საჭიროება მოითხოვდა.

— ეგრე იყოს! — ვუპასუხე. — ტრილების მთავრობას ახლავე ვაცნობებ.

— შენსკენ რა ხდება? — მკითხა რენიამ.

— კარგი არაფერი. ყველაფერს ვაკეთებთ რაც შეგვიძლია, მაგრამ შესაძლოა მაინც არ ვიყოთ საკმარის მანძილზე. არ არის გამორიცხული, რომ დაბალ განედებში მდებარე მრავალი ქალაქის სუპერსტრუქტურები დაინგრეს, თოვლის საკმარისი შრით არ არიან დაცულები. ვაგლახ, ჰური-ჰოლდეც მათ რიგშია!

— ეგ არაფერი, ქალაქი ცარიელია!

— ცარიელი კია, მაგრამ მოგვიანებით ხელახლა იქნება ასაშენებელი.

დასასვენებლად სადეზინტოქსიკაციო ოთახში წამოვწექი და ნახევარი საათის შემდეგ იქიდან ახალაბდებულივით გამოვედი. ეს ოთახები უშესანიშნავი გამოგონება იყო, იქნება, და სულ ვნანობ რომ არ მაქვს საკმარისი დრო და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ფიზიოლოგიის საკმარისი ცოდნა რათა ერთი ასეთი ოთახი ავიგო.

შემდეგ ჰალინი, ადამიანთა მეუფე მივიღე.

საფრთხეშო მყოფ ქალაქთა ევაკუაცია ნორმალურად მიმდინარეობდა, მაგრამ კალნისის ევაკუაციისას აღმოჩნდა იარაღის სამალავი, სავარაუდოდ ბედისწერელებისა, რომელიც დიდრონი ქიმიური პისტოლეტების გარდა, შინნამზად მაგრამ მაინც ქმედით, ალმტყორცნებსაც შეიცავდა.

— შეშფოთებული ვარ, ჰაურკ. ხალხში ხმები დადის, რომ ბედისწერელები მართლები იყვნენ და რომ დედამიწას აქროლება მაინც არ ასცდება. როგორ გახმაურდა საიდუმლო? თქვენი, კელბიკისა და თქვენი მეუღლის გარდა, რომლებშიც ეჭვი არავის ეპარება, აგრთვე ჩვენი, საბჭოს წევრთა გარდა არავის უნდა სცოდნოდა.

— კოსმომაგნიტების უეცარი აჩქარება არ გამორჩებოდათ მხედველობიდან. ჰელინ, მათმა რაზმებმა იციან. გარდა ამისა ამ ამბის შესახებ მარსულ

ექსპედიციებსაც შევატყობინეთ. თქვენს პოლიციას ენდობით?

— აბსოლუტურად! ამ ბოლო დღეებში პოლიციის ყველა წევრის ფსიქოტესტები ჩავატარეთ. ყველამ შესძლო ლოიალობის ტესტის გავლა.

ეს ტესტი შეუცდომლად ითვლებოდა და ათასწლიანი გამოცდილებაც ამასვე ადასტურებდა. იგი ძალიან სასტიკი იყო, მონუსხულ, უფრო სწორად ჰიპნოზის ქვეშ მყოფ ცდისპირს სიკვდილით უნდა დაესაჯა დედამისი ან მამამისი, რომლის გამყიდველობაშიც ღრმად იყო დარწმუნებული. ეს დასჯა, ცხადია, სიმულაციას წარმოადგენდა და სრულდებოდა თოჯინაზე, მაგრამ ცდისპირისათვის ყველაფერი ეს სრულ სინამდვილეს ჰგავდა. ფსიქოაღმრიცხველები ცდისპირის რეაქციებს ზუსტად და სწორად შეფასების საშუალებას გვაძლევდნენ. მაგრამ სანდო იყო კი ეს ტესტი ბედისწერელების მიმართ? ამ ფანატიკოსების მიმართ, რომლებიც მზად იყვნენ ყველაფრის გასაწირად.

— ყველაზე მეტად მაინც ის მაშფოთებს, რომ ალმტყორცნების დამზადება შეძლეს. — განაგრძო ჰელინმა. ძნელია ამის გაკეთება ტექნის დახმარების გარეშე.

ძალიან მიჭირს ისეთი ტექნის წარმოდგენა, რომელიც ბედისწერელების ფილოსოფიას მიემხრობოდა და წესით ნებისმიერი ამბიცია ან მიდრეკილება დიქტატურისადმი ფიცის დადებამდე იქნებოდა აღმოჩენილი, როგორც ეს მოხდა უჯაჰის შემთხვევაში. მაგრამ არცერთ ტექნს არასოდეს გაევლო ლოიალობის ტესტი, რადგანაც ეს გადაჭარებულად ითვლებოდა, არადა იქნებ ვცდებოდით.

— ჰელინ, შესანიშნავად მოგეხსენებათ, რომ ტექნებს საგანგებო წვრთნა გვაქვს გავლილი, რაც ჰიპნოზის მიმართ გამძლეობას გვანიჭებს. მოიქეცით, როგორც საჭიროდ ჩათვლით. ჩემთადათავად დარწმუნებული ვარ, ბედისწერელები წელში გავტეხეთ აჯანყების დროს.

— ეჰ, ნეტავ მეც ეგრევე ვიყო დარწმუნებული, ჰაურკ. მეც დარწმუნებული ვარ, რომ ძალაუფლების ხელში ჩაგდების შანსები აღარ აქვთ, მაგრამ მაინც შეუძლიათ გვავნონ. მაგალითად, თუ მიეცათ თქვენი მოკვლის საშუალება, უკან არ დაიხევენ. ათი სანდო პირი გიცავთ თქვენ და თქვენს მეუღლეს, კელბიკსა და სხვა მეუფეებსაც დაცვაც ჰყავთ მიჩენილი. საქმე გაგვიადვილდებოდა, თუკი აღიარებდით, რომ საფრთხე ნამდვილია.

— გასაგებია. ცნობისათვის, იარაღი სულ თან მაქვს.

ღამის ორ საათზე რენიამ მაცნობა მიწისძვრის შესახებ. ეს მიწისძვრა დედამიწის ყველა სეისმოგრაფმა აღრიცხა, იგი არაჩვეულებრივი სიმძლავრისა იყო. კილნის კუნძულები ნახევარ საათში გაჰქრნენ და წყალქვეშა ვულკანებად იქცნენ. ევაკუაცია დროულად დამთავრდა და, ამიტომ, მსხვერპლი თითქმის არ ყოფილა. კილნის კუნძულების თავზე მყოფი კოსმომფრენი მაუწყებლობდა — დიდებული სანახაობა იყო. ვარსკვლავებით მოოჭვილი შავი ცის ქვეშ ცეცხლი და კვამლი ბოლქვებად ამოდიოდა და ანათებდა დიდ მუქ ლაქას — ამ ადგილას გამლხვალ ოკეანეს, რომელსაც აშიად თეთრი მბზინვარე ყინული ერტყა. დილის ოთხ საათზე ერთობ მძლავრმა აფეთქებამ ზენიტისაკენ ასტყორცნა მტვრადქცეული კლდის მილიონობით ტონა, რომელიც ყინულზე წვიმად მოვიდა. კელნისსა და ალსორში მიწისქვეშა ქუჩები ჩამოიქცა, ხოლო ბრიკ რევაში (თქვენეული ლოს ანჯელოსის ადგილას) კი ქვედა ქალაქის ჰერმეტულ საბურველს ნაპრალები გაუჩნდა.

შუადღემდე ცოტა ხნით ადრე მარსი გამოვიძახე. ექსპედიცია უკვე კოსმომფრენებში ჯდებოდა ისე, რომ მარსელთა ვარსკვლავმფრენის საიდუმლოება ვერ ამოხსნა. ძალიან რთული ძრავების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილის შესწავლა

შესძლეს. ვწუხდი მაგრამ კმაყოფილი ვიყავი, რადგან უკუქცევის ბრძანება სრულდებოდა, კავშირი გავწყვიტე და დასასვენებლად წავედი.

მეორე დილას საკმაოდ გვიან გამეღვიძა. რენია უკვე სამსახურში იყო წასული. კაბინეტში მისვლისთანავე ეკრანები ჩავრთე. ყველაფერი თითქოს კარგად იყო. მიწა მეტად აღარ ძრულა, წყნარი ოკეანის ქვეშ ქერქის დაძაბულობამ იკლო. ვენერაზე მხოლოდ სუსტი ძვრები დაფიქსირდა, რადგან მას ღრმა ოკეანეები არ ჰქონდა. მოკლე ხანში კელბიკი შემომიერთდა და რამდენიმეწუთიანი საუბრის შემდეგ დიდი სიმძლავრის ალმტყორცნების აგების საკითხებზე დავიწყეთ ლაპარაკი. მათ დიდი სარგებლობა არ ჰქონიათ ჩვენს უომო მსოფლიოში, მაგრამ როგორც მარსზე აღმოჩენილი საბუთებიდან ჩანდა, გალაქტიკაში ბევრი სხვა რასაც არსებობდა, რომელთაგან ზოგიერთი ალბათ არც იყო მშვიდობიანი.

დაახლოებით შუადღეს ერთ-ერთი ეკრანი აინთო და კავშირგაბმულობის მთავარი ინჟინრის, ტირიკის, ელდანაცემი სახე გამოჩნდა:

— ჰაურკ, ვიღაცა რეკავს მარსიდან.

— შეუძლებელია, ბოლო ექსპედიაციამ მარსი გუშინ შუადღეს დატოვა!

— ეგ შესანიშნავად ვიცი, მაგრამ ტალღები ერიკორობის ახლოს მდებარე მთავარი გადამცემიდან მოდის; ის რაზმიც სწორედ იქ აწარმოებდა გათხრებს.

— ვინაა?

— არ ვიცი. გამოსახულებას არ გადმოსცემს და არც თავის სახელს იძლევა. თქვენთან უშუალო კავშირს ითხოვს.

თავში ეჭვი გამიჩნდა.

— კეთილი! დამაკავშირეთ.

ეკრანზე, როგორც ველოდი, კლობორი გამოჩნდა. იცინოდა.

— ნუ გაბრაზდები, ჰაურკ. აზრი აღარ აქვს. ვერ მომწვდებით. ვერ შესძლებთ პლუტონზე ჩემს გადასახლებას.

— კლობორ! ბებერო შეშლილო! როგორ შესძელით?... ან მფრინავმა რატომ არ მაცნობა, რომ ხომალდზე არ იყავით. ვერ გადამირჩება!

— მისი ბრალი არაა. კოსმომფრენიდან სწორედ გამოფრენის წინ გამოვიპარე, თან წინდაწინ ხომალდის გადამცემი გავაფუჭე. შესაბამისად, ვერ შესძლებენ ჩემს წასაყვანად დაბრუნების ნებართვის გამოთხოვას.

— მაინც უარს მიიღებდნენ! კი მაგრამ რატომ დარჩით მარსზე?

— ძალიან ადვილია. კავშირგაბმულობის სისტემა ავაწყვე, რაც თქვენს სპეციალისტებს საშუალებას მისცემს უხელმძღვანელონ ჩემს ქმედებებს სანამ მარსელთა ვარსკვლავთმფრენს ვშლი. მანამ ვიმუშავებ სანამ მზე არ... დამატებით რვა დღე გვეძლევა, უნდა გვეყოს, მიუხედავად მექანიკაში ჩემი გამოუცდელობისა.

ცოტა ხანი ხმა არ ამომიღია, ვფიქრობდი ხომ არ წამოვმდგარიყავი და პატივი მიმეგო ამ უსიტყვო გმირობისათვის.

— კი მაგრამ, კლობორ, გიფიქრიათ იმაზე რომ... როცა მზიური ღვარი მარსს მოაღწევს... ჰო, ვიცი ძალიან მალე დამთავრდება ყველაფერი, მაგრამ რამდენიმე საზარელი წუთი გელით წინ.

გაიცინა და ჯიბიდან ვარდისფერი სინჯარა ამოიღო.

— ყველაფერი გავითვალისწინე. სინჯარა ბირინითაა სავსე.

აღარაფერი მითქვამს. ბირინი დაუყოვნებლივ კლავდა თავის მსხვერპლს.

— ჰაურკ, ამაოდ ვკარგავთ დროს. თქვენს ფიზიკოსებს დამაკავშირეთ. როცა დრო მოვა... ერთი ბოთლი მარანი იქონიეთ მზად. მინდა მოგიჭახუნოთ და წარმატება

გისურვოთ!

* * *

კატაკლიზმს ველოდებოდით. მეტი უსაფრთხოების გამო ქალაქების ზედა დონეებიდან მოსახლეობა გავხიზნეთ და დონეებს შორის გაკეთებული ჰერმეტული კარიბჭეები დავგმანეთ. გარეთ, პროჟექტორებით დასერილ წკვარამში, რობოტები თოვლსა და გაყინულ ჰაერს ისრუტავდნენ და მერე ქალაქების თავზე აფრქვევდნენ უფრო მტკიცე ჯავშნის წარმოსაქმნელად. უკვე დარწმუნებული ვიყავით, რომ გადავურჩებოდით კატასტროფას, მაგრამ ვცდილობდით სუპერსტრუქტურების გადარჩენას.

გათვალისწინებულ დრომდე რამდენიმე საათით ადრე კელბიკი მოვიდა უკანასკნელი შედეგებით. შეშფოთებული იყო და იმავდროულად გაბრწყინებულიც: მისი შედეგები მძიმის მერე მეოცე ნიშნამდე დადასტურდა. მზიდან ყველა ლაქა გაჰქრა, მზემ ცახცახი დაიწყო, რომელიც სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა. მე და კელბიკი ერთად გავეშურეთ საკონტროლო დარბაზში.

სულ სამოცდაჩვიდმეტი ვიყავით. ქალაქებში თითქმის ყველგან დიდი საჯარო ეკრანები იყო დაყენებული, მაგრამ მხოლოდ ჩვენს კრებულს ჰქონდა ჩვენსა და მზეს შორის განთავსებული თვრამეტივე კამერის მიერ გადაღებული კადრების ნახვის პრივილეგია. ჰეკის ტალღების საშუალებით გადმოცემულ გამოსახულებებს მიღებისთანავე ვიწერდით და თვრამეტ ეკრანზე ვაჩვენებდით. პირველი სადგური მზიდან დაახლოებით ოცდაათ მილიონ კილომეტრში იყო მოთავსებული, მეორე მერკურიზე მდებარეობდა, რომელზეც ჰერუკოის ავტომატური ობსერვატორიაც განაგრძობდა მუშაობას. მესამე ვენერის ყოფილ ორბიტაზე იყო მოთავსებული, მეოთხე კი — დედამიწისაზე, მეხუთე მარსზე იყო დამონტაჟებული. დანარჩენები მარსსა და შორს მიმქროლავ დედამიწას შორის თანაბრად იყო განაწილებული.

ჰანისა და კელბიკს შუა ვიჯექი, ჩემს წინ გეოკოსმოს სამართავი პულტი იდო. გეოკოსმო სრული ნორმალური წარმადობით მუშაობდა და ყოველი წამი უკვე 2 000 კილომეტრით გვაშორებდა მზეს. ჩვენი გამოთვლების თანახმად აფეთქებული მზის ტალღა ვეღარ დაგვეწეოდა. საზრუნავი უმაგისოდაც ბევრი იყო, გამოსხივება გვიჩენდა თავსატკივარს.

ეკრანებზე განსხვავებული სიდიდით მოჩანდა ჩვენი დედა მზის სახე. კაპასი სახე, რომელზედაც პროტუბერანცები ათასგავარდ იღვლარჭნებოდნენ და, მიუხედავად ფილტრებისა, ბუშტები თვალისმომჭრელი სიკაშკაშით სკდებოდნენ. სარეგულაციო მოწყობილობა საშუალება გვაძლევდა შეგვეცვალა გადიდება ან მზის ზედაპირი დაგვენახა მხოლოდ ამა თუ იმ ელემენტისათვის დამახასიათებელი სპექტრული ზოლების საშუალებით. მთავარ ობსერვატორიაში განთავსებული იყო სამი ათასი ჩამწერი მოწყობილობა, რომელიც ყოველივე ამას იწერდა და ინახავდა მომავალში შესასწავლად, თუკი დედამიწა გადაურჩებოდა ამ კატაკლიზმს.

სიტყვა ჰანმა აიღო.

— თუ ყველაფერი ჰაურკისა და კელბიკის წინასწარმეტყველების თანახმად

წარიმართა, კატაკლიზმი მზის ეკვატორზე უზარმაზარი პროტუბერანცის წარმოქმნით დაიწყება, რომელსაც ცოტა ადრე ლაქების გამოჩენა დაასწრებს.

დიდხანს ვისხედით მდუმარენი. ჩვენს წინ ეკრანებზე გამრავლებული მზე ბრდღვიალებდა.

მანქანათა მეუფე ჩემკენ დაიხარა.

— ჰაურკ, ეთერული ფიზიკის ლაბორატორიიდან მივიღე შეტყობინება. კლობორის მიერ გადმოცემული მარსული ვარსკვლავთმფრენის გეგმების ანალიზი დასრულდა. ჩვენი ფიზიკოსები დარწმუნებულები არიან, რამდენიმე წელიწადში შესძლებენ მარსული ძრავის აღწარმოებას. წარმატების იმედს ისიც ჰმატებთ, მარსიდან გამოფრენილმა ბოლო კოსმომფრენმა ზოგიერთი ნაწილები ჩამოიტანა.

— კლობორი! გამახსენდა. მე ხომ მას შევპირდი. კავშირგაბმულობის ცენტრი გამოვიძახე.

— დაუყოვებლივ შემაერთეთ მარსზე ერიკობორის სადგურთან.

რამდენიმე წუთის შემდეგ ჩემგან ხელმარჯვნივ პატარა ეკრანი აინთო. კლობორი ზურგით იჯდა, თავის ეკრანზე მზის აბრდღვიალებული დისკოს ცქერით იყო გართული. გვერდით მაგიდაზე ვარდისფერი სითხით, ბირინით, სავსე სინჯარა იდო. სწრაფად მოვეთათბირე ჰანისა და ჰელინს.

— ეს სცენა გაუშვით ორივე მსოფლიოს ყველა ეკრანზე. რათა კლობორსაც ჰქონდეს დიდების საათი. მან ეს დაიმსახურა!

მიკროფონისაკენ დავიხარე და დავუძახე:

— კლობორ! კლობორ! საბჭო მოგმართავთ.

იქ, შორს, მარსზე ბერიკაცი შეხტა, თვალი მოსწყვიტა საოცარ სანახაობას, მოტრიალდა და რაღაც ღილაკს დააჭირა ხელი. მის ხელმარცხნივ მართვის დარბაზის გამოსახულება გამოჩნდა. გაიცინა.

— გმადლობთ, ჰაურკ, რომ არ დამივიწყეთ. სამწუხარო იქნებოდა ამ ეულებაში სიკვდილი. ბოთლი რომ არსად ჩანს. არ გინდათ რომ მომიჭახუნოთ?

ჰელინმა განკარგულება გასცა. მარანის ღვინის ბოთლები მოგვიტანეს. წინისაკენ გადაიხარა და წარმოთქვა.

— კლობორ, მადლობას მოგახსენებთ მთელი კაცობრიობის სახელით. ეს მსხვერპლი ამაოდ არ ჩაივლის. თქვენის წყალობით, ერთ დღეს შევძლებთ ვარსკვლავეთში მოგზაურობას ისე, რომ არ დაგვჭირდეს საამისოდ დედამიწის აღკაზმვა. თქვენი სახელი იარსებებს მანამ, სანამ იარსებებს ადამიანი!

ხნიერ არქეოლოგს გაეღიმა.

— ვისურვებდი რომ ჩემი სახელი ჩემს ნაშრომებს უკვდავეყოთ და არა შემთხვევით აღმოჩენას. თუმცა რას მივედ-მოვედები, სახელოვნება ისე უნდა მიიღო ადამიანმა, როგორც მოდის. ჩემზე ნუ დაჰკარგავთ დროს, ბევრად უფრო მნიშვნელოვანი საქმეები გაქვთ წინ. როცა დრო მოვა, დაგირეკავთ.

ასტრონომიული ეკრანებისაკენ გავიხედე. მერკურის სადგური მზის გარდა ჩრდილოვანი მთების ნაწილსაც გვიჩვენებდა. ეს გამოსახულება გეოფიზიკის კაბინეტში განმარტოებულ რენიას გადავეცი.

ვიღაცამ წამოიძახა „ლაქები!“, მოვტრიალდი. მზის კიდეზე, ეკვატორის მიდამოებში თვალნათლივ მოჩანდა ვრცელი მუქი არე, რომლის გვერდებიც დაფლეთილი იყო; ჰანიმ ძალიან მშვიდი, ხელოვნურად მშვიდი ხმით წარმოთქვა:

— ყველაფერი ისე მიდის, როგორც გათვალისწინებული იყო. აფეთქებამდე ცოტა დროღა დარჩა.

მიუხედავად ამისა, ერთი საათი ისე გავიდა, რომ არაფერი მომხდარა. მზე ნელა ბრუნავდა. შემდეგ მისმა დისკომ ნელა იცვალა მოყვანილობა. გვერდიდან უზარმაზარი პროტუბერანცი ამოიწელა, ალბათ, რამდენიმე მილიონი კილომეტრის სიმაღლზე.

ჰანი თითქოს სპექტროსტკოპიული ანალიზატორის ოკულარს მიაწებესო.

— ჰაურკ-კელბიკის რეაქცია დაიწყო. რამდენიმე წამში... — სიტყვის დამთავრება არ დასცალდა. მიუხედავად იმისა რომ ფილტრებმა თითქმის მეყსეულად შეიცვალეს გამჭვირვალობა, მაინც ყველას მოგვჭრა თვალი შიგ მზის გულიდან ამოფრქვეულმა აუტანელმა სიკაშკაშემ. როდესაც შევძელით თვალების გახელა, მზის ყველა მხრიდან უკვე იისფერი პროტუბერანცები იტყორცნებოდნენ. ერთი ორი წუთის განმავლობაში მზე გაიბერა, წრიული მოხაზულობა დაჰკარგა და დაიფლითა. შემდეგ კი აფეთქდა. ვეებერთელა მოქცევას ჰგავდა, მდუღარე ზედაპირმა შეავსო №1 სადგურის ეკრანი, რომელიც უმალვე აქროლდა და შეწყვიტა მაუწყებლობა.

— ისღა დაგვრჩენია, რომ ველოდოთ.

სინათლის საარაკო ნაკადი ჩვენსკენ მოიჩქაროდა. ობსერვატორიის კოშკის თავზე მოთავსებული ტელესკოპიდან მზე ჯერ ისევ კაშკაშა ვარსკვლავად ჩანდა. №2-მა სადგურმა მაუწყებლობა მანამ შეწყვიტა სანამ გავარვარებული აირი მიაღწევდა, მზის გამოსხივებამ დაადნო და კაცობრიობამ უკანასკნელად ნახა მერკური — ჩრდილოვანი მთები ცეცხლმოდებული ცის ფონზე. მარსის სადგურიდან მზე უკვე იმაზე დიდი ჩანდა ვიდრე ადრე ჰერუკოიდან!

ცოტა ხანში კლობორმაც დაგვირეკა.

— მარსზე უკანასკნელად გავისეირნე და ახლა შემოვედი. ზემოთ უკვე გაუსაძლისია. ხავსი იწვის. ვგონებ, დიდი დრო აღარ უნდა მქონდეს დარჩენილი, — დაამატა ხმადაბლა.

ცოტა ხნით ეკრანიდან გაჰქრა და მერე ისევ დაბრუნდა.

— აქ უკვე 32 გრადუსია! როცა თერმომეტრი 50 გრადუსს მიაღწევს...

ხელსაწყო გამოსაჩენად დადო მაგიდაზე. ისარი თვალდახელშუა მიიწევდა ზევით. 40... 45...

ვიგრძენი, რომ ჭიქას მაჩეჩებდნენ ხელში. იქ მარსის სადგურის მიწისქვეშეთში კლობორმა ჭიქა ასწია:

— მეგობრებო, ამ ჭიქით გთავაზობთ კალრ დამაარსებლის სადღეგრძელოს. სხვა არცერთი სადღეგრძელო არაა ასე შესაფერისი. გარდასულ დროთ, რომელთაც მივუძღვენი ჩემი სიცოცხლე.

ფეხზე მდგომთ ერთხმად მივუგეთ:

— აწმყოს გაუმარჯოს!

— მუდამ დამდეგ დღეთ!

დავლიეთ. კლობორმა ჭიქა ტუჩებთან მიიტანა, ერთი ყლუპი მოსვა და მაგიდაზე დაეცა, ერთი ხელი ძირს უღონოდ დაუვარდა.

უსიტყვოდ ვიდექით. თერმომეტრი სულ უფრო და უფრო სწრაფად მიიწევდა ზევით. როდესაც 90°-ს მიაღწია, სადგურმა მაუწყებლობა შეწყვიტა.

ნაწილი მესამე

დიადი მწუხრი

თავი პირველი

პოტიკები

მარსის აქროლების შემდეგ დაძაბულობამ იკლო. გადარჩენის ალბათობა მაღალი იყო და თუ რამე გაუთვალისწინებელი არ შეგვემთხვეოდა, სასიკვდილო საფრთხე გარდასულს ჰგავდა. თავს დასვენების ნება მივეცით, დამკვირვებლები ადევნებდნენ თვალყურს და თუ რამე სიახლე იქნებოდა, უნდა გავეფრთხილებინეთ. რენია მოვიდა, შეწუხებული იყო. დედამიწის ქერქის უზარმაზარი დაძაბულობა ადარდებდა. სადარდებელი მართლაც იყო, გეოკოსმოებს შორის სინქრონიზაციის უმცირეს ნაკლს გამოუსწორებელი კატასტროფა მოჰყვებოდა. იმჟამად ძალები გაწონასწორებული იყო რამდენიმე დინის ცდომილებით. ქალაქის ქუჩებში გავედით, თან ყოველი შეთხვევისთვის გავიყოლეთ მსუბუქი მიმღებ-გადამცემი მოწყობილობა.

მიწისქვეშა ქალაქს უკვე ზედმიწევნით ვიცნობდი, მაგრამ დღეს რაღაც ახლებურად აღვიქვამდი მას: ქალაქში ძალიან ცოტა გამვლელი იყო. ყველა ეკრანის წინ იყო შეჯგუფებული სახლსა თუ სამსახურებში. ფართო გამზირებითა და შედარებით უფრო ვიწრო ქუჩებით დასერილი ქალაქი რამდენიმე ათეულ კილომეტრზე იყო გადაჭიმული, ალაგ-ალაგ უზარმაზარი ბაღები ახარებდნენ მზერას. 702-ე ჭით ქვედა სართულებზე, „ჯუნგლებში“, ჩავედით. აქ გარეული ცხოველები ბინადრობდნენ მიწისქვეშეთის თავისუფლებაში. შესასვლელში მდგომმა დაცვამ გვიცნო და ზედმეტი კითხვების გარეშე გაგვატარა, მიუხედავად იმისა, რომ ალმტყორცნებით ვიყავით შეიარაღებულები. ჯუნგლებში იარაღით შესვლა აკრძალული იყო. ეს წესი არ ვრცელდებოდა მეუფეებსა და უზენაეს გამრიგეზე. შესასვლელთან ახლოს ჰლლარკსა და მის ტომს გადავეყარეთ. ჩვეულებრივი სპილოებისაგან განსხვავებით, რომელთაგანაც გადავარჩინეთ მხოლოდ იმდენი რამდენიც საჭირო იყო სახეობის შესანარჩუნებლად, ყველა პარასპილო შევიკედლეთ ჰური-ჰოლდეში. გონიერი არსებების სასიკვდილოდ განწირვა დაუშვებელი იყო!

მსუბუქი ეკიპაჟით დაბალ სიმაღლეზე გადავუფრინეთ ჯაგებს. კორდზე დავეშვით. ტერმიტების ბუდეს მივეყრდენი. ჩვენს ირგვლივ ჯაგები იყო. გარეთ ყოფნის ილუზია ბრწყინვალე იყო, სინათლე მანძილის შეგრძნებას ამძაფრებდა. ძალიან შორს მყოფ კედლებს თვალი ვერ ამჩნევდა და მასიური სვეტების ბოლოებიც, რომლებიც აქა-იქ თაღს იჭერდნენ, სინათლეში იკარგებოდნენ.

მოგუდულმა ბრდღვინვამ შემაცბუნა და ხელი ალმტყორცნს წავატანე. ლომი მოიწევდა ჩვენსკენ, გოროზი იყო და რაღაცნაირი დიდებულება ეტყობოდა სიარულში, დიდი ყვითელი თვალებით პირდაპირ სახეში გვიყურებდა. წითური ფაფრის ქვეშ ამობურცული შუბლის მოყვანილობა მაშინათვე გასცემდა მის ვინაობას — პარალომი იყო. იარაღს ხელი გავუშვი. ცხოველი — თუმც შეიძლება მას კიდევ ეწოდოს ცხოველი? — ჩვენგან სამ ნაბიჯში ჩამოჯდა. მივუახლოვდი, უხეშ ბეწვზე ხელი მოვუსვი, მოვძებნე ვინაობის ფილაკი; სირა, 30 ქარ 4605. სახელი და

დაბადების თარიღი იყო.

— ჰა, სირა, ყველაფერი კარგადაა?

რითმულ ნახევარ-ბრდღვინვათა წყება ამოუშვა.

— ვწუხვარ, მეგობარო, მაგრამ შენი ენა არ მესმის.

პარალომებს თავიანთი ენა ჰქონდათ, ძალიან ელემენტარული იყო, ასიდან ასორმოცდაათ სიტყვამდე თუ იქნებოდა, რომლებიც ძირითადად კონკრეტულ საგნებსა და მარტივ ქმედებებს გამოხატავდნენ. მომიახლოვდა, ჩემი ტუნიკის ბოლო პირში ჩაიდო და მოქაჩა.

— გასაგებია! გინდა, რომ გამოგყვეთ? კარგი, მაგრამ ძალიან შორს ვერ გამოგყვებით. არ გვინდა, რომ ძალიან დავშორდეთ...

მის მისახვედრად ხელი ეკიპაჟისაკენ გავიშვირე.

თავისი არ მოიშალა და გავყევით. ასიოდ მეტრში ახალგაზრდა პარალომის ლეშს წავაწყდით. ბეწვზე აშკარად ემჩნეოდა ალმტყორცნის კვალი.

რენიამ შემომხედა: ვის მოუვიდა თვში აზრად პარალომის მოკვლა, ასეთი სულელი ვინაა? პარალომები არასოდეს ესხმოდნენ თავს ადამიანს, ყოველთვის მეგობრულები იყვნენ და დროდადრო ქალაქის ბაღებში ამოსვლის უფლებასაც ვაძლევდით, რაც ძალიან ახარებდა ბავშვებს. პარაცხოველების შობადობა ძალიან დაბალი იყო და ამიტომ მათი მოკვლა ისევე ისჯებოდა, როგორც მკვლელობა.

სირამ კიდევ მოგვქაჩა. რამდენიმე მეტრში კიდევ ერთი ბოკვერი ეგდო უსულოდ. იგი უფრო მარტივი იარაღით იყო მოკლული, თავის ქალის ძირში ნატყვიარი ემჩნეოდა.

— ლამაკმა დალახვროს, კირისტების დემონმა, ბედისწერელებმა სწორედ ასეთი შეიარაღებით... ამჯერად საქმე ძალიან საგანგაშო იყო!

სარტყლიდან კომუნიკატორი მოვიხსენი და ჰელინს დავურეკე.

— ჰაურკი ვარ. კომბინაცია 44-22-651.

— ჰელინი გისმენთ. 44-22-651, გასაგებია. ილაპარაკეთ.

ამგვარად დავრწმუნდი, რომ საბჭოს წევრის გარდა ვერავინ შესძლებდა ჩვენის საუბრის მოსმენას, ვითარების შესახებ შევატყობინე.

— ვითარება მართლაც მძიმეა; დაუყოვნებლივ გამოვგზავნი საპოლიციო ძალებს...

— ვინმე ისეთიც გამოაგზავნეთ, რომელსაც პარალომებისა ესმის. დარწმუნებული ვარ, სირამ რაღაცები იცის ამის შესახებ. კატაკლიზმის შესახებ რა ისმის?

— ახალი არაფერია. თავის დინებას მიჰყვება. დაუყოვნებლივ დაბრუნდით. ჯუნგლი უსაფრთხო არაა.

— იარაღი თან გვაქვს. მაგრამ მაინც დავბრუნდებით. თუმცაღა როგორც ჩანს, პარალომს სურს რომ კიდევ გავყვე. დაბრუნებამდე გავყვები და ვნახავ.

— გაუფრთხილებელი საქციელია.

— ვითარება ისეთი დაძაბულია, რომ არა მგონია, ამან რამე შეცვალოს.

* * *

დღესაც იმ გაუფრთხილებელ ნაბიჯს ვლოცავ; სწორედ მან იხსნა დედამიწა ალბათ ბედისწერელთა საფრთხეზე უფრო დიდი საფრთხისაგან. სირამ კლდოვანი ხევის გავლით მღვიმეების წყებამდე მიგვიყვანა, სადაც წესით პარალომებს უნდა ეცხოვრათ. მღვიმეებთან მიახლოებისდაკვალად ჩვენი მეგზური სულ უფრო და უფრო წინდახედულად მიიწევდა წინ. მიწაზე გაერთხა და კუნთებდაძაბული მაღალ ბალახში გასრიალდა. დახრილები მივყევით, იარაღი შემართული გვქონდა.

პარალომი სულ უფრო ფრთხილობდა. მალე ხმები შემოგვესმა, ჩვენი მეგზური მყის გაჩერდა, ჩემსკენ მოატრიალა თავისი ჭკვიანი თავი. მივუახლოვდი. კლდეზე ვიღაცა იყო მიყრდნობილი, გუშაგად იდგა. ხელთ იარაღის ფოლადი უბჭყვიალებდა. ჩვენს მხარეს არ იყურებოდა, ამიტომ ადვილად შევძელით მაღალ ბალახში შეუმჩნევლად დამალვა. აშკარა იყო, რომ გუშაგი თავს უსაფრთხოდ გრძნობდა და ყურადღება მოდუნებული ჰქონდა. არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი. ძალიან დიდი იყო იმის ალბათობა, რომ შემთხვევითობამ და ბედისწერელების სიბეცემ მათივე პოტიკების აღმოჩენის საშუალება მოგვცა, მაგრამ გამორიცხული არც ის იყო, რომ ის კაცი გუშაგი კი არ აღმოჩენილიყო, არამედ უბრალო მოსეირნე, რომელმაც შესძლო იარაღის შემოპარება. შემდეგ კაცმა ხელი აიქნია: ხელთ უხეშად ნაკეთი პისტოლეტი, ანუ აკრძალული იარაღი ეპყრა და არა ალმტყორცნი. შესარკინებლად მოვემზადე. ჩემს გვერდით პარალომი მიწაზე იყო გართხმული, გასუსული ნახტომისათვის ემზადებოდა, გაწეული ტუჩებიდან ბასრი ეშვები მოუჩანდა, ინსტინქტი გონიერებაზე ზეობდა. თითქოს ჟრუანტელმა დაუარა, როდესაც ხელი უხეშ ფაფარზე დავადე.

იმ კლდის უკნიდან, რომელსაც გუშაგი ეყრდნობოდა, ორი კაცი გამოჩნდა. სახე შენიღბული ჰქონდათ, თუმცაღა დაუყოვნებლივ ამოვიცანი ერთ-ერთი მათგანი; კარნოლი, მანქანათ მეუფის მოადგილე. გონებაში სწრაფად გადავავლე თვალი იმ ცნობებს, რაც მის შესახებ ვიცოდი: ჭკვიანი იყო, ამბიციური და ძალიან კარგი მოთავე, ცოტა ვინმეს თუ უყვარდა თავისი სიხისტის გამო და იგი თითქმის ჩაიჭრა ფსიქოლოგიურ შემოწმებაზე, რომელიც ფიცის დადებას უძღვის წინ. მის თანმხლებს არ ვიცნობდი.

რენიას ხელით ვანიშნე, მიწაზე გართხმულიყო და სამივე მიზანში ამოვიღე. გასროლის მომენტში ორჭოფობა დავიწყე. უთუო იყო, რომ კარნოლმა გვიმუხთლა, მაგრამ თუ ახლა არაფერს ვიზამდი, მაშინ შესაძლო იყო, რომ დამატებითი ცნობებიც მოგვეპოვებინა. ჩვენგან რამდენიმე ნაბიჯში გაჩერდნენ.

— კარგად შეგისრულებია, დჰარ, — წარმოთქვა კარნოლმა. ისევ სულელი ბედისწერელები ითამაშებენ ჩვენს სასარგებლოდ. მაგრამ შენი ჯგუფები მზად გყავდეს და, იცოდე, მხოლოდ გარეთა შლიუზები დააზიანონ! თორემ ყველა დავიღუპებით!

— ნურაფერზე იდარდებთ, მეუფევ, თავად მივხედავ ყველაფერს.

— გასაგებია. ჩემდათავად საბჭოს შლეგებს მივხედავ. როგორც კი ამას მოვახერხებთ, სახალხო მხარდაჭერის წყალობით, რომელიც ბედისწერელების წინააღმდეგ გვექნება, ამ უკანსკნელთაც საბოლოოდ გავანადგურებთ. გარწმუნებ, რომ საბრალო ჰაურკისაგან განსხვავებით, ჰუმანისტურ მოსაზრებების გამო ნამდვილად არ დავიხევ უკან.

— მას რაღა ვუყოთ, მეუფევ?

— ცოცხალი გვჭირდება, მის მეგობარი კელბიკიც და მისი ცოლიც. მხოლოდ მათ შეუძლიათ იმ მომენტის გამოთვლა, როცა ყოველგვარი საფრთხე გამქრალი იქნება

და შევძლებთ ჩვენი ბებერი მზის ირგვლივ დაბრუნებას. ცოტა ხნის წინ კი ვთქვი, რომ კრეტინია. მაგრამ ეს მას როგორც პოლიტიკოსს ეხება და არა როგორც მეცნიერს.

— გმადლობთ, მეუფე კარნოლ, — გუნებაში ვთქვი. — მეც სწორედ ამას ვფიქრობ თქვენზე.

— მაშ ასე, — განაგრძო კარნოლმა. სამ საათში ვიწყებთ. ბედისწერელები ალბათ უკვე მზად არიან ჰური-ჰოლდეს კოსმოსისათვის განსახმელად.

უცებ ვიგრძენი თუ როგორ მომიჭირა რენიამ ხელი. ხელით ვანიშნე, არ განძრეულიყო. შეთქმულები დაგვშორდნენ. სირამ მარჯვენა თათი ასწია, ბრჭყალები გამოაჩინა და პასუხის მოლოდინში შემომხედა. თავით უარი ვანიშნე.

— ვწუხვარ, სირა. მენდე, სიამოვნებით დაგითმობდი, მაგრამ ჩვენთვის ადამიანებისათვის, სრულიად აუცილებელია, რომ უვნებლად წავიდნენ. მათ მოკლეს შენიანები?

პარალომმა ჩუმად დაიღმუვლა.

— ნუ ღელავ. შეიძლება ადამიანების სამართალი შენი ბრჭყალებივით სწრაფი ვერ იყოს, მაგრამ იგი აუცილებლად აზღვევინებს დამნაშავეს.

არც კი მიცდია გამერკვია, გაიგო თუ არა, ისე დავადექი უკან გზას. მართვის დარბაზი თითქმის უკაცრიელი დაგვხვდა. მხოლოდ რამდენიმე მეუფე და სამეთვალყურეო ჯგუფები იყვნენ. ჰანის მივუახლოვდი.

— აჰ! როგორც იქნა თქვენც გამოჩნდით, ჰაურკ! ასტეროიდები უკვე შთაინთქა. შეხედეთ.

ეკრანზე ცეცხლოვანი მედუზა თავის საცეცებს შლიდა ყველა მხარეს. ერთ-ერთ მათგანზე შავ წერტილად მოჩანდა იუპიტერი.

რამდენიმე საათში გამოსხივება ჩვენამდე მოაღწევს. საშიშროება...

შევაწყვეტინე:

— დაუყოვნებლივი საშიშროება გამოსხივება კი არაა, არამედ ერთი მხრივ ბედისწერელები და მეორე მხრივ კი კარნოლი.

და ჰანის მოვუყევი იმ ლაპარაკის შესახებ, რომელსაც შევესწარი.

— სასწრაფოდ უნდა ვაცნობოთ ჰელინს!

— მასში დარწმუნებული ხართ? ენდობით? კარნოლის ღალატის შემდეგ...

— ვის, ჰელინს? სულ პატარა იყო, როცა გავიცანი!

— ჰო, ეს გაგვიადვილებს საქმეს.

რამდენიმე წუთის შემდეგ უკვე ვთათბირობდით. ჰელინის აზრით დაუყოვნებლივ უნდა დაგვეპატიმრებინა კარნოლი და შლიუზები დაგმანული უნდა გვქონოდა. ამ აზრს არ დავეთანხმე.

— ვგონებ, უმჯობესი იქნებოდა თუ მივცემდით თავიანთი გეგმების შესრულების დაწყების საშუალებას. თუ სწორად მივხვდი კარნოლის ტაქტიკას, მას უნდა რომ ბედისწერელებმა შესძლონ სულ გარეთა ჰერმეტული კარების საბოტირება, შემდეგ კი ზურგიდან დაესხან ბედისწერელებს მანამ, სანამ შუალა კარებს მიაღწევენ და ამგვარად თავი წარმოაჩინონ მხსნელებად, და თქვენს მკვლელობასაც მათვე მიაწერენ. მაგრამ მარტო ვერ შესძლებს ბედისწერელების დაპატიმრებას. ამიტომ მის მომხრეებს მოუწევთ თავის გამომჟღავნება და ამგვარად შევძლებთ ორი კურდღლის დაჭერას და ერთბაშად გავანადგურებთ ბედისწერელებსაც და შეთქმულებსაც.

— ბედისწერელებმა რომ გაიმარჯვონ. და შუალა და შიდა კარის აფეთქებაც რომ შესძლონ? — პროტესტი გამოთქვა ჰელინმა.

— თქვენი პოლიცია განგაშზეა გადაყვანილი და მათ დაუყოვნებლივ მიხედონ ამ კარს. სხვა ქალაქებიც უნდა გავაფრთხილოთ, რათა დაიცვან კარები. ისე კი, არა მგონია, რომ შეთქმულებას დედაქალაქის გარეთ ბევრი მომხრე ჰყავდეს. ვისაც ჰური-ჰოლდე უპყრია, მას მთელი მსოფლიო უპყრია. ვენერასაც შეატყობინეთ. ჰანი, თქვენ როგორც ყველაზე ხნიერს საბჭოს საგანგებო სხდომის მოწვევის უფლება გაქვთ. აქ მოიწვიეთ და გააძლიერეთ დაცვა. რენია, შენ აქ დარჩი.

— თქვენ? — შემეკითხა ჰელინი.

— მე? მე და რამდენიმე ადამიანი კოსმოსურ სკაფანდრებს ჩავიცმევთ, ზედაპირზე გავალთ და იქ დაველოდებით, რომელიმე მათგანი იქიდან თუ სცდის თავის ხსნას.

თავი მეორე

ბრძოლა თხევად ჰაერში

ერთი ხანობა კელბიკის წაყვანა მინდოდა, მაგრამ მერე გადავიფიქრე. დედამიწის მომავალი საჭიროებდა, რომ ჩვენგან ერთი მაინც დარჩენილიყო ცოცხალი, მე კი სრულიადაც არ გახლდით დარწმუნებული, რომ საღ-სალამათი შევძლებდი დაბრუნებას. საპოლიციო ძალებიდან თხუთმეტიოდე კაცი გავიყოლე და სკაფანდრებში ჩაცმულები დიდი კოსმომაგნიტომფრენების გარაჟისაკენ მიმავალი ჭის მახლობლად მდებარე გარე ჰური-ჰოლდეს ერთ-ერთ სახლში ჩავსაფრდით.

თითქმის ყველა კოსმომფრენი მიწისქვეშ იყო გადატანილი და მხოლოდ ათიოდე მათგანი იყო გარაჟში დატოვებული საყოველშემთხვეოდ. თუ ვინმეს ჰური-ჰოლდედან გაქცევა უნდოდა, აუცილებლად ჩვენს წინ მოუწევდა გავლა. საბჭოსთან კავშირის შესანარჩუნებლად იმ სახლის კავშირგაბმულობის ოთახი გავათბეთ სადაც ჩავსაფრდით, ამან საშუალება მომცა თვალყური მედევნებინა მზის აფეთქებისათვისაც.

მძიმე ალმტყორცნებით ვიყავით შეიარაღებულნი. აჯანყების დაწყებამდე ერთი საათი იყო დარჩენილი, და მოლოდინის გარდა არა დაგვრჩენოდა. ჩვენც ველოდით.

მეშვიდე სართულზე ვიყავით გამაგრებულები, ვინაიდან სწორედ ამ სიმაღლემდე იყო ქუჩები დაფარული თოვლითა და გაყინული ჰაერით. ჩვენს წინ უწინდელი პარკი იყო გადაჭიმული, სადაც ახლა დატალღული ყინულიდან ჰანგარები იყო ამოშვერილი. ჩვენთან ყველაზე ახლო ჰანგარის კარები თოვლისაგან თავისუფალი იყო. ჩვენგან ხელმარცხნივ, ჭის ზედა ნაწილი გაყინულ ქერქში იყო ამოშვერილი.

დროის მოსაკლავად ჯერ რენიას ველაპარაკე, მერე — კელბიკს.

— მაიცადამაინც წინა ხაზზე ნუ გახვალ, — გულახდილად მირჩია ამ უკანასკნელმა. მართალი გითხრა, ვერ გამიგია მანდ რა გინდა? სინამდვილეში შენ ზემოთ არა გესაქმება რა.

მართლაც, იქ არაფერი მესაქმებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ხელჩართულ ბრძოლას საკმაოდ კარგად გავართვი თავი იმ შორეულ დროს, როდესაც დედამიწაზე ჰაერიც იყო და ხეებიც, შესანიშნავად ვიცოდი, რომ ჩემი თანმხლები პოლიციელებიდან ყველაზე სუსტად გაწვრთნილიც კი ჩემზე ბევრად უფრო ქმედითი იქნებოდა. მნიშვნელოვანი თანამდებობა მქონდა, ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანიც კი ოდესმე არსებულ თანამდებობათა შორის. ზედმეტი თავმდაბლობის გარეშე შემიძლია ვთქვა, რომ თუ მხედველობაში არ მივიღებდით თეორიულ ვეტოს, რომლის უფლებაც საბჭოს ჰქონდა, ორი პლანეტის ერთპიროვნული ბატონ-პატრონი ვიყავი. მყავდა მეუღლე, რომელიც მიყვარდა და რომელსაც ვუყვარდი, აგრეთვე ბევრი კარგი მეგობარი. და მაინც, გადავწყვიტე ამ თითქმის უმნიშვნელო შეხლაში მონაწილეობა და ბრძანება ისე გავეცი, რომ ვერავინ შემომბედა შემოპასუხება. რატომ?

ჰო, შეუცვლელი არ ვყოფილვარ. კელბიკს შეეძლო ჩემი შეცვლა და უფრო წარმატებითაც კი გაართმევდა თავს ჩემს საქმეს. მეორე მხრივ, გაგანია კრიზისის

დროს რომ გავმქრალიყავი, მიუხედავად ძალაუფლების უწყვეტობისა, შეიძლებოდა წარმოქმნილიყო პლანეტისათვის საზიანო გაუგებრობის ხანმოკლე პერიოდი. უმჯობესი იქნებოდა საკონტროლო დარბაზში დავრჩენილიყავი და სხვებისათვის მიმენდო აჯანყების წელში გატეხვა. სხვებისათვის... იქნებ სწორედ ამაში იყო საქმე? მრცხვენოდა და ვერ ვიტანდი სხვათა სასიკვდილოდ გაგზავნას მაშინ, როცა თავად მე უსაფრთხოდ ვიყავი. ნუთუ ვერ ვახერხებდი იმ როლის ბოლომდე კისრებას, რომელიც მეკისრა? ადამიანთა მეთაურის როლისა, რომელიც თავის ხელქვეითებს არ სთხოვს იმაზე მეტს რის გასაკეთებლად თავადვეა მზად? ნამდვილად ეს იყო ჩემი საქციელის მიზეზი? ეჭვებმა შემიპყრეს. ამ გამოცარიელებულ ოთახში, სადაც ეკრანის მეტი არა იყო, პირველად გარდატეხის ასაკის მერე თვითანალიზს მივეცი და უეცრად მივხვდი ჩემი იქ ყოფნის ნამდვილ მიზეზს: იქ ვიყავი, რამეთუ მიყვარდა ბრძოლა!

ამ აზრის მიღება მიჭირდა. მთელი ჩემი განათლება ამ მისწრაფებას წარმოადგენდა საეჭვო ღირებულების, თითქმის ცხოველურ, გადმონაშთად. ჰური-ჰოლდეში გამბედაობას პატივს ვცემდით, მაგრამ არა ასეთს. პატივსაცემად ითვლებოდა გამბედაობა მეცნიერისა, რომელიც არ უშინდებოდა საშიშ ცდას, გამბედაობა ინჟინრისა, ტექნიკოსისა, კოსმომფრენის მფრინავისა. მაგრამ არა მეომრის გამბედაობა, რომელიც ერთობ იშვიათად გვჭირდებოდა. იმის წარმოდგენაც კი უცხო იყო ჩვენთვის, რომ ბრძოლაში მონაწილეობას შეეძლო სიამოვნების მონიჭება... წარმოდგენა იმისა, რომ თავი საფრთხეში ჩააგდო მხოლოდ ამით გამოწვეული აღგზნების გამო... კი მაგრამ? კელბიკსაც ხომ უყვარდა დელტაპლანით ავდარსა და ჭექა-ქუხილში ლივლივი...

მხარზე ვიღაც შემეხო და ფიქრებიდან გამომარკვია.

— უკვე დროა, — მითხრა ერთმა პოლიციელმა.

აფეთქებებს დაველოდეთ. გავიდა ერთი წუთი, ხუთი წუთი, ნახევარი საათი, ერთი საათი... არაფერი ხდებოდა. ჰელინს დავურეკე. ყველაფერი წესრიგში იყო, პოლიცია ფხიზლობდა, ბედისწერელები კი არსად ჩანდნენ. კარნოლის მიერ დათქმული დროის შესახებ ხომ არ შევმცდარვარ? მზის გამოსხივება მალე დედამიწას მოაღწევდა და ქვედა ქალაქში დაბრუნება მოგვიწევდა. კიდევ რამდენიმე წუთი გავიდა...

უეცრად ჩვენს ხელმარჯვნივ, სახლების წყების უკნიდან წითლად განათებულმა ორთქლის სვეტმა ამოხეთქა. ვიბრაციამ თითქმის მაშინვე მოაღწია ჩვენამდე. შემდეგ სახლი შეირყა. გარე კარები ერთმანეთის მიყოლებით ფეთქდებოდა.

ჰელინს დავურეკე; დაუყოვნებლივ მიპასუხა. ბედისწერელები ძალიან მრავალრიცხოვნად მისულან, ადვილად დაუმარცხებიათ კარების დარაჯები და მოუხერხებიათ მათი აფეთქება. ახლა შუალა კარებისაკენ მიიწევდნენ და კარნოლის ხალხთან შეტაკება უწევდათ.

რატომ ერთბაშად არ დაესხნენ შუალა კარებსაც? — ვკითხე. ეს უფრო სავარაუდო იყო...

— ეგეთი რამ შესაძლებლად რომ ჩამეთვალა, ჰაურკ, თქვენეულ გეგმას არ დავეთანხმებოდი. შიგნიდან ეგ კარები ძალიან კარგად არიან დაცული. მაგრამ კარნოლის თანამზრახველები რომ ყოფილიყვნენ, ცხადია, მათ არ გაუჭირდებოდათ ამ კარების აფეთქებაც. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში, ჩვენც ჩავერეოდით საქმეში.

— თქვენი ხალხი რას შვრება?

— ელიან. ვადროვოთ ჩვენს მტრებს, რომ თვითონ გაანადგურონ ერთმანეთი.

ბრძოლისათვის თვალის შევლება ხომ არ გსურთ.

ჩემს ეკრანზე გამოჩნდა შლიუზი №3, რომლის გარე კარი ნაკუწებად იყო ქცეული და საიდანაც კოსმოსური თოში შედიოდა. მეორე ბოლოში ტექნების რუხ სკაფანდრებში ჩაცმული ადამიანები ტრილების ლურჯ სკაფანდრებში, რომელთაც ლურჯი ზოლი ჰქონდათ დამატებით, გამოწყობილი მომხდურების შეტევას იგერიებდნენ. იქაურობას ალმტყორცნთა ნათება ჰკვეთდა, ტრილების მხარეს ამას თან ერთვოდა ცეცხლსასროლი იარაღის მიერ დაყენებული მსუბუქი კვამლიც, რომელსაც სწრაფად ისრუტავდა კოსმოსური სიცარიელე. დანაკარგი ორივე მხარეს დიდი იყო.

— ახლა ვხვდები, თუ რატომ იყო ზოგიერთი ტექნი ბედისწერელების გვერდით, — ვუთხარი. ერთადერთი განზრახვა ჰქონდათ, გამოეყენებინათ ბედისწერელები უბრალო პაიკებად. ჰელინ, მოგვიწევს ფსიქოლოგიური გამოცდის გადახედვა. როგორც ჩანს, ბევრმა ამპარტავანმა შესძლო მისი ჩაბარება!

ვინმეს შეიძლება უცნაურად მოეჩვენოს, მაგრამ მაშინ როდესაც ქალაქი განსაცდელში იყო, ამ აზრმა სიმხნევე შემმატა. უგუნურ ტექნს ისევ დამნაშავე ტექნი მერჩივნა.

— ისეთ საგანგებო მდგომარეობებს როგორშიც ახლა ჩვენ გვიხდება ცხოვრება, შეუძლიათ ადამიანის შეცვლა, ჰაურკ.

— თქვენი ძალები სად არიან?

— გვერდითი კარის მიღმა. ვგონებ, მალე დაიწყებენ მოქმედებას, როგორც ვხედავ, ამის საჭიროება უკვე იგრძნობა. კარნოლმა სათანადოდ ვერ შეაფასა თავისი მოკავშირეები.

კარის დამცველ ტექნთა რიგები უკვე საკმაოდ იყო შეთხელებული მიუხედავად უკეთესი შეიარაღებისა. იყვნენ კი უკეთ შეიარაღებულნი? პატარა მსუბუქი ალმტყორცნის სხივს სკაფანდრი ძირითადად აჩერებს, ხოლო ტყვია კი მასში ადვილად აღწევს. ეს არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან.

კარი ბ გაიღო. კარი გულისგადამწურავი სინელით იღებოდა, ეს პოლიციელთა ნაცადი ხერხი იყო, მათ დიდი სიმძლავრის ალმტყორცნები გაამწკრივეს. ლურჯმა სხივმა მოცელა მარჯვნიდან მარცხნივ. დროული იყო. კარიდან ა ბედისწერელი შემოდიოდა ასაფეთქებლით. მეწამულ ალში გაუჩინარდა.

— აქ საკითხი მოგვარებულია, — თქვა ჰელინმა. სხვა კარებთანაც ბრძოლა ჩვენდა სასიკეთოდ მიმდინარეობს. მომიტევეთ, უნდა დაგტოვოთ, ახლა ჩვენც გვიტევენ.

ეკრანი გათეთრდა. ერთ-ერთმა პოლიციელმა დამიძახა:

— ჭიდან ხალხი ამოდის...

ღია ფანჯრიდან გადავიხედე. ვარსკვლების სუსტ შუქში მოჩანდა სილუეტები, რომლებიც მიიპარებოდნენ. უეცრად, პროჟექტორის კაშკაშა სხივში მოხვდნენ. სულ მცირე ორმოცდაათი ადამიანი იქნებოდა, დაიქსაქსნენ და მიმალვა სცადეს ყინულის ნაკეცებში, ეცემოდნენ, ფეხზე დგებოდნენ და გარაჟისაკენ მიიწევდნენ. ჩემმა ბიჭებმა ცეცხლი გახსნეს და რამდენიმე სილუეტი სამარადჟამოდ გახევდა. უცებ ლეიტენანტმა ძალიან უხეშად გამათრია უკან, სწორედ იმ წამს ფანჯრის ჩარჩო ალმტყორცნის მუხტმა გაალღო.

— გამორთეთ პროჟექტორი! მოედანი მიცხრილეთ!

ორი დიდი ალმტყორცნის ამოქმედებას გამდნარი ყინულის ორთქლის ბოლქვების წარმოქმნა მოჰყვა. სცენას მკაფიოობა მოაკლდა, თუმც კი უცნაურად იყო განათებული. არადა ვუბრძანე, რომ გამოერთოთ. მაგრამ... ეს შუქი!

მზე! მზის შუქი დაგვეწია!

მაღლა ცაში მზე აღარ მოჩანდა კაშკაშა ვარსკვლავად. მის ადგილას აუტანელი სიკაშკაშით მობრდღვიალე მნათობი იყო, რომელიც თვალსა და ხელს შუა იზრდებოდა. ჩვენი ცეცხლი მტერს ჰანგრებისა და ჭისაკენ მიმავალ გზას უკეტავდა, მზისა კი ჩვენ გვისპობდა უკან დახევის ყველანაირ საშუალებას. ჩვენმა უაზრო ადამიანურმა შეხლამ იმდენად გაგვიტაცა, რომ სულ დაგვავიწყდა კატაკლიზმი.

ზეახლის სხივები ყინულზე ბრწყინავდნენ. გონებაში სრაფად გამოვთვალე, რამდენიმე საათის მანძილზე საფრთხე არ გვემუქრებოდა. ჰაერი სამი დღის სამყოფი გვქონდა, შესქელებული საჭმელიც, მაგრამ მოკლე ხანში ტემპერატურა აუტანელი გახდებოდა. ზედაპირს უკვე თხელი პრიალა ლაქი ჰფარავდა, ღრმულებში თხევადი ჰაერის გუბურები დგებოდა.

ჩემი ჩაჩქნის სასმენებში ვიღაცის ხმა გაისმა:

— მეთაური ვინაა?

ამ კითხვის დასმა იმაზე მეტყველებდა, რომ არ იცოდნენ ჩემი იქ ყოფნის შესახებ.

— კაპიტანი რექსორი ვარ, — მივუგე და ამგვარად მივითვისე ერთი ჩემი ნაცნობი ოფიცრის ვინაობა.

— კარნოლი ვარ, პირველი თანრიგის ტექნი. საბჭოს ემორჩილებით?

— დიახ.

— მაშინ ეს ყველაფერი გაუგებრობაა. ეს-ესაა გავანადგურეთ ბედისწერელთა აჯანყება, რომელთაც კარების აფეთქება ჰქონდათ განზრახული. რად გვესროლეთ?

— ჰანგარებიდან როცა გამორბოდით ბედისწერელებში აგვერიეთ, — დროის გასაწელად ვუპასუხე.

— გასაგებია. შეგვიძლია დავივიწყოთ. თუ მართლაც საბჭოს ემორჩილებით, მაშინ დაჰყარეთ იარაღი და ერთად დავბრუნდეთ ქალაქში.

— იარაღი რატომღა უნდა დავყაროთ?

— ხომ შეიძლება რომ ბედისწერელები იყვეთ?! არ მჯერა, რომ ეგრეა, მაგრა არ გვინდა გარისკვა.

— რეგულარული საპოლიციო დანაყოფი ვართ. იარაღი თქვენ უნდა დაჰყაროთ.

— როგორ დაამტკიცებთ ამას?

— ორი ჩვენგანი გამოვა და გიჩვენებთ თავიანთ მოწმობებს.

— თანახმა ვართ.

ორ კაცს ვანიშნე, ფანჯრიდან გადასრიალდნენ და მოამბოხეებისაკენ გაიქცნენ. რამდენიმე წამის შემდეგ კარნოლმა დაიძახა:

— კარგია. ვნახეთ თქვენი მოწმობები. იარაღს დავყრით.

ამ მომწმობების ტარება მხოლოდ მათ შეეძლოთ, ვისთვისაც იყვნენ განკუთვნილი, სხვების მიერ მათი ტარება მომაკვდინებელი იყო. მათი დამზადების საიდუმლო მხოლოდ საბჭომ იცოდა. როგორც ჩანდა, კარნოლმა გააცნობიერა, რომ არაფერი გამოუვიდა და თავის ხსნის ერთადერთ შესაძლებელ ხერხს მიმართავდა: კარებზე თავდამსხმელთა ამლაგმავის როლს თამაშობდა და იმედი ჰქონდა, რომ არავინ იცოდა მისი ღალატის შესახებ.

ჩემი ბიჭები ნელა დაბრუნდნენ. ქვემოთ მეამბოხეები თითო-თითოდ დგებოდნენ და სარტყლებიდან იარაღს იხსნიდნენ. ამ დროს ყურსასმენებში ჰელინს მკაფიო ხმა გაისმა.

— ჰაურკ დაუოვნებლივ დაბრუნდით. აჯანყება განადგურებულია. კარნოლი ჯერ არ მოგვიხელთებია, მაგ ეს მხოლოდ დროის ამბავია.

გაბრაზებული ყვირილი გაისმა.

— ჰაურკ, მაშასადამე თქვენ ხართ! და ყველაფერი იცით! დიახ წავაგეთ, მაგრამ თქვენც აქ დაიღუპებით. ცეცხლი!

სახლს ალის წვიმა დაატყდა თავს და ფანჯრის ახლოს მყოფი პოლიციელები ნახშირად აქცია. ჩვენს ორ გზავნილს ზურგიდან ესროლეს და ადგილზე დაეცნენ უსულოდ.

ეშმაკმა დალახვროს ჰელინი! როგორც თქვენ იტყოდით. რამდენიმე წუთის მოგვიანებით რომ გაეკეთებინა თავის საბედისწერო მოხსენება ყველაფერი უბრძოლველად დამთავრდებოდა. ახლა... უკანდასახევი გზა მოჭრილი იყო, ცოტა ხანში ჭებიც და შლიუზების წინასაკნებიც ჯერ თხევადი ჰაერით გაივსებოდა, შემდეგ კი — წყლით. ცხადია კოსმოფანდრებით დაცულებს ვერც წყალი დაგვაკლებდა რამეს და ვერც თხევადი ჰაერი, მაგრამ შიდა კარები ისე იყო მოწყობილი, რომ იღებოდნენ მხოლოდ მაშინ როცა წნევა ნორმალური ან ნული იყო; დახმარების დაუყოვნებელი გამოჩენის გარეშე დაღუპულები ვიყავით. კომუნიკატორს მივუახლოვდი, გადაწყვეტილი მქონდა სასწრაფოდ მომეთხოვა დახმარება, სწორედ ამ დროს ძლიერი აფეთქების ტალღამ ძირს დამცა. ერთ ჩვენ ალმტყორცნს მტრის ტყვია მოხვედრია და აფეთქდა: ფეხზე წამოვდექი, თავბრუ მეხვეოდა, ვბარბაცებდი, ზედ კომუნიკატორზე დავვარდი და საბოლოოდ ვაქციე მტვრად. საბჭოსაგან მოწყვეტილები ვიყავით. ჰელინს შეეძლო ჩვენთან დაკავშირება ვინაიდან იგი ჰური-ჰოლდეს დიდი ანტენით სარგებლობდა, მაგრამ ჩვენს ინდივიდუალურ კომუნიკატორებს არ შეეძლოთ ქალაქის ლითონის ჯავშანში გაღწევა.

მდგომარეობა მძიმიდან უიმედო გახდა. კავშირის გაწყვეტას ჰელინი იმით ახსნიდა, რომ მივატოვეთ შენობა, ვინაიდან იგი დარწმუნებული იყო, რომ ვბრუნდებოდით და არ იცოდა, რომ ბრძოლაში მოგვიწია ჩაბმა, ამასთანავე ჩვენი ადგილსამყოფელი დიდი პერისკოპის თვალსაწიერის მიღმა იყო. დახმარებასაც არ გამოაგზავნიდა და, მოგვიანებით, როცა ჩვენი გაუჩინარების გამო შეშფოთებოდნენ, უკვე ძალიან გვიანი იქნებოდა. ცაში თვალისმომჭრელი ლაქა უკვე ძალიან სწრაფად იზრდებოდა. გაყინული ჰაერი ქროლდებოდა და ირგვლივ ჯანღი წვებოდა, რომელსაც ჩვენი ალმტყორცნების სხივები იისფრად ჰკვეთდნენ. ბურუსი ბოლქვებად ტრიალებდა და ხედვას გვირთულებდა. მოხაზულობადაკარგული სილუეტები ხტებოდნენ, ხან ახლოს ჩანდნენ, ხან — შორს, შეუძლებელი იყო მანძილის ზუსტად განსაზღვრა. უეცრად ხელჩართული ბრძოლაში ჩავებით. საძინებელ ოთახში კოსმოფანდრებში ჩაცმული ადამიანების ხროვა იყო, ძნელი მტერ-მოყვარის გარჩევა. ხელთ ალმტყორცნი მეჭირა, იქვე იყო ოთხი ცოცხალი ადამიანი. მოყვარეები იყვნენ თუ მტრები? იარაღი დაუშვეს, ჩაჩქნის მიღმა შუბლზე ნიშანი დავინახე და ამოვიცანი. გარეთ, ნიაღვრად ქცეულ ქუჩაში თხევადი ჰაერის მდინარეები თოვლის ვეებერთელა გუნდებს მიაგორებდნენ. ატმოსფეროს ჩანასახი ბურავდა ვარსკვლავებს. შემდეგ ქარი ამოვარდა, გაუხშოებული ჰაერის მიუხედავად გაუგონარი სიძლიერისა იყო; აქროლებული ჰაერი მაშინათვე ბნელი ნახევარსფეროსკენ მიედინებოდა. ერთი პოლიციელი მხარზე შემეხო.

— მეუფევ, კოსმომფრენთა ჰანაგარამდე თუ მივაღწევდით...

მაშინათვე მივხვდი, რისი თქმაც სურდა. ჩვენი უკანასკნელი შანსი იყო კოსმომფრენით გაფრენა და დედამიწის ბნელ ნახევარსფეროში მდებარე ერთ-ერთი ქალაქში ჩასვლა, სადაც შლიუზები ჯერ ისევ მუშაობდნენ. მაგრამ ჰანგარამდე

ორმოცდაათი მეტრი იყო და ქუჩა დაფარული იყო, სულ მცირე, ორი მეტრი სიმაღლის წყლისა და ყინულის მდუღარე ლანქერით. ღვარი რეგულარული არ იყო, დროდადრო ძალიან მცირდებოდა: სადღაც ზემოწელში ყინული და თოვლი და ხერგავდა დინებას. შემდეგ ეს დროებით კაშხალი ჩამოიქცეოდა და ღვარი ენითაუწერელი სიმძლავრით გამოექანებოდა ხოლმე.

კური, ერთ-ერთი გადარჩენილი პოლიციელი ელექტროგაყვანილობიდან მავთულებს თითო თითოდ აძრობდა. თავისთავად ეს მავთულები დიდი გამძლეობით ვერ დაიკვეხნიდნენ, მაგრამ მათი საიზოლაციო საფარი თხევადი ჰაერის პირობებშიც კი დიდ გამძლეობას იჩენდა დაჭიმვისადმი.

— ეგრე იყოს! — ვუპასუხე. მაგრამ რისკი მე უნდა ავიღო თავზე. ყველაზე დიდი და მძიმე მე ვარ.

ხელის ერთი აქნევით შევწყვიტე მათი აშა, წელზე საიმედოდ შემოვირტყი მავთული. პირველი სართულის ფანჯრიდან გადავიხედე და დაველოდე. ღვარი ანტაბლემენტის პირას მიედინებოდა. ხელი ჩავყავი შიგ. ღვარი მცირე სიმკვრივისა იყო, რადგან ძირითადად ჯერ ისევ თხევადი ჰაერისაგან შედგებოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა დინება მაინც ძალიან ძლიერი იყო. ღვარს ცოტა წყალი ერეოდა, რომელიც დინებასთან შეხებისათანავე იყინებოდა და იქვე იძირებოდა.

კოსმოფანდრში ჩაცმული ვერც დიდი ვარსკვლავის სიცხეს ვგრძნობდი და ვერც — ნიაღვრის სიცივეს. რამდენიმე საათში ზედაპირზე გაჩერება შეუძლებელი გახდებოდა. დონემ დაიწია, ქუჩაში გადავხტი.

დაუყოვნებლივ სიგრძეზე გავიწვართე. ხელახლა გაყინული წყალი ფსკერზე სხვადასხვა მოყვანილობის ყინულისაგან შემდგარ სქელ შრეს ქმნიდა და ისეთი შთაბეჭდილება გამიჩნდა, თითქოს ბურთულებისაგან გაკეთებულ ლეიბზე ვიწექი. კაბელს მოვეჭიდე და ფეხზე წამოვდექი. წამოწყებას უიმედო პირი უჩანდა. თითქმის შეუძლებელი იყო ამ თითქმის უხახუნო შრეზე ფეხის მოკიდება. კედელს მივეყრდენი, დონის ადიდების შემთხვევაში მზად ვიყავი უკან ავბრუნებულიყავი. როგორც ჩანდა, ამჯერად კაშხალი საკმაოდ მდგრადი იყო, რამეთუ მთელი სითხე სწრაფად გაედინა და ყინულის შრე გამოჩნდა.

ზემოწელისაკენ გავიხედე. კაშხალი ახლოს იყო. სხვადასხვა ნაშალისაგან შედგებოდა და წვეტები ჰქონდა. გადავწყვიტე ბედი მეცადა, ოთხზე ჩავიცუცქე, მკლავები ყინულებს შორის ეფლობოდნენ და ძალიან ნელა მივიწევდი წინ. ხანდახან შეშფოთებული გავიხედავდი ხოლმე კაშხლისაკენ. ყინული მზის სინათლეს ირეკლავდა და გარდატეხდა. შემდეგ ყინულმა დაიწყო ლხობა და შევძელი ფეხზე დადგომა, ხელით კედლებს ვეყრდნობოდი.

გზაჯვარედინს მივაღწიე, ქარმა ამიტაცა. მავთულს ჩავეჭიდე, ქარი აქეთ-იქით მაქნევდა, ჩემი ბიჭები მავთულს იჭერდნენ. ქარი სასურველი მიმართულებით მაგდებდა, ამიტომ კურს ვუბრძანე რომ ცოტა მოეშვათ მავთული. ჰანგარამდე რამდენიმე მეტრიღა იყო დარჩენილი, როცა კაშხალი გასკდა.

ტალღა ჩემსკენ წამოვიდა. ჯერ გლუვი იყო, შემდეგ პერი მოიყარა და ჩრდილიდან გამოსვლის მერე ზეახლის ცხოველმა სხივებმა აადუღა. თავიდან ბოლომდე დამფარა, მაგრამ ჩემდა გასაოცრად არ გამაგორა, ძალიან გაუხშოებული იყო... კიდევ ერთხელ შევძელი ოთხზე დადგომა და გარაჟის კარს მივაღწიე. წამოდგომისას კარის გასაღებ ბერკეტს მოვკიდე ხელი, კარი გაიღო და რამდენიმე წამის მერე კოსმომფრენის გვერდზე ვიყავი.

მართვა ხელში ავიღე, არაფერი არ მომხდარა. ხელსაწყოთა პანელზე თვალის

შევლება საკმარი აღმოჩნდა: ვიღაც იდიოტს, ვინც ბოლომ იხმარა კოსმომფრენი, კონტაქტი ჩართული დაუტოვებია და რელეების ჩასართავი ყველა აკუმულატორი დამჯდარი იყო. გვერდითა კოსმომფრენიდანდან, რომელიც ისეთ ადგილას იყო განლაგებული, რომ ჰანგარიდან ვერ გამოვიყვანდი, გადმოვიტანე აკუმულატორები. როგორც იქნა შევძელი ჩემი ბიჭების ხსნა, მაგრამ ამასობაში კაი ძალი დრო გავიდა.

ჯვარცმული ვარსკვლავი რომელიც ადრე ჩვენი მზე იყო დასავლეთისაკენ იხრებოდა. დედამიწის ბრუნვა ახლა მეორე მხარეს მიუშვერდა წამებულ მზეს და იგივე სირთულეები წარმოიშობოდა. უნდა გვეჩქარა. კილგურისაკენ ავიღეთ გეზი და საათში 3 000 კილომეტრი სიჩქარით გავეშურეთ. დაბლა მივფრინავდით და მიუხედავად ჩვენი აპარატის სიმძლავრისა ფრენა ძალიან რთული იყო. ბინდიან ზონაში, რომელიც დედამიწის ბრუნვასთან ერთად გადაადგილდებოდა, ტემპერატურის სწრაფი და დიდი ცვლილება მუდმივ ციკლონს წარმოქმნიდა. ქროლდებოდა, ბინდიანი ზონისაკენ მიეშურებოდა, წვიმად მოდიოდა და მთებად გროვდებოდა. ამ ზონის გადასალახად მაღლა ასვლა მოგვიხდა. ძალიან შორს, ჩვენს ქვემოთ არნახული სიმძლავრის გრიგალები აცამტვერებდნენ ზედაპირს. როგორც იქნა უკან მოვიტოვეთ ეს კოშმარული პეიზაჟი და კილგურის ზედა ნაგებობებს მოვკარით თვალი. რადიოგამოძახების შემდეგ ქალაქის კარის სიახლოვეს დავსვი აპარატი. კოსმოფრენის ჰანგარში დაბინავებისთანავე მიწისქვეშეთში ჩავედით.

დაღლილობის მიუხედავად მოვითხოვე, რომ გაეცნოთ ვითარება. ბედისწერელების ამბოხება ამჯერადაც ჩახშობილ იქნა და კარნოლის თანამზრახველ ტექნთა უმრავლესობა შეპყრობილ იქნა. მიწისქვეშა ქალაქთაშორისი მეტროთი 800 კმ/სთ სიჩქარით ჰური-ჰოლდესაკენ გავეშურე.

საბჭოს შენობის შემოგარენს მძიმე ბრძოლები ნაკვალევი ეტყობოდა და ტრილები ჯერ ისევ ასუფთავებდნენ იქაურობას ნანგრევებისაგან და გაჰქონდათ გვამები. ბედისწერელები სასოწარკვეთილი შემართებით იბრძოდნენ და ბევრ სანახევროდ დამწვარ გვამს ხელთ ისევ ჰქონდა ჩაბღუჯული უხეში პისტოლეტები.

თავი მესამე

ძალაუფლება

საბჭომ დაუყოვნებლივ მიმიღო. პოლიტიკური მდგომარეობა არ იყო საშიში. იგივეს ვერ ვიტყოდით კოსმოსურზე, რომელიც მალე შეიძლებოდა დრამატული გამხდარიყო. კელბიკმა მონაცემები მომაწოდა.

დედამიწა და ვენერა ახლა უკვე გავარვარებულ აირებზე უფრო ჩქარა მიილტვოდნენ მზისაგან. რაც არ უნდა ყოფილიყო, უკვე ძალიან შორს ვიყავით იმ ზონიდან რომელთაც ისინი ახლო მომავალში მიაღწევდნენ. მაგრამ გამოთვლები გვიჩვენებდა, რომ დაუყოვნებლივი ხელახალი აჩქარების გარეშე ზეახალის გამოსხივება დედამიწისა და ვენერის ნიადაგს მალე თიხების შეცხობის ტემპერატურაზე უფრო მეტად გააცხელებდა. ის კი იმას ნიშნავდა, რომ მომავალში დიდი ხნის მანძილზე ვეღარ შევძლებდით მიწის დამუშავებას. მეორე მხრივ, გეოლოგები და გეოფიზიკოსები ამტკიცებდნენ, რომ შეუძლებელი იყო დამატებითი აჩქარება კატასტროფული მიწისძვრების გამოწვევის გარეშე, რენიაც ამ აზრს იზიარებდა. გადაწყვეტილების მისაღებად სულ რამდენიმე საათიღა იყო ჩვენს განკარგულებაში. ამასობაში უმნიშვნელოდ გავზარდეთ გეოკოსმომაგნიტების წევა.

საბჭოში შეშფოთებული კამათი გაიმართა. ერთი მხრივ რისკი მეყსეული და საზარელი იყო — დედამიწის ქერქის გახლეჩა. მეორე მხრივ საფრთხე უფრო შორეული იყო, მაგრამ საზარელი — პლანეტების უნაყოფობა. სანოვაგის მარაგი, სინთეზური ნაწარმი და ჰიდროპონიკული სადგურები 15 წლის მანძილზე მიმდინარე მოსახლეობის გამოკვების საშუალებას მოგვცემდნენ. ამის შემდეგ ან მოსახლეობა უნდა შეგვემცირებინა ან კიდევ უნდა დაგვეპყრო რომელიმე სასარგებლო პლანეტა, თუკი ასეთს წავაწყდებოდით. ან შესაძლოა, თუ ბედი გაგვიღიმებდა, გამოგვეგონებინა სავარგული ნიადაგების წარმოქმნის დამაჩქარებელი პროცესი.

მე, კელბიკმა, რენიამ, ჰანიმ და ბევრმა სხვა მეუფემაც ამ რისკს ვუყარეთ კენჭი. მაგრამ უმრავლესობა ჩვენი წინააღმდეგი იყო და ხელახალი აჩქარება გადაწყდა. მართვის დარბაზს დავუბრუნდით, ხანმოკლედ მოვეთათბირე რენიას სანამ თავის გეოფიზიკურ ლაბორატორიაში გამოიკეტებოდა. ჩემთვის უნდა ეცნობებინა, როგორც კი დედამიწის ქერქი გამძლეობის ზღვარს მიაღწევდა. აჩქარებას გამოვრთავდი და დაე, მოსახდენი მომხდარიყო! თქმა რად უნდა იმას, რომ კელბიკმა იცოდა შეთქმულების შესახებ.

სნი შევცვალე და მართვის პულტს მივუჯექი. ეკრანებზე ახალი ბჟა ცის დიდ ნაწილს ავსებდა და ფილტრების მიუხედავად თითქმის შეუძლებელი იყო მისი ყურება. გამოტყორცნილი აირები გამოსცდნენ იუპიტერის ორბიტას და გამოსხივებაში ჩაძირული ეს ვეებერთელა პლანეტა აღარ ჩანდა; ეგებ უკვე აქროლებულიც კი იყო. ცნობისმოყვარეობამ მძლია და ობსერვატორიიდან სატურნის გამოსახულება ვაჩვენებინე. თითქმის ზღვარზე იყო და უკვე მნათი აირი ჰბურავდა. როგორც მოსალოდნელი იყო, პლანეტამ დაჰკარგა თავისი რგოლები.

მეტი ყოყმანი შეუძლებელი იყო, ფრთხილად გავზარდე წევა. ეკრანზე დაძაბულობათა წირმა პატარა კაუჭი მოხაზა. რენიას დავურეკე.

— როგორი გავლენა იქონია?

— ჯერჯერობით, თითქმის არანაირი. განაგრძე, ვინაიდან ასეა საჭირო. მაგრამ ძალიან ნელა. რაც უფრო ნელა იზამ, მით უფრო მეტია ალბათობა იმისა, რომ წყვეტის წერტილი უფრო ზემოთ იყოს. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, მაინც მალე მივაღწევთ მას.

მოვბრუნდი. ამფითეატრში მსხდომი მეუფეები მე მიყურებდნენ. არ ვიცი შემთხვევით მოხდა თუ განგებ, მაგრამ აჩქარების მოწინააღმეგენი, ძირითადად გეოლოგები და გეოფიზიკოსები, ერთ მხარეს იდგნენ. მეორე მხარეს იყო უმრავლესობა — ქიმიკოსები, ბიოლოგები, ბოტანისტები, აგრონომები, რომელთაც არ სჯეროდათ სახნავი მიწების ხელახალი წარმოქმნის. კელბიკი ჩემსკენ დაიხარა, მხარზე დამეყრდნო. ცოტათი გაღიზიანებულმა მისი მოშორება გადავწყვიტე, როდესაც ვიგრძენი რომ რაღაცა ჩამიცურა პერანგის ღია საყელოში.

— ყველაფერი კარგად იქნება, — თქვა ხმამაღლა, — თუ სწორად გამოვიყენებთ ჩვენს ხელთ არსებულ ძალებს.

ხელი საყელოში ჩავიყავი და ალმტყორცნის კონდახს მოვკიდე.

— მართალი ხარ! — მივუგე მეც სიტყვებზე თამაშით, — და როცა დრო დადგება, არ უნდა ვიჭოჭმანოთ.

აჩქარების მომატებას განვაგრძობდი და ცალი თვალი დაჭიმულობის მრუდზე მეჭირა. შიდაწნევები ახლა სწრაფად იცვლებოდნენ და ისარი ძლივს ასწრებდა კაუჭებს შორის რამდენიმემილიმეტრიანი დატალღული წირის გამოყვანას. ორი საათის შემდეგ რენიამ დარეკა:

— ჰაურკ, უბრძანე ჰილურის ევაკუაცია. მიწისძვრების განმეორეტი 9-ბალიან მიწისძვრას წინასწარმეტყველებს, ამ რიტმით 5 საათში.

— 9 ბალი! მაშასადამე ქალაქი დაღუპული იყო.

ბრძანება გავეცი, წამოვდექი და საბჭოს მივმართე.

— მეუფენო, ვფიქრობ უნდა შევწყვიტოთ ახალი აჩქარებები.

სიტყვა მცენარეთა მეუფე გდანმა აიღო:

— როგორი მდგომარეობა იქნება ჩვენი ამჟამინდელი დაცილებიდან გამომდინარე?

ჰანმა ხელსაწყოებს დახედა და სწრაფად დაინაგარიშა:

— ისევ იმ ზონაში ვიქნებით სადაც თიხა შეცხვება და ნიადაგი დაიშლება.

— მაშინ, მიმაჩნია, რომ აჩქარება უნდა გავაგრძელოთ, — წარმოთქვა გდანმა.

ჰანიმ თავისი მახვშობა გამოიყენა:

— ვისაც გაგრძელება სურს, წამოდგეს.

სწრაფად გადათვალა.

— ჰაურკ, უმრავლესობა მათია. ვწუხვარ...

სამართავ პანელს მივეყრდენი, კრებას თვალი მოვავლე. უმრავლესობა შეთხელებული იყო. კაცთა მეუფე ჰელინი ჩვენს აზრზე იყო გადმოსული. რენიამ თავისი კაბინის ფანჯრიდან გადმოიხედა. შევხედე და თავით მართვის პულტზე ვანიშნე. თავი გააქნია.

— თუ ასეა, მე უარს ვაცხადებ დამორჩილებაზე, — განვაცხადე.

შეძრწუნებულმა სიჩუმემ დაისადგურა. საბჭოს შექმნის დღიდან არცერთ ტექნს არ უარუყვია საბჭოს ბრძანებაზე დამორჩილება საჯაროდ. კელბიკმა მხრები აიჩეჩა,

დამწუხრებული სახით გეოფიზიკის კაბინეტის კიბეზე ავიდა და როგორც კეთრიანს ისე გამერიდა.

— სწორად გავიგე? ჰაურკ, უარს ამბობთ დამორჩილებაზე? შემეკითხა მცენარეთა მეუფე. — ეს უგუნურებაა!

— უგუნურებაა თუ გონიერება, მაინც უარს ვაცხადებ! და მიმაჩნია, რომ სწორედ თქვენ ხართ უგუნური, ვინაიდან პლანეტის ორად გაპობა გწადიათ!

— ეგ ჯერ არ მოხდება! მეორედ და უკანასკნელად მოგმართავთ საბჭოს სახელით და მოგიწოდებთ დაგვმორჩილდეთ!

— მეორედ და გადამჭრელად უარს ვაცხადებ დამორჩილებაზე!

და ხელის ერთი მოსმით შევაჩერე ყოველგვარი დამატებითი აჩქარება.

— დაე! ჰელინ, შეაპყრობინეთ თქვენს ხალხს!

— მე თავად დავაპატიმრებ, — უპასუხა ამ უკანსაკნელმა და წამ მიყო. დაუდევრად ამოიღო თავის ალმტყორცნი, ლულით ეჭირა. ჩემი ალმტყორცნი ბლუზიდან ამოვიღე და კრებას მივუშვირე.

— ჰელინ, შეჩერდით! არ ვიცი ჩემს მხარეს ხართ თუ არა! ყველამ იარაღი დაყარეთ. სწრაფად!

მეუფეები შეძრწუნებული სახეებით წამოდგნენ და თავიანთი იარაღი დააწყვეს. კიბის თავიდან ლურჯად იელვა სხივმა და გდანის თანაშმეწე ბელუბი უსულოდ დაეცა. კელბიკმა ისროლა. თავი უცებ უძლურად ვიგრძენი, მოვლენებს ვეღარ ვეწეოდი. ორი დღის უძინარი ვიყავი.

— შეგიძლია ჰელინს ენდო, — დამიძახა კელბიკმა. თავიდანვე ჩვენთანაა.

ჰელინი მიკროფონში უკვე ბრძანებებს იძლეოდა. ტექნთა პოლიციელები შემოვიდნენ დარბაზში და იარაღი წამოკრიფეს. ჰანი ნაღვლიანად გვიყურებდა:

— ჰაურკ! კელბიკ! — თქვენგან ამას ვერ წარმოვიდგენდი! საბჭოს წინააღმდეგ აჯანყება!

— არავითარ შემთხვევაში, მეუფევ, — მიუგო კელბიკმა. ჰაურკი კიდევ არაფერ შუაშია. ამ იდიოტური ბრძანებისადმი მის წინ აღდგომა უბრალოდ დაგვეხმარა მე და ჰელინს.

სწრაფი ნაბიჯით მიუახლოვდა გდანს, თითქოს თვალების დათხრა უნდაო, ხელი გდანის სახისაკენ წაიღო და სწრაფადვე უკან წამოიღო, ხელთ რაღაც დონდლო რამ ეჭირა. დაზაფრული სახე რომელიც ჩვენ შემოგვცქეროდა, გდანისა არ იყო; მას არავინ იცნობდა.

— მეუფენო, წარმოგიდგენთ მტერს, ჭეშმარიტს, ბედისწერელთა მეთაურს, როგორც ვვარაუდობ! და ნამდვილი გდანის შესაძლო მკვლელს! სანამ ჰაურკი მტერს გარეთ გმირულად ებრძოდა, მე აქ პატარა მოკვლევა ჩავატარე. დიდი ხნის წინ, ჩვენს პლანერებზე თავდასხმის მერე, ეჭვი გამიჩნდა, რომ თვით საბჭოში იყო მოღალატე. მაგრამ აბსურდულად მეჩვენებოდა ბედისწერელი ტექნი. შესაბამისად საბჭოში ვიღაც არ უნდა ყოფილიყო ის, რადაც თავს ასაღებდა. მაგრამ მხოლოდ გუშინ შევძელი სამხილის მოპოვება. ამ შესანიშნავ ნიღაბს, რომელსაც ცრუგდანი ატარებდა, აქვს ნაკლი, რომელიც შემთხვევის წყალობით აღმოვაჩინე — შორეულ ულტრაიისფერ სხივებში იგი ფლუოროსცენირებს. გუშინ, დაახლოებით იმ დროს როდესაც ჰაურკი კილგურში ჩამოდიოდა, ცრუგდანი ჩემს ლაბორატორიაში მოვიდა, რათა დავერწმუნებინე აჩქარების გაზრდის აუცილებლობაში, თავის სიტყვებისათვის წონის მისაცემად იქვე განავითარა წარმოუდგენელი თეორია ნიადაგის კვლავწარმოების შესახებ სულ მცირე ერთი საუკუნის მანძილზე.

სრულიად შემთხვევით მან გადაკვეთა ერთ-ერთი ულტრაიისფერი ნათურის სხივი, რომელიც ცდებისათვის მქონდა ჩართული. მაშინ ყველაფერი ცხადი გახდა. ჰელინი გავაფრთხილე და გადავწყვიტეთ დაცდა. დედამიწის გახლეჩა იყო ამ პიროვნების მიზანი, არც მეტი, არც ნაკლები! ოჰ! უკანასკნელი წლების დიდი პოლიტიკური გაუგებრობა, კარნოლის ტექნები, მის მიერ იყვნენ მართულნი!

— კი, მაგრამ როგორ შესძლო თავის მეუფედ გასაღება? — შეაწყვეტინა ჰანიმ.

ფიზიკურ მეცნიერებათა მეუფე როობი წამოდგა.

— არის ისეთი ძალიან საშიში საიდუმლოებები, რომელიც თვით მეუფეებმაც არ იციან. უკვე რამდენიმე ასეული წელია, არსებობს მანქანა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ადამიანის ცოდნის ჩამოტვირთვა და მისი გადატანა სხვა ადამიანის ცნობიერებაში. დანარჩენისათვის კი პლასტიკური ქირურგია და კარგი ნიღაბიც კმარა. შეგახსენებთ, ყველა ქირურგი ტექნი როდია. საკითხავი ისაა, თუ როგორ შესძლეს ბედისწერელებმა მანქანის გეგმის მოხელთება?

— ყველაზე სასაცილო ისაა, — განაგრძო კელბიკმა, — რომ დედამიწას არ ემუქრება სახნავი მიწების განადგურება, ყოველ შემთხვევაში მათი სრული განადგურება მაინც. ცრუგდანის არგუმენტებით მონუსხულებს თქვენს გამოთვლებში გამოგრჩათ, რომ სანამ ტემპერატურა თიხების შეცხობას დაიწყებს, მანამ იმავე ტემპერატურის წყალობით აღდგება ატმოსფერო, აორთქლდება წყლის ძალიან დიდი რაოდენობა და შედეგად ღრუბლების სქელის ფენისაგან შემდგარი დამცავი შრე წარმოიქმნება. აი შესწორებული გამოთვლები. შეგიძლიათ გადაამოწმოთ, თუ გნებავთ.

არავის უცდია გადამოწმება.

ამჯერად ბედისწერელები საბოლოოდ დამარცხდნენ. კადული, მათი მეთაური რომელიც თავს გდანად ასაღებდა, ფსიქოტექნიკოსებს გადაეცა, რათა იმავე მანქანის გამოყენებით საბჭოს მისცემოდა ყველა საჭირო სახელი. სიკვდილით ძალიან ცოტა ვინმე თუ დაისაჯა. მკვლელობებით თავგაბეზრებულები ვიყავით და ამიტომ ყველა შეთქმული ციხედქცეულ მთვარეზე გადავასახლეთ.

კელბიკის განჭვრეტა ახდა და სახნავი მიწების უდიდესი ნაწილი გადაურჩა განადგურებას. დედამიწას კვლავ გაუჩნდა ატმოსფერო, რომელსაც ზღაპრული სიმძლავრის ჭექა-ქუხილი აპობდა. მუდმივად ცვალებადი ღრუბლების ფენა თითქმის არ გვაძლევდა ახალი ბჟის ნახვის საშუალებას. ცოტა წყალი და ჰაერი დავკარგეთ, ვინაიდან ატმოსფეროს ზედა შრეებში სიცხის გამო მოლეკულები ადვილად აღწევდნენ გათავისუფლების სიჩქარეს, მაგრამ ამ დანაკარგის შევსებას მომავალში შევძლებდით.

ზედაპირზე სულისშემხუთველი სიცხე იყო. განუწყვეტელი ციკლონები თარეშობდნენ პლანეტაზე და მხოლოდ რამდენიმე გეოლოგიური და აგრონომიული რაზმი გავიდა გარეთ ზიანის შესაფასებლად. ყველაზე დიდი ზიანი დიდმა ლღობამ გამოიწვია, გაჟიჟინებული ნიადაგი მეწყრად ჩამოწვა ბევრგან, ზოგი კლდე კიდევ ზედაპირზე დაიბზარა ტემპერატურის სწრაფი და განმეორებითი ცვლილებების გამო. მთვარის მთავარი ობსერვატორიიდან ახალი ბჟა მოჩანდა როგორც გაჩირაღდნებული წიპწა ფოსფოროვანი ნისლეულის ფონზე. შემდეგ ბოლო საფეხურსაც მიაღწია, ბირთვმა დაჰკარგა სიკაშკაშე, ვინაიდან ნათების უმეტესმა ნაწილმა ულტრაიისფერში გადაინაცვლა. მხოლოდ აირადი გარსი ჩანდა, რომელიც დაფლეთილ მნათ შარფს ჩამოჰგავდა.

დაშორება უკვე იგრძნობოდა. გარე ტემპერატურა ისევ დაეცა, მოთოვა. შემდეგ

ატმოსფეროც გათხევადდა და საბოლოოდ ისიც გაიყინა. ნელა, ძალიან ნელა ნისლეულმა იკლო ზომაში. სწორედ მაშინ დაიწყო დიადი მწუხრი.

თეორიულად ისევ საბჭო განაგებდა, პრაქტიკულად კი ჰელინით ზურგგამაგრებულს ბოლოს სიტყვა მე მეკუთვნოდა; მეუფე ისე გავხდი, რომ არასოდეს მიცდია გავმხდარიყავი.

თავი მეოთხე

მოგზაურობა

დიადი მწუხრი! მან სულ რაღაც თხუთმეტი წელი გასტანა და მაინც იმსახურებს ამ სახელს. ეტანორი — ჩვენი მიზანი, ყველაზე ახლოს მდებარე ვარსკვლავი, დასაბამს ჩვენგან ხუთი სინათლის წლის მანძილზე იყო. ეტანორი არც თქვენეული კენტავრის ალფა იყო და არც — პროქსიმა, იგი G1 ტიპის სწრაფად მოძრავი ვარსკვლავი იყო, რომელსაც დღეს ალბათ ერთ-ერთი თქვენი უახლოესი მეზობლის სახით იცნობთ; გამოთვლების გარეშე ვერ შევძლებ, ზუსტად მიგითითოთ თუ რომელია იგი და ამას არც არანაირი მნიშვნელობა აქვს. ჩვენმა ჰიპერტელესკოპებმა მის ირგვლივ სულ მცირე 7 პლანეტა გაარჩიეს.

ერთი საღამო განსაკუთრებით ჩამრჩა მეხსიერებაში. მთავარ ლაბორატორიაში ვიყავი კელბიკსა და რენიასთან ერთად. რენია დაღლილი იყო, მალე ჩვენი ძე უნდა გაეჩინა. მოხერხებულ სავარძლებში ვისხედით და პანორამულ ეკრანს ვუყურებდით. დარბაზის ცალ მხარეს ლაპლაპებდა ნისლეული, ოდესღაც მზე, მაგრამ რომელსაც უკვე ტექნიკური სახელით მოვიხენიებდით, იყოს თუნდაც „ბჟა“. მეორე მხარეს კი, ხუთქიმიანი ვარსკვლავის მოყვანილობის მქონე თანავარსკვლავედს ყველაზე მნათ წერტილად აჩნდა ეტანორი. იმ ყბადაღებულ „წინაღობაზე“ ვლაპარაკობდით, რომელიც წარსულში ჩვენ კოსმომაგნიტურმფრენებს აჩერებდა და რომლის გადალახვაც მალე მოგვიწევდა.

— კიდევ ერთხელ გამოვიანგარიშე, ჰაურკ. ყველაფერი კარგადაა. კოობის მუდმივას ამბის შემდეგ უფრო ფრთხილი გავხდი, გესმის?

— მაშასადამე შევძლებთ გადალახვას?

— უთუოდ, ალბათ, ვერც ვერაფერს ვიგრძნობთ. მაგრამ ყურადღებით უნდა ვიყოთ, რომ არცერთი კოსმოსმფრენი არ იყოს სივრცეში ამ დროს. ყველაფერი კარგად იქნება თუკი წინაპრების დანატოვარი რიცხვები ზუსტია.

— სწორი იქნება, ასე მგონია. განზრახული მაქვს ერთი კოსმომაგნიტომფრენის წინ გაგაზავნა...

— რა სიჩქარითაც ახლა გადავადგილდებით, ძველი ფარდობითობის განტოლებები[1] ისევ ძალაშია, ასე რომ დიდი უპირატესობა არ ექნება. კოსმომაგნიტომფრენი სულ რამდენიმე დღით დაგვასწრებს.

— ჰო, მართალი ხარ, აზრი არ აქვს. მარსული ვარსკვლავთმფრენის შესწავლის საქმე როგორაა?

— ცუდად, როგორც მოგეხსენება. ან იქნებ არც მოგეხსენება. მეუფის მოვალეობანი არ გიტოვებენ კვლევებისათვის დროს.

მართლაც უკვე მერამდენე წელია, უზენაესი მეუფე ვიყავი. ჩემს მხრებზე იყო ორი პლანეტის სასიცოცხლო მდგომარეობაში შენარჩუნების პასუხისმგებლობა.

მარსელთა ვარსკვლავთმფრენი... კიდევ კარგი რომ კლობორი მარსზე მოკვდა. თორემ ძალიან გაწბილებული იქნებოდა. იქნებ რამე დეტალი გამორჩა, რაც მისთვის, არქეოლოგისათვის უმნიშვნელოდ მოჩანდა. თავდაპირველი ოპტიმიზმის

მიუხედავად, ვერ ვახერხებთ ძრავის აწყობას. ზესივრცული მოდელი იყო, დიდად არ განსხვავდებოდა ჩვენი წინაპრების მიერ თავიანთი უნაყოფო ცდების დროს გამოყენებული ძრავისაგან. მარსულ მოწყობილობაში ჩვეულებრივი კოსმომაგნიტიც იყო. არადა მკვდარ ქალაქში ნაპოვნი საბუთები ყველანაირ ეჭვს აქარწყლებდნენ: მარსელებმა, ჰუმანოიდურმა მოდგმამ, შესძლო ვარსკვლავებამდე მიღწევა და იქიდან დაბრუნება. და არა მხოლოდ ერთხელ. მოწყობილობაში იყო კიდევ ერთი საგანგებო წრედი, რომელსაც ჩვენმა საუკუთესო სპეციალისტებმა, მათ შორის კელბიკმაც, ვერაფერი გაუგეს. ეს წრედი დროზე უფრო უნდა მოქმედებდეს ვიდრე სივრცეზე.

— კი მაგრამ, ჰაურკ, თუ მარსელები ადრე სხვა სისტემებში მოგზაურობდნენ, იქნებ, ახლაც იქ არიან, ვინ იცის? და ჩემი წინაპრები, რომლებიც ვერ დაბრუნდნენ? — ჩაერია რენია.

გამეღიმა.

— ვიცი, რენია. ეს გარემოება ერთ-ერთია იმ მიზეზთაგან, რატომაც დავაწყებინე რამდენიმე ჯგუფს იარაღის შემუშავებაზე მუშაობა.

ერთი ხანობა ჩუმად ვისხედით. ეკრანზე ვარსკვლავები სხივოსნობდნენ წყნარად, თითქოს გვიცდიანო. ასე შორეულები... მელანქოლიამ შემიპყრო. ამდენი წელი მზის თბილი შუქის გარეშე. ნუთუ ადამიანი სამარდისოდაა განწირული ცის სულ პაწაწკინტელა მანძილების დასაფარად? ხუთი სინათლის წელი! სამყარო კი რამდენიმე მილიარდ სინათლის წელზეა გაჭიმული!

კელბიკი მიმიხვდა ფიქრთა დენას.

— მაინც ვიპოვით მარსელთა საიდუმლოებას! შეიძლება ჩვენ ვერ მოვესწროთ, მაგრამ ამას არ აქვს მნიშვნელობა! ჩვენ ჩვენი პლანეტა დავძარით ადგილიდან. მენდე, ეს არცთუ ისე ცოტაა.

— იარაღზე? — თითქოს ბურანიდან გამოერკვაო იკითხა რენიამ. — მართლა ფიქრობ, რომ მოგვიწევს მათი გამოყენება?

— არ ვიცი. იმედი მაქვს, რომ არა. მაგრამ თუ იმ სისტემაში სადაც შესვლას ვაპირებთ, გონიერ არსებათა მოდგმა არსებობს, რომელთაც აქვთ ვარსკვლავთმფრენები, ვეჭვობ მათი რეაქცია მშვიდობიანი იყოს. ნეტავ ეტანორის სისტემა უსიცოცხლო იყოს!

— დრუმების მსოფლიო რომ აღმოჩნდეს? — გააჟრჟოლა.

ჩვენს წინაპრებზე უკეთ ვართ აღჭურვილნი. — თან ორი პლანეტის ძალა გვაქვს, — დასძინა კელბიკმა.

— ვინ იცის რამდენის წინააღმდეგ? — ვიკითხე. — ისე კი, არა მგონია, რომ ღირდეს ამაზე ფიქრი. როგორც დრუმების გამოჩენის რიტმი გვაფიქრებინებს, ისინი ბევრად უფრო შორიდან მოდიოდნენ და მათი სიჩქარე სინათლისაზე ნაკლები იყო. ერთი ტაღლა ყოველ სამოც წელში ერთხელ!...

— ვინ იცის რანაირი ურჩხულები ბინადრობენ ამ მსოფლიოებზე, — განაგრძო რენიამ.

— ვნახოთ, ვნახოთ!

ამგვარად ვმსჯელობდით ხოლმე, ვადგენდით გეგმებს და ფიქრადაც კი არ გაგვივლია გულში, რომ მტრებად შეიძლებოდა ისევ ადამიანები შეგვხვედროდნენ.

„წინაღობაც“ გადავლახეთ. წინმავალი კოსმომაგნიტომფრენის გაგზავნა გადავიფიქრე. სხვადასხვა ჯგუფმა სცადა მისი გადალახვა დიდი ხნის წინ და მათი შედეგები ერთმანეთს ემთხვეოდა! ჯერ შენელება, შემდეგ შეჩერება, წინსვლის

შეუძლებლობა მიუხედავად დახარჯული ენერგიის რაოდენობისა. რადიომართვადმა რობოტებმა გვაცნობეს „წინაღობასთან“ მიახლოება. მთვარის გამო ვღელავდით.

ჩვენი თანამგზავრის მასა, რომელიც სიჩქარის გამო ოდნავ გაზრდილი იყო, თეორიულად საკმარისი იყო წინაღობის გადასალახავად. პრაქტიკულად კი არა ვუწყოდით რა. ამიტომ თავიდან უნდა აგვერიდებინა „წინაღობაში“ შესვლა იმ დროს როცა მთვარე ჩვენს წინ იქნებოდა, თორემ შეიძლება დიდი კოსმოსური შეჯახება მომხდარიყო. უკანასკნელი თვეების განმავლობაში კელბიკი წინაღობის რეზონანსით გადალახვაზე თეორიულ შესაძლებლობაზე მუშაობდა, მაგრამ შედეგად მიღებული განტოლებების ფიზიკურ არსს ვერ ვხვდებოდით და შესაბამისად დიდი ვერაფერი დახმარება იქნებოდა. არ ვიცოდით თუ ზუსტად სად იწყებოდა პლანეტური მასის სხეულებისათვის საშიში ზონა, ამიტომ ყველა ასტრონომი მთვარეს აკვირდებოდა და მზად იყო ჩაენიშნა მისი ორბიტის ნებისმიერი ცვლილება.

დადგა მომენტი, როდესაც ჩვენი რობოტები შეჩერდნენ და წინ ვეღარ მიდიოდნენ. რამდენიმე საათში უკვე ჩვენც უნდა გაგვევლო წინაღობის ზონა. მთვარე ჩვენს უკან იქნებოდა. ამ მხრივ ყველანაირი საფრთხე გამორიცხული იყო. სიფრთხილის გამო მთვარეზე მცხოვრები ადამიანები დედამიწაზე გადმოვიყვანეთ. საბჭო მართვის დარბაზში დარჩა, მე კი კელბიკთან ერთად ჩემს ლაბორატორიაში განვმარტოვდი. კრიტიკულ მომენტამდე ცოტა ხნით ადრე რენიაც შემოგვიერთდა, რომელიც მანამდე შინ იყო დარჩენილი და არელს, ჩვენს ახალშობილ ვაჟს უვლიდა.

საბოლოო ჯამში, ეს მომენტი ნაკლებად შთამბეჭდავი აღმოჩნდა. რამდენიმე საათის შემდეგ კოსმომაგნიტომფრენებმა თავისუფლად შესძლეს გაფრენა და მხოლოდ ამან გაგვაგებინა, რომ ყველაფერი დამთავრებული იყო. ვერანაირი ცვლილება ვერ შევამჩნიეთ ვერც მიზიდულობას, ვერც მაგნეტიზმს და ვერც სინათლის სიჩქარეს. — არაფერი. მთვარეც ჩვენ მოგვყვა კუდში.

ამან ძალიან გამახარა. ეს სიხარულით იმით კი არ იყო გამოწვეული, რომ მთვარის ლაბორატორიებში დიდი ღირებულების მასალა იყო დაცული, არამედ იმით რომ ყოველთვის მიყვარდა მთვარიანი ღამეები, ამიტომ გული ძალიან დამწყდებოდა დედამიწის ამ ერთგული თანამსრბოლის მიტოვება თუ მოგვიწევდა.

მაშასადამე მოგზაურობის ნახევარი გაგვივლია, ხუთი წელი დაგვჭირდა. წინაღობის დაუბრკოლებლად გადალახვის შემდეგ საინტერესო აღარაფერი გადაგვხდენია ოთხი წლის მანძილზე. მძიმე წლები იყო. ზედაპირზე იშვიათად გავდიოდით, ვარსკვლავებით მოოჭვილი შავი ცის ქვეშ ყინულოვანი უდაბურება გვხვდებოდა. ქალაქებში ცხოვრება ერთფეროვანი იყო. ტექნების მორალი მაინც საკმაოდ მაღალი იყო, ვინაიდან ისინი კვლავ განაგრძობდნენ კვლევებს, მაგრამ ტრილებში მორალი ძალიან დაბალი იყო. ორივე ჯგუფს მძიმე მოგონებად აწვა ბედისწერელების აჯანყება და საზარელი რეპრესიები რომლებიც ამ აჯანყებას მოჰყვა. უმზეობა, შეძულებამდე კარგად ნაცნობ პარკებში სეირნობა სიხარულს უკლავდა ხალხს. ზედაპირზე გასეირნება უარესი იყო, და მხოლოდ თავგადასავლების მოყვარული ახალგაზრდები თუ გადიოდნენ ხოლმე გაყინული ჰაერით დაფარულ მთებზე ასასვლელად.

ვარსკვლავი, რომლისკენაც მივისწრაფოდით, ნელა იზრდებოდა. ტელესკოპებში უკვე დისკოდ მოჩანდა. პლანეტები ჯერ ისევ მხოლოდ ჰიპერტელესკოპებიდან მოჩანდნენ. ამიტომ მათ შესახებ ვერანაირი დამატებითი ცნობები ვერ მოვიპოვეთ,

რამეთუ ჰიპერტელესკოპში ყველა ციური სხეული, პლანეტა იქნება თუ ვარსკვლავი, წერტილად მოჩანს. ეტანორიდან ნახევარი სინათლის წლის მანძილზე შენელება დავიწყეთ. რამდენიმე თვეში, როცა ჩვენი სიჩქარე უკვე ძალიან შემცირებული იყო, დაზვერვით ექსპედიციას ჩავუდექი სათავეში.

საყოველშემთხვეოდ აგებული დიდი საბრძოლო კოსმომაგნიტომფრენიდან ერთ-ერთი ავირჩიეთ. ჩვენს ხომალდს სახელად კლინგანი ერქვა, რაც შიშს ნიშნავს თქვენებურად. როგორც ხედავთ, თქვენი არ იყოს, ჩვენც ძალიან ამბიციურ სახელებს ვარქმევდით საბრძოლო მანქანებს. კლინგანის სიგრძე ასოცი მეტრი იყო, ხოლო — უდიდესი დიამეტრი ოცდახუთი მეტრი. იგი აღჭურვილი იყო ყველა იმ იარაღით, რისი აღწარმოებაც ჩვენმა ჩვეულებრივად მშვიდობისმოყვარე მეცნიერებამ შესძლო ნახევრად მივიწყებული იარაღებიდან და რაც თავად შექმნა. ექსპედიციაში მონაწილეობა იმიტომ გადავწყვიტე, რომ მინდოდა თავად მენახა ამ მზიური სისტემის ჩვენთვის ვარგისობა და იქვე გადამეწყვიტა განგვეგრძო გზა სხვა ვარსკვლვისაკენ თუ ბოლომდე დავემუხრუჭებინა. ცხადია, კელბიკმა მოიწადინა გამომყოლდა. მიუხედავად იმისა, რომ უფრო გონივრული იყო, რომ ერთ-ერთი ჩვენგანი მაინც დავრჩენილიყავით დედამიწაზე, მაინც დავთანხმდი. ხელმძღვანელი მოვალეობების გამო ჩემს ტოლებს თითქმის მოწყვეტილი ვიყავი და ვინაიდან რენიას არ შეეძლო წამოსვლა, ერთობ მოხარული ვიყავი, რომ გვერდით მეყოლებოდა სანდო ადამიანი.

რაზმში ორმოცდაათი ადამიანი ვიყავით. გვმეთაურობდა ვენერელი ტირილი. ხომალდის სამართავად თორმეტი კაცი საკმარისი იყო, დანარჩენები საბრძოლო ჯგუფებს აყალიბებდნენ. ვიმედოვნებდი, რომ არ დაგვჭირდებოდა მათი გამოყენება.

გავეშურეთ დილით — ეტანორის სინათლე უკვე საკმაოდ მძლავრი იყო, რათა ამ სიტყვას დაჰბრუნებოდა თავის ნამდვილი მნიშვნელობა — რენიამ შლიუზამდე მიმაცილა, შემდეგ კოსმოფანდრით მოსილი მისი პატარა სილუეტი მოგვშორდა. კელბიკსა და ტირილთან ერთად მართვის პულტს მივუჯექი და კლინგანი სრული აჩქარებით ცისაკენ აიჭრა.

ნაწილი მეოთხე

დედამიწის ოდისეა

თავი პირველი

ადგილი დაკავებულია!

ეტანორის სისტემის მიღწევას თხუთმეტ დღეში ვვარაუდობდით. სისტემა თერთმეტი პლანეტისაგან შედგებოდა. მათგანი სულ მცირე ორი, თუ სისტემაში მათი მდებარეობით ვიმსჯელებდით, ჩვენთვის შესაფერი უნდა ყოფილიყო, თუკი მათი ატმოსფერო სუნთქვისათვის ვარგისი იქნებოდა. მათ დაუყოვნებლივ კოლონიზაციას არ ვაპირებდით, დედამიწისა და ვენერის განთავსება გვინდოდა კარგად შერჩეულ ორბიტებზე. როდესაც ჩვენი მხრიდან ყველაზე გარეთა, მეცხრე პლანეტას მივუახლოვდით ჰეკისტალღებიანმა ჰიპერრადარებმა გვაცნობეს, რომ სამი ობიექტი დიდი სიჩქარით მოემართებოდა ჩვენსკენ. მეძინა და განგაშის ხმამ გამაღვიძა. კელბიკმა ჩემი ნაკვეთურის კარი გააღო, რამდენიმე სიტყვა მომიგდო და გაუჩინარდა. ფართხა-ფურთხით ავდექი და მართვის პოსტს მივაშურე. კელბიკი იქ დამხვდა, ეკრანებისაკენ დახრილი.

— ჰაურკ ისეთი პირი უჩანს, რომ ადგილი დაკავებული უნდა იყოს! — მომაძახა.

— ჰო, ეგრე უნდა იყოს! ტირილ, საბრძოლო მზადყოფნა გამოაცხადეთ!

სამ წერტილს ეკრანზე ვადევნებდით თვალს, მთელს კლინგანზე კი ადამიანები საბრძოლო პოზიციებს იკავებდნენ, შესაძლოა დრუმების შემოსევის შემდეგ პირველი კოსმოსური ბრძოლა გველოდა. როგორც იქნა სამი კოსმომაგნიტომფრენი გამოჩნდა ეკრანზე, ჩვენსაზე უფრო წაგრძელებული მოყვანილობა ჰქონდათ და საკმაოდ სწრაფად გადაადგილდებოდნენ, საქშენები არ უჩანდათ. მაშასადამე უცნობებიც კოსმომაგნეტიზმს ან სხვა ასეთსავე წინწასულ ტექნოლოგიას იყენებდნენ.

მოულოდნელად პირველ ხომალდს რაღაც კაშკაშა წერტილი მოსწყდა, ძალიან ცოტა ხანი უძრავად იყო და შემდეგ თავბრუდამხვევი სისწრაფით ჩვენსკენ წამოვიდა.

— ტირილ, ყურადღებით! — წამოვიწყე.

უცებვე გავჩუმდი. კაშკაშა წერტილმა სრულყოფილი ნახევარწრე შემოხაზა და ისევ ხომალდს მიეკრო. ეს მანევრი კიდევ ორჯერ გაიმეორა.

— გასაგებია, — თქვა კელბიკმა. გვატყობინებენ, რომ აქვთ საბრძოლო საშუალებები, მაგრამ არ სურთ მათი გამოყენება.

— შესაძლოა. ჩვენც ეგრევე ვუპასუხოთ და სიჩქარე შევამციროთ.

კლინგანის ფერდებიდან ტელემართვადი ტორპედოები ამოცვივდნენ, უცნობი ხომალდებისაკენ გაემართნენ და მანძილის მეოთხედის დაფარვის შემდეგ უკანვე დაბრუნდნენ. ნელ-ნელა ერთმანეთს ვუახლოვდებოდით, უცნობი ხომალდებიდან ერთმა თავისი თანმხლებები უკან დატოვა და ჩვენგან ოცდაათიოდე კილომეტრში გაჩერდა. ეკრანებზე უკვე შესანიშნავად ვხედავდით წაგრძელებულ მბზინავ მაქოს, რომელსაც სათოფური და ილუმინატორი არსად უჩანდა.

— რადიოთი დაკავშირება ვცადოთ, — ვთქვი.

ტალღის სწორი სიგრძის საპოვნელად დიდი ხანი მოგვიხდა სხვადასხვა სიგრძის

ტალღების გამოსხივება. როგორც იქნა, ჩვენმა მიმღებმა ხმა ამოიღო, ტელეეკრანიც აინთო ერთი წამით და მერე ისევ ჩაქრა. მაგრამ ის ხანმოკლე გაელვებაც საკმარისი იყო გამოსახულებაში ადამიანის სახის ამოსაცნობად. კანის ფერს ვერ გეტყოდით, გამოსახულება უხარისხოდ იყო აჭრელებული.

— რა სიგრძის ტალღა იყო მიღებისას? ოცდაათ სანტიმეტრზე ვიყავით, ამავე სიგრძეზე გადაეცით!

ჩვენი ეკრანი ხელახლა აინთო, ამჯერად აღარ ციმციმებდა. ეკრანიდან კაცი გვიცქეროდა. განა ჰუმანოიდი, ან რაღაც რაც ადამიანს მიაგავს, არამედ ნამდვილი ადამიანი. გარუჯული ენერგიული სახე ჰქონდა, გამჭოლ ლურჯ თვალებს ზემოდან არშიად ვერცხლის ჩაჩქნიდან ჩამოცვენილი წითური თმები დადგომოდა. ლაპარაკი დაიწყო. მისი ენა არ ვიცოდი, არადა რაღაც საოცრად ნაცნობი იყო. კელბიკმა მხარი გამკრა და ჩამჩურჩულა:

— ჰაურკ, ეს ენა ათასწლეულის დასაწყისში რომ ენა იხმარებოდა, კლუმი, იმის ჩამომავალი უნდა იყოს.

— მოიცა, შენ რა 400 წლის წინ გადაშენებულ ენაზე ლაპარაკობ?

— სტუდენტობისას ვისწავლე, რადგანაც მინდოდა ბერინის მიერ 4500 წელს შესრულებული კლუმ თერანთოკის მათემატიკური ნაშრომის თარგმანის სიზუსტე შემემოწმებინა. შეიძლება ვცდებოდე, მაგრამ, მე მგონი, ეს ადამიანი ჩვენ ვინაობას გვეკითხება.

— მიდი, სცადე.

კელბიკმა მოკლე წინდადება წარმოთქვა, აშკარა იყო, რომ სიტყვები არ ჰყოფნიდა. ეკრანზე სახეს ჯერ გაოცება დაეტყო, შემდეგ კი — გახარება. მაშინათვე გვიპასუხა, მისი პასუხიც მოკლე იყო.

— გვეუბნება, რომ შვებით ამოისუნთქა, ვინაიდან ჩვენც ადამიანები ვართ. ეშინოდა, დრუმები არ აღმოვჩენილიყავით.

— მაშასადამე დრუმებს იცნობენ? კელბიკმა სიბრალულით გადმომხედა.

— ვინაიდან კლუმს ლაპარაკობენ, ძალიან დიდია იმის ალბათობა, რომ ერთ-ერთი დაკარგული ზესივრცემფრენის რაზმის შთამომავლობას წავაწყდით. რას იტყვი?

მეთაურისაკენ მივტრიალდი.

— ტირილ, თქვენ ისტორიით ხართ გატაცებული. იქნებ გაიხსენოთ, იყო თუ არა დაკარგულ ზესივრცემფრენთა შორის კლუმების მიერ აგებული ხომალდები?

ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ მიპასუხა:

— ვგონებ, კი. მესამე ან მეხუთე ექსპედიცია, შესაძლოა ორივეც. მეორე ექსპედიციიდან მოყოლებული, 4119 წლის მერე უკვე საყოველთაო ილაპარაკებოდა, მაგრამ ადრინდელი ენები სხვადასხვა ადგილებში მაინც გამოიყენებოდა 4200 და თვით 4300 წლამდეც კი.

ეკრანიდან სხვა სიტყვების ნაკადიც გადმოიფრქვა. კელბიკმა დიდი თავდაჯერებულობის გარეშე თარგმნა:

— თუ სწორად გავიგე, ენა შეცვლილია, გვეკითხება, საიდან მოდიხართო? ვუპასუხო?

— რა თქმა უნდა!

რამდენიმე წუთის განმავლობაში კელბიკი მარტო ლაპარაკობდა. ჩაჩქნიანი კაცი უსმენდა. სახეზე ჯერ უნდობლობა გამოესახა, შემდეგ გაოცება, ბოლოს კი — აღტაცება. რამდენიმე სიტყვა წარმოთქვა და კავშირი გაწყვიტა.

— თავის მთავრობას მოახსენებს ჩვენს ამბავს. ჩვენ კი წინ აღარ უნდა წავიდეთ, სანამ მთავრობისაგან გადაწყვეტილება არ მოვა.

ჰეკის ტალღებით დედამიწას დავუკავშირდით და ვუბრძანეთ შენელების გაგრძელება და საბჭოს ვთხოვეთ ფლოტი მზაობაში მოეყვანა. ლოდინი დავიწყეთ.

სამი კოსმოსმაგნიტომფრენი ისევ ჩვენს წინ ლივლივებდა. ყველაზე ახლოს მყოფს ახლა ჩვენგან მხოლოდ 20 კილომეტრიღა აშორებდა, დანარჩენი ორი კი დაახლოებით 100 კილომეტრში იყვნენ. არცერთი არ იძვროდა. უარესის მოლოდინში ხალხი საბრძოლო მზადყოფნაში დავტოვეთ. სამჯერ ვცადეთ კავშირის განახლება; სამჯერვე უშედეგოდ. დრო სულ უფრო და უფრო ნელა გადიოდა. დაახლოებით თორმეტსაათიანი მოლოდინის შემდეგ, ეკრანი ისევ აინთო.

— თქვენს ბორტზე არის ვინმე ვისაც აქვს თქვენი მთავრობის სახელით ლაპარაკის უფლებამოსილება. — იკითხა უცნობმა.

— დიახ, მე მაქვს უფლებამოსილება. — მივუგე.

— გთხოვთ ჩვენს ბორტზე გადმოხვიდეთ თქვენი იმ პირის თანხლებით, რომელიც ჩვენს ენაზე ლაპარაკობს. ტილაზე გადაგაფრენთ, სადაც შეხვდებით ჩვენს ხელისუფალთ. ორი ჩვენიანი თქვენს ხომალდზე გადმოვა მძევლად. უკან დაბრუნდებით თქვენს წინ მყოფი პლანეტა რეტორის თორმეტი ბრუნვის პერიოდში.

— კეთილი, — მიუგო კელბიკმა. მაგრამ თუ ამ ვადის განმავლობაში არ დავბრუნდებით, ჩვენიანები თავს დაესხმებიან თქვენს პლანეტებს ჩვენს ხელთ არსებული ყველა საშუალებით.

უცნობმა მხრები აიჩეჩა.

— თქვენი არ გვეშინია, თუმც კი მშვიდობა გვირჩევნია... თუ ეს შესაძლებელია. თქვენივე სიმშვიდისათვის იქნებოდა უკეთესი თუ სამაშველო ნავით გადმოხვიდოდით ჩვენს ბორტზე.

— კეთილი. შლიუზი გაქვთ?

— ცხადია! ღია დაგხვდებათ.

მე და კელბიკმა ჩვენს კაბინებში სწრაფად წამოვკრიფეთ ჩვენი პირადი ნივთები და, ვინაიდან უცხოებს არაფერი უთქვამთ იარაღის შესახებ, ჩემი ალმტყორცნიც ხელს გავაყოლე. ხანმოკლე მოგზაურობის განმავლობაში კოსმოფანდრები ჩავიცვით და როგორც კი ჩვენი ნავი უცნობთა ხომალდის ფერდს მიეკრა, მაშინათვე ღია შლიუზში შევხტით, იმავე შლიუზიდან ჩვენნაირსავე კოსმოფანდრში ჩაცმული ორი სილუეტი გამოვიდა და ჩვენს ნავში გადაჯდა. შლიუზის კარი უხმაუროდ დაიხურა. უცნობთა ვარსკვლავთმფრენის ტყვეობაში ვიყავით.

ჩვენს ტუსაღობას დიდი ხანი არ გაუტანია. ჰაერი შიშინით შემოიჭრა და შიდა კარიც გაიღო. დერეფანში გადიოდა. იქ შენიღბული მამაკაცი გველოდა. კოსმოფანდრების გახდაში მოგვეხმარა.

— მომიტევეთ ნიღბის გამო, მაგრამ შესაძლოა ისეთი ვირუსების მატარებლები იყოთ, რომელთა წინააღმდეგაც დაცვა არ გვაქვს. — თქვენც ეს ნიღბები გაიკეთეთ და გეკეთოთ ვიდრე ჩვენი ექიმი არ დაასკვნის, რომ არანაირი საფრთხე არ არსებობს. მომყევით.

კინაღამ შევეკითხე, თუ რატომ არ გაიკეთეს ყოველვაქცინის აცრა, მაგრამ დროულად გამახსენდა, რომ ყოველვაქცინა მხოლოდ 4210 წელს იქნა გამოგონებული, ანუ მას შემდეგ რაც ამ ადამიანების წინაპრებმა დედამიწა დატოვეს.

კარგად განათებულ ლაბორატორიაში შევედით და როცა წინ წაწევა ვცადეთ, სრულიად გამჭვირვალე ტიხარს შევეჯახეთ; კარსა და ტიხარს შორის აღმოვჩნდით მომწყვდეულები. ხელი მოვუსვი: უკიდურესად გამჭვირვალე მასალისაგან იყო გაკეთებული, ანარეკლიც არ ემჩნეოდა. მართლაც ძალური ფარი იყო, როგორც გულში ვშიშობდი. საშუალო სიმაღლის ჭარმაგი მამაკაცი გამოემართა ჩვენსკენ.

— გთხოვთ, თქვენ თვითონ აიღოთ სისხლი და მაგ რაბიანი სარკმლიდან მომაწოდოთ სინჯები. მართლაც სხვადასხვა მოდგმისანი რომ ვიყოთ, ეს სიფრთხილე ალბათ უაზრო იქნებოდა, მაგრამ სავარაუდოდ ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი საერთო გვაქვს საიმისოდ რომ თქვენი სნეულებები ჩვენთვისაც საშიში აღმოჩნდეს. მადლობა. წარმომიდგენია, რომ ჩვენებიც ასეთსავე შემოწმებას გადიან თქვენს ხომალდზე.

— ცხადია, — მიუგო კელბიკმა და მერე ჩვენს ენაზე გადმომილაპარაკა: ყოველვაქცინის წყალობით ამის აუცილებლობა არ არსებობს, მაგრამ ტებელის ჩვენი ბიოლოგის დიდი იმედი მაქვს. საწყლებს ბედი გაუღიმებთ თუ იქვე არ გაჰკვეთს მათ!

თხუთმეტი წუთის შემდეგ ექიმი დაბრუნდა და ღილაკზე დააჭირა. უჩინარი ტიხარი თითქმის უხმაუროდ გაქრა.

— ყველაფერი კარგადაა. ორივე განსაკუთრებულად ჯანმრთელები ხართ და ის ორიოდე ვირუსი რომლის მატარებლებიც ხართ, არ გამოიწვევენ ეპიდემიას. რაც შეეხება ჩვენი პლანეტის მკვიდრ მიკრობებს, ისინი თქვენც ისევე ვერ გავნებენ, როგორც ჩვენ ვერ გვავნეს. დიდი-დიდი თმა გაგცვივდეთ. თუ ნებას დამრთავთ, ჩვენი ვაქცინით აგცრით...

მხრები ავიჩეჩე.

— მადლობას მოგახსენებთ, მაგრამ არაა საჭირო. ჩვენ ყოველვაქცინით ვართ აცრილები, რომელიც ნებისმიერი სენის მიმართ ორგანიზმის მედეგობას ზრდის.

— მაშინ ჰო... გამომყევით, მეთაური გველის.

გრძელი ეკრანებითა და ბერკეტებით გადატვირთულ ოთახში შევედით; უთუოდ ნაოსნობის პოსტი იყო. ეკრანზე ნანახი კაცი შემოგვეგება.

ველური დიდმშვენიერების ლურჯი კოსტუმი ემოსა: ვერცხლის ჩაჩქანი, ალისფერი დუბლეტი, ტყავის მაღალყელიან შავ ჩექმებში ჩატანებული იმავე ფერის მოტკეცილი შარვალი, გრძელი შავი მოსასხამი, მოქარგული ფართე სარტყელი. სარტყელზე ჩვენი ალმტყორცნების ორი შორეული ნათესავი ეკიდა. მოკლედ, თქვენი სამეცნიერო ფანტასტიკური მოთხრობების „კოსმოსის მეკობრის“ სრულყოფილი განსახიერება იყო. მაგრამ სახე ჰქონდა წრფელი და ბოროტების ნიშან-წყალი არ ეტყობოდა ზედ. სალამი მოგვიძღვნა მარჯვენა გაშლილი ხელის მხრის სიგანეზე აწევითა და იდაყვში მოხრით.

— კირიოს მილონასი, ვარსკვლავთმფრენ ერიას მეთაური.

— ჰაურკ აკერანი, გზირთა მეხუთე ესკადრილიის ადმირალი, — მოხერხებულად წარმადგინა კელბიკმა. მე გახლავართ კელბიკ ბორეიონი, მათემატიკოსი.

— დაბრძანდით. იმედი მაქვს წინაპართა პლანეტაზე ისევ ჩვევად გაქვთ სადღეგრძელოს წარმოთქმა ასეთი მნიშვენლოვანი ამბების დროს. მე თუ მკითხავთ ჩვენი შეხვედრა სწორედ ამ რიგისაა. თქვენ რას იტყვით?

მოკლე ბრძანება გასცა. ბოთლი და ჭიქები მოგვიტანეს.

— ადმირალო, იმედი მაქვს, რომ მოგეწონებათ ჩვენი მირაზუ, — პატივისცემით თქვა კირიოსმა. ტილიაზე, ჩვენს ძირითად პლანეტაზე მოხარული ერთი

მცენარისაგან ვაყენებთ.

მინის ბოთლი, სითხეების შესანახად ამაზე უკეთესი ტარა არავის გამოუგონებია, ჩინებული მოყვანილობისა იყო. სანამ კირიოსი მწდეობას გვიწევდა და ბროლის დიდებულ ჭიქებში გვისხამდა მირაზუს, ჩვენს წინ არსებულ შეუსაბამობებზე ვფიქრობდი: ჩვენი მასპინძლის სამოსი და ვარსკვლავთმფრენზე დამყარებული მკაცრი დისციპლინა აშკარად მიუთითებდნენ სამხედრო წყობაზე. ჩვენი შეხედულებით კი, ეს არ შეესაბამებოდა ასეთ დახვეწილ ჭიქებსა და ბოთლს. სხვა ცივილიზაციის გაძარცვით მიღებული ნადავლი? ნაკლებად სავარაუდო იყო.

სითხეს გემო გავუსინჯე. ღვინისა ბევრი არაფერი ჰქონდა, გარგარის ჩინურ ტკბილ ლიქიორს უფრო ჰგავდა. ძალიან გემრიელი იყო.

— დანიშნულების ადგილზე რამდენ ხანში მივალთ?

— ერთი... — ჩვენთვის ადვილად გასაგებ დროის ერთეულს ეძებდა. — ერთი ძილისა და ერთი ჭამის შემდეგ. მაგრამ ჩვენი ხელისუფლები უფრო გვიან მიგიღებენ.

დიდი ხანი ვიმასლაათეთ. კირიოსს ყველაფერი აინტერესებდა დედამიწის შესახებ.

— ვიცოდით რომ მზე აფეთქდა, უფრო სწორედ ვეჭვობდით, რამეთუ არ ვიყავით დარწმუნებული, რომ მზის ტიპის ვარსკვლავი, რომელიც ჩვენი უახლოესი ვარსკვლავი იყო, მართლაც მზე იყო. თქვენი საქციელით ჩემს აღტაცებას ბოლომდე ვერასოდეს გადმოგცემთ. ორი პლანეტის ვარსკვლავთმფრენად გარდაქმნა! და ეს ყველაფერი მხოლოდ კოსმომაგნიტების საშუალებით!

ბევრი სხვა შეკითხვაც დაგვისვა, რაც აშკარად მეტყველებდა კაცობრიობის ამ განმხოლოებულ განშტოებაში კოსმოსური ხომალდის მეთაურების ვრცელ სამეცნიერო განათლებაზე.

თვითონაც გაგვცა პასუხი ჩვენს შეკითხვებზე. მართლაც მესამე ექსპედიციის შთამომავლები იყვნენ. მათი ისტორია დედამიწაზე დაბრუნებული ექსპედიციის ისტორიას მიაგავდა, კოსმოსში უგზოუკვლოდ ხეტიალს. ექვსი წლის შემდეგ შემთხვევამ უცნობ მზის სისტემაში მიიყვანა, სადაც დასახლებადი პლანეტები არსებობდნენ და გადაწყვიტეს იქ დაბინავება.

— ზესივრცეში მიმართულების ამორჩევის საშუალებას ვერ მიაგენით?

— რომ გითხრათ, მივაგენით-მეთქი, დამიჯერებთ? მართლებიც იქნებით. რომ მიგვეგნო, დიდი ხნის წინ შეგეხმიანებოდით. ჩვენც ვცადეთ კოსმომაგნიტომფრენები, მაგრამ თქვენებრ ჩვენც წინაღობას შევეჯახეთ.

წინდახედულება გამოვიჩინეთ და ხმა არ დაგვიძრავს მარსზე მომხდარი აღმოჩენების შესახებ. მეთაურთან ერთად ვივახშმეთ, უჩვეულოდ წითელი და ძალიან გემრიელი ხორცი მოგვართვეს, ვახშმის შემდეგი ყელი საკვირველი და გემრიელი ხილით ჩავიკოკლოზინეთ. ძილითაც კარგად გვეძინა.

პლანეტა სულ უფრო და უფრო იზრდებოდა, მალე ატმოსფეროშიც შევედით. მართვის პოსტის მთავარი ეკრანიდან პლანეტის ჯერ ისევ ღრუბლებით შებურულ ზედაპირს ვუყურებდით. უცებ ელდა მეცა: ჩვენს ქვემოთ ნაცნობი ნახევარკუნძული იყო გადაჭიმული, რომლის წვეროზეც ქალაქი იყო გაშენებული და გაჩირაღდნებული კოშკები ჩანდა. ფოტოგრაფიული მეხსიერება მქონდა და ახლაც მაქვს და ამიტომ ეჭვი არ მეპარებოდა. კელბიკს გადავუჩურჩულე:

— მეორე მარსული სურათი!

შეცბა, უფრო დაკვირვებით მიაცქერდა და გაფითრებულმა მითხრა:

— კი მაგრამ... როგორ?

კირიოსს რაც შეიძლება გულგრილად ვკითხე:

— დრუმებისა და ჩვენს გარდა, სხვა რომელიმე ცივილიზაციას თუ შეხვედრიხართ რომელთაც კოსმოსში მოგზაურობა ძალუძთ?

— მეზობელ მზის სისტემაშია ერთი ეგეთი ცივილიზაცია. ისინიც უეჭველად დედამიწელთა ჩთამომავლები არიან. ჩვენი ყველა მცდელობა მათთან კავშირის დასმყარებლად ამაო გამოდგა. უფრო ადრე რაღაც განგაში კი იყო, მაგრამ ჯერაც ვერ აგვიხსნია. დეტექტორებმა ჩვენს ატმოსფეროში დააფიქსირეს არარეგულარულად გადაადგილებადი ობიექტი. ჩვენი ხანის დაახლოებით 300 წელს მოხდა ეს. მაგრამ დაუყოვნებლივ გაგზავნილმა პატრულმა ვერაფერი იპოვა. მხოლოდ რადარზე იყო რაღაც ექო და იმას გამოვეკიდეთ. დევნა ძალიან ხანგრძლივი იყო და ექოს უეცარმა გაქრობამ დაუსვა მას წერტილი. კიდევ დიდი ხანი ვიყავით განგაშის მდგომარეობაში. კი მაგრამ რად იკითხეთ? რამე იცით ამის შესახებ?

— არა, უბრალო ცნობისმოყვარეობა იყო. ჩვენც აღარაფერი გვსმენია დრუმების შესახებ.

მე და კელბიკმა რაღაც მოვიმიზეზეთ და ეკრანს მოვცილდით.

— დარწმუნებული ხარ? — შემეკითხა კელბიკი.

— სრულებით!

არადა მათი წელთაღრიცხვის 300 წელი ჩვენი წელთაღრიცხვის დაახლოებით 4400 წელს შეესაბამება. სულ ახლანდელია! მარსზე 2000 წლის წინ ვიყავით პირველად და უკვე იმ დროს მარსელები უხსოვარი დროიდან იყვნენ გამქრალები.

რაღაც პარადოქსია მიუხედავად იმისა ამ პლანეტის იდუმალი სტუმრები მარსელები იყვნენ თუ არა. უბრალო დამთხვევის ალბათობა ძალიან მცირე იყო.

ის წრედი... თითქოს დროის ველზე ზემოქმედებდა... იქნებ სწორედ ესაა ამონახსნი?

— რისი თქმა გინდა?

— არაფრის. დედამიწაზე რომ დავბრუნდებით, მერე გეტყვი.

დარბაზის გვერდითა ეკრანზე მაღალი კოშკი გამოჩნდა, სულ ახლოს ჩანდა. მის სიმაღლეზე ვიყავით, შემდეგ დავეშვით და ისეთი შთაბეჭდილება შემექნა, თითქოს კოშკმა ცას მიაშურაო.

— მოვედით, — განაცხადა კირიოს მილონასმა. ბატონო ადმირალო, სანამ ჩვენი მთავრობა მიგიღებდეთ, გთხოვთ დამდოთ პატივი და თქვენს მეგობართან ერთად სახლში მესტუმროთ.

ასტროპორტს ირგვლივ მაღალი შენობები ერტყა და მათი სიახლოვე აქაური კოსმონავტების გაწაფულობას მოწმობდა. ხომალდიდან ჩამოვედით და კირიოსის კვალად სახმელეთო მანქანაში ჩავსხედით. მოკლე ხანში ქალაქიდან გავედით და ნახევარი საათის შემდეგ ოქროსფერი ხეების ტყეში გაკლაკნილმა გზამ ჩვენი მასპინძლის სახლში მიგვიყვანა.

სახლი პატარა ტბის პირას იდგა და მარტივი არქიტექტურის სასწაულის წარმოადგენდა, თავისი მოხერხებულობითაც ამართლებდა შესახედაობას. კირიოსმა სწრაფად დაგვათვალიერებინა თავისი სახლი. მაინცადამაინც დიდი არ იყო, ათიოდე ოთახი იქნებოდა შიგ, მაგრამ ისეთნაირად იყვნენ განლაგებული, რომ ბევრად უფრო ვრცელი მოჩანდა. მრავალრიცხოვანი ავტომატური მოწყობილობის არქონამ გამაოცა, დედამიწაზე ხომ ყველაზე ხელმომჭირნე ოჯახსაც კი ჰქონდა ისინი. კირიოსს ვუთხარი ამის შესახებ.

— მოგვიანებით მიხვდებით, — მომიგო.

ოთახებში მოსამსახურეები, ძირითადში ქალები, თავს მოწიწებით ხრიდნენ ჩვენს წინ, რაც აშკარად მიანიშნებდა იმ კლასზე, რომელიც დედამიწაზე ათასწლეულების წინ გაქრა. კიდევ ერთხელ ცივილიზაციისა და სიველურის ეს უცანური ნარევი!

რამდენიმე წუთის შემდეგ ამ ამბის კიდევ ერთი დადასტურება გამოჩნდა. შიდა ეზოდან ჩვენს ყურთასმენას უცებ ყვირილი მოესმა, ღია ფანჯრიდან გადავიხედე და დავინახე თუ როგორ ამათრახებდა ორი კაცი ბოძზე მიბმულ მესამეს. კირიოსმაც გადაიხედა.

— როგორც ვატყობ, ტრებლენი არ შეცვლილა. გასაგებია.

— კი მაგრამ რა ჰქნა? — ჰკითხა აღშფოთებულმა კელბიკმა.

— არაფერი. და სწორედ ამას ვემდური, — წარბშეუხრელად მოგვიგო ჩვენმა მასპინძელმა. ტილიაზე მცონარეებისათვის ადგილი არ გვაქვს.

მინდოდა მეკითხა, რატომ არ უმკურნალეს ულნის მეთოდით ამ ბედკრულს ბავშვობაშივე მანკის აღმოჩენისთანავე, მაგრამ გავჩუმდი. ულნის მეთოდი სულ რაღაც 4197 წლს იქნა გამოგონებული. ამასთანავე ჩვენი მისიის წარმატებისათვის ჯობდა ცხვირი არ ჩაგვეყო ტილიელთა საშინაო საქმეებში.

საჭმლის წინ კიდევ ერთი სიურპრიზი გველოდა! როდესაც ჩვენს ოთახებში ჩაგვიყვანეს ძვირფასი ხის მოჩუქურთმებული კიბეებით, კირიოსი ქვემოთ დაგვხვდა, გარს თავისი სამი ახალგაზრდა ცოლი ერტყა, რომლებიც შემდეგნაირად წარმოგვიდგინა:

— ჰელიონა, ჩემი პირველი მეუღლე. სირიკი, მეორე მეუღლე. ეს კი ელეანია, ჩემი მესამე მეუღლე.

მაშასადამე ტილიელთათვის არც მრავალცოლიანობა იყო უცხო. ასეთი რამ ჩვენშიც ხდებოდა, მაგრამ უაღრესად იშვიათი იყო. თავი დავუხარე მისალმების ნიშნად, რამაც ყმაწვილქალები ბედნიერებით აღავსო, ჩვენი მასპინძლისაგან განსხვავებით, რომელიც ჩემმა საქციელმა მსუბუქად გააღიზიანა. იმანაც გამაოცა რომ სადილს კირიოსის არცერთი მეუღლე არ დასწრებია.

თავად სადილი ძალიან გემრიელი იყო, ასეთ დახვეწილი საჭმელი იშვიათად მქონდა ნაჭამი. ხორცეულს დახვეწილი გემო ჰქონდა, რომელიც ჩვენს ხორცეულში არასოდეს მიგვრძნია. ხილიც ძალიან გემრიელი იყო. განსაკუთრებით მომეწონა ერთი მათგანი, რომელიც ჩვენებურ ანანასს მიაგავდა, მაგრად მასზე ბევრად უფრო გემრიელი იყო და გადავწყვიტე დედამიწაზე მისი თესლი ჩამეტანა. სასმელიც მრავალფეროვანი იყო, ზოგიერთი გვარიანად ძლიერიც იყო. სადილი ცხელი და სურნელოვანი ნაყენით დავამთავრეთ, რომლის შემდეგაც ყავა ნარეცხ წყლად მოგეჩვენებოდათ. მასპინძელმა ვერანდაზე გაგვიყვანა, რომელიც ტბას გადასცქეროდა. დაბალ კუშეტზე წამოწვა და ჩვენც გვანიშნა სხვა კუშეტებზე წამოვწოლილიყავით.

— ადმირალო, ფსიქოლოგია და ადამიანის საქციელზე დაკვირვება ჩემი სამხედრო განათლების ნაწილია, ამიტომ არ გამჭირვებია, იმის შემჩნევა, რომ ბევრმა რამემ გაგაოცათ და დაგშოკათ ჩვენში. არ დაგიმალავთ, ზოგმა თქვენმა საქციელმა მეც გამაოცა და მათმა ნაწილმა დამშოკა კიდეც, და ისიც შევამჩნიე, რომ თქვენც შენიშნეთ ეს. ოფიციალურად, მე არაფერი ვიცი თქვენი დავალების შესახებ და არც მეხება. თუმცაღა დიდი გონიერება არაა საჭირო მისახვედრად. ჩვენს სისტემაში თქვენი მოსვლის მიზანი იყო მისი დაზვერვა, რათა გაგეგოთ შესაძლებელი იყო თუ არა აქ დარჩენა; სწორედ მაშინ გადაეღობა ჩემი ერია თქვენს

ვარსკვლავთმფრენს. ხომ ასეა? დიახ? და როდესაც ნახეთ, რომ ადგილი უკვე დაკავებული იყო, იფიქრეთ, რომ ვინაიდან ჩვენ საერთო წინაპრები გვყავდა, მოგცემდით თქვენი პლანეტის ჩვენს სისტემაში განთავსების უფლებას. გაწბილებული დარჩებით, ადმირალო; თქვენ თუ არა თქვენი მთავრობა მაინც. ამის უფლებას ვერ მოგცემთ. წინასწარმეტყველება არ მჩვევია, მაგრამ არ შევცდები, თუ გეტყვით, რომ ჩვენი უზანაესი მეთაურის პასუხი იქნება ზრდილობიანი, მაგრამ საბოლოო უარი. ამ უარის მიზეზის ახსნა ჩემის საქმე არაა, მაგრამ თავს მოვალედ ვრაცხ ცოტაოდენი ცნობა მაინც მოგაწოდოთ. სამწუხარო იქნებოდა, ჩვენს მიწას თუ განრისხებულები დატოვებდით, რადგან ნებისმიერი სამხედროს დარად ვერც მე ვიტან ომს.

ბევრი რამ გაგაოცებთ ჩვენში: სავალდებული მრავალცოლიანობა, მოსამსახურეებისადმი ჩვენი მოპყრობა და თავად მათი არსებობა, აგრეთვე ის რომ ძალიან ძლიერი ჯარი გვყავს, მაშინ როცა, თქვენი არ იყოს, ჩვენი სისტემაც შემორაგვულია წინაღობით. თუ მართლაც ასეა, გაიხსენეთ დრუმები! ამ მოვლენათა უმრავლესობის საერთო პირველწყაროა კოსმოსური გამოსხივება.

ჩვენმა წინაპრებმა როდის დატოვეს დედამიწა თქვენი წელთაღრიცხვით?.. ჩვენი წელთაღრიცხვით 1-ელ წელს მეცნიერებას ჯერ კიდევ არ ძალედვა ამ გამოსხივებათა სრული შეჩერება. ყველაფერი რომ კარგად წარმართულიყო, ეს ნაკლი უმნიშვნელო იქნებოდა, ვინაიდან ეკიპაჟები კოსმოსში ძალიან ცოტა ხანს უნდა დარჩენილიყვნენ. მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც მოგეხსენებათ, ბედმა სხვანაირად ინება და ჩვენს წინაპრებს კოსმოსში ყოფნა ბევრად დიდ ხანს მოუხდათ, პლანეტიდან პლანეტაზე გადადიოდნენ და განიცდიდნენ კოსმოსურ გამოსხივებათა ზემოქმედებას. მოსახდენი მოხდა: გაჩნდა მუტაციები. დიახ, ადმირალო, მუტანტები ვართ. არც ორი თავი გვაბია, თუმც ასეთებიც იბადებიან იშვიათად, არც ორი გული გვაქვს და არც ტელეპათები ვართ. მუტაცია რომელიც მალევე იქცა დომინანტურად, საუბედუროდ, უფრო ვერაგიც გამოდგა. ტილიაზე საშუალოდ ერთი ბიჭი იბადება ექვს გოგოზე. ამით აიხსნება ჩვენი მრავალცოლიანობა.

მეორე მუტაცია, რომლისაგან ნაწილობრივ შევძელით თავის დაცვა უმკაცრესი გამიჯვნის გზით არის ყოველგვარ ინიციატივას მოკლებულ ადამიანთა სახეობის გაჩენა. ისინი მხოლოდ მოსამსახურეებად, ფერმებში მოჯამაგირეებად და საზარბაზნე ხორცად თუ გამოდგებიან. შერეული ქორწინების აკრძალვა აუცილებლობა იყო და არა ვიღაცის ახირება. ამ გამიჯვნამ შედეგად გამოიღო ადამიანთა ორ ჯგუფს შორის შუღლისა და უნდობლობის გაჩენა.

ჩვენ, მმართველი კლასი სრული უმცირესობა ვართ. შეგახსენებთ რომ დედამიწიდან გამოფრენილ ვარსკვლავთმფრენზე 12 მამაკაცი და 24 ქალი იყო. როდესაც ტილიაზე მოვიდნენ კიდევ უფრო ცოტა იყვნენ. მრავალი თაობის განმავლობაში, სანამ მრავალცოლიანობას შემოვიღებდით, ჩვენი მოსახლეობა თითქმის არ მატულობდა, თითქმის ხუთი მეშვიდედი უნაყოფო იყო. დანაშაულებებსა და აჯანყებებზე აღარას ვიტყვი.

გაჭირვებულ კაცს ქვა აღმართში დაეწევაო, რომ იტყვიან, ტრიისებმა ჩვენი მეზობელი პლანეტა კალებიდან კოსმოსური ფრენა აღმოაჩინეს. მათი ატომური რაკეტები ჩვენს კოსმოსმაგნიტებთან ახლოსაც ვერ მოვლენ, მაგრამ რაოდენობით ბევრად ჭარბობენ ჩვენებს და მათი ბომბებიც ისევე კლავენ ცოცხალ არსებებს, როგორც ჩვენები. ამითაა გამოწვეული ჯარისა და კოსმოსური ფლოტის აუცილებლობა.

— ჩვენ შევძლებდით თქვენს დახმარებას, — ვუთხარი მე. თქვენს ნათქვამში ვერაფერს ვხედავ ისეთს, რაც ხელს შეუშლიდა თქვენს სისტემაში ჩვენს დაბინავებას. შესაძლოა ჩვენმა გენეტიკოსებმა შესძლონ თქვენი მუტაციის აღმოფხვრა. რაც შეეხება ტრიისებს...

— მადლობა მომიხსენია, მაგრამ თქვენს წინადადებას ვერ მივიღებთ. საქმე იმაშია, რომ ვერ დაგრთავთ ჩვენს გენებზე მუშაობის ნებას. თქვენ ამბობთ, რომ გსურთ დაგვეხმაროთ? მჯერა თქვენი. მიუხედავად იმისა რომ ამის რისკი თითქმის ნულია, უზენაესი მეთაური ვერ წავა რისკზე, რომ მოგეცეთ ჩვენი ამოძირკვის საშუალება. მოგვიანებით, როცა სხვა ვარსკვლავთან დაბინავდებით და თუ იპოვით წინაღობის გადალახვის საშუალებას, სიამოვნებით მივიღებდით თქვენს დახმარებას. ახლა ვერა.

— თქვენი პლანეტა არ გვინდა, არაფერში გვარგია, ჩვენ დედამიწა გვაქვს და ვენერა კიდევ!

— უეჭველად მართალს ბრძანებთ, მაგრამ აქ ტილიასა და კალებს გარდა კიდევ სამ პლანეტაზეა სიცოცხლისათვის მეტ-ნაკლებად ხელსაყრელი პირობები. და არ გვსურს მათი გაყოფა. ამჟამად ჩვენი მოსახლეობა ძალიან სწრაფად იზრდება. თითოეულს სამიდან ექვსამდე ცოლი გვყავს, არ დაგავიწყდეთ, რომ ოჯახში ძის საყოლად საშუალოდ შვიდშვილიანი ოჯახია საჭირო.

— თქვენი მოსახლეობა ახლა რამდენია?

— უზენაესი მეთაური გიპასუხებთ ამაზე, თუ საჭიროდ ჩათვლის.

შემდეგ კირიოსმა ოსტატურად აარიდა თავი ჩვენს ყველა შეკითხვას პლანეტის შესახებ. დიდხანს გვესაუბრა ტრიისებთან ომის შესახებ. სიძულვილის გარეშე ლაპარაკობდა და სწუხდა რომ ურთიერთგაგება ვერ იქნა მიღწეული.

— არც ისე ცუდები არიან, ისე ამ ომში არც ჩვენ ვართ ბოლომდე მართლები. მათ ერთ-ერთ თანამგზავრზე მომხდარი გაუგებრობის გამო ერთმა ჩვენმა გენერალმა ერთი მათი ქალაქი გააცამტვერა.

— რას ჰგვანან ტრიისები? — ჰკითხა კელბიკმა.

— ჰუმანოიდები არიან. ადამიანის ფორმა ცოტაოდენი ცვლილებებით საკმაოდ გავრცელებული ჩანს სამყაროში. ჩვენს წინაპრებს თავიანთი მოგზაურობის განმავლობაში ათიოდ პლანეტაზე შემოხვდომიათ ჰუმანოიდები. ტრიისები მაღლები არიან, თქვენზე მაღლები, ადმირალო, ყვითელი კანი აქვთ... თუ გსურთ, შემიძლია განახოთ. ტყვეთა ბანაკი ახლოსაა.

გვიანობამდე ვიმასლაათეთ აქეთურსა და იქეთურზე. მეორე დღეს კირიოსმა ქალაქში წაგვიყვანა უზენაეს მეთაურთან შესახვედრად.

სამთავრობო სასახლე ერთობ შთამბეჭდავი იყო, თეთრი სვეტებით გარშემორტყმული დაბალი, მაგრამ ვრცელი ნაგებობა იყო. ათიოდე საგუშაგო გავიარეთ, კირიოსის სიტყვებით, ეს ომით იყო გამოწვეული, რადგან არ იყო გამორიცხული ტრიისების დესანტი. მზირების მიერ დაცული გაუთავებელი დერეფნების გავლის მერე, როგორც იქნა ტილიის მბრძანებლის სამუშაო ოთახში შევაღწიეთ. გრძელი და ნათელი ოთახი იყო, იატაკი ყვითელი ხისა იყო, კედლები ეკრანებისა და წიგნების წყებებით იყო დაფარული. ოთახის ბოლოში, მუქი ხის უბრალო მაგიდასთან ვიღაც კაცი მიკროფონში სწრაფად ლაპარაკობდა. კირიოსი, რომელიც წინ მიგვიძღვოდა, შედგა და მიესალმა. მამაკაცმა თავი ასწია.

მოწიფული მამაკაცი იყო, მაგრამ ახალგაზრდობა უკვე უკან მოეტოვებინა. ნიკაპი თავის თეთრ ხელს დააყრდნო და შემოგვხედა. ნაოჭებით დაღარული მაღალი

შუბლის ქვემოდან მუქი გამჭოლი თვალები გვიცქერდნენ. კიდეებჩამოწეული მომუწული პირი სახეს მელანქოლიურ იერს აძლევდა.

— დაბრძანდით, ბატონებო.

ტკბილი, ოდნავ დაღლილი ხმა იყო.

— სამწუხაროდ ძალიან ცოტა დრო მაქვს, ამიტომ მოდით ნუ დავკარგავთ ნურცერთ წამს. თქვენი ორი პლანეტითურთ ჩვენს სისტემაში დაბინავების უფლების სათხოვნელად ხართ მოსულები, ხომ? არ შემიძლია ამ უფლების მოცემა.

ხელი მაღლა ასწია და კელბიკს არ აცალა პროტესტის გამოთქმა.

— მერწმუნეთ, ძალიან ვწუხვარ. ვწუხვარ იმასაც, რომ ვერ მოვინახულობ დედამიწას, რომელიც ჩვენთვის ტკბილი ლეგენდა იყო.

ნახევარი ათასწლელულის შემდეგ კაცობრიობის ერთმანეთისაგან მოწყვეტილი ორი შტო ერთმანეთს პირველად ხვდება. ნეტავ იცოდეთ, როგორ მსურს გულით მოლხენა! მაგრამ ჩემს პოლიტიკურ და სამეცნიერო მრჩევლებთან მოთათბირების შემდეგ, იძულებული ვარ უარი გითხრათ. მილონასმა მაცნობა თქვენი წინადადება დახმარების შესახებ, მაგრამ მისი უარყოფაც ვალად მაძევს. არა მგონია, მოისურვოთ ჩვენი განადგურება, მაგრამ როგორც ჩემი ხალხის წინამძღოლს, არ მაქვს ასეთი რისკის გაწევის უფლება.

— თუ დაგპირდებით რომ დედამიწასა და ვენერაზე დავრჩებით?

— ეჭვიც არ მეპარება, რომ რამდენიმე წლის ან საუკუნის განმავლობაში დაიცავთ ამ პირობას. მაგრამ შემდეგ? კაცი კაცია, დიდი ხნით მისი შეჩერება არანაირ შეზღუდვას არ ძალუძს. რაც არ უნდა სასტიკად მოგეჩვენოთ ჩემი გადაწყვეტილება, დარწმუნებული ვარ, იგი ერთადერთი შესაძლებელი და საუკეთესო გადაწყვეტილებაა, სხვათა შორის, თქვენთვისაც. ჩვენი ცივილიზაციები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, მიუხედავად იმისა, რომ თქვენი უფრო წინწასულია, ჩვენ მაინც ჩვენი გვირჩევნია, იმიტომ რომ ჩვენია. გაიხსენეთ ერთობილობამდელი დედამიწის ომები. ხელახლა გინდათ ამის დაწყება?

— ცხადია, არა. მაგრამ ზედმეტად პესიმისტი ბრძანდებით.

— არა. მომავლის განჭვრეტას ვცდილობ. ამჟამად პრობლემები არ გვექნებოდა. მით უმეტეს თქვენ. ტრიისების დამაცხებაშიც დაგვეხმარებოდით. ვინაიდან ჩვენ არ გვსურს ტრიისების ამოწყვეტა, და დარწმუნებული ვარ, არც თქვენ ისურვებთ ამას, ადრე თუ გვიან თქვენი მოსახლეობის მრავალრიცხოვნობის გამო მოგიწევთ სხვა პლანეტების ათვისება. ხოლო როდესაც ჩვენც თავს მჭიდროდ ვიგრძნობთ ტილიაზე, მუტაციის გამო თავსმოხვეული საზოგადოებრივი წყობის გამო კი ამას დიდი დრო არ დასჭირდება, ჩვენთვის აღარსად იქნება ადგილი.

— კი მაგრამ ასეთი პრობლემა ხომ უკვე გაქვთ ტრიისებთან...

ხელი უძლურად გაიქნია.

— ეგ მეც კარგად ვუწყი. და ეს ომიც სწორედ მაგის შედეგია.

— კიდევ რამდენი საუკუნე უნდა ვიხეტიალოთ ამ წკვარამ სიცარიელეში?

— ორი არჩევანი გაქვთ: ამოგვწყვიტოთ თუკი შესძლებთ, მაგრამ ძალიან მეეჭვება, რომ ეს გსურდეთ, ცხადია, თუკი დედამიწა მთლიანად არ შეიცვალა ჩვენი წინაპრების გამომგზავრების შემდეგ, ან წახვიდეთ მეზობელი ვარსკვლავისაკენ, რომელიც სულ რაღაც ორ სინათლის წელშია.

— სამწელნახევარი, — ჩუმად ამოიგმინა კელბიკმა. ჩვენი ხალხი გადაიღალა მიწისქვეშა ცხოვრებით. ვეცდებით დავითანხმოთ ამ დამატებით ვადაზე. მაგრამ დავითანხმებთ კი? დაუყოვნებლივ ამოჟლეტის რისკზე მიდიხართ შორეული

რისკის თავიდან ასაცილებლად. ვინ იცის, ვარსკვლავთშორისი მოგზაურობის საიდუმლოების ამოხსნა იქნებ იმაზე ბევრად უფრო ახლოა, ვიდრე გვგონია.

— მერწმუნეთ, არ მინდა ომი, — გვითხრა ტილიის მბრძანებელმა. მაგრამ თუ ომში ჩაბმა მოგვიწია, არ გეგონოთ რომ გამარჯვება ადვილად გერგებათ. ჩვენ ბევრად ცოტანი ვართ, მაგრამ ტრიისებს აგერ უკვე 50 წელია ვებრძვით. მილონასს თქვენი ხომალდი შეიძლება ისე გაენადგურებინა თავდასაცავად თითის განძრევაც კი ვერ მოგესწროთ. ოჰ! თქვენს მოხერხებულობაში ეჭვი არ მეპარება, ადმირალო. მაგრამ, ოდესმე გიბრძოლიათ კოსმოსში?

— არა, კელბიკ, — ვთქვი. — ტილიელებს ომს არ გამოვუცხადებთ, ეს შენც კარგად იცი.

— აბა, რაღა დაგვრჩენია? ბელული? რამე ცნობები ხომ არ გაქვთ მის შესახებ?

— დიახ, ბელულს ჩვენ ელსენს ვეძახით, ჩვენი უახლოესი მეზობელია. უკვე გავამზადებინე ბელულის შესახებ ყველა დოკუმენტის ასლი. თუმც უნდა გაგაფრთხილოთ. უეჭველია, რომ სისტემა დასახლებულია, რადგან ერთ-ერთმა ჩვენმა კოსმომაგნიტომფრენმა, რომელიც წინაღობის სიახლოვეს დაფრინავდა ჩაიჭირა ტალღები. და ვინაიდან შეტყობინება გასაგები იყო, სავარაუდოა, რომ იგი სხვა ვარსკვლავთმფრენის შთამომავლებისაგან მოდიოდა და რომ მათი ცივილიზაცია მტრულია. ძალიან თავხედური გაფრხილება იყო, რომ არ გადაგველახა წინაღობა.

თუ მაინც მისკენ გაეშურებით, იცოდეთ, ელსენის სისტემაში თოთხმეტი პლანეტაა და რამდენიმე მათგანი სიცოცხლისათვის ვარგისი უნდა იყოს. ჩვენი იარაღის ნახაზებსაც მოგაწვდიდით...

გაიცინა.

— ცხადია, ამ ნახაზებს ისეთ ზანდუკში გამოვკეტავდით, რომელთა გახსნაც გარკვეული დროის განმავლობაში შეუძლებელი იქნებოდა ნახაზების განადგურების გარეშე.

— ცდებით, ასე უნდობლად რომ გვიყურებთ, — ვუთხარი. მზად ვართ ახლავე მოგცეთ ნებისმიერი სასარგებლო ცნობა ჩვენი იარაღის შესახებ.

— თქვენ შეგიძლიათ თქვენს თავს მისცეთ ამის უფლება. ტილიას დაპყრობა თუმც კი ძვირი დაგიჯდებოდათ, მაინც შესძლებდით. ჩვენ კი დედამიწის დაპყრობას თქვენივე იარაღის დახმარებითაც კი ვერ შევძლებდით. თქვენ ძალიან ძლიერები და მრავალრიცხოვანი ხართ. მაინც მადლობა მომიხსენებია ნდობისათვის და ვიღებ თქვენს წინადადებას. და თუკი მომავალში ვარსკვლავთშორისი მოგზაურობა შესაძლებელი გახდება, ტილიელთათვის დედამიწელები ყოველთვის მოყვარეები იქნებიან... თუკი მოყვარედ გვესტუმრებიან! — მიუხედავად იმისა, რომ ასე ცოტას გაძლევთ, გავკადნიერდები კიდევ ერთ რამეს გთხოვთ.

— ბრძანეთ.

— თქვენი იმ ტექნიკური წიგნებისა და ლიტერატურული ნაშრომების ასლები გვინდა, რომელთა წამოღებაც ჩვენმა წინაპრებმა ვერ შესძლეს.

— სიამოვნებით მოგცემთ.

— ვიანიდან გულუხვობით ვარ შეპყრობილნი, თქვენ ჩემზე ბევრად მეტად, შევეცდები ოდნავ მაინც ავანაზღაურო ეს ფასდაუდებელი საბოძვარი. ჩვენი ტექნიკური და ლიტერატურული ნაშრომების მოცემის გარდა, რაც არაფერია თქვენს საჩუქართან შედარებით, კოსმოსურ ბრძოლებში გამოწრთობილ რამდენიმე ოფიცერს გამოგაყოლებთ. ჰო, ვიცი. ალბათ ვეღარასოდეს დაბრუნდებიან ტილიაზე,

ამიტომ ოჯახებით წამოვლენ. ნუ უარყოფთ. დარწმუნებული ვარ, გამოგადგებიან. მილონასი შესძლებდა მათ მეთაურობას.

მილონასს შევხედე. თვალებგაბრწყინებულმა რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგა:

— თქვენო ბრწყინვალებავ, ამაზე ოცნებასაც კი ვერ გავბედავდი.

— რა, თანახმა ხართ სამუდამოდ მიატოვოთ თქვენი მშობლიური პლანეტა? — ჰკითხა კელბიკმა.

— მე იმ ვარსკვლავთმფრენის მეთაური ვიყავი, ვინც იმ უცხოთა გაფრხილება მიიღო. ძალიან არასასიამოვნო იყო. მისი გამომგზავნისათვის ზრდილობის ახსნაზე უარს არ ვიტყოდი. ამას გარდა, გუშინ საღამოს თქვენთან საუბარმა მაფიქრებინა, რომ ვარსკვლავთშორისი ფრენების საიდუმლოების ამოხსნასთან ახლოს უნდა იყოთ. შევცდი ნუთუ? თუმც რა მნიშვნელობა აქვს ამას?!

კელბიკს გადავხედე და სწრაფად მივიღე გადაწყვეტილება.

— იყოს ეგრე. თანახმა ვართ. მაგრამ ვინაიდან ორი დახმარება ერთზე უკეთესია, დედამიწისა და ვენერას გეზს შესაცვლელად საჭირო ორი თვის მანძილზე დაგვრთეთ ნება დაგეხმაროთ ტრიისების წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს ჩვენს მეომრებს საჭირო გამოცდილებას შესძენს.

— გმადლობთ. ადმირალო, და თქვენც, ბატონო ჩემო, ნახვამდის, ალბათ. კირიოს მილონასი მიხედავს პრაქტიკულ საკითხებს.

ჯერ გასულებიც არ ვიყავით, რომ ტილიის მბრძანებელი თავის მიკროფონს მიუბრუნდა და ბრძანებების გაცემა განაგრძო.

თავი მეორე

მეორე მოგზაურობა

მომდევნო რამდენიმე დღე სამხედრო მეთაურებთან თათბირებში გავატარეთ და ჩვენს მომლოდინე კლინგანს დავუბრუნდით.

საბჭო ყოველგვარი გართულების გარეშე დაეთანხმა ჩემს მიერ ნაკისრებ პირობებს და დიდმა გეოკოსმოებმა დედამიწისა და ვენერის ტრაექტორიები შეცვალეს. ჩემი შიში არ გამართლდა და მოსახლეობამ ყოველგვარი უკმაყოფილების გარეშე მიიღო ჩვენი გადაწყვეტილება, როგორც კი გაიგო, რომ მეორე არჩევანი ადამიანებთან ომი იყო.

ტრიისების წინააღმდეგ ომში მონაწილეობა არც მე მიმიღია და არც კელბიკს. ტილიიდან დაბრუნებისთანავე ლაბორატორიაში გამოიკეტა და კვლევა განაგრძო. ერთი კვირის თავზე მთხოვა, მენახა და ვინაიდან ყველაფერი კარგად იყო, ჩემი ძალაუფლება რამდენიმე დღით ჰელინს გადავულოცე.

კელბიკი აჭრელებული ფურცლებით დახუნძლულ ხის მაგიდაზე თავდახრილი დამხვდა — ვერ იტანდა ლითონისა და პლასტმასის მაგიდებს. ერთი დასტა ამოირჩია და გამომიწოდა.

— წაიკითხე და შენი აზრი მითხარი.

ქაღალდები გამოვართვი, მაგიდის კიდეზე ჩამოვჯექი და კითხვას შევუდექი. ცოტა ხანში უფრო მოხერხებული დასაჯდომი მოვიძიე, მაგიდას მივუახლოვე, სუფთა ფურცლების დასტა მოვიმზადე და გამოთვლებს შევუდექი. მიჭირდა მისი გამოთვლების გაგება და კელბიკს ადრევე რომ არ აესხნა თავისი ანალიზი, ჩემით ვერასოდეს გავიგებდი. ამგვარადაც კი ძნელი გასაგები იყო და მრავალი საათი დამჭირდა დასამთავრებლად. გაოცებულმა შევხედე ჩემს მეგობარს:

— კელბიკ, აცნობიერებ რომ დროის სრულიად ახლებურ თეორიას აყალიბებ? სხვათა შორის, ერთობ მომხიბლავს. დროის წარმოჩენა პოლარიზებულ ოთხგანზომილებიან ნაკადად... გრიოკს ვფიცავარ, განტოლება შექცევადია! რაც იმას უნდა ნიშნავდეს რომ... დროში მოგზაურობა შესაძლებელია.

— დიახ. მაგრამ ეს არაა ახალი ამბავი. თუ ჩვენს მეგობარ არქეოლოგ ეუკის ვენდობით, ეს დამტკიცებულ იქნა ჯერ კიდევ ბნელი საუკუნეების წინ, შესაძლოა თვით გამყინვარებებამდეც კი, ვინმე უერსად თუ უელსად წოდებული ფიზიკოსის მიერ, რომელსაც ხანდახან მოიხსენებს კილნ ზეგარდმონათებული. მაგრამ მე ეს ლეგენდა უფრო მგონია, თორემ აბა როგორ დაამტკიცებდა თავის თეორიას? დროის შესახებ ასეთი წარმოდგენა ხომ კოსმომაგნეტიზმზე ფუნდამენტალურ განტოლებებს ეფუძნება?

— კი მაგრამ ვინ იცის რა დონეს მიაღწია პირველი ცივილიზაციის კაცობრიობამ? მარსის ათვისება ხომ შესძლეს და ვენერამდეც ხომ მიაღწიეს. შეიძლება უბრალო ალღო იყო და მეტი არაფერი. მოიცა, მოიცა... ახლა რომ ვუყურებ, ეს განტოლება რაღაც ძალიან მეცნობა. ცხადია, ეს ხომ ჰეკის ტალღების გავრცელების განტოლებაა, ოდნავ უფრო გართულებული, რადგან დრო მასში ოთხგანზომილებიანია

ერთგანზომილებიანის ნაცვლად. ალბათ ამით თუ აიხსნება ის, რომ უფრო სწრაფად ვრცელდებიან ჩვენს სივრცეზე ერთი რიგით უფრო მაღალ კონტინუუმში. შეიძლება ითქვას, რომ ფიზიკის ერთი საიდუმლო ამოიხსნა. მომილოცავს, კელბიკ. დიდი აღმოჩენა გააკეთე. ამოსავალი იდეა რამ გაგიჩინა?

— იმან რომ ტილიელთა ქალაქი რჰენი ამოიცანი მეორე მარსულ ფოტოზე.

პირდაფჩენილი მივაცქერდი.

— არადა ძალიან მარტივია. ეს ქალაქი 300 წელზე უფრო ძველი არ არის. მარსელები იმაზე ბევრად უფრო ადრე ამოწყდნენ, ვიდრე პირველი ცილიზაციის ადამიანები მარსს მიაღწევდნენ. სურათი რომ გადაუღო იმას, რაც ასეულობით ათასი თუ მილიონი წლების მერე იარსებებს, დროში მოგზაურობა უნდა შეგეძლოს. მარსელთა ვარსკვლავთმფრენი ვერ შესძლებდა ტილიასთან მოფრენას წინაღობის გამო. ვერც ზესივრცით შეძლებდა, ვინაიდან უკან დასაბრუნებელი გზის მონახვა გაუჭირდებოდა. მიუხედავად ამისა, მასზე მაინც იდგა ზესივრცული მოწყობილობა. ამის გამო მასზე დამონტაჟებული მძლავრი კოსმომაგნიტური ძრავა, თეორიულად, სრულიად უსარგებლო უნდა გამხდარიყო. ახლა ხვდები?

— არა.

— თანაც იქ რაღაც ისეთი სისტემაცაა რომელიც წესით დროზე უნდა ზემოქმედებდეს. არც ეს მიგანიშნებს რამეს?

— ამიხსენი, დაგლახვროს ტრილმა!

— მაშ ასე. გვაქვს ვარსკვლავთმფრენი, რომელიც, როგორც ამას მოწმობს უცხო პლანეტურ სისტემათა მრავალი სურათი, ბევრს მოგზაურობდა; გვაქვს აგრეთვე: 1) კოსმომაგნიტური ძრავა; 2) ზესივრცული დანადგარი; 3) წრედი რომელიც დროზე უნდა ზემოქმედებდეს, სრულიად აშკარაა რომ სამივე დანადგარი აუცილებელია ვარსკვლავთშორისი მოგზაურობებისათვის. წინაღობის გადალახვის სხვადასხვა ხერხი არსებობს, ჰაურკ. მისი გარღვევა ან ზემოდან შემოვლა არ შეგვიძლია. მაგრამ შეგვიძლია მისი გავლა სანამ იგი გაჩნდება ან მას მერე რაც იგი გაქრება.

უცებ ყველაფერი ნათელი გახდა ჩემთვის.

— შენი აზრით, გალაქტიკური დრეიფი გამოიყენეს?

— ან უბრალოდ ვარსკვლავთა მოძრაობა. კარგად დამიგდე ყური. ვარსკვლავს გარს არტყია მთვარეზე უფრო მსუბუქი სხეულებისათვის გადაულახავი წინაღობა. მაგრამ იგი ვარსკვლავსაა მიბმული. წარმოიდგინე კოსმომფრენი ამ წინაღობის წინ. დროში ერთი ნახტომი კმარა იმისათვის, რომ იგი ჯერ არ იყოს ან უკვე აღარ იყოს. ცხადია ამას დიდი ენერგია დასჭირდება, მაგრამ არც იმდენი, რომ კარგმა კოსმომაგნიტმა ვერ გამოიმუშავოს.

— ზესივრცეს რაღა დანიშნულება აქვს შენს მსჯელობაში?

— შენ ყურადღება არ მიგიქცევია მილონასის ნათქვამისათვის იმის შესახებ, რომ ისინი წარმატებით იყენებენ ზესივრცულ ფრენას თავიანთი წინაღობის შიგნით. გართულებები წინაღობის გადალახვის მერე იწყება. და ეს საკვანძო საკითხია. როგორც ეტყობა წინაღობა ზესივრცეშიც ვრცელდება და უეჭველად მისი ზეგავლენა იწვევს ძრავების არევას და ვარსკვლავთმფრენს მიმართავს ცხრა მთას იქით. არადა ზესივრცული ფრენის გარეშე ვარსკვლავშორისი მოგზაურობა მოუხერხებელია დიდი ხანგრძლივობის გამო. მე ასე წარმომიდგენია მარსელთა ტექნიკა: ზესივრცეში ნახტომი წინაღობამდე მისასვლელად, დროში ნახტომი მის გადასალახად, კიდევ ერთი დროითი ნახტომი საწყის დროში დასაბრუნებლად მას მერე რაც კოსმომაგნიტების დახმარებით ხომალდი მოშორდება წინაღობას, შემდეგ მორიგი

ზესივრცული ნახტომი საკვლევ სისტემამდე და ბოლოს კოსმომაგნიტები დასაფრენად. ხანდახან მეორე დროითი ნახტომის გარეშე. როდესაც ყველაფერი უცნობია, დროის ნებსიმიერი მონაკვეთი ერთნაირად საინტერესოა.

— ცხადია, და მარსული ფოტოებიც ამით აიხსნება. კი მაგრამ რა საჭიროა დროში ამხელა ნახტომი? სულ მცირე, ნახევარი მილიონი წელი თუ ბევრად ამაზე მეტი არა.

— ეტყობა ყურადღება არ მიგიქცევია იმისათვის, რომ ჩემი განტოლებები დაკვანტულია. წარმოდგენაც კი არ მაქვს დროის კვანტის შესახებ, შეიძლება იგი ძალიან დიდია, ან იქნებ ერთ ჯერზე მხოლოდ x რაოდენობის კვანტზე ზემოქმედებაა შესაძლებელი.

— ვითომ დრუმებიც ასე იქცეოდნენ?

— მაგას ვერასოდეს გავიგებთ. დროა თეორიიდან მის ხორცშესხმაზე გადავიდეთ, ამისათვის კი ზოგიერთი პრობლემის გადაჭრაა საჭირო.

გაფიცხებული მუშაობის თვეები დაგვეწყო. ლაბორატორიაში ჩაკეტილები ვცხოვრობდით, ირგვლივ ჩვენი თანაშემწეები გვერტყა და თითქმის არაფერი ვიცოდით გარესამყაროს შესახებ. საბჭომ ძლივს შესძლო ჩემი დათანხმება, რომ, როდესაც ჩვენმა პლანეტებმა გეზი ბელულისაკენ აიღეს, მეორედ გამგზავრების სადღესასწაულო ცერემონიისათვის მეხელმძღვანელა. მხოლოდ მაშინღა შევიტყვე, რომ ჩვენ დახმარების წყალობით, ტრიისებთან ომი თითქმის დამთავრებული იყო. ცერემონიის დამთავრებისთანავე კელბიკსა და ექსპერიმენტული ნიმუშის მონახაზს დავუბრუნდი.

წინასწარი შედეგები უკვე გვქონდა, როცა უზენაესი გამრიგის თანამდებობაზე დაბრუნება მომიხდა, დედამიწა და ვენერა წინაღობას უახლოვდებოდნენ.

სამუშაო მაგიდაზე დაგროვებულ მოხსენებებს გავეცანი. ჩვენი სამხედრო ფლოტი კირიოს მილონასისა და მისი თანმხლები ტილიელი ოფიცრების ხელმძღვანელობის ქვეშ ინტენსიურად იწვრთნებოდა. იარაღის წარმოება საჭიროზე მეტად იყო გაზრდილი. ამის გამო კირიოსი და ჰელინი დავიბარე.

— კირიოს, გულწრფელად ფიქრობთ, რომ მთელი ეს შეიარაღება დაგვჭირდება? ხომ კარგად იცით, რომ შემდეგ მზის სისტემაში თუ ადამიანები დაგვხვდებიან მათ ისევე არ ვეომებით, როგორც თქვენ არ გეომეთ.

ცოტა ირონიულად გაიღიმა.

— იმისათვის რომ არ იომო, ორივე მხარის სურვილია საჭირო, ჰაურკ. მე კი მხოლოდ ის ვიცი, რომ ბელულის სისტემაში ადამიანები არიან და ისინი უკიდურესად მტრულად არიან განწყობილნი.

— იქნებ თქვენი კოსმომფრენი დრუმების აპარატში აერიათ?

— ეჭვი მეპარება! ცოცხლად ტყავის გაძრობით დაგვემუქრნენ. დრუმებს ამას არ ეტყოდნენ, მათ ხომ ტყავი არ აქვთ. სიმართლე რომ ითქვას, დრუმებს საერთოდ არაფერს ეტყოდნენ.

— თქვენ რა უპასუხეთ?

— არაფერი. კავშირი მუქარის წარმოთქმისთანავე გაწყვიტეს და ჩვენს პასუხს ვერ გაიგებდნენ. მათი გადამცემი ჩვენსაზე ბევრად უფრო მძლავრი იყო, ვინაიდან გადაცემამ სულ მცირე ორმოცდაათი მილიონი კილომეტრიდან მოაღწია. არა, ჰაურკ, ბრძოლა მოგვიწევს და ისეთ მტერთან მოგვიწევს ბრძოლა, რომელიც უკან არ დაიხევს.

— თავი რომ ავარიდოთ ამ სისტემას?

— ფსიქოლოგიურად შეუძლებელია, — სიტყვა აიღო ჰელინმა. ტრილები, ისევე

როგორც ტექნების უმრავლესობა გადაიღალა თხუნელასავით სოროში ცხოვრებით. ვერ დაგპირდებით, რომ არ აჯანყდებიან. ჰაურკ, ადამიანი ტერმიტი არაა. ტექნმა კიდევ შეიძლება აიტანოს, თუ მიზანი ამას ამართლებს. მაგრამ ტრილები? იმედი ვიქონიოთ, რომ დამხდურები მტრულად არ იქნებიან განწყობილნი და მოგვცემენ მათი მზის გარშემო დაბანაკების უფლებას. თუნდაც რამდენიმე ათწლეულის მანძილზე, სანამ მხნეობას ხელახლა მოვიკრეფდეთ.

— მორალი ასე დავარდნილია, ჰელინ?

— იმაზე უფრო მეტად, ჰაურკ. ვიდრე თქვენ კელბიკთან ერთად მუშაობდით, ორი ამბოხება ავიცილეთ თავიდან. ოჰ! დიდი არაფერი, სისხლი არ დაღვრილა, უბრალო გაფრთხილება იყო. და ტრიისებთან საომრად გასაოცრად ბევრმა გამოთქვა მოხალისეობა. საჭიროზე ათჯერ მეტი იყო. ადამიანები სიხარულით რისკავდნენ თავიანთ სიცოცხლეს ოღონდ კი ფეხი დაედგათ ტილიასა თუ კალებზე, დაენახათ მზე, განეცადათ ბუნებრივი დღე და ღამე, ებანავათ მდინარეში... ამით ვისარგებლეთ და ვარსკვლავმფრენების ბევრი ეკიპაჟი გავწვრთვენით შენაცვლებით. დარწმუნებული ვარ, ერთ დღეს გამოგვადგება.

— გგონიათ რომ ხალხი დასთანხმდება ომს?

— დარწმუნებული ვარ. მესამე დიდ მწუხრს ყველაფერი ურჩევნია! გუშინ კირიოსის ერთ-ერთი თანმხლების გავლისას ერთ დამახასიათებელ აზრს მოვკარი ყური: საწყენია, ასეთი კარგი ხალხი რომ აღმოჩნდაო.

— ასეთი თვინიერები ომის შემთხვევაში როდი ვიქნებოდით?

— სიველურეში ასეთი დაბრუნება მაშასადამე შესაძლებელია? — ვიკითხე.

— ეჰ, ჰაურკ, ჩვენ სიველურეს დავუბრუნდით ძალით და სიამოვნების გარეშე, მაგრამ საკმაოდ მოხერხებულად, — მიპასუხა კირიოსმა. და თუ მართალია ის, რაც ბედისწერელთა აჯანყების და მისი ჩახშობის შესახებ მოვისმინე, ვგონებ, რომ თუ საჭიროება მოითხოვს, ველური თქვენშიც საკმაოდ სწრაფად იჩენს თავს, ჰაურკ აკერანო! მენდეთ, ისევე როგორც ნებისმიერ ნამდვილ ჯარისკაცს, არ მიყვარს ომი. ჩვენში ისეთი ვითარება იყო, რომ ახალგაზრდობის დიდი ნაწილი მომაკვდინებელ მანქანად იქნა გარდაქმნილი. მეც მათ რიცხვს ვეკუთვნი, არადა ასტრონომის უშფოთველ სიცოცხლეზე ვოცნებობდი. ჰეკლანს გეფიცებით, თუ ისევ ცოცხალი ვიქნები, როდესაც დედამიწა საიმედო ორბიტაზე დაიბუდებს, ამ ოცნების განხორციელებას შევეცდები. მაგრამ ჯერ ჩემი ჯარისკაცობაა აუცილებელი. ჩემმა უფროსმა რომელსაც ალბათ ვეღარასოდეს ვნახავ, მიბრძანა დედა-პლანეტის სამსახურში ჩადგომა და სანამ მას რამე ემუქრება, ამ ბრძანებას დავემორჩილები და მოვკლავ ვისაც საჭიროა სინდისის ქენჯნისა და სიხარულის გარეშე. რამეთუ მე, ველურს, მსურს, რომ ადამიანთა ცივილიზაცია დღეგრძელი იყოს!

— თუ გიბრძანებდით რომელიმე პლანეტაზე უმიზეზოდ თავდასხმას?

— მეთაური ბრძანდებით. დაგემორჩილებით, ვინაიდან ჯარისკაცად ვარ აღზრდილი, მხოლოდ სინდისი დამქენჯნის. მაგრამ ვიცი, რომ ასეთ რამეს არასოდეს ჩაიდენთ. ტილიაზე ჩემს უფროსს რომ თქვენ უსამართლოდ მიეჩნიეთ, მე დღეს აქ არ ვიქნებოდი.

— მართალი ხართ, კირიოს, მსგავსი რამ არ მოხდება.

იმ საღამოს კირიოსმა ჩვენთან ივახშმა. თავისი ცოლები ტილიაზე დატოვა და ამიტომ მარტოხელა ცხოვრობდა, ვგონებ ამით კმაყოფილიც კი იყო. ცოტა ხნის წინ დაქორწინებულა კანონის დასაცავად და შვილები ჯერ არ ჰყავდა. თავისი ასკეტური ბავშვობისა და იარაღში სასტიკი წვრთნის შესახებ მოგვითხრო. არც ის დაუმალავს

რომ ღამეებს ვარსკვლავების ჭვრეტაში ატარებდა. მისი მათემატიკური ცოდნა საკმაოდ ღრმა იყო და მე და კელბიკი მოგვიანებით განცვიფრებულები დავრჩით, როდესაც მან ადვილად შესძლო ჩვენეული აღრიცხვების საფუძვლების ათვისება. დედამიწისათვის უეჭველად კარგი შენაძენი იყო.

მომდევნო თვეებში ჩვენი ურთიერთობა მეგობრობაში გადაიზარდა და კირიოსი მალე ჩვენი ლაბორატორიის მუდმივი სტუმარი გახდა. იმის გამო რომ უცხო ცივილიზაციის ნაშიერი იყო, ხშირად მოულოდნელი რეაქციები ჰქონდა, ხან სასაცილო, ხანაც სასარგებლო. ვერაფერით იგებდა როგორ გავრისკე ჩემი სიცოცხლე მე, უზენაესმა გამრიგემ, თავის ხალხთან პირველი ურთიერთობის დროს.

— რომ გამენადგურებინეთ?

— ეს მეორადი მნიშვნელობის ამბავი იქნებოდა, კირიოს, — მშვიდად მივუგე. — ცხადია დედამიწისათვის და არა ჩემთვის. საბჭო სხვა გამრიგეს დანიშნავდა და ყველაფერი გაგრძელდებოდა...

— ანუ თქვენ თვლით რომ ადამიანების ურთიერთჩანაცვლება შეიძლება?

— ცხადია, არა. მაგრამ არავინაა შეუცვლელი. თქვენი ცივილიზაციისაგან განსხვავებით ჩვენი ცივილიზაცია არაა დაფუძნებული მეთაურის ცნებაზე. სამეცნიერო თვალსაზრისით კელბიკის დაღუპვა უფრო დიდი დანაკარგი იქნებოდა, ვიდრე ჩემი, რამეთუ დიდი ხნის წინ შევეშვი სერიოზულ სამეცნიერო მუშაობას და, თუ გამრიგედ დავრჩი, სამაგისო დრო არც არასოდეს მექნება.

— კი მაგრამ, პირადი ერთგულება?

— ისეთ რთულ ცივილიზაციაში, როგორიცაა ჩვენი, პირადი ერთგულება არ არსებობს და არც უნდა არსებობდეს; დარწმუნებული ვარ, დროთა განმავლობაში თქვენი ცივილიზაციაც იმისაგან ბევრად განსხვავებული იქნება რაც დღესაა. თქვენს წინაშე მდგომი გამოწვევებისა და ახალი პლანეტის ათვისებით განპირობებული სირთულეებისათვის თავის გასართმევად და მოგვიანებით ტრიისების გამოჩენას თქვენ გაეცით ერთადერთი შესაძლო პასუხი — შეჰქმენით მეთაურის ირგვლივ შემომტკიცებული ცენტრალიზებული ცივილიზაცია. შეგეძლოთ კოლეგიალური ტიპის მთავრობის შექმნაც, მაგრამ ბედისწერელეთა ამბოხებისას შეძენილი ჩემი გამოცდილება მაფიქრებინებს, რომ კრიზისულ ვითარებაში მრავალპიროვნული ხელმძღვანელობა ნაკლებად ქმედითია. ჩვენი შემთხვევა სრულიად განსხვავებულია. სრულიად აშკარა მიზეზების გამო, დედამიწაზე დიდი ხნიდან მოყოლებული ერთიანი მთავრობა არსებობს, მაგრამ ჩვენი საზოგადოების სირთულე განაპირობებს მის იერარქიულობასა და კოლეგიალურობას. ვენერა თითქმის დამოუკიდებელია და ასეც სჯობია, რამეთუ აქედან სხვა პლანეტის მართვას ვერ შევძლებდით. ერთადერთი უზენესი ხელისუფლება მეუფეთა საბჭოს ეკუთვნის, იგიც კოლეგიალურია და იგი უფრო დარწმუნების მეთოდებით მოქმედებს ვიდრე ბრძანების. რაც შემეხება მე, საბჭოს სახელით დანიშნული დროებითი დიქტატორი ვარ კრიზისის განმავლობაში და ერთადერთი მოვალეობა მაკისრია: დიდი მოგზაურობის უზრუნველყოფა და წარმართვა. თუ ოდესმე მიმიღია გადაწყვეტილება საბჭოსთან მოთათბირების გარეშე, ამის მიზეზი ან დროის უქონლობა იყო გადაუდებელ ვითარებებში, ან ის რომ ეს გადაწყვეტილებები ჩემს უშუალო ამოცანას ეხებოდნენ; სწორედ ამიტომ მივიღე, მაგალითად, ფანატიკოსების ამოჟლეტის გადაწყვეტილება, როდესაც ისინი №2 გეოსკოსმოს აფეთქებას ლამობდნენ.

სწორედ ამიტომ, თუ რასაც ვშიშობთ ის მოხდება, და ბელულის სისტემაში ომში

ჩართვა მოგვიწევს, მე ვიქნები ყველა გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებელი. მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ ომის განმავლობაში. ამიტომ ნუ ჩამთვლით ღვთის ნებით ხელდასხმულ ბელადად, მიყურეთ როგორც უბრალო ტექნიკოსს, რომელსაც რაღაც ამოცანის შესრულება აქვს დავალებული. თქვენგან მორჩილებას მხოლოდ ამ დავალებასთან დაკავშირებით ველი.

— კეთილი. არ ვარ დარწმუნებული რომ ბოლომდე გავიგე, მაგრამ დამორჩილება მომეთხოვება და არა გაგება. ომის დროს ჩემმა ბიჭებმა ბრძანების გარჩევა რომ დაიწყონ, რაღად ვივარგებდი?

— თქვენი მეთაურობის ქვეშ ბევრი დედამიწელი იბრძოდა, რას იტყოდით მათ შესახებ? რას დაუწუნებდით?

— არც არაფერს!

— მომავალშიც ასე იქნება. დედამიწელთ ძალგვიძს ბრძანებისადმი დამორჩილება, მიუხედავად იმისა რომ ეს დამორჩილება ნებაყოფლობითია.

ეტანორისა და ბელულის სისტემების გამყოფი წინაღობა დაუბრკოლებლივ გადავლახეთ და სადაზვერვო კოსმოსმფრენები გავუშვით. მიუხედავად ამისა მაინც დაგვასწრეს, რაც კინაღამ სიცოცხლის ფასად დამიჯდა.

მე და კელბიკი არქეოლოგ ლუკის ვესტუმრეთ, რენია ბავშვთან ერთად ჰური-ჰოლდეში დარჩა. ლუკი ძალიან ძველი ნაქალაქარის გათხრებს აწარმოებდა, თუ ორიენტაციის უნარი არ მღალატობს თქვენი დღევანდელი ბორდოს ადგილას ან მის მიდამოებში. გათხრები დიდ გამგზავრებამდე ცოტა ხნით ადრე დაიწყო, მხოლოდ ყველაზე საშიშ მომენტებში წყვეტდა მათ და შედეგად სამზეოზე გამოიტანა ერთმანეთზე დაწყობილი ქალაქების შრეები. ყველაზე უფრო ძველმა შრემ ძალიან ბევრი ცნობა მოგვაწოდა ისტორიამდელი კაცობრიობის ანუ თქვენს შესახებ. საწყალი ლუკი! ნეტავ შემეძლოს იქ დაბრუნება...

გათხრების ველის მიჯნაზე ლუკიმ თავისთვის და თავისი თანამშრომლებისათვის მოხერხებული პატარა სახლი ააშენებინა. სახლს პატარა მარანი ჰქონდა, რომელშიც ლუკი სახელგანთქმულ ღვინოებს ინახავდა. ლუკი სწორედ ის იყო, რასაც თქვენ ეპიკურიელს ეძახით. აქ ადრეც ვყოფილვართ ლუკისა და მისი მომხიბლავი მეუღლის გარემოცვაში დასასვენებლად. ხელოვნური მზით განათებული და გამთბარი მშენებლობა დაგვათვალიერებინა. სკაფანდრი რომ არ გვცმოდა, თავი უეჭველად იმ ბედნიერ დროში გვეგონებოდა, როცა ჩვენს პლანეტას კაშკაშა მზე დაჰნათოდა. სახლში დავბრუნდით, სახელისუფლებო საზრუნავს მოშორებული მეგობრებთან ერთად სასიამოვნო საღამოს გასატარებლად მოვემზადე. უკვე ვახშამს ვამთავრებდით და ლუკი „გათხრებში ნაპოვნი“, როგორც თვითონ მოიხსენებდა, ბოთლის გახსნას აპირებდა, როცა მიწა მსუბუქად იძრა.

— ნეტავ რა ხდება? — ვიკითხე. მიწისძვრა? ლუკი, ვიზიოფონით ჰური-ჰოლდეს დაუკავშირდი, სასწრაფოდ.

ბოთლი ფრთხილად დადგა და აპარატისაკენ წავიდა. ფანჯრიდან უეცრად შემოჭრილმა კაშკაშა სინათლემ კედელზე მისი სილუეტი გამოკვეთა. კელბიკი სარკმლისაკენ გაიქცა, მეც მივდიე. შორეული ბექობებიდან ცეცხლის ენები ამოიწვადა. ამჯერად მიწა ცხადად იძრა. გაფითრებული კელბიკი ჩემსკენ მოტრიალდა:

— ბირთვული შერწყმის ბომბს ჰგავს. 200 კილომეტრში სამხრეთით.

— 200 კილომეტრში? თუ არ ვცდები, იქ ტელეფორი მდებარეობს.

— დიახ, თავს დაგვესხნენ. კირიოსი მართალი იყო, ჰაურკ.

— ქალაქში დავბრუნდეთ. ლუკი, შენც და შენი თანაშემწეებიც დაბრუნდით. სკაფანდრები ჩავიცვათ. ამასობაში ჰური-ჰოლდესთან დაკავშირებას შევეცდები.

გაუსაძლისმა სინათლემ გაანათა ოთახი, თითქმის იმავდროულად ნიადაგიდან დარტყმითი ტალღაც მოგვწვდა. კიდევ ერთი ბომბი აფეთქდა, ამჯერად უფრო ახლოს. ლუკი ჰაერსაცავებისაკენ გაიქცა, დიდი ონკანი გახსნა და შემდეგ ოთახის ერთ-ერთ კუთხეში რაღაც ბერკეტს დააწვა.

— სწრაფად, მიწისქვეშა თავშესაფარში ჩავიდეთ. ტიხარი გაბზარულია და ჰაერი იპარება. სკაფანდრების წამოღება არ დაგავიწყდეთ.

— უფრო ახლოს რომ მოხდეს აფეთქება, დაღუპვას ვერ გადავურჩებით.

გრძელი კიბის დახმარებით რვავემ თავი მიწისქვეშა საწყობში ამოვყავით. ლუკიმ ჰერმეტული ლუკი დაკეტა.

— ლაპარაკის დრო არ გვაქვს! სკაფანდრები ჩავიცვათ და ეგრევე კოსმომფრენებში. და სწრაფად!

სკაფანდრგადაცმულებმა გავხსენით ლუკი და ზემოთ ამოვედით. ტიხარი ჩამოქცეული იყო და ლუკიმ გულდწაყვეტილმა ჩაიქნია ხელი, როდესაც თავისი ძვირფასი ბოთლი ყინვისაგან გახეთქილი დაინახა. რამდენიმე წუთის შემდეგ ყველანი ჩემს კოსმომფრენში ვიყავით ჩაჭეჭყილები და, მიუხედავად არქეოლოგების სასოწარკვეთილებისა, გათხრების ადგილი დავტოვეთ და ჰური-ჰოლდეს მივაშურეთ მთელი სიჩქარით. ბომბები უკვე აღარ ცვიოდა, ჩვენი ჰიპერრადარები მათ აფიქსირებდნენ და თავდაცვითი მოწყობილობები ძალიან მაღლავე აფეთქებდნენ. მიუხედავად დამცავი ფილტრებისა, მათი სინათლის გამო მაინც სანახევროდ დაბრმავებულები ვიყავით. მართვა კელბიკს დავუთმე და საბჭოს დავუკავშირდი.

ზედაპირზე შვიდი ბომბი აფეთქდა. თავდასხმა არაფერს მოუსწავებია, ბომბების სიჩქარე სინათლის სიჩქარის მნიშვნელოვან წილს აღწევდა. სინამდვილეში, დედამიწა მიდიოდა მათკენ ასეთი დიდი სიჩქარით. ტელეფორის დიდი ნაწილი მიწისაგან აღგვილა და დაღუპულთა რაოდენობა ათ მილიონს აღემატებოდა. სხვა ბომბები დაუსახლებელ ადგილებში აფეთქდნენ და ამიტომ დიდი ზარალი არ გამოუწვევიათ. თუმც ერთმა მათგან მტვრად აქცია ალიორის ობსერვატორია.

კირიოსი სოლოდინში მელოდა. გარს დედამიწელთა და ტილიელთაგან შემდგარი თავისი შტაბი ერტყა. რამდენიმე დამატებითი ცნობა მომაწოდა.

— ვინ დაგვესხა თავს?

— უეჭველად ისინი არიან, ვინც ადრე დაბრკოლების გადალახვა ამიკრძალა, მაგრამ ჯერ ამის არანაირი საბუთი არ გვაქვს. დამიზნებული ჭურვები არ ცვივა, კოსმოსური ნაღმები ცვივა დედამიწაზე.

— კოსმოსური ნაღმები?

— დიახ, ერთი ხანობა ტილიის დაცვა გვინდოდა მათი მეოხებით, მაგრამ მაშინ საამისო დონე ჯერ არ გაგვაჩნდა. ერთმა ჩვენმა კოსმომფრენმა ჩაიჭირა ერთი ამ ბომბთაგანი, რობოტ-კოსმომფრენებია ყველაზე განაპირა პლანეტის ირგვლივ მიმოიქცევიან და მასიური სხეულები იზიდავენ. ელექტრომაგნიტური ტალღებით იდენტიფიკაციის სისტემა მტერს მათი შეტევის თავიდან აცილების საშუალებას აძლევს. ახლა მის გაშიფვრას ვცდილობთ და იმედი მაქვს, მალე შევძლებთ ამ ნაღმების თავიდან აცილებას. და ამ დაბომბვებსაც ბოლო მოეღება.

— დაბომბვებზე მეტად ამდენი კოსმოსური ნაღმის საწარმოებლად საჭირო საწარმოო და ტექნიკური შესაძლებლობა მაწუხებს. თუ ჩვენი მოწინააღმდეგეები

ერთ-ერთი დაკარგული კოსმომფრენის რაზმის შთამომავლები არიან, ნაკლებად სარწმუნოდ მეჩვენება, რომ ასეთ მოკლე დროში ამხელა დონისათვის მიეღწიათ. ან გენიოსები არიან, ან მარტონი არ არიან!

კირიოსმა მხრები აიჩეჩა.

— თავის დროზე ყველაფერს გავიგებთ.

იმ დროს ჯერ კიდევ არ ვიცოდით, თუ რომელი პლანეტა ან პლანეტები იყო ჩვენი მტრის საბუდარი.

ობსერვატორიათა უკანასკნელი მონაცემებით ვარსკვლავის ირგვლივ თოთხმეტი პლანეტა იყო, მათგან მხოლოდ სამს ჰქონდა ჟანგბადიანი ატმოსფერო.

— ჰაურკ, შეიძლება დამზვერი ჯგუფი გავაგზავნო?

— თუ საჭიროდ მიგაჩნიათ. თავდაცვის საკითხებში ყველაფერზე თქვენ ხართ პასუხისმგებელი. თანაც, ასეთ ძლიერ მტერთან შეტაკებამდე ურიგო არ იქნებოდა დამატებითი ცნობების მოპოვება.

რამდენიმე დღის შემდეგ კოსმოსური ნაღმებისაგან თავიდანამრიდებელი მოწყობილობით აღჭურვილი სამი ვარსკვლავთმფრენი დასაზვერად გაფრინდა.

თავი მესამე

ტელბირელნი

იმ პეროდში ძალიან დაკავებული ვიყავი; კირიოსთან ერთად ჩვენი პლანეტების თავდაცვაზე ვმუშაობდი, კელბიკი თავის ჩვეულებისამებრ, ლაბორატორიაში გამოიკეტებოდა ხოლმე დღეების და ხანდახან კვირების მანძილზეც კი. სადაზვერვო ხომალდების გაფრენიდან მხოლოდ ათიოდე დღის მერეღა თუ შევნიშნე მისი გაქრობა და მოვიკითხე მისი ავან-ჩავანი. ჩემდა გასაოცრად და გასაწბილებლად შევიტყვე, რომ ერთ-ერთი იმ ხომალდით გაფრენილა.

ჰეკის ტალღებით მის გამოძახებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. სამი კოსმომფრენი საბრძოლო ერთეულს შეადგენდა, ერთი კოსმომფრენის გამოთხოვება დანარჩენი ორის თითქმის გაუვნებლებას უდრიდა. დაზვერვაზე უარის თქმა ან მისი დაგვიანებაშეუძლებელი იყო. მიუხედავად იმხანად „შემცირებული“ სიჩქარისა, ბელულის სისტემას მაინც სწრაფად ვუახლოვდებოდით.

დავუკავშირდი ბერიკს, ვარსკვლავთმფრენს რომელშიც იგი იმყოფებოდა. ეკრანი განათდა და კელბიკის ცბიერი სახე გამოაჩინა.

— ჰაურკ, როგორც იქნა! გაგახსენდა ჩემი არსებობა? მე კიდევ იმედი მქონდა, რომ უფრო ადრე მომისაკლისებდი.

— რა გეტაკა? ახლა შენი თავი აქ მჭირდება!

— რა? მე კიდევ იქ ვარ სადაც საჭიროა, ჩემი ზოგიერთი ახალი თეორიის შესამოწმებლად... გარდა ამისა, თუ ჩვენი ასტრონავტები და ტილიელი ოფიცრები არ გამიბრაზდებიან, მე ისეთი სადაზვერვო მასალის მოგროვება შემიძლია, რომელთაც თვითონ ვერ მოაგროვებენ.

— კეთილი. თანაც უკვე გვიანია ამაზე ლაპარაკი. მაგრამ უსაზმნო ბრძოლებში ნუ ჩაერთვები! ახლა სად ხართ?

— ერთ-ერთი გარეპლანეტიდან ორმოცდაათიოდე მილიონ კილომეტრში ვიქნებით. იმედი გვაქვს, რამდენიმე საათში მივაღწევთ კიდეც. უკვე სრულ შენელებაზე ვართ გადასულები. ამ ვარსკვლავს მძლავრი კოსმომაგნიტური ველი აქვს და ამიტომ ჩვენს ბებერ მზესთან შედარებით ბევრად უფრო ძლიერი დადებითი აჩქარებების მიღწევა შეიძლება.

— კეთილი. დამირეკე, როგორც კი რამე გექნება საპატაკებელი.

კელბიკმა მხოლოდ მეორე დღეს გადმორეკა.

— დაუბრკოლებლივ დავეშვით. არანაირი წინააღმდეგობა არ ყოფილა, და ჯერაც არ შეგვინიშნავს პლანეტის ოკუპაციის რამე ნიშანი. ატმოსფერო არ აქვს, ნიადაგი გაყინული მეთანისაგანაა, თითქმის არ შეიმჩნევა კლდოვანი ჩანართები. სიმძიმე 1,5 g-ა.

ასე განაგრძეს მზირებმა პლანეტიდან პლანეტამდე, სანამ 15 თანამგზავრით გარემოცულ მეექვსე, იუპიტერზე უფრო დიდი პლანეტას მიაღწევდნენ.

მის ერთ-ერთ თანამგზავრთან მიახლოებისას თანამგზავრის ნიადაგის ნაპრალებიდან ათი სფერული ვარსკვლავთმფრენი ამოიმართა. რამდენიმე წუთი

გააფთრებულ შეტაკებას ჰქონდა ადგილი, შეტაკების გამოსახულება ჩვენს ეკრანებზე იქნა გადმოცემული და ყველაფერი მაშინათვე ჩავიწერეთ. ჩვენი ორი ხომალდი აფეთქდა, კელბიკისა ნიადაგისაკენ გადაიხარა, ცხადი იყო, რომ დაზიანებული იყო. მხოლოდ ორი მოწინააღმდეგეღა გვიწევდა წინააღმდეგობას. ინფრაბირთვული ჭურვები ერთობ ქმედითი გამოდგა.

აუდიფონში კელბიკის მშვიდი ხმა ჩამესმა.

— ამჯერად ვერ ავცდით, ჰაურკ. სამნი გადავრჩით. უსაფრთხოდ დაჯდომას შევეცდებით. რამდენადაც შემიძლია ვიმსჯელო, მტრის მიერ გამოყენებული გამოსხივება ჩვენს კოსმომაგნიტებზე ისეთსავე გავლენას ახდენს რაც კნილის ტალღები. თუ მართლაც იგივეა, მაშინ კი იცი რაც უნდა ჰქნა მის გასაუვნებლად. კიდევ კარგი, რომ მეყო დრო მისახვედრად და ძრავების გამოსართავად. ახლა თავისუფალი ვარდნით ვეშვებით. ნიადაგს რომ მივუახლოვდებით ერთ კარგ სამუხრუჭო წევას მივცემ. იმედი მაქვს, რომ მტერს მწყობრიდან გამოსულები ვგონივართ და ამიტომ მიზანში აღარ ვყავართ. თუ არადა, მშვიდობით, ჰაურკ! ზედაპირიდან 10 კმ-ში ვართ,.. 5-ში,.. 3-ში... ვამუხრუჭებ!

არაფერი აფეთქებულა. ბერიკი ნელა დაეშვა თანამგზავრის გაყინულ ნიადაგზე. მოწინააღმდეგის ორი ვარსკვლავთმფრენი ჯერ ძალიან მაღლა იყო.

— რაღაც არ ემჩნევა, რომ ჰეკის ტალღები იცოდნენ, განაგრძო კელბიკმა. ერთმანეთში ელექტრომაგნიტური ტალღების მეოხებით ლაპარაკობენ. ამიტომ ჩვენს გადამცემს ჩართულს დავტოვებ. ჩვენს დატყვევებას შეეცდებიან რაც შეიძლება მეტი ცნობის მოსაპოვებლად.

— ნუ გეში, — მოკლედ მოვუჭერი. სამაშველო რაზმი მოეშურება დაუყოვნებლივ და ვინაიდან ახლა ბევრად უფრო ახლოს ვართ და არ გვჭირდება ყველა პლანეტისა თუ თანამგზავრის დაზვერვა, მანდ ხუთ დღეში იქნებიან. გაუძელით! საჭიროებისდაკვალად გაუმხილეთ ცოტ-ცოტა ინფორმაცია. რაც შეიძლება მეტი დრო მოიგეთ.

— კეთილი. მაგრამ შენ თვითონ ნუ წამოხვალ! დედამიწას სჭირდები.

— საქმეში იმაშია, რომ მანდ უნდა ვიყო, ჩემი ზოგიერთი ახალი თეორიის შესამოწმებლად! ისე ცნობისათვის, მეთაური მე ვარ და იმას ვიზამ, რაც მომეპრიანება.

— ყურადღებით, აი ისინიც!

ეკრანზე დავინახე, კელბიკი როგორ გაემართა განნიღბული ილუმინატორისაკენ. გარეთ, ყინულოვან ველზე თორმეტიოდე სილუეტი ბლოკებს ეფარებოდა და ისე მოიწევდა წინ ფრთხილად. მიუხედავად იმისა, რომ სკაფანდრები ფორმას უკარგავდნენ, მაინც ადამიანებს ჰგავდნენ. შემდეგ შლიუზის კარზე ტყვიების ხმა გაისმა.

— ბრძოლას აზრი არ აქვს, — უთხრა კელბიკმა თავის ორ ცოცხალ თანამგზავრს, ჰარლოკსა და რაბელს. უსაზმნოდ შევაკვდებით. ჰაურკ, ვუღებ. ჩემი მხრიდან ვიზიოს ვწყვეტ. შენ ყველაფერს დაინახავ, ისინი კი ვერ დაგინახავენ.

შლიუზის შიდა კარი ნელა გაიღო და იარაღმომარჯვებული სამი სკაფანდრიანი ადამიანი შემოვიდა. მათი იარაღი თქვენდროინდელ იარაღს, კერძოდ კი — პისტოლეტს, უფრო ჩამოჰგავდა, ვიდრე ჩვენს ალმტყორცნს. ეკრანისაკენ შემოტრიალდნენ, გაოცებისაგან შევხტი: ორი მათგანი ადამიანი იყო, მესამე კი ნამდვილად არ იყო ადამიანი. მიჭირდა მისი სახის გარჩევა ჩაჩქნის მინის მიღმა, მაგრამ მომეჩვენა რომ მკვეთრი წითელი სახე ჰქონდა.

მანამ სანამ ერთ მათგანს კელბიკი და მისი თანმხლებნი სამიზნეში ჰყავდა ამოღებული, ორმა თავდამსხმელმა ჩაჩქანი მოიხადა. პირველი ჯერ ისევ ყმაწვილკაცი იყო, ქერა თმები მოკლედ ჰქონდა შეკრეჭილი. მეორე..., მეორე ადამიანი არ იყო. უბალნო თავის ქალისა და დანაოჭებული შუბლის ქვემოთ სამკუთხედად განლაგებული სამი თვალი ბატონობდა უცხვირო სახეზე, პირის მაგივრობას ქვეწარმავლების რქოვანტუჩებიანი ღრუ უწევდა. ადამიანმა ლაპარაკი დაიწყო, ჩემთვის გასაგებ ძველ არუნკიულზე, რომლის უშუალო გარგძელებაც იყო საყოველთაო, რომელსაც ჩვენ ვლაპარაკობდით.

— ჩვენი ტყვეები ხართ. გაქცევა არ სცადოთ, თორემ მოგკლავთ.

კელბიკი იდაყვით დაუდევრად დაეყრდნო გადამცემს, ცალი ხელი ზურგს უკან ჰქონდა, რომელსაც მე შესანიშნავად ვხედავდი, მაგრამ რომელიც მტრისათვის უხილავი იყო.

— კეთილი, დავმარცხდით, — აღმოთქვა კელბიკმა.

მისი თითები იგრიხებოდა კარინის ანბანის რთული ნიშნები გამოჰყავდა. კარინის ანბანი სტუდენტობისას ვისწავლეთ, ამფითეატრში პროფესორთა მალულად ერთმანეთთან სალაპარაკოდ. თითებით მითხრა:

— შევეცდები ვათქმევინო, სად აპირებენ ჩვენს წაყვანს...

— კი, მაგრამ ვინ ხართ? ხმამაღლა წარმოსთქვა. რატომ დაგვესხით თავს? თქვენს სისტემას ვიკვლევდით, არც კი ვიცოდით თუ დასახლებული იყო.

— ტყუით! ძალიან კარგად ვიცით, საიდანაც მოდიხართ! დედამიწიდან. იმ დედამიწიდან, რომელიც ახლა ჩვენს საზღვრებთანაა და რომელმაც, უწინ, ჩვენი წინაპრები გამოდევნა!

გულწრფელად გაოცებულმა კელბიკმა მხრები აიჩეჩა.

— მაშასადამე ერთ-ერთი ზესივრცემფრენის რაზმის შთამომავლები ხართ ხომ? მაგრამ არავის არ გამოუდევნიხართ! თქვენი წინაპრები მოხალისეები იყვნენ!

— ისევ ტყუით! როგორც ვხედავ დედამიწა არ შეცვლილა მას შემდეგ, რაც ჩვენი წინაპრები გამოაძევეს. ახლა ანგარიშის გასწორების დრო დადგა და ვერაფერი გადაგარჩენთ!

კელბიკის თითებმა გამოსახეს: „გიჟია“.

— ჩვენ რას გვიპირებთ?

— სკაფანდრებს ჩაიცვამთ და თერის სიმაგრეში წამოგვყვებით. იქ კიდევ დაგკითხავთ. თქვენი სიცოცხლე თქვენივე პასუხების გულწრფელობაზეა დამოკიდებული. ნუ დაივიწყებთ, რომ ძალიან ძლიერი საშუალებები გვაქვს ყველაზე უფრო მუნჯისთვისაც კი ენის ამოსადგმევინებლად.

კელბიკს წარბი არ შეხრია, ჰარლოკსა და რაბელს კი ფერი ეცვალათ. კელბიკმა თითებით მანიშნა:

— ნურაფრის გეშინია. მე არაფერს ვიტყვი, სხვებმა კი მნიშვნელოვანი არც რა იციან.

კელბიკისათვის, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ტექნისათვის, წამება საფრთხეს არ წარმოადგენდა, ვინაიდან მათ ფიზმომზადებაში შედიოდა მტკივნეული შეგრძნებების დათრგუნვის ხერხები. ჰიპნოზის მიმართაც შეუვალობა გვქონდა და არც ერთ მანქანას არ ძალუძს კრიტიკული ფესვის ამოღებით დაკავებული თავიდან აზრების კითხვა. მხოლოდ კელბიკის სიცოცხლე იყო საფრთხეში. — სად მდებარეობს ეგ ქალაქი, თერი?

— ამავე თანამგზავრზეა, დასამალი არაფერია, — დასძინა უნდობლად

მოცქირალმა ადამიანმა. რომც შეგეძლოთ თქვენი მეგობრებისათვის ცნობის გადაცემა, მაინც ვერაფერს მოიგებდით ამით. თერის აღება შეუძლებელია.

— მაშინ არც კი შევეცდებით მის აღებას! — წაგვიძეხით თქვენს უფროსებთან! იქნება ისინი უფრო გონიერები აღმოჩნდნენ და მიხვდნენ, რომ სამშვიდობოდა ვართ მოსულები.

ადამიანმა რაღაც გამოსცრა კბილებს შუა, შემდეგ მეწამულ არსებას მიუბრუნდა და წკლაპუნა მარცვლები წარმოთქვა.

— დამავიწყდა თქვენთვის წარმომედგინა კ'ნორი, იგი ტელბირელია. ტელბირელები ჩვენი მოკავშირეები არიან. შესანიშნავი მოდგმაა — დამჯერი, ერთგული და ამტანი. ყველაფერს აკეთებენ, რასაც ვთხოვთ. მათ ერთგულებას საზღვარი არ აქვს. გაფრთხილებთ, რომ ეს-ესაა ვუბრძანე თქვენი დაწვა, თუ წინააღმდეგობის გაწევას შეეცდებით.

ჟესტებით კელბიკმა მანიშნა:

— ჯიბეში ჰეკისტალღებიანი პატარა გადამცემი მაქვს. წასვლის წინ გამანადგურებელს ჩავრთავ.

— კეთილი, წარმოთქვა მან ხმამაღლა. როდის წავალთ?

— დაუყოვნებლივ.

ცოტა ხანში გარეთ გამოვიდნენ, ხომალდის გარეხედვის ეკრანზე დავინახე, როგორ ჩასხდნენ დაბალ მანქანაში, შემდგომ გამოსახულება უეცრად გაქრა. კელბიკის მიერ ჩართული გამანადგურებული ამოქმედდა და ვარსკვლავთმფრენისაგან ჯართის გროვაღა იყო დარჩენილი.

ასი კოსმომგანიტომფრენისაგან შემდგარი ძალით დაუყოვნებლივ გავეშურე, თუ არ დავბრუნდებოდი, ჰელინი დავნიშნე ჩემს მემკვიდრედ ხელისუფლების სათავეში. რენიამ წარმატება მისურვა, გულმჭმუნვარემ მაგრამ თვალდაუსველებელმა. კელბიკი ღვიძლი ძმასავით უყვარდა და ბუნებრივად მიაჩნდა, რომ მის დასახსნელად თავს საფრთხეში ვიგდებდი. ცოტა ხანში კიდევ ორასი ვარსკვლავთმფრენი გამოფრინდა პირადად კირიოსის მეთაურობით, დავალებად ჰქონდათ დივერსია და კოსმოსში ყველა მოწინააღმდეგის შეტევა.

რამდენიმე საათის განმავლობაში კომუნიკატორი მდუმარე იყო. უკვე ფარცაგს მეუბნებოდა გული, როცა მოწყობილობიდან კელბიკის ხმა გაისმა.

— ჰაურკ, კელბიკი ვარ. სულ რამდენიმე წამიღა მაქვს. მათი ქალაქის შესასვლელი ორ წითელ ბექს შორისაა, ჩვენი ვარსკვლავთმფრენის ნარჩენების ჩრდილოეთით ასიოდე კმ-ში. ფრთხილად იყავით, აქაურობა ძალიან გამაგრებულია და მეეჭვება, რომ შესძლოთ გზის გაკაფვა. უკეთესი იქნება, თუ ზემოდან შემოუტევთ მთხრელებით. ჰარლოკისა და რაბელის სვის შესახებ არა ვიცი რა. ჩემი დაჰიპნოზება სცადეს, მაგრამ ამაოდ. ფსიქოტროპიული საშუალებები ჯერ არ უცდიათ. აი რა შევამჩნიე: შემოსასვლელის მერე ჩრდილოეთისაკენ მიმართული გრძელი გვირაბია. გრავიტომეტრებით ადვილად შესძლებთ მის პოვნას. შემდეგ დარბაზების წყებაა, ყოველ მათგანს აქვს შლიუზი, გამაგრებული არცერთი მათგანი არაა. შემდეგ დიდი ჭა მოსდევს. მე ქვედა მეორე დონეზე ვარ. სამეთაურო პუნქტი, სადაც დამკითხეს, მეთორმეტე სართულზეა, რომელიც ჩემი აზრით ბოლო სართულიცაა. ციხიონი საკმაოდ მცირერიცხოვანია, ორი ათასი ადამიანი და მაგდენივე ტელბირელი იქნება, თუმცა შეიძლება ვცდებოდე. ტელბირელიები ფიზიკურად ძალიან ძლიერები არიან. შეიარაღება: ჩვენი ხუთასწლისწინანდელი იარაღი და რაღაც სხვაც, რომლის ქმედითობაზე წარმოდგენა არ მაქვს. ადამიანებსა

და ტელბირელებს შორის ურთიერთობა — ერთობ საეჭვო დამოკიდებულება აქვთ. ადამიანებმა რამდენიმეჯერ განაცხადეს, რომ ტელბირელები მათი მოკავშირეები და თითქმის მსახურები არიან, მაგრამ მათი საქციელი ასეთ მდგომარეობას არ შეესაბამება. სინამდვილეში ადამიანთა თანასწორად უფრო იქცევიან. მე მგონი...

ხმა უეცრად შეწყდა. ზედმეტად არ ავფორიაქებულვარ. აკი გამაფრთხილა, რომ შეზღუდული დრო ჰქონდა.

ჰეკის ტალღებით კირიოსს დავუკავშირდი.

— საქმის ვითარებიდან გამომდინარე, წარმატების ერთადერთი შესაძლებლობა სწრაფ, გადამწყვეტ და მძლავრ შეტევას შეუძლია მოვიტანოს, — მომიგო მან. ტელბირელები, ცხადია, უცნობ ელემენტად რჩებიან. თქვენს ესკადრას შემოვუერთდებით. ფარად 50 კოსმომფრენს დავტოვებ მხოლოდ. ჩვენი 250 ვარსკვლავთმფრენით, რომელთა ბორტზეც 25 000 კაცია, შეუძლებელია რომ ვერ მოვახერხოთ მათი წინააღმდეგობის გარღვევა. სწრაფად უნდა ვქნათ, რამეთუ ერთი მზირის ჰიპერრადარებმა შენიშნეს ერთ-ერთი შიდა პლანეტიდან მომავალი დამატებითი ძალები. მესამე ფლოტს საბრძოლო მზადყოფნა ვუბრძანე მათ დასახვედრად.

ჩვენი მეგობრების სატუსაღო თანამგზავრისაკენ გავეშურეთ. ცთომილის დიამეტრი 1 000 კილომეტრი იქნებოდა, ალაგ-ალაგ ღრმა ნაპრალები გასდევდა, აქა-იქ დაბალი ბეგები ამოზიდულიყვნენ ატმოსფეროს მოკლებულ მსოფლიოში. კირიოსის ესკადრის შემოერთებიდან ცოტა ხანში მოწინააღმდეგის ათიოდე ხომალდიც გამოჩნდა. მძაფრი და ხანმოკლე შეტაკება გაჩაღდა, კოსმოსი აბრდღვიალდა და მტრის ხაზის გარღვევა მხოლოდ ერთი კოსმომფრენის ფასად დაგვიჯდა.

ნიადაგი სწრაფად გვიახლოვდებოდა, რამეთუ მფრინავებს ბრძანება ჰქონდათ, არ დაეკარგათ დრო. ორი წითელი ბექობიც გამოჩნდა. ზედაპირიდან ჭურვების ორმა ჭავლმა იხუვლა; ეს ჭურვები ჩვენთვის უწყინარი იყო, რამეთუ ჩვემა პარაგრავიტაციულმა ველებმა ადვილად შესძლეს მათთვის მიმართულების შეცვლა. რამდენიმე წამის შემდეგ ბექობები მიწის პირისაგან აღიგავნენ. შორიახლოს დავეშვით და რაზმები იქვე გადმოსხდნენ ერთიანად. სამხედრო მეთაურობა კირიოსის ხელში იყო, მე ტექნიკურ საკითხებს ვუძღვებოდი. მალე დიფერენციალური გრავიტომეტრები ჩავრთეთ და ზედაპირიდან შევძელით მრავალრიცხოვანი გვირაბებისათვის თვალის დევნება. მიწისმთხრელები ავამოქმედეთ.

ცოტა არ იყოს ვჭოჭმანობდი, ასე ადვილად დაშვება, კარგს არაფერს მოასწავებდა. ან დამხდურები ტყუოდნენ ურცხვად, როცა კელბიკს ეუბნებოდნენ, რომ სიმაგრის აღება შეუძლებელი იყო, ან კიდევ, მათი აზრით, ზედაპირს არანაირი მნიშვნელობა ჰქონდა და მთელი სიძნელე მიწისქვეშ გველოდა. იქნებ საქმე იმაში იყო, რომ ასეთ მასიურ შეტევას არ მოელოდნენ?

რაზმების გადმოსხმის მერე, თითქმის ყველა კოსმო თანამგზავრის ირგვლივ ორბიტაზე დაბრუნდა და დამცავი ფარი შექმნა. მიწისმთხრელები მთელი დატვირთვით მუშაობდნენ და მოლოდინის მეტი არა დაგვრჩენოდა რა. ამით ვისარგებლე და კელბიკთან კონტაქტის დამყარება ვცადე. რამდენიმეწუთიანი ამაო მცდელობის შემდეგ ორიოდ სიტყვის თქმა მოვახერხეთ.

— ვიცი, რომ უტევთ. გაქცევა შევძელი და ერთ მიტოვებულ მიწისქვეშა დერეფანში ვიმალები. ჰარლოკი და რაბელი მოკლეს. ფრთხილად იყავით,

უფროსები ტელბირელები არიან და...

კავშირი გაწყდა. შეშფოთებული კირიოსს დავუკავშირდი.

— როგორაა საქმე?

— შვიდი მიწიმთხრელი უკვე გვირაბიდან რამდენიმე მეტრშია. გავაჩერეთ, რათა სხვებიც დაეწიონ. ერთიანად უნდა შევუტიოთ...

— ამასობაში კი კელბიკს მოჰკლავენ.

— ვიცი, ჰაურკ. მაგრამ სასწორზე ერთი ადამიანის, თუნდაც გენიოსის და ჩვენი მეგობრის, სიცოცხლეზე ბევრად უფრო მეტი დევს.

— კი ვიცი. მაგრამ მაინც დაუჩქარეთ! ძალიან მაღლა, ჩვენს თავზე უცნაურმა ნათებამ განკვეთა პლანეტათშორისი წყვდიადი. მოწინააღმდეგის რამდენიმე ვარსკვლავთმფრენმა სცადა ბლოკადის გარღვევა.

შეტევის ჯერიც დადგა. კირიოსის ბრძანებაზე მანქანები თაღებს ეკვეთნენ და გვირაბებში გაუჩინარდნენ. წელზე ანტიგრავიტატორშემორტყმული მეომრები მათ მიჰყვნენ. ერთ-ერთი ორმოსკენ წავედი. ვიღაცამ მკლავზე მომკიდა ხელი. ორ კაცს ვეჭირე და ორმოსაგან მაცილებდნენ.

— ხელი გამიშვით!

— გენერლის ბრძანებაა. არ უნდა ჩახვიდეთ!

— რა უაზრობაა? რადიოთი კირიოსს დავუკავშირდი.

— კირიოს, ერთი გამაგებინეთ, რას ჰგავს ეს ამბავი? ვინ მოგცათ უფლება...

— ჰაურკ, ყური მიგდეთ, კელბიკი უკვე ხელთ ჰყავთ, ვფიქრობ ესეც საკმარისია. დედამიწას არ აქვს თქვენი ორივეს დაკარგვის ფუფუნების შესაძლებლობა.

— უბრძანეთ, გამათავისუფლონ! ეს ბრძანებაა!

— უარს ვაცხადებ. როცა დავბრუნდებით, თუ გსურთ დამსაჯეთ.

— ვერავინ ვერ ამიკრძალავს კელბიკის დახმარებას!

— არა! აღარ გაქვთ თავის საფრთხეში ჩაგდების უფლება. თანაც ქვემოთ ვერანაირ სარგებლობას ვერ მოიტანთ. უკეთესი იქნებოდა, თუ დედამიწაზე დაბრუნდებოდით დაუყოვნებლივ.

— თუ გგონიათ, რომ მეშინია...

— ოჰ, არა! კარგად ვიცი, რაოდენ გულადიც ხართ! მომიყვნენ, ყველაფერი რაც გააკეთეთ და ვთვლი, რომ თქვენს ლაბორატორიაში ან სოლოდინაში უფრო სასარგებლო ხართ ვიდრე ბრძოლის ველზე, მიუხედავად იმისა, რომ ჯარისკაცობასაც კარგად ართმევთ თავს. მეტი დრო აღარ მაქვს თქვენთვის. აბა, დროებით!

კავშირი გაწყვიტა.

ერთი ხანობა უძრავად დავრჩი. დიდი ხანია, რაც არავის, თვით კელბიკს და რენიასაც კი არ ულაპარაკია ჩემთან ასე. უცებ გავაცნობიერე, რომ ჩემდაუნებურად ჩემს ხელში მოვუყარე თავი ყველანაირ ძალაუფლებასა და პასუხისმგებლობას. მე, ჰაურკ აკერანი, ასტროფიზიკოსი გავხდი თვითმპყრობელი, დიქტატორი! უკვე რამდენჯერ მიმიღია და ცხოვრებაში გამიტარებია კანონები და წესები, რომლებიც ტრილთა მთავრობის ან მეუფეთა საბჭოს კომპეტენციაში შედიოდნენ. და არავის გამოუთქვამს პროტესტი. უზენაესი მეუფის წოდებაც კი მქონდა.

გამოთაყვანებულები! თავიდანვე ეთქვათ!

გასავათებული ვიყავი იმ უზარმაზარი პასუხისმგებლობით, რომელიც მხოლოდ ჩემს კისერზეღა იყო. ლაბორატორიის სიწყნარე მინდოდა, მეგობართა მცირე წრე: კელბიკი, ლუკი, ზოგი სხვაც, რენია... ალბათ კირიოსიც. მაგრამ ამ სიწყნარეს ჯერ

მოპოვება უნდოდა, გზა ჩემი ლაბორატორიისაკენ ამ უკაცრიელ მსოფლიოზე გადიოდა.

ჩემი მცველები შევაჯანჯღარე.

— ხელი გამიშვით!

ნირი არ იცვალეს. კირიოსმა კარგად შეარჩია. ჩემზე უფრო დაბლები იყვნენ, მაგრამ — უფრო ძლიერები.

ჩემი ალმტრყორცნის ამოღება შევძელი და მისი ლულა ერთ-ერთი მცველის მკერდს მივაბჯინე.

— ხელი გამიშვით, თორემ გესვრით! კაცს ფერი ეცვალა, მაგრამ არ დამნებდა.

— მესროლეთ, ჰაურკ! უზენაესი მეუფე ბრძანდებით და ჩემს სიცოცხლეს თქვენთვის ფასი არ აქვს. მე კი ბრძანება მაქვს მიღებული და მას შევასრულებ. თუ მომკლავთ, სხვები დაიკავებენ ჩემს ადგილს.

მოვბრუნდი. ჩემს ირგვლივ ოციოდ ადამიანი იყო, ჩემი საპატიო დაცვა.

— ეგრე იყოს! — ვუპასუხე. გპირდებით, რომ არ ვეცდები მიწისქვეშ ჩასვლას, ცხადია, თუ კირიოსი არ შეცვლის გადაწყვეტილებას.

ვინაიდან ამ პაწაწა მსოფლიოს ზედაპირზე ჩემს დარჩენას აზრი არ ჰქონდა, ჩემს კოსმოში ჩავჯექი და კიდევ ერთხელ ვცადე კელბიკთან დაკავშირება. ამაოდ. სამაგიეროდ მოკლე ხანში კირიოსი დამიკავშირდა.

— წინ მივიწევთ, ჰაურკ, მაგრამ ძნელად. მოწინააღმდეგეს თბოპისტოლეტები აქვს, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ ბევრად ჩამოუვარდებიან ჩვენს ალმტყორცნებს, მაინც დიდ ზიანს გვაყენებენ. დიდი ჭის შესასვლელთან ვართ და გზას ვიკაფავთ.

— ვის ებრძვით? ადამიანებს და წითლებს?

— ორივეს. ვგონებ, კელბიკი მართალია, წითლები ადამიანებს ისე ეპყრობიან როგორც საზარბაზნე ხორცს.

— მზირებისაგან რა ისმის? ფლოტისაგან?

— ჯერჯერობით არაფერი.

კავშირგაბმულობის პანელის წინ საათების განმავლობაში ასე ვადევნებდი თვალს მოვლენების განვითარებას; ჰეკის ტალღებით ხან კელბიკთან დაკავშირებას ვცდილობდი, ხან ფლოტთან და ხან კი კირიოსთან. ეს უკანასკნელი არარეგულარული ინტერვალებით მაბარებდა პატაკებს. მიუხედავად ჩვენი შეიარაღების უპიარტესობისა წინ მძიმე დანაკარგებით მივიწევდით. კელბიკის კვალი არსად ჩანდა, მაგრამ ერთ ოთახში ჰარლოკისა და რაბელის ცხედრები იპოვეს. სასტიკად ნაწამები იყვნენ და კირიოსმა ვერ შეაჩერა თავის ბიჭები, რათა ტყვე ადამიანები არ დაეხოცათ.

შემდეგ მზირებისაგან მივიღე შეტყობინება. მოწინააღმდეგეთა ფლოტი 60 ვარსკვლავთმფრენისაგან შედგებოდა. ტელბირელები აშკარად ვერ აცნობიერებდნენ საფრთხეს, რომელიც მათ ემუქრებოდათ. ახალი ამბები კირიოსს მოვუთხრე, მისი თანხმობით 12 ვარსკვლავთმფრენს ვუბრძანე ბრძოლაში ჩაბმა, რამეთუ მესამე ფლოტი ჯერ ისევ შორს იყო.

უცებ ჰეკის ტალღებიანი კომუნიკატორის გამოძახების ინდიკატორი აინთო.

— ჰაურკ, კელბიკი ვარ. ტელბირელების მოახლოვებისას თაღი ჩამოვშალე და დერეფნის მიტოვებულ მკლავში მოვიმწყვდიე თავი. ბრძოლის ჯახა-ჯუხი უკვე აქაც მესმის. ყველაზე ქვედა დონეზე ვარ და თუ არ ვცდები დიდი სამანქანო დარბაზიდან ძალიან ქვემოთ არ უნდა ვიყო.

— კეთილი. ამ ცნობებს ახლავე კირიოსს გადავცემ. მტრის შესახებ რამე სასარგებლო ცნობა გაქვს?

— დიახ. ტელბირელების ხელში ადამიანები უბრალო სათამაშოები არიან. შესაძლებელია საკუთარი ნებით არც კი მოქმედებდნენ. ძალიან ვეზიზღებით, რამეთუ დარწმუნებულები არიან, რომ მათი წინაპრები გაძევებულ იქნენ დედამიწიდან, მაგრამ არა მხოლოდ ამის გამო. როდესაც გამოვექეცი, ერთ დაჭრილს ვუმკურნალე. თავიდან გინებით ამიკლო, მაგრამ სწორედ მაშინ როცა სული ამოსდიოდა, საქციელი უეცრად შეეცვალა, თითქოს რაღაცისაგან გათავისუფლდა. და ასეთი რამე მითხრა: „რაც არ უნდა იყოს, თქვენც ადამიანები ხართ. წითლებს ნუ ენდობით!“

ბრძოლის ხმა უკვე ახლოდან მესმის. ალბათ ჩვენებმა სამანქანო დარბაზში შეაღწიეს, ჩემი დერეფანი კი მაგ დარბაზს სავენტილაციო მილით უერთდება. ძალიან ვიწროა, თორემ გავძვრებოდი. იმედია, მალე გამათავისუფლებენ. ისე კი, ჰაურკ, ჩვენში დარჩეს და, ჩემი წილი ბრძოლა უკვე ვიწვნიე! ჩემი ლაბორატორია მირჩევნია!

— სრულებით მართალი ხარ! კირიოსიც ამ აზრისაა!

ჩემი მდგომარეობის შესახებ უკვე ვუთხარი. კომუნიკატორი ხარხარისაგან აძიგძიგდა.

— როგორც იქნა! ვიღაცამ გაბედა და გითხრა! ასე სჯობია!

ერთი საათის შემდეგ ერთ-ერთი ხვრელიდან ამოჰყო თავი ჩვენს მეომრებთან ერთად. მიწისქვეშეთში ჩაღწეული ხუთი ათასი კაციდან, ზემოთ მხოლოდ ორი ათას შვიდასორმოცდაათი ამოვიდა. თითქმის ყოველი მეორე დავკარგეთ.

კოსმომფრენებში ჩასხდნენ და მთელი სიჩქარით დედამიწისაკენ გავწიეთ. კელბიკსა და კირიოსთან საომარი თათბირი გავმართე.

— საშინელება იყო, — თქვა ამ უკანასკნელმა. დაახლოებით ორი ათასი ადამიანი, თუ შეიძლება მათაც ადამიანები ერქვათ, იდგა ჩვენს პირისპირ და არაუმეტეს ხუთასი ტელბირელისა. ტელბირელები შემზარავი მეომრები არიან, ჩვენზე ბევრად უკეთესები. მათ უპირატესობას მათივე ჩამორჩენილი ტექნოლოგია გააწონასწორებს. თუ არადა სხვა ვარსკვლავისაკენ უნდა ავიღოთ გეზი!

— ამის საჭიროება არ იქნება, — თქვა კელბიკმა. თუ სწორად მივხვდი, ზესივრცის პრაქტიკული გამოყენების ხერხების ათვისების პირას არიან. ერთმა ადამიანმა დაიტრაბახა.

ვფიქრობ, უმჯობესი იქნებოდა, თუ ახლავე გავარკვევდით მტყუან-მართალს.

ჰური-ჰოლდეს სიახლოვეს ვეშვებოდით, როცა ფლოტისაგან შეტყობინება მივიღეთ. მტერი განადგურებული იყო, მაგრამ მესამე პლანეტიდან ნამდვილი არმადა მოიწევდა ჩვენსკენ. მზირებს უკანდახევა ვუბრძანე.

ჩემი და კირიოსის ხელმძღვანელობით უმოკლეს დროში ჩამოვაყალიბეთ თავდაცითი ხაზი. ერთი მხრივ კმაყოფილი ვიყავი, რომ მტერი ჩვენსკენ მოიწევდა — ჩვენს ბაზებთან ახლოს მოგვიწევდა ბრძოლა, რაც ყოველთვის უპირატესობას იძლევა. თანაც, რადგანაც ყველა ჩვენი ქალაქი ყინულის ქვეშ ღრმად იყო ჩაფლული, წესით დიდი ზარალი არ მიადგებოდათ. დედამიწა ისევ ბელულის სისტემისაკენ წინსვლას განაგრძობდა კლებადი მაგრამ მაინც თავბრუდამსხმელი სიჩქარით, ვენერა კი კვალდაკვალ მისდევდა. ცხადია, სისტემაში ჩვენი გამოჩენა მის წონასწორობას დაარღვევდა, მაგრამ მას მერე რაც სისტემის შემადგენელი ყველა სხეულის მასა გავარკვიეთ, გამოთვლები ჩავატარეთ და, მათ თანახმად,

შესაძლებელი იყო ჩვენი პლანეტების ვარსკვლავის ირგვლივ განთავსება კატაკლიზმის გამოწარმოგავჩინოთწვევის გარეშე.

ჩვენი დაბრუნებიდან ცოტა ხანში ერთი კოსმომფრენი მთელი სიჩქარით დაბრუნდა უკან, დატყვევებული ადამიანი მოჰყავდა; ტყვე ერთ განადგურებულ ვარსკვლავთმფრენზე სკაფანდრში ჩაცმული უპოვიათ. დაუყოვნებლივ ჩემს წინ მოვაყვანინე.

კირიოსის მიერ შერჩეულმა ორმა ახმახმა მცველმა მოიყვანა. საშუალო აღნაგობის კაცი იყო, ცოცხალი და პირდაპირი გამოხედვა ჰქონდა. კირიოსსაც დავუძახე და დაკითხვას შევუდექი.

ტყვეს ელეონ რიქსი ერქვა, 32 ტელბირული წლისა იყო (მიწიერი წლებით 25-ზე მეტს არ მისცემდა კაცი). ვარსკვლავთმფრენზე ინჟინერი იყო.

— რატომ გვესხმით თავს? — ვკითხე. მტრად არ მოვსულვართ. ჩვენი მზე აფეთქდა და ჩვენი პლანეტების გადარჩენა შევძელით. მხოლოდ რომელიმე ვარსკვლავის შუქი გვჭირდება. თქვენი ვარსკვლავის შუქის ძალით მითვისება არ გვინდა, მაგრამ იგი საკმარისად ანათებს ორი დამატებითი პლანეტისათვის. ომი არ გვინდა. სანამ თქვენს სისტემაში მოვიდოდით, აქ დამსწრე კირიოს მილანოსის სისტემას ვეწვიეთ და ვინაიდან მის თანამემამულეებს არ სურდათ ჩვენი დარჩენა, წამოვედით. აქაც იგივეს ვიზამდით.

ცხადია, არ მითქვამს, რომ ამაში არანაირად არ ვიყავი დარწმუნებული!

ცოტა ხანი სიტყვის ამოუღებლად იყო, შემდეგ მხრები აიჩეჩა და მომიგო:

— მაშასადამე, ჯერ ჩვენი წინაპრები გამოაძევეთ და ახლა კი ადგილს გვთხოვთ ჩვენი მზის ქვეშ?

— ძალიან მსურს გავიგო ამ უაზრო გადმოცემის პირველწყარო, — ვუთხარი მე. თქვენი, ისევე როგორც კირიოსის, წინაპრები არავის გამოუძევებია. ზესივრცემფრენების სხვა ეკიპაჟებიც არ გაგვიძევებია. მხოლოდ ერთმა მათგანმა შესძლო დედამიწაზე დაბრუნება, იცით ეს?

— აბა საიდან მეცოდინება? თქვენ იმის თქმა გნებავთ, რომ ზესივრცემფრენები განზრახ არ იყვნენ მიმართვადობას მოკლებულნი?

— ჯერაც არ ვიცით ზესივრცის სწორად გამოყენება. და 500 წლის წინ საიდან გვეცოდინებოდა?! რომელი რაზმის შთამომავლები ხართ? კირიოსი მესამე რაზმის შთამომავალია.

— გადმოცემის თანახმად მეთერთმეტე ხომალდის ჩამომავლები ვართ. სულ რამდენი იყო?

— თექვსმეტი. მხოლოდ მეოთხეს გაუღიმა ბედმა და უკან დაბრუნდა.

— მაშასადამე რასაც ბავშვობიდან გვასწავლიან მცდარია! ჩვენ გვასწავლიან, იმისათვის რომ მთელი მოდგმა არ ამოწყვეტილიყო, თუ რამე კატაკლიზმი მოხდებოდა, დედამიწელებმა განთესეს კაცობრიობა კოსმოსში, ისე რომ ხომალდების რაზმების წევრთათვის არც კი უთქვამთ, რომ უკან დაბრუნებას ვერ შესძლებდნენ. ასეთი კატაკლიზმი კი ნამდვილად მომხდარა, თქვენივე სიტყვით.

— კი მაგრამ თქვენი წინაპრები სადღაც 4120 ან 4125 წელს უნდა გამოფრენილიყვნენ. პირველი გაფრინდა 4107-ში. თქვენმა წინაპრებმა შესანიშნავად იცოდნენ, რომ შეიძლება უკან ვერ დაბრუნებულიყვნენ.

— დიახ, შესანიშნავად იცოდნენ, რომ სიცოცხლეს წირავდნენ. მაგრამ არ უწყოდნენ, რომ უღალატებდით!

— არავის არავისათვის უღალატია, გარწმუნებთ. გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა.

რაც არ უნდა იყოს, ახლა თქვენსა და ჩვენს შორის ომია. მე მსურს მისი შეწყვეტა. თქვენ რა გსურთ?

— თქვენი განადგურება და თუ ამას ვერ შევძლებთ, ჩვენი სანახებიდან თქვენი გარეკვა მაინც.

მხრები ავიჩეჩე.

— ვშიშობ, რომ ახლა უკვე ძალიან გვიანია. მშვიდობიანად რომ დაგვხვედროდით კირიოსის ხალხივით, მაშინ იქნებ... ახლა უკვე აქ ვართ და აქვე დავრჩებით. მოგვებზრდა ვარსკვლავთშორის წყვდიადში ხეტიალი.

— მაშინ ომის გარდა არა დაგვრჩენია!

— კეთილი. ესე იგი მტრები ვართ, ცხადია, თუ თქვენი მთავრობა სხვანაირად არ გადაწყვეტს. ბოლობოლო თქვენი ერთი უბრალო ინჟინერი ხართ. რა პრინციპით მუშაობენ თქვენი ხომალდები?

— არასოდეს გეტყვით მაგას!

— იმედიც კი არ მქონდა, რომ ნებით მეტყოდით. სხვა საშუალებებიც გვაქვს... ერთი შეკითხვაც: ის სხვები, თქვენს მხარდამხარ რომ იბრძვიან, ვინ არიან თქვენთვის. მოკავშირეები? მოსამსახურეები? ადგილობრივი მკვიდრები არიან?

— ვინ სხვები? მარტონი ვართ. ტელბირი უკაცრიელი დაგვხვდა.

— დამცინით? შესანიშნავად უწყით, ვისზეც გეუბნებით. სამთვალიან მეწამულ-წითელკანიან ჰუმანოიდებზე გელაპარაკებით.

— ვინ მეწამულკანიანები? გულწრფელად გაოგნდა.

ინტერფონში რამდენიმე სიტყვა ვთქვი და კედლის ეკრანზე მიწისქვეშა ბრძოლის დროს გადაღებული ერთ-ერთი ფილმი გაუშვეს. რიქსი სარგადაყლაპულივით იდგა.

— მართლაც თერის მიწისქვეშეთია. აი ეს კაცი, ახლა რომ განგმირეს, დიკ რეტონია, ჩემი მეთაური იყო ფსელინზე. მაგრამ ეს წითელი მხეცები საიდან გამოჩხრიკეთ?

მეორე ფილმზე თვითონ რიქსის ტყვედ აყვანის სცენა იყო გადაღებული. უკანა პლანზე, კედელაფეთქებულ დერეფანში ორი ჰუმანოიდის გვამი ჩანდა.

— ვეღარაფერი გამიგია. მართლაც ჩემი ხომალდია, და ესეც ნამდვილად მე ვარ. მაგრამ ეს ურჩხულები ვინაა? მონტაჟი იქნება!

— რატომ დავამონტაჟებდით ასეთ რამეს?

— სააგიტაციოდ! თქვენი ხალხის თვალში არადამიანი ურჩხულების მოკავშირეებად გინდათ წარმოგვაჩინოთ.

— ფილმი დამონტაჟებული არაა, — საუბარში ჩაერია კირიოსი. — ეს ურჩხულები, როგორც თქვენ ამბობთ, თქვენზე უფრო მეტ დაბრკოლებას გვიქმნიან. თქვენ ამბობთ, რომ არა იცით რა მათი არსებობის შესახებ, მაგრამ ეგებ უბრალო დაგავიწყდათ?

— შევწყვიტოთ ეს ოხუნჯობა, — ახლა მე ჩავერიე. უკანასკნელად გეკითხებით, გვიპასუხებთ შეკითხვებზე? არა? მაშინ მით უარესი თქვენთვის, ფსიქოსკოპში გაგატარებთ. გაფრთხილებთ რომ ეს ძალიან მტკივნეულია და რომ ფსიქოსკოპიდან გამოხვალთ ჩვარი, უნებისყოფო და უჭკუო ადამიანი.

ფერი წაუვიდა.

— რას დაკარგავთ თუკი გვეტყვით? ყველაფერს მაინც გავიგებთ.

— ჩემი ნებით მოღალატე არასოდეს გავხდები. რაც გინდათ, ის მიყავით.

— კეთილი. შესაშური საქციელია, მაგრამ მებრალებით!

მცველებმა გაიყვანეს და მეც მივყევი, რადგან მსურდა მევე დამეკითხა ფსიქოსკოპის ქვეშ. თელილმა, გონების მეუფემ მიგვიღო თავის ლაბორატორიაში, ფიზიკურ მეცნიერებათა მეუფე როობი ახლდა.

— მანქანა მზადაა, ჰაურკ!

დაბალი სარეცელი იყო, გამოსაკითხს თავზე დასახური ჩაჩქანი თავთით ედო, გვერდებზე გამძლე არტახებიანი ბორკილები ჰქონდა. რიქსი წინააღმდეგობის გაუწევლად დაწვა. თავზე ჩაჩქანი მოვარგეთ. თელილმა კიდევ გაასწორა რაღაცეები და სამართავი ტაბლოსაკენ წავიდა. სინათლემ იკლო და ძალიან სუსტი ზუზუნი გაისმა. რიქსის ნაკვთები ოდნავ მოდუნდნენ.

პირველსავე კითხვაზე ამოიდგა ენა. ტელბირის შესახებ ყველაფერი გვითხრა, რაც იცოდა; მოსახლეობა დაახლოებით რვაასი მილიონი კაცისაგან შედგებოდა, მრეწველობა კარგად იყო განვითარებული. მათი ვარსკვლავთმფრენები კოსმომაგნიტური ძრავების ერთობ მახვილგონივრულ ნაირსახეობას იყენებდნენ. ზესივრცის გამოყენება ჯერ არ იცოდნენ, ფიქრობდნენ, რომ მალე შესძლებდნენ, მაგრამ რიქსმა არ იცოდა რა გზით ცდილობდნენ ამის მიღწევას. დარწმუნებულები იყვნენ, რომ მათი წინაპრები დედამიწელებმა მუხანათურად გააგზავნეს სხვა პლანეტების ასათვისებლად ამ უკანსაკნელთა თანხმობის გარეშე. ყველაფერი აღგვიწერა სამხედრო წყობის შესახებ. მაგრამ წითელი ჰუმანოიდების შესახებ ვერაფერი ვათქმევინეთ, მიუხედავად იმისა, რომ კითხვები ყველანაირად დავუსვით. დაცვის ქვეშ დასასვენებლად დავტოვეთ.

— თელილ, დარწმუნებული ხართ, რომ შეუძლებელია ფსიქოსკოპში ცრუობა?

— სრულებით. ფსიქოსკოპი ახშობს ყველანაირ ნებისყოფას და წინააღმდეგობას, ქვეცნობიერსაც კი. ორად ორი ახსნა შეიძლება იყოს: ან ჩვენ გველანდება ყველას, ან...

— ან ამ ურჩხულებს ჩვენს ფსიქოლოგიურ წვრთნებზე უფრო ქმედითი ხერხები აქვთ და ამიტომაც უძლებენ ფსიქოსკოპს.

— თქვენც კი ვერ გაუძლებდით, ჰაურკ. უბრალოდ თქვენ არ დაგეძინებოდათ. ამიტომაც ვერ დაგაჰიპნოზებდით, მაგრამ თუ რაღაც სასწაულად მაინც შევძლებდით, თქვენც სხვებსავით სიტყვაუხვი იქნებოდით.

— კეთილი, მაგრამ იმ არსებების გვერდით არ ცხოვრობდა?! ბოლობოლო მის ვარსკვლავთმფრენზე ორი ურჩხული იყო! როგორ შეიძლება რომ საერთოდ არაფერი ახსოვდეს?!

— როგორ და ალბათ ჩვენს ფსიქოლოგიურ მეცნიერებაზე უფრო წინ მყოფი მეცნიერული ხერხებით ბავშვობიდანვე კარგად არის გაწვრთნილ-გამოწრთობილი გარკვეულ პირობებში ყველაფრის დასავიწყებლად.

— კეთილი, მაგრამ რაღაცის დავიწყება შეუძლებელია.! ფსიქოლოგიურადაა შეუძლებელი!

— თუ სიტყვა დავიწყება არ მოგწონთ, მაშინ შეიძლება გამოვიყენოთ დამალვა და ვთქვათ, რომ ურჩხულების შესახებ ცოდნა ისეთ დონეზე გადამალა, რომ ჩვენს ფსიქოსკოპს არ ძალუძს მისი გამომზეურება.

— ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს, ჰაურკ, — საუბარში ჩაერია კირიოსი. მთავარი ისაა, რომ ამ ამბავში ადამიანები სხვათა მორჩილებაში არიან. და ამ სხვების შესახებ არაფერი ვიცით, გარდა მათი შესახედაობისა და იმისა რომ დევებივით იბრძვიან!

ტყვემ გამოიღვიძა თუ არა, მაშინათვე მოვინახულე.

— თავს როგორ გრძნობთ?

— კარგად. ჯერ კიდევ არ გაგიტარებივართ თქვენს მანქანაში?

— გაგატარეთ.

— და მერე?.. არაფერი მიგრძვნია, და ვგონებ, არც ჩემი ჭკუა შელახულა!

— ეგ შესაშინებლად გითხარით, რათა უფრო მგრძნობიარე ყოფილიყავით შთაგონების მიმართ. ფიქოსკოპს ჯერ არავისათვის უვნია. მას ხშირად ვიყენებთ გონებრივ დაავადებათა სამკურნალოდ. ბოდიში მომითხოვია, რომ თქვენი ნებართვის გარეშე გაგატარეთ მასში. თამაშის ფასი ძალიან მაღალია და თავს ორჭოფობისა და ყოყმანის უფლებას ვერ მივცემ, მაგრამ მაინც სინდისი მქენჯნის. ბევრი რამ კი გავიგეთ თქვენგან, მაგრამ წითელი არსებების შესახებ საერთოდ ვერაფერი.

— ეგებ არც კი არსებობენ, — გამომწვევად მიპასუხა.

— სამწუხაროდ, ჩვენ დარწმუნებულები ვართ მათ არსებობაში! სხვა ახსნაც არსებობს, გვარიანად შემზარავი — შესაძლოა იმ წითელი ურჩხულების ხელში უბრალო სათამაშოები იყოთ და გაგწვრთნეს, რომ დაივიწყოთ მათი არსებობა, როგორც კი მათი გავლენიდან გამოხვალთ. თქვენს ხომალდზე 23 ადამიანი და ორი წითელი იყო. თქვენი მეხსიერების გამოკვლევისას ერთ საცნაურ რამესაც წავაწყდი. ფსიქოსკოპი ყველაზე შორეულ მოგონებებს ამზეურებს, ადამიანის ცხოვრების პირველი დღეების მოგონებებსაც კი. თქვენ კი არ იცით, პირველად ვინ გითხრათ, რომ თქვენი წინაპრები დედამიწიდან გამოაძევეს და არც ის იცით, როდის გითხრეს პირველად. ისეთი ეჭვი მაქვს, რომ ეს აზრი შეიძლება წითლების მიერ გქონდეთ შთაგონებული.

— სასაცილოა! ძალიან კარგად მახსოვს! ისტორიის კურსის ნაწილია, პირველ კლასში გავდივართ ამას!

— დიახ, ეს თქვენი პირველი მყარი მოგონებაა ამის შესახებ. სცადეთ, უკეთ გაიხსენოთ. დარწმუნებული ხართ, რომ მანამდე არ იცოდით?

— უუფ, ააარა. მეცოდინებოდა, როგორ არ მეცოდინებოდა. მაგრამ ეს არაფერს ადასტურებს!

— ფსიქოსკოპში ხელახლა ხომ არ გაივლიდით, ამჯერად ნებით, ჰიპნოზის გარეშე.

— უჰუ! ის რომ მათქმევინოთ, რისი თქმაც არ მინდა არა?!

— ისედაც უკვე ყველაფერი გვითხარით!

მოკლედ მოვუყევი ყველაფერი, რაც მისი წყალობით შევიტყვეთ ტელბირის შესახებ.

ცოტა იყოყმანა, მერე მხრები აიჩეჩა.

— მიდით, დასაკარგი მაინც აღარაფერი მაქვს!

ამჯერად ნებით დაწვა ტახტზე. ჩაჩქანი მოვარგეთ.

— თავბრუ მეხვევა და ჭიანჭველები დამდიან ყველგან...

— არა უშავს, ეს ნორმალურია. სცადეთ, გაიხსენოთ.

ჩაჩქნის მიღმა მის გაოგნებულ თვალებს ვხედავდი.

— საზარელია! ოცი წლის წინ, ბავშვობაში წაკითხული წიგნი გამახსენდა! სიტყვა სიტყვით მახსოვს!

— სცადეთ, გაიხსენოთ ვინ გითხრათ პირველად ეს ლეგენდა თქვენი წინაპრების შესახებ...

გაიტრუნა, შემდეგ უეცრად შემზარავი ყვირილი აღმოხდა, ყვირილი შიშისა,

ჩაჩქანი მოიძრო:

— არა! შეუძლებელია, ეს სიმართლე იყოს!

— რაშია საქმე?

— რ'ჰნეჰ'ერმა მითხრა! ერთერთმა მათგანმა მითხრა პირველად! მართალი ბრძანდებით, ნამდვილად არსებობენ! არ მინდა ამის გახსენება, არ მინდა!

— უნდა გაიხსენოთ, თქვენი და თქვენიანების სასიკეთოდ უნდა გაიხსენოთ!

— ვიცი, ვიცი! — აპარატი აღარაა საჭირო, შესაძლოა მხოლოდ პატარა დეტალებისათვის! ბურუსი გაიფანტა... მონები, მათი მონები ვართ. მონები... და კიდევ საკლავი!

თავი მეოთხე

ფსიქოტექნიკური ომი

ჩემს სამუშაო ოთახში დავბრუნდით და მისი გრძელი მონათხრობი ჩავიწერეთ. რვაწლიანი ხეტიალის შემდეგ ვარსკვლავთხომალდი ტელბირზე დაეშვა. ვინაიდან პლანეტა დედამიწას ჰგავდა და რაზმის წევრებს დედამიწაზე დაბრუნების ყოველგვარი იმედი გადაეწურათ, პლანეტაზე საბოლოოდ დამკვიდრება გადაწყვიტეს. იმ კონტინენტზე რომელზეც დაეშვნენ, მხოლოდ ცხოველები იყვნენ. საუკუნეების მანძილზე მუშაობდნენ და მრავლდებოდნენ. შემდეგ ერთ დიდ კუნძულზე ადგილობრივი მკვიდრები აღმოაჩინეს. ნეოლითური ტექნიკის მქონე ჰუმანოიდები საკმაოდ მრავალრიცხოვნები იყვნენ, ასობით ათასი. მოახალშენებმა იფიქრეს, რომ მათი სახით დამხმარე ძალა გამოუჩნდათ და ამიტომ მასობრივად გადმოასახლეს წითლები კონტინენტზე და შეძლებისდაგვარად განათლებაც მისცეს. ერთი საუკუნის მანძილზე ყველაფერი კარგად იყო. ტელბირელები მორჩილებას, საზრიანობას და ერთგულებას ამჟღავნებდნენ, ყოველ შემთხვევაში გარედან ასე ჩანდა. ფიზიკური მეცნიერებებისა ტელბირელებს ბევრი არა გაეგებოდათ რა, სამაგიეროდ ფსიქოლოგიური მეცნიერებები იცოდნენ შესანიშნავად და ამ ცოდნას გულმოდგინედ მალავდნენ. უსაზღვრო მოთმინებით ელოდნენ თავიანთ დროს, ჯერ მოჯამაგირეებად მუშაობდნენ ფერმებში, შემდეგ კლერკებად, წვრილ მოხელეებად, მასწავლებლებად თავიანთსავე სკოლებში. ითვისებდნენ ყველაფერს რისი ათვისებაც შეეძლოთ დედამიწელთა ცოდნიდან, მაგრამ თავისას არავის უმხელდნენ. და მთელი ამ ხნის განმავლობაში მორჩილები იყვნენ და სურდათ თავი მოეწონებინათ ადამიანებისათვის. შემდეგ კი აჯანყდნენ, ძალაუფლება ჩაიგდეს ხელში და დედამიწელები დაიმონეს.

ყველაფერი ეს მათგანვე ვიცი. ამ ამბავს არ მალავენ, პირიქით, დიდ სიამოვნებას ანიჭებთ ჩვენი წვალება. აჯანყება შეუძლებელია. ბავშვობიდანვე გვაჰიპნოზებენ და მორჩილებას გვინერგავენ. მერე ზოგიერთი რ'ჰნეჰ'ერი დროდადრო სიმართლეს გვიმჟღავნებს თავის შესაქცევად. ერთი ორი დღე გვტანჯავენ და შემდეგ გვიბრძანებენ დავიწყებას. სხვა დროს კი, დარწმუნებულები ვართ იმაში, რომ ჩვენ ვართ ბატონები, ისინი კი — მოსამსახურეები. ამით ძალიან ერთობიან. ვინაიდან, მიუხედავად მათი გონიერებისა, მეცნიერებისადმი დიდი მიდრეკილება არ აქვთ და ამიტომ ისევ ჩვენ ვართ მათი ინჟინრები, ფიზიკოსები, ბუნებისმეტყველები. ვისაც შეგვიძლია. სხვები მონებად ჰყავთ, მათდამი ფანატიკურად ერთგულ მონებად, რამეთუ ეს ერთგულება შთაგონებული აქვთ. და მუდამ თან გვდევს ბრძანება: თუ ვინმე სხვა შეგიპყრობთ, დაგვივიწყეთ, მხოლოდ თქვენ არსებობთ. ტელბირზე მხოლოდ ტელბირელები სახლობენ. ყველაზე უფრო სუსტ დედამიწელებს საკლავი საქონლის ბედი ელით: ტელბირელები ადამიანებს ჭამენ. და რაც ყველაზე უფრო შემაძრწუნებელია, მსხვერპლს ჩვენვე ვასახელებთ, რასის ხარისხის ამაღლების

მიზნით!

— მაშასადამე, — მივუბრუნდი კირიოსს, — №1 პრობლემაა ტელბირის აღება, ადამიანთა გათავისუფლება და სხვების განადგურება.

— არა, ჰაურკ. ეგ №2 პრობლემაა. №1 პრობლემა რამდენიმე საათში მოგვადგება კარზე: მათი ფლოტი.

— აღარ მიკვირს, ასეთ გასაოცარ მებრძოლებად რომ მოგვეჩვენენ. ეჭვი არ მეპარება, რომ ვერ შესძლეს ჩვენი მეომრების გონებაზე კონტროლის დაწესება, მაგრამ იმდენი მაინც მოახერხეს, რომ სინამდვილე დამახინჯებულად აღაქმევინეს და თავები ომის ღმერთებად მიაჩნევინეს, — გამოვთქვი ჩემი მოსაზრება.

— შესაძლებელია. არადა, კელბიკს არანაირი ზეგავლენა არ ემჩნეოდა.

— კელბიკი ტექნია და მას საგანგებო წვრთნა აქვს გავლილი, კირიოს. ვფიქრობ, მეომართა დიდი ნაწილის გაწვრთნა მოგვიწევს ამ შეტაკების მერე, ცხადია, თუკი გავიმარჯვებთ.

— გავიმარჯვებთ. აბა, დროებით, ჰაურკ, თადარიგი უნდა დავიჭირო.

რიქსთან მარტო დავრჩი. ტიროდა, ძლიერი მხრები ქვითინის კვალად უცახცახებდა. მივუახლოვდი, თავი ასწია და შემომხედა.

— განა ჩემს თავს დავტირი, არა, მე გავთავისუფლდი, პირველი თავისუფალი ადამიანი ვარ საუკუნეების მანძილზე. მაგრამ სხვები! თავს გაწირავენ რ'ჰნეჰ'ერების დასაცავად.

— ჰო, მეც ვშიშობ მომავალ ბრძოლებში ბევრ მსხვერპლს, ჩვენი მხრიდანაც და თქვენიდანაც. მომავლის გამო უნდა ვცადოთ მსხვერპლის შემცირება.

ჩემს ლაბორატორიასთან, რომელიც იმჟამად კელბიკის თითქმის ერთპიროვნულ განკარგულებაშია გადასული, დამაკავშირებელ ღილაკს დავაჭირე.

— კელბიკ!

— ბატონო? ა, ჰაურკ, შენ ხარ? რა გინდა?

— რაზე მუშაობ ამჟამად?

— შენის აზრით რაზე შეიძლება რომ ვმუშაობდე! ზესივრცემფრენზე, ცხადია! რაღაც წინსვლებიც გვაქვს...

— ზესივრცემფრენზე მუშაობას მოეშვი. მაგაზე უფრო საჩქარო საქმე გვაქვს. შენი და შენი ჭკუის კოლოფების რაზმი მჭირდებით.

კელბიკის უკან ახალგაზრდა ჰოქტუ შევნიშნე, რომელიც ეკრანს უყურებდა

გაბრაზებული.

— ქვეცნობიერში ქექიებს, თელისა და როობს დაუკავშირდი და ფსიქოტექნიკური იარაღის გაკეთებას შეუდექი. ეგრე ნუ მიყურებ. ტყვესთან ჩემი საუბრის ჩანაწერებს გამოგიგზავნი და ყველაფერს მიხვდები. — ძალიან საჩქაროა. გინდ ჰაურკისეული ანალიზი გამოიყენე, გინდ კელბიკისეული და თუნდაც მაგ ჯეელ ჰოქტუს თავში რომ ანალიზი იბადება ის და რომლის ფონზეც მალე ორივე იდიოტებად გამოვჩნდებით, მაგრამ იარაღი შექმენი! ამაზეა დამოკიდებული ტელბირელი რვა ასი მილიონი ადამიანის სიცოცხლე, ჩვენი თანამემამულეების სიცოცხლეზე აღარას ვამბობ!

— რაო?

— სრულიად სერიოზულად გეუბნები, კელბიკ. უპირატესობა №1 პროექტ... რა ვუწოდოთ? მოიცა, მოიცა: პროექტი ტილის მოცილება. ტელბირი უნდა გავასუფთავოთ ტილისაგან. შენი იმედი მაქვს.

ჩემს სამუშაო მაგიდაზე წითელი ნათურა აციმციმდა. კელბიკთან კავშირი გავწყვიტე და კირიოსს ვუპასუხე.

— ჰაურკ, ბრძოლა დაწყებულია. დაახლოებით 1200 ხომალდი გვიტევს, ვენერას — 600. მათ მოსაგერიებლად 2 400 კოსმოსფრენი გვაქვს, გარდა ამისა გვაქვს ტელემართვადი ჭურვებიც. უარესს ველოდი!

— ეცადეთ რაც შეიძლება მეტი ტყვე აიყვანოთ.

— ტყვეები? კოსმოსურ შეტაკებაში? კეთილი, შევეცდებით!

გააფთრებული ბრძოლა 17 დღე გაგრძელდა. კირიოსმა ჩვენი ძალები შეძლებისდაგვარად დაზოგა. მტრის ბომბებისათვის ყურადღება არ მიგვიქცევია, ვინაიდან დედამიწა მზისაგან ჯერ ისევ ძალიან შორს იყო და გაყინული ჰაერის სქელი ფენით დაცულ ჩვენ ქალაქებს დიდ ზიანს ვერ აყენებდნენ, სამაგიეროდ კოსმომფრენთა მსხვილმა დაჯგუფებებმა მტერს დედამიწაზე გადმოსვლის საშუალება არ მისცეს. პარაგრავიტაციული ველების მიერ ტრაექტორიიდან გადაცდენილი წყალბადის ბომბი ჰური-ჰოლდედან ასოც კილომეტრში ჩამოვარდა და დედამიწას ამ ადგილას რამდენიმე წუთით დაუბრუნა ატმოსფერო, თუმც კი ძლიერ რადიოაქტიული. შორს ცაში ეფემერული კაშკაშა ვარსკვლავები თავიანთი ანთება-ჩაქრობით მორიგი ვარსკვლავთმფრენის აღსასრულს მოასწავებდნენ. კირიოსის მიერ მომზადებული გამშვები ბატარეებიდან ჭურვები უწყვეტ ნაკადად იფრქვეოდნენ. მეჩვიდმეტე დღეს ხუთჯერ შემცირებულმა მტერმა უკან დაიხია. ჩვენი აპარატების მხოლოდ ერთი მეათედი დავკარგეთ. მხოლოდ ოცი ტყვე ჩავიგდეთ ხელთ, მათგან ერთი — რ'ჰნეჰ'ერი.

ამ ხნის განმავლობაში არც მე დამისვენია. ომის ძირითადი ხაზების მართვის პარალელურად ცოტაოდენი დრო გამოვნახე, რომელსაც კელბიკის ლაბორატორიაში ვატარებდი თავად კელბიკისა და მისი გუნდის გარემოცვაში. კელბიკს პლანეტის

ყველაზე ბრწყინვალე მათემატიკოსები, ფიზიკოსები, ბიოლოგები და ფსიქოლოგები ჰყავდა შემოკრებილი. ამოცანას პირისპირ შევეჭიდეთ მთელი გააფთრებით. რიქსი გუნდის წევრი იყო, როგორც მტრის შესახებ პირველწყარო. ძალიან მალე ინჟინრის შესანიშნავი უნარების გამო გუნდს სხვამხრივაც წაადგა. ტოლი არ ჰყავდა ექსპერიმენტული მოწყობილობების აწყობაში. გაშმაგებული მუშაობდა, ერთი სული ჰქონდა, როდის მივაღწევდით მიზანს, რათა შური ეძია თავის ხალხის მონობის გამო საუკუნეების მანძილზე.

მაგრამ დროის უკმარობის გამო არ შემეძლო ბოლომდე მივყოლოდი ამ საქმიანობას. თანაც მას მერე, რაც სოლოდინის სათავეში მოვედი და დედამიწის ბედისწერა ჩემს კისერზე გადმოვიდა, თითქმის არ მიხლია ხელი კვლევებისათვის და, უნდა ვაღიარო, აშკარად ჩამოვრჩებოდი არა მხოლოდ კელბიკს, არამედ ჰოქტუსაც და კიდევ ბარე ერთი ორს. ოციოდე დღის შემდეგ კი, ერთობ გავოცდი, როცა კელბიკმა ვიზიოფონით მომახსენა:

— ეგაა და გორის ციხე, ჰაურკ! ვგონებ ამოცანა გადავწყვიტეთ, ლაბორატორიის დონეზე მაინც. სხვათაშორის ძალიან ადვილი იყო. უბრალოდ მოფიქრება სჭირდებოდა. სისულელეა მეცნიერებები ასე რომაა ერთმანეთისაგან გამიჯნული. თელის უკვე დიდი ხანია ხელთ ჰქონდა ამოცანის გადაჭრის ხერხი, ჩვენ კი — სრულიად სხვა მიზნებისათვის განვითარებული მათემატიკური ხელსაწყოები. საკმარისია ფსიქიკურ ნაკადებზე ჰაურკის განტოლებების გამოყენება — დიახ, შენი განტოლებების! ცხადია მათი შეცვლა მოგვიხდა და მიღებულ შედეგებზე ჩემეული ანალიზის გამოყენება, შედეგად ვიღებთ ჰურტენის ორამონახსნიან განტოლებას. უარყოფითი ამონახსნი გვაინტერესებს. ახლავე აგიხსნი.

— და ვინ მიაგნო ამას? შენ?

— არა. ჰოქტუც ჭკუაზე არაა, არც მას მიუგნია. ტილკენმა მიაგნო! ჩვენ ვერც კი შევამჩნიეთ. ხომ იცი, როგორ უყვარს ფანტასტიკური რომანები. ერთ რომანში წაუკითხავს, თუ როგორ აგებს გმირი არაჩვეულებრივ მოწყობილობას მეზონური ეგმ-ის მიერ მოცემულ უარყოფით ამონახსნზე დაყრდნობით. წიგნის ავტორს ჯილდო ეკუთვნის, იგი იკირში ცხოვრობს. მოკლედ, ტილკენმა წაიკითხა ის წიგნი და იდეა გაუჩნდა.

— მნიშვნელობა არ აქვს, ვინ მიაგნო ამონახსნს. ახლავე მანდ გავჩნდები.

მოწყობილობა ლაბორატორიის შუაში დადგმულ მაგიდაზე იდო, მილაკებისა და მავთულების ამ უცნაურ გროვას რაღაც დამასხივებელი აგვირგვინებდა და ირგვლივ ახალგაზრდა ტექნთა მთელი ლიანგი ერტყა.

— ამ ურჩხულს ახლოდან ნუ დააცქერდებით, გააფრთხილა კელბიკმა. ჯერ უბრალო ნაჩხირკედელარია. ნაწილების უმრავლესობა არაფერშია საჭირო, მაგრამ მაინც მუშაობს.

— შედეგი რა აქვს?

— მეხსიერების დაუყოვნებელი გაუმჯობესება ფსიქოსკოპის ზემოქმედების მსგავსად, მაგრამ ჩაჩქანი არაა საჭირო. გინდა გასინჯო? გახსოვს ის სიტყვები სულ პირველად რაც მითხარი? ვითომ შესძლებ გახსენებას?

— ცხადია, ვერა. ისიც კი არ მახსოვს ზუსტად, როდის გაგიცანი.

— აქ დადექი. დამასხივებელს ჩავრთავ. ესეც ასე.ჰო! დამლახვროს ეშმაკმა!

გამომრთველის მკვეთრი ტკაცუნით გაიხსნა.

— რაღა თქმა უნდა! შესანიშნავად მუშაობს, მაგრამ საკმარისია ჩვენება მოგინდეს, რომ! შენ რაღა დაგემართა?

— ერთ მეყში მთელმა ჩემმა ცხოვრებამ თვალწინ გამიელვა და ისეთი მომენტებიც კი გამახსენდა, რომელთა დავიწყებაც მერჩივნა. მივუგე კელბიკს. გაოგნებული მიყურებდა, მერე კი სიხარულისაგან აროკდა.

— მთლად უკეთესი! ამაზე არასოდეს მიფიქრია! საბოლოო სიძნელეებსაც მოეღო ბოლო! თავიდან ვფიქრობდი, რომ ტელბირის მნემონურ გამოსხივებაში ჩაძირვა და უკვე თვალებახელ ტელბირელთა პლანეტაზე გადასხმა დაგვჭირდებოდა, რათა სხვებისათვისაც ებიძგებინათ გახსენება, მაგრამ როგორც ვხედავ, ამის საჭიროება აღარ არსებობს. ძალიან ხანმოკლედ დასხივდი, მაგრამ დასხივება იყო ინტენსიური და ოსცილირებადი. ამის კიდევ უფრო გაუმჯობესება შეგვიძლია და დარწმუნებული ვარ, რ'ჰნეჰ'ერებს ცუდი თხუთმეტი წუთის გატარება მოუწევთ, თუმც შეიძლება თხუთმეტი წუთიც არ გაგრძელდეს! ცხადია, მეხსიერების ეს გამონათება დიდხანს არ გასტანს და მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მოგონება ისევ დავიწყებას მიეცემა, მათგან ყველაზე უფრო მნიშვნელოვნები დარჩებიან.

— ყველაზე მნიშვნელოვანია იმის გაგება, ამ გამოსხივებას ძალუძს თუ არა რ'ჰნეჰ'ერების შთაგონების უნარის გადაძალვა.

— რამდენიმე ტყვე ხომ გვყავს? ტყვეები მოიყვანონ და ის გადამთიელი წითელკანიანი ნიანგიც მოაყოლონ!

საჭირო ბრძანებები გავეცი და მოკლე ხანში დაცვამ ოციოდე კაცი მოიყვანა. შემდეგ ბორბლებიანი ლითონის გალიით მასში გამომწყვდეული რ'ჰნეჰ'ერიც შემოაგორეს.

— რიგირიგობით მივყვეთ, თქვა კელბიკმა. ჯერ ერთზე გამოვცადოთ. ოსცილატორი მზადაა? მიდით!

დამასხივებლის წინ ქერათმიანი ახალგაზრდა დააყენეს, ზიზღიანი თვალებით გვიყურებდა. კელბიკმა წრედი შეკრა. შედეგი ელვისებრი იყო. ყმაწვილმა ხელები ყვრიმლებზე დაიდო, შეტორტმანდა და გაოგნებულმა ირგვლივ მიმოიხედა. რიქსმა მისკენ გაიწია.

— რა მჭირს? შეუძლებელია, რომ ეს მართალი იყოს,— ამოილუღლუღა.

— სამწუხაროდ, სიმართლეა, მეგობარო,— უთხრა რიქსმა. საიდან ხარ?

— რანდონიდან, დედაქალაქის აღმოსავლეთით 60 კილომეტრში მდებარე პატარა სოფლიდან ვარ. მექანიკოსი ვიყავი „ტაიალაპზე“.

— ესე იგი კაპიტანი ილიკინი გეცოდინება.

— ვიცნობდი. მკვდარია. — შენ რა ტელბირელი ხარ?

— „ფილიანზე“ ვმსახურობდი და თერის შეტაკების მერე შემიპყრეს. უკვე რამდენიმე დღეა, რაც სიმართლე ვიცი.

— შემდეგზე ვცადოთ,— ბრძანა კელბიკმა. აი ამაზე, ჩაფსკვნილზე. სალაპარაკოდ მერეც გეყოფათ დრო.

შედეგი ამჯერად უფრო ნელი იყო, თუმც ისევ ქმედითი. მამაკაცმა დინჯად წარმოთქვა გინებებისა და ლანძღვის წყება გალიაში გამომწყვდეული რ'ჰნეჰ'ერის მისამართით.

დანარჩენი ტყვეები გაოცებული უყურებდნენ.

— ახლა თქვენი ჯერია, უთხრა მათ კელბიკმა. ბითუმად! ცალობით აღარ ვმუშაობთ.

დამასხივებელი მათ მიუშვირა. ამაოდ სცადეს უხილავი სხივების თავიდან აცილება. კელბიკმა გულდასმით „განბანა“ თავისი სხივებით ტყვეები. შემდეგ აურზაური ატყდა. ყველას ერთდროულად მოუნდა ალაპარაკება, რ'ჰნეჰ'ერების ლანძღვა და წყევლა, ტელბირზე დარჩენილი ახლობლების ბედკრულობის გამო ქვითინი. უეცრად ერთი ყმაწვილი წამოიჭრა, კელბიკს სარტყლიდან ალმტყორცნი აართვა და სანამ გონს მოვეგებოდით, გალიაში გამოწყვდეულ ტელბირელს ესროლა და მოკლა.

— მომკალით, თუ გინდათ! ამ მხეცებმა და შემიჭამეს!

— ცდის შედეგები დამაკმაყოფილებელია,— დავასკვენი. ისღა დაგვრჩენია, რომ ჩვენს კოსმომფენებზე დავაყენოთ დამასხივებლები და მტრის გამოსააშკარავებლად გავწიოთ. შემდეგ პლანეტაზე გადავსხდებით და...

— ერთი აზრი მაქვს, ჰაურკ. მთელი ტელბირი რომ განვბანოთ ამ სხივებით?

— ძალიან ბევრი დამასხივებელი დაგვჭირდება, ან შორიდან უნდა ვიმოქმედოთ.

— შეუძლებელია! გამოსხივების სიმძლავრე მანძილის კვადრატის უკუპროპორციულია. ძალიან სწრაფად სუსტდება, ან უზარმაზარი სიმძლავრის სხივები დაგვჭირდება. კოსმომფრენებიდან კი ამას ვერ შევძლებთ. მაგრამ თუ ვეებერთელა დამასხივებლებს თვითონ დედამიწაზე დავაყენებთ...

— ტელბირიდან რა მანძილზე მოგვიწევს პლანეტის მიყვანა?

— ჩვენს მოწყობილობებს თეორიულად შეუძლიათ მოგვცენ 100 000 კვტ სიმძლავრე, რაც საჭიროებს დაახლოებით სამ მილიონ კილომეტრ მანძილზე დაახლოებას.

— პრაქტიკულად შეუძლებელია, კელბიკ.

— რატომ?

— ასეთ მანძილზე დედამიწასა და ტელბირს მიზიდულობა იმდენად დიდი იქნება, ურთულესი მანევრების გარეშე შეუძლებელი იქნება პლანეტების ერთმანეთთან შეჯახების თავიდან აცილება. აღარას ვამბობ მძლავრ მოქცევებზე, მიწისძვრების საშიშროებასა და მისთანებზე. მესმის რისი გაკეთებაც გინდა: ტელბირის ზედაპირის ცოტა ხნით დასხივება, რათა ყველგან ერთდროულად გამოიწვიო აჯანყებები. მაგრამ ეს შეუძლებელია და ამიტომ ნაკლებად ამბიციური პროექტებს უნდა დავჯერდეთ, მაგალითად, ტელბირის ნაწილ-ნაწილ გათავისუფლებას.

— დიდი ხანი დასჭირდება და მსხვერპლიც დიდი იქნება!

— სხვა გზას ვერ ვხედავ. მანამდე კი შეგვიძლია მოწინააღმდეგის კოსმოფლოტის დეზორგანიზაცია, მათი ხომალდების ხელში ჩაგდება და ხომალდების ეკიპაჟების გადმობირება. როცა შესატევად მზად ვიქნებით, მაგრად უნდა დავცხოთ!

— მართალი უნდა იყო. ჰო, მართლა! გაგახსენდა შენი პირველი სიტყვები?

ვიგრძენი, როგორ შევიფაკლე. არაადამიანი კელბიკი! ჩვენ პირველ შეხვედრამდე ცოტა ხნით ადრე მისი ნაშრომი წავიკითხე და ამიტომ პირველი შეხვედრისას ვუთხარი: ეს რა აბდაუბდაა?

პირველი ფსიქოტექნიკური ბრძოლა ერთი თვის მერე მოხდა. მიუხედავად მცირე შეტაკებებისა, ჩვენი იარაღის გამოყენება მაინც გადავავადეთ მანამ, სანამ ჩვენი კოსმომფრენების მთელი ფლოტი არ აღვჭურვეთ მათით. ყველაზე გარე პლანეტის სიახლოვეს მოხდა ყველაზე გააფთრებული შეტაკება, დედამიწამ მისი ორბიტა მოკრძალებულ სიჩქარით — წამში 140 კილომეტრით — გადაჰკვეთა. მთელი სიმძლავრით ვანელებდით. მიუხედავად მთელი ძალისხმევისა კირიოსმა ვერ შესძლო, რომ კელბიკი და მე ბრძოლაში არ ჩავბმულიყავით. ფრონტის ხაზზე 45 კოსმომფრენი გამოვიყვანეთ მტრის 120 მანქანის პირისპირ. მტერმა ცეცხლი ძალიან შორიდან გაგვიხსნა ჭურვებით, რომელთაც ჩვენი ჭურვები მივაგებეთ. საკმარის მანძილზე როცა მივუახლოვდით, სივრცის დასხივების ბრძანება გავეცი. თავიდან არაფერი მოხდა, თითქოს მტრის ხომალდების გარსი შეუღწეველი იყო ჩვენი მნემონიკური სხივებისათვის, არადა ვიცოდით, რომ საქმე სულ სხვანაირად იყო. კიდევ რამდენიმე ტორპედო გამოისროლეს ჩვენსკენ, რომლებიც გზაშივე გავანადგურეთ. მტრის წინა ხაზი უცებ შეტორტმანდა. ერთმა ვარსკვლავთმფრენმა თავის მეზობელს გაუხსნა ცეცხლი. ორივე დამაბრმავებელმა აფეთქებამ დანთქა. უცებ რადიო ალაპარაკდა:

— შეჩერდით! შეწყვიტეთ ცეცხლი! საშინელი გაუგებრობაა! მზად ვართ დავიწყოთ მოლაპარაკება!

ვინაიდან ღალატის შესაძლებლობა გამორიცხული არ იყო, ამიტომ გაძლიერებული ბადრაგის თანხლებით დედამიწაზე გადმოსხდომის ნება დავრთეთ. ეკიპაჟების დელეგაცია საბჭომ მიიღო. მათი მონაყოლი ერთმანეთს ემთხვეოდა: უეცრად გამოერკვნენ უაზრო ზმანებიდან, გაწყვიტეს კოსმომფრენზე მყოფი სამი თუ ოთხი რ'ჰნეჰ'ერი და მოლაპარაკების დაწყება გვთხოვეს. მხოლოდ ერთ ხომალდზე შესძლეს რ'ჰნეჰ'ერებმა გამარჯვება.

ომი ასე გაგრძელდა კიდევ დაახლოებით ოთხი თვე, ადამიანთა მსხვერპლი ძალიან დაბალი იყო, მაგრამ მტერს მძიმე მატერიალური ზარალი ადგებოდა. ჩვენი ფლოტი ჩვენს მხარეზე გადმოსული მოწინააღმდეგის ხომალდებისა და ეკიპაჟების ხარჯზე იზრდებოდა. შემდეგ მტერი მიხვდა და მისი ხომალდები იშვიათად თუ ჩნდებოდნენ.

გადამწყვეტი მომენტიც დადგა. ვარსკვლავის ირგვლივ დიდ სპირალურ ორბიტაზე გავედით, რომელიც ტელბირის ორბიტაზე გაგვიყვანდა, ამ უკანასკნელის მიმართ კვადრატურაში. ამგვარად დედამიწის ჰავა იმაზე ცოტათი უფრო თბილი იქნება, ვიდრე მაშინ იყო, როცა იგი მზის ირგვლივ ბრუნავდა. ვენერა შიდა პლანეტის მდებარეობას დაიკავებდა, მაგრამ ისე რომ მისი ჰავა უფრო ზომიერი ყოფილიყო. ასტრონომთათვის ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო დედამიწისა და ვენერის ისეთი ორბიტებისა და სხვა პლანეტების ორბიტების გადაკვეთის ისეთი მომენტების დაანგარიშება, რომ სისტემის წონასწორობა არ დარღვეულიყო ორი ახალი სხეულის დამატების შედეგად. თუკი გონიერი სიცოცხლე აღიგვება პირისაგან მიწისა შორიდან მოსულ კოსმოგონისტებს გაუჭირდებათ ახსნან ის, თუ როგორ მოხვდა ბელულის ირგვლივ ორი პლანეტა, რომლებიც არ ემორჩილებიან მანძილთა კლასიკურ კანონს!

პირველი დარტყმა მთაში განმარტოებულ სოფელზე მივიტანეთ. ღამით სამი კოსმომფრენი სოფლისაკენ გაეშურა. იმავდროულად ერთი ფლოტი დედაქალაქისაკენ გაემართა, ტელბირელების ფლოტის ნარჩენები მის შესახვედრად გაემზადნენ. სოფელი მნემონიკური სხივებით განვბანეთ და შემდეგ ჩვენი სამი მანქანა, რომელზეც ჩვენს მხარეზე გადმოსული ტელბირელები იყვნენ, მიწაზე დაეშვა. რამდენიმე წუთის შემდეგ, სოფელი ჩვენს ხელში იყო, იქ მყოფი ყველა რ'ჰნეჰ'ერი მკვდარი იყო. მათი სიკვდილი არცთუ ძალიან სასიამოვნო იყო, რამეთუ ამ სოფელში ერთი იმ ადამიანთა სასაკლაოთაგანი იყო, რომელთა არსებობის დაჯერებაც არ მინდოდა.

ვინაიდან ეს მცდელობა წარმატებით დამთავრდა, ამიტომ ბოლომდე გადავწყვიტეთ მისი მიყვანა. იმავე ღამეს სხვადასხვა პატარა ქალაქსა თუ სოფელსაც შევუტიეთ, თუ შეიძლება ამას შეტევა ეწოდოს. სხვა კოსმომფრენები დიდი ქალაქების თავზე ავლებდნენ მეხსიერების დასაბრუნებელ სვრელებს, რომელთა ქვეშაც მაშინათვე აჯანყების კერები ჩნდებოდა.

რ'ჰნეჰ'ერების წინააღმდეგობა შედარებით ხანმოკლე აღმოჩნდა. ძალიან მცრერიცხოვანი იყვნენ და ჩვევად ჰქონდათ ადამიანებს დაჰყრდნობოდნენ ნებისმიერ ტექნიკურ ამოცანაში და ვერანაირად ვეღარ შესძლეს მეხსიერებააღდგენილ ადამიანთათვის მონობის უღლის ხელახლა დადგმა. ერთი

თვის შემდეგ ყველაფერი დამთავრებული იყო და, მიუხედავად ზოგიერთი მძიმე ზარალისა, გამარჯვება მაინც შედარებით ადვილი აღმოჩნდა. ორი თვის თავზე დედამიწაზე ტელბირის ადამიანთა მთავრობის ელჩობა მივიღეთ; კავშირს გვთავაზობდნენ.

რ'ჰნეჰ'ერთაგან ცოტაღა თუ გადარჩა. ადამიანის ტვინზე ზემოქმედ გამოსხივებას არანაირი გავლენა არ ჰქონდა მათ ტვინებზე და ამიტომაც, ვერასოდეს გაიგეს ჩვენი იარაღის ბუნება. მათგან სულ რაღაც ოციოდე ათასი გადარჩა და ისინიც ძლივს ვიხსენით ტელბირელი ადამიანების რისხვისაგან. საბოლოოდ გადავწყვიტეთ მათი ერთ-ერთ გარეთა პლანეტაზე გადასახლება, რათა იქ, ჩვენი მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ, განევითარებინათ თავიანთი ცივილიზაცია თუკი შესძლებდნენ.

დედამიწა და ვენერა ნელ-ნელა უახლოვდებოდნენ ბელულს, რომელსაც ყველა უკვე მზედ მოიხსენებდა. ერთ დღეს ვენერას ტელესკოპიდან შევხედე, მის სილუეტს სიმკვეთრე აკლდა. ატმოსფერო ხელახლა ყალიბდებოდა. რენიასთან ერთად ჰური-ჰოლდეში ჩემს კოშკურაში ავდიოდი ხოლმე. ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ეს ადგილი საუკუნეების წინ მივატოვე. წამახული სილექსი ისევ ჩემს მაგიდაზე იდო. სარკმლიდან ისევ ის უკაცრიელი პეიზაჟი იშლებოდა, თოვლისა და გამყარებული აირის გროვებში ჩაძირული შენობები. ვენერა მზესთან უფრო ახლოს განთავსდა, ამიტომაც მასზე უფრო თბილოდა.

თავიდან კოშკურაში ყოველკვირა ავდიოდით, შემდეგ კი — ყოველდღე. ერთხელ აისის დროს ვიყავით, ჯერ ისევ შორეული მზე ამოიწვერა. როცა მისი ირიბი სხივები გაყინულ ჰაერს შეეხო, მომეჩვენა, თითქოს ჯანღი წარმოიქმნა. მაგრამ მეტი არაფერი შეცვლილა, ისევ ქვემოთ ჩავედი, რენია და არიელი კოშკურაში დარჩნენ.

ცხრა საათამდე ცოტაღა იყო დარჩენილი, როცა დამირეკეს.

— ჰაურკ, მალე ამოდი, დაიწყო!

ამ სცენის ნახვა ეკრანებზეც შემეძლო. მაგრამ უბრალო გამოსახულება, ვიცოდი, ვერ დამაკმაყოფილებდა. ჩემი პლანეტის აღორძინების დასაბამს უშუალოდ უნდა დავსწრებოდი.

ჩვენს წინ, სახურავებზე, მყარი ჰაერის დონდლო გროვები დუღილს იწყებდნენ, ერთმანეთს სცილდებოდნენ, ქვემოთ მისრიალებდნენ და ქუჩაში ცვიოდნენ. ძალიან გაუხშოებული ატმოსფერო უკვე არსებობდა. მზე რაც უფრო უახლოვდებოდა შუბისტარს, ჰაერის დუღილი მით უფრო ძლიერდებოდა და მალე ქალაქი ჰაერის ნისლში ჩაიძირა. კონვექციური დინებები, რომლებიც ძალიან მძლავრი იყო ამ გაუხშოებულ ატმოსფეროში, ხანდახან ფლეთდა ამ ჯანღს და აჩენდა რუხი ყელსახვევებით შებურულ კოშკებს. ხანდახან სახურავებს მთელი მყარი ჰაერი ერთიანად სწყდებოდა, ძირისაკენ გაემართებოდა, მაგრამ ვერასოდეს აღწევდა ქუჩას, გზაშივე ორთქლდებოდა.

მეორე დღეს ბარომეტრებმა ჩვეულებრივი წნევის მეათედი აჩვენეს. ატმოსფერული

წნევა სწრაფად იზრდებოდა მომდევნო დღეებში. როცა დედამიწა თავის საბოლოო ორბიტაზე გავიდა, ატმოსფერო უკვე დიდი ხნის აღდგენილი იყო.

მაგრამ წყლის დნობას ბევრად უფრო მეტი დრო სჭირდება, ამიტომ დედამიწა კიდევ მრავალი წლის მანძილზე დარჩება გაყინულ პლანეტად. დიდ გაზაფხულს მცირედი კატასტროფები ახლდა თან: ფერდობებზე ნიადაგი ზემოდან დნებოდა და მეწყერებს იწვევდა. დედამიწის ზედაპირი ლაფის უზარმაზარ ტბად იქცა. ოკეანეებიც ჯერ ზემოდან დადნენ და ზოგჯერ ყინულის ვეებერთელა ბლოკები ზედაპირზე ამოტივტივდებოდნენ ხოლმე და მოქცევის ტალღები ნაპირებს ეხეთქებოდნენ.

მაგრამ ამას აღარანაირი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. ამდენი განსაცდელის შემდეგ, როგორც იქნა, სამშვიდობოს გავაღწიეთ და ტელბირთან კონფლიქტიც მშვიდობიანად მოვაგვარეთ. ეს ლამაზი პლანეტა რამდენჯერმე მოვინახულე. რ'ჰნეჰ'ერებისაგან გათავისუფლებული ტელბირელები ჩვენი დახმარებით სწრაფად ვითარდებოდნენ.

ვინაიდან კრიზისი უკვე დამთავრებული იყო, მოვიხსენი უზენაესი გამრიგის ძალაუფლება და მეუფეთა საბჭოს წევრი გავხდი კელბიკთან ერთად. 4629 წლის პირველ დღეს ჰანის თავმჯდომარეობით მიმდინარე საბჭოს წინაშე დედამიწისა და ვენერის ხალხებს ოფიციალურად ვამცნე დიადი მწუხრის დამთავრება.

ცხადია, ყველა პრობლემა არ იყო გადაჭრილი. მაგალითად, გვინდოდა კირიოს მილონასის ხალხთან კეთილი ურთიერთობების გაგრძელება. რ'ჰნეჰ'ერების აღმოჩენა დრუმების შემოსევასთან ერთად გვიმტკიცებდა იმ აზრს, რომ სამყაროში მარტონი არ ვიყავით. გარდა ამისა, შესაძლებელი იყო, რომ ჩვენი სხვა ხომალდების რაზმების შათმომავლობა გველოდა სხვა პლანეტებზე თავიანთი ახალგაზრდა ცივილიზაციების ბრწყინვალებით ან მონობის სირცხვილში.

კელბიკსა და მის გუნდთან ერთად ზესივრცული ფრენებისა და დროში გადაადგილებების კვლევას მივყავი ხელი. ჩვენს შორის არანაირი მეტოქეობა არ ყოფილა. კელბიკმა ლაბორატორიის ხელმძღვანელობა მაშინ ჩაიბარა, როცა მე იძულებელი ვიყავი მიმეტოვებინა ეს მოვალეობა. ჩემს ლაბორატორიას დავუბრუნდი ყოველგვარი ამბიციების გარეშე. საქმე ორივესათვის საკმარისი იყო.

ათ თვე დამჭირდა მათ დასაწევად. ეს ყველაზე უფრო ძნელი ამოცანა იყო, რაც კი ცხოვრებაში გამიკეთებია, მაგრამ მაინც გავართვი თავი, არ მსურდა საპატიო სტატუსით გამელია საწუთრო. სულ რაღაც 54 წლის ვიყავი — სრულიად ახალაზრდა ჩვენებური საზომით, ჩვენს ხანაში ხომ დაახლოებით ორი საუკუნე იყო სიცოცხლის საშუალო ხანგრძლიობა.

ბოლოსიტყვაობა

აი მივადექი კიდეც ჩემი მოთხრობის ყველაზე უფრო არაჩვეულებრივ ადგილს — იმას თუ როგორ მოვხვდი თქვენს ხანაში. დროითი ველების ათვისებაში გარკვეული წინსვლა გვქონდა. ერთ საღამოს მარტო ვიყავი ლაბორატორიაში. ახლად დაქორწინებული კელბიკი, ჩემი ძმისწული ალიორა მოიყვანა ცოლად, ადრიანად დაბრუნდა სახლში. ჰოქტუ სხვა თანაშემწეებთან ერთად თავის უმაღლესი ანალიზის პროფესორად დანიშვნას აღნიშვნდა. 26 წლისა იყო! რენიას ვუთხარი, რომ შემაგვიანდებოდა და მოწყობილობის სქემაში ის ცვლილება შევიტანე, რომელიც თავში მიტრიალებდა. განზრახვადაც კი არ მქონია ცდის იმ საღამოს ჩატარება. ვითომ რამე შეცდომა დავუშვი აწყობისას? თუ სწორედ ის მოხდა, რასაც ვეჭვობდი, სახელდობრ ის, რომ დროითი ველები ხანდახან თავად მათ წარმომქნელ მოწყობილობაზე ზემოქმედებენ და მას ამუშავებენ კავშირის დამყარებამდე? არა ვიცი რა. უეცრად ჩავიძირე ლურჯ ცხოველ მოციმციმე სინათლეში და გონება დავკარგე.

გონს რომ მოვეგე, მოვხვდი სრულიად უცნაურ გარემოში, ჩემთვის უცნობ სხეულში, რომელიც ჩემსას მიაგავდა და ისეთ დროში, რომელიც ჩემთვის შორეული წინარესიტორიული ხანა იყო.

რა მოხდა სინამდვილეში? ახლა როცა ამას ვწერ, ჯერ ისევ ჰიპოთეზების დონეზე ვარ. ხვალ ერთი ცდის ჩატარება მაქვს განზრახული. უთუოდ ნათელს მოჰფენს ჩემს ეჭვებს. მიუხედავად იმისა, რომ უსაფრთხოების ყველა ზომა მივიღე (თუმცაღა როცა საქმე დროით ველებს ეხება, რომელი უსაფრთხოების ზომაა სანდო?), მაინც უცნობს ვეთამაშები და შესაძლოა, კიდევ ერთხელ აღმოვჩნდე უცნობ დროსა თუ ადგილზე. აი რას ვფიქრობ. ჩვენ ჰელერელი ადამიანები თქვენზე უფრო წინწასულები არ ვართ მეტაფიზიკის საკითხებში. საერთოდ მგონია, რომ ამ საკითხებში ქვის ხანის ადამიანის დონეზე ვართ, პირველ ქვის ხანას ვგულისხმობ! მეტაფიზიკური სულის არსებობის არანაირი მტკიცებულება არ გაგვაჩნია და, ცხადია, არც ის ვიცით სული განაგრძობს თუ არა არსებობას სხეულის სიკვდილის შემდეგ. მაგრამ ერთი რამ უკვე დიდი ხანია, რაც ვიცით — შესაძლებელია ადამიანის ცნობიერების მისი სხეულებრივი გარსისაგან მოცილება. ცნობიერება ელექტრო-ფიზიკური ორგანიზებული სისტემაა, რომელსაც შესანიშნავად შეუძლია გარკვეული დროის მანძილზე თავისუფლად არსებობა, მაგრამ არასოდეს გაგვიბედავს ამ ცდის ბოლომდე მიყვანა! ჰელერაზე ჩემს სხეულს რა ბედი ეწია, არ ვიცი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ცოცხალია უბრალო ცხოველური სიცოცხლით და რომ კელბიკი შესანიშნავად მიხვდა იმას, რაც მოხდა და რომ იგი და რენია უვლიან ჩემს სხეულს ჩემი დაბრუნების მოლოდინში.

ჩემი სხეული, მაშასადამე, დარჩა მომავალში, მაგრამ დროით ველში მოხვედრილი ჩემი ცნობიერება მოსწყდა მას და გადმოსროლილ იქნა ასეთ, წარმოუდგენლად შორ წარსულში. ცხადია, მან შეინარჩუნა დედამიწასთან კავშირი, რაც სრულებით ნორმალურია ამ სივრცე-დროის კონტინუუმში. უცნაური ისაა, რომ ვიპოვე მასპინძელი, რომელმაც შესძლო ჩემი ცნობიერების მიღება. ამ

შესაძლებლობის გარეშე მას უსასრულოდ ხეტიალი მოუხდებოდა ან რამდენიმე ხანში გაქრებოდა, თუმც ყველაზე უფრო მოსალოდნელი ისაა, რომ მოკლე ხანში დაუბრუნდებოდა ჩემს სხეულს. როგორც დიუპონისაგან ვიცი, რომლის სხეულსაც ვიზიარებ, დროითი ველის მეორე ბოლო მას შეეხო და ალბათ, სწორედ, ამით აიხსნება ის რომ დიუპონი გახდა ჩემი ცნობიერების მასპინძელი.

განზრახული მაქვს უკუცდა ჩავატარო და ჩემს ხანას დავუბრუნდე. ეგებ ნაწილობრივ მაინც დავუბრუნდე. ნაწილობრივ-მეთქი, რადგან ჩემს ცნობიერებას არ განუდევნია დიუპონის ცნობიერება, მას შეერწყა, რის გამოც ერთდროულად ორივე ვარ. თუ ჩემი ცდა წარმატებით დაგვირგვინდება, ჩემი წილი ცნობიერება ჰელერას დაუბრუნდება, დიუპონის ხვედრი კი დედამიწაზე დარჩება. მაგრამ წლების მანძილზე ჩვენი ცნობიერებები ისე მჭიდროდ იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ საბოლოო ჯამში დიუპონს ბევრი ჰაურკი დარჩება, ხოლო ჰაურკს კი — დიუპონი! გაორმაგება იქნება.

მარცხისა თითქმის არ მეშინია. საკმაოდ ზუსტად შევძელი დროითი ველის სიგრძის გამოანგარიშება, თუმცაღა შეცდომას სიგრძის გამოთვლაში მაინცადამაინც დიდი გავლენა არ ექნება, ვინაიდან ეს ველი, სულ მცირე, სამ მილიონ წელზე გადაიჭიმება, რაც ბევრით აღემატება საჭირო ხანგრძლივობას. არც მისი მიმართულება მაღელვებს. მჯერა, რომ ყველაფერი კარგად ჩაივლის. ჰური-ჰოლდეში დაბრუნების შემდეგ თითქმის ეჭვი არ მეპარება, რომ კელბიკის დახმარებით შევძლებ ხორცშესხმული დავუბრუნდე თქვენს ხანას ანისა და ჟანის წასაყვანად.

სანამ თქვენი ხანიდან წავსულვარ, ბოლო სურვილი მინდა დაგიტოვოთ, შორეული წარსულის ადამიანებო. ნურასოდეს წარიკვეთთ სასოს! რაც არ უნდა შავბნელად გეჩვენებოდეთ მომავალი და მიუხედავად იმისა, რომ აწ უკვე იცით, რომ თქვენს ცივილიზაციებს ახალი ქვის ხანის ყინულები დანთქავს, ნუ შეწყვეტთ ბრძოლას. მე ჰაურკი, ჰაურკ აკერანი, ოდესღაც გამრიგე, შემდეგ კი ორი მსოფლიოს უზენაესი ხელისუფალი დიადი მწუხრისას, თქვენთან ვარ. და ვარ ცოცხალი მოწმე იმისა, რომ თქვენი ბრძოლა არაა ამაო და რომ თქვენი შთამომავლები ვარსკვლავებს მიაღწევენ!

ქრონოლოგია

ქრისტიანული ხანა :

- 1972 წ. — უცნაური შემთხვევა.
- 1978 წ. — პოლ დიუპონის სიკვდილი.
- 198... პირველი მოგზაურობა მარსსა და ვენერაზე.

მეხუთე გამყინვარება.
მეექვსე გამყინვარება.
მეშვიდე გამყინვარება 200 000წელი.
მეშვიდე გამყინვარება. ახალი ძველი ქვის ხანა.
ორი ათასი წელი გაერთიანებამდე — ჟამთაღწერის დასაწყისი.

გაერთიანების ხანა:

- 0 წელი — ერთობილობა.
- 1810 წელი — ორთქლის ძრავის გამოგონება.
- 1923 წელი — ატომური ენერგიის ათვისება
- 1941 წელი — პირველი დაფრენა მთვარეზე
- 1951 წელი — პირველი დაფრენა მარსზე
- 1956 წელი — პირველი დაფრენა ვენერაზე
- 1988-2225 წწ. — დიდი წვიმა
- 2244 წელი — ატომური კატაკლიზმი ვენერაზე
- 2245-3295 წწ. — წყვდიადის ათასწლეული
- 3295-3600 წწ. — აღმშენებლობა
- 3910 წელი — კოსმომაგნეტიზმის აღმოჩენა
- 4075 წელი — ბიოლეკის ცდა პარასილოები და პარალომები
- 4102 წელი — ზესივრცის აღმოჩენა
- 4107 წელი — პირველი ზესივრცემფრენის გაფრენა
- 4109 წელი — მეორე ზესივრცემფრენის გაფრენა
- 4112 წელი — მესამე ზესივრცემფრენის გაფრენა

- 4113 წელი — მეოთხე ზესივრცემფრენის გაფრენა
- 4114-4125 წწ. — მეხუთე და მეექვსე ზესივრცემფრენების გაფრენა
- 4132 წელი — მეოთხე ზესივრცემფრენის დაბრუნება
- 4153-4158 წწ. — კოსმომაგნეტიზმის გამოყენებით ვარსკვლავთშორისი მოგზაურობის გამოცდა
- 4575 წელი — ჰაურკ აკერანის დაბადება
- 4593 წელი — ჰაურკის მიერ ფიცის დადება
- 4600-4602 წწ. — ჰაურკი ჰერუკოიში
- 4603 წ. — დიდი წამოწყების დასაბამი მოგზაურობა სამხრეთ პოლუსზე
- 4604 წელი — მოგზაურობა ვენერაზე
- 4604 წელი — ბედისწერელთა აჯანყება
- 4610 წელი — ოტება
- 4613 წელი — ახალი ბჟა
- 4614-4623 წწ. — დიადი მწუხრის პირველი წაწილი
- 4623 წელი — ეტანორი
- 4623-4627 წწ. — დიადი მწუხრის მეორე ნაწილი
- 4627 წელი — ბელული
- 4629 წელი — დიადი მწუხრის დასასრული
- 4613 წელი — უცნაური შემთხვევა

1. ჩვენ მათ ბერიალის განტოლებების სახელით ვიცნობით, თქვენ კი — აინშტაინ-ლორენცის განტოლებების სახელით (ჰაურკის შენიშვნა)

წიგნის ელექტრონული ვერსია მოამზადა
საიტმა: www.PDF.ChiaturaINFO.GE